

შოთა ნიჟარაძე

# აკარული დიალექტი

ფონეტიკა, გრაგბიკა, დეჟნიკა

გამომცემლობა  
«საბჭოთა აჭარა»  
ბათუმი  
1975

ნაშრომში გაანალიზებულია აპარული დიალექტის ფონეტიკურ-გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკური შედგენილობა. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქართული ენის სხვა კილო-თქმებთან მიმართება-შეპირისპირების, ქობულეთური მეტყველების ცალკე კილოკაურ ერთეულად დადგენისა და იირითადი ლექსიკური პლასტების გამოყოფა-გაანალიზების არაერთ საპრობლემო საკითხზე. გამოვლენილია აპარულის სპეციფიკური მოვლენები სამივე კილოკავის (ზემოაპარული, ქვემოაპარული, ქობულეთური) მონაცემთა მიხედვით.

ნაშრომი გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების სპეციალური ფაკულტეტის სტუდენტთა და ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი ილია მაისურაძე

## შესავალი

### ცნობები აჭარის წარსულისა და აჭარული დიალექტის ბავრცელების შესახებ

1. ნაშრომი მიზნად ისახავს აჭარული დიალექტის მონოგრაფიულ შესწავლას. აჭარულს, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ დიალექტთა შორის. იგი „ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი კილოთაგანია“. მართალია, ამ კილოს შესწავლას მიეძღვნა არაერთი საყურადღებო გამოკვლევა, „მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია“ (ვ. თოფურია): ჭერჭერობით არ გვაქვს მონოგრაფია მის შესახებ; ჭეროვნად არაა გამოყოფილი კილოკავები, რომ არაფერი ვთქვათ მათ თავისებურებათა კვლევის შესახებ. ქობულეთური მეტყველების პროფილის განსაზღვრისას სრულად არაა დამოწმებული ფაქტორები, რომელთაც განაპირობეს მისი პოზიცია ზემოაღნიშნულ დიალექტში.

ჩვენ აჭარულის ფონეტიკურ და გრამატიკულ თავისებურებათა ანალიზთან ერთად შევეხებით მისი ლექსიკის სპეციფიკასაც. საანალიზო მასალის ძირითადი ნაწილი მოპოვებულია ჩვენ მიერ საველე მუშაობის პროცესში. შევეცადეთ გავვეთვალისწინებინა სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების შესწავლის თანამედროვე დონე. ამან გარკვეული დახმარება გაგვიწია ქართულ დიალექტთა შორის აჭარულის ადგილის განსაზღვრისას ზოგი მომენტის დაზუსტებაში.

აჭარის წარსული მთელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთა ფურცელია. აჭარა საქართველოს ოდესღაც ყველაზე აყვავებულა მხარის, ისტორიული მესხეთის ნაწილია.

დიდმა ილიამ სამხრეთ საქართველოს წვლილი ქართული კულტურის აყვავების საქმეში შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ... ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შ. რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო, ... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ ალყავა-

ბულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, ... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროსა“<sup>1</sup>.

დღესდღეობით დამტკიცებულად ითვლება, რომ აჭარა ჭერ კიდევ მე-8 საუკუნეში ჩვენს ერამდე შედიოდა დასავლეთ საქართველოს სამეფოში, კოლხიდაში.

აჭარის ტერიტორიისა და მის მკვიდრთა წარმომავლობაზე ხელშესახები ისტორიული ცნობები დაგვიტოვა მეთერთმეტე საუკუნის ქართველმა ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის დიდმა მკვლევარმა ვახუშტი ბაგრატიონმა.

ვახუშტიმ აჭარა ასე შემოსაზღვრა: „... მზღერის: აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი, და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამკრით მთა აჭარასა და ლიგანის ქვეს შორისი; დასავლით მდინარე ჭოროხი; ჩრდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან გზანი გურიას“<sup>2</sup>.

ლეონტი მროველის ცნობით ძვ. წელთაღრიცხვით მე-4, მე-3 საუკუნეების მიჯნაზე აჭარა სამცხესთან ერთად შედიოდა ფარნავაზ მეფის მიერ ჩამოყალიბებულ ოძრხის საერისთავოში. ლ. მროველისავე თქმით ფარნავაზმა ოძრხის ერისთავს „მისცა ქუეყანა ტაისისკართგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“.

საისტორიო წყაროებით (პლინიუსი, ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე და სხვა) აჭარა მე-2 საუკუნეში (ძვ. წ.) სამცხესთან ერთად იმ დროისათვის საკმაოდ მომძლავრებულ იბერიის შემადგენლობაშია.

მე-8 საუკუნიდან აჭარა სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად შედიოდა ტაო-კლარჯეთის სამთავროში. საქართველოს ისტორიაში ეს ის ხანაა, როცა ტაო-კლარჯეთი ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენს. ყოველივე ეს კი იმის მომასწავებელიცაა, რომ მესხური იმერხეულ დიალექტებთან ახლო მონათესავე აჭარულ მეტყველებასაც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა სამწერლო ქართულის ჩამოყალიბებაში.

<sup>1</sup> ი. ჰავციავაძე, თბ., ტ. მე-4, 1955 წ., გვ. 11.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება მე-4, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოთა საქართველოსა, გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 676.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 24.

მე-11 საუკუნიდან აქარას სამხრეთ საქართველოს სხვა თემებთან (სამცხე, კლარჯეთი, არტანუჯი, შავშეთი) ერთად გამგებლობს გაერთიანებული საქართველოს მეფის მიერ დანიშნული მოხელე აბუსერიისძეთა ფეოდალური საგვარეულოდან. აბუსერიისძეთა უკველესი წარმომადგენელი არტანუჯის ციხის მფლობელი იოანე იხსენება „მატიანე ქართლისაჲს“ მე-11 საუკუნის 20-იანი წლების დასასრულის ამბების აღწერილობაში<sup>1</sup>.

მე-16 საუკუნის ბოლოს ჩვენი სამშობლოს ოდესღაც ერთი ყველაზე დაწინაურებული კუთხე — მესხეთი თურქთა ბატონობის ქვეშ ექცევა. თუმცა აქარა თავგანწირული ბრძოლით ერთხანს კიდევ იგერიებდა მომხდურ მტერს, მაგრამ მე-17 საუკუნის დამდეგის ისიც ხელთ ჩაიგდო მტერმა. აქარა სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოწყდა დედასამშობლოს. იგი ეროვნული ვადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ხალხი თურქ დამპყრობლებს გაუგონარი თავგანწირვით ეკვეთა და ბრძოლებში გამოატარა თავისი მდიდარი კულტურა, თავისი ენა.

მიუხედავად იმისა, რომ აქარული საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უცხო, თურქული ენის გავლენას განიცდიდა, აქარულმა დიალექტმა, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ძალმომრეობითი ასიმილაციის მიუხედავად, აქარის მოსახლეობამ მტკიცედ დაიცვა და წამების ქარცეცხლში გამოატარა ქართული ზნე-ჩვეულება და, რაც მთავარია, მშობლიური ქართული ენა. აქარულმა ორგანული კავშირი არ გაწყვიტა ქართულ ენასთან, მის დიალექტებთან. აქაური (აქარის) население состоит из одного грузинского элемента (за исключением Черкесов) и говорит языком, ничем отличающимся от грузинского говора<sup>2</sup>. მაგრამ გათურქების პოლიტიკა, ისლამის ფანატიზმი მაინც თავისას აკეთებდა. მოზღვავებული უბედურება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა, ქართველი ერის სულიერ ორგანიზმზე თავის კვალს ტოვებდა. სულთნის თურქეთის მუხანათური ხელი რამდენანდმე ჩვენს მშობლიურ ენასაც მისწვდა. მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართული სალიტერატურო ენის საგანძურში მღვრიე ნაკადად შეიჭრა თურქული ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ელემენტები.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა. გვ. 183.

<sup>2</sup> Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб, 1878. გვ. 15.

1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად, ბერლინის ხელშეკრულების საფუძველზე, აჭარა სულთანის კლანჭებისაგან განთავისუფლდა. იგი დედასამშობლოს დაუბრუნდა და ფიზიკურ მოსპობას გადაურჩა.

თურქეთის სამასწლიანი ბატონობის შედეგად აჭარის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა, ნაწილი მუჰაჯირობით განშორდა პირველ საცხოვრისს, ნაშთებად იქცა ქართული მატერიალური კულტურის დიდებული ძეგლ-ტაძრები, ციხე-კოშკები. „ნაქილისვარება-სა“ და „ნასაყდრევებზე“ ჯამეები და მედრესეები გაჩნდა, გაქრა მწიგნობრობა, შეიბღალა წმიდათაწმიდა მშობლიური ქართული ენა.

1921 წლის 18 მარტიდან აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება ვამოცხადდა. თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე აჭარაში უჩვეულოდ აყვავდა და გაიფურჩქნა ქართული კულტურა, მშობლიური ენა აღდგა თავის უფლებაში.

„ამგვარად, აჭარულის თავისებურებანი შეაპირობეს ჯერ კოლხური, შემდეგ მესხურ-კლარჯული და გურული დიალექტების გარემოცვამ, ბოლოს თურქთა ასიმილატორული პოლიტიკის გატარების შედეგად თურქულის ძლიერმა ზეგავლენამ. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ აჭარულში შეიმჩნევა ზანურის სუბსტრატის კვალი“<sup>1</sup>.

აჭარული დიალექტი მოიცავს აჭარის ასსრ რესპუბლიკას, რომელშიც დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით შედის ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონების 291 სოფელი.

ზემოაჭარულ და ქვემოაჭარულ კილოკავებთან ერთად ქობულეთურ მეტყველებასაც თუ პირობით ცალკე კილოკაურ ერთეულად ვივარაუდებთ, მაშინ აღნიშნული რაოდენობა სოფლებისა ასე განაწილდება: ზემოაჭარულ კილოკავზე მეტყველებს 135 სოფლის მცხოვრები, ქვემოაჭარულზე — 106 სოფლის მკვიდრი, ხოლო ქობულეთურ კილოკავზე — 50 სოფელი. აჭარული კილოკავრცელებულია აგრეთვე ჩოხატაურის რაიონის სამ სოფელში: ზოტში, ჩხაკაურასა და ქვაბლაში. დასახელებულ სოფლებში, სადაც დაახლოებით ერთი საუკუნის წინ გადასახლებულან აჭარლები, ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველება, შეიძლება ითქვას, ორდიალექტიანია, აქაური მცხოვრებნი ლაპარაკობენ ზემოგურულსა და ზემოაჭარულ (ლორჯომის) კილოკავებზე. ასე რომ, მათი მეტყვე-

<sup>1</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 391.

ლება ქმნის ორი მოსაზღვრე-მონათესავე დიალექტის (გურულ-აჭარულის) გარდამავალ ზოლს.

აჭარლები სახლობენ და, საფიქრებელია, მშობლიურ კილოზე მეტყველებენ თურქეთის ქართულ პროვინციებშიც.

## აჭარულის ზოგადი დახასიათებისათვის

2. სპეციალურ ლიტერატურაში ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ აჭარული ერთი იმ დიალექტთაგანია, რომლის შესწავლასთან დაკავშირებულია ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკვანძო საკითხები. აღსანიშნავია, რომ „მესხურ დიალექტს“ ქარ-ეული სამწერლო ენის ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლალი აქვს. ამასთან ერთად ამ პრობლემის გადაწყვეტა წარმოუდგენელია ქოროხის ხეობის ქართული მეტყველების თავისებურებათა ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის გარეშე, რაც, სამწუხაროდ, რიგ დაბრკოლებასთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ავბედითი ისტორიული პროცესების შედეგად ამ მხარის დიალექტი გადაშენდა. ნ. მარის მიერ ჩაწერილი ის მცირეოდენი ტექსტები იმერხეულისა, ცხადია, სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს მესხეთის უკიდურესი დასავლური სექტორის დიალექტური პროფილის დასადგენად, ამ მხარის ენის ისტორიული სურათის აღსადგენად. მაგრამ აჭარული მეტად ახლოსაა მესხური დიალექტის „ნამსხვრევების“ სახითა შემორჩენილ შავშურ-კლარჯულ მეტყველებასთან, ამიტომ ზემოდასახელებული პრობლემის შესახებ მსჯელობისას აუცილებელია აჭარულის გათვალისწინება.

აჭარული მეტყველების, განსაკუთრებით მისი ლექსიკის შესწავლის მნიშვნელობა, ნათქვამით არ ამოიწურება. იგი მრავალმხრივ იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ შემდეგს:

ა. აჭარულში, იმ თავისებურებათა გარდა, რომლებიც საფუძვლად დაედო მის ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფას, ვხვდებით როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კილოების დამახასიათებელ მოვლენებს. ზემოაჭარული ახლოს დგას აღმოსავლურ დიალექტებთან, ხოლო ქვემოაჭარული და, განსაკუთრებით ქობულეთური — დასავლურთან.

ბ. შეინიშნება ლექსიკური, ასევე ფონეტიკურ-გრამატიკული არქაიზმების საკმაოდ დიდი დაფენება (შრე), რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ იგი თურქთა ასიმილაციური პოლიტიკის გატარე-

ბის შედეგად დიდი ხნით იყო მოწყვეტილი მშობლიური ქართული ენისაგან; თურქულმა ენამ გზა გადაუჭრა ახალი ქართული სიტყვებისა და გამოთქმების დამკვიდრებას, რის გამოც ძველი ქართული სიტყვები და გამოთქმები მოსახლეობის განსაზღვრულ ფენებში ინერციით განაგრძობდა არსებობას, შეზღუდულად მაინც გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

გ. აჭარული კილოს თავისებურებათა შემაპირობებელ ფაქტორთაგან ხაზი უნდა გაესვას იმ ისტორიულ ფაქტსაც, რომ მასში შეიმჩნევა ჯერ კოლხურისა და შემდეგ ზანურის (მეგრულ-ჭანურის) სუბსტრატის კვალი. აჭარულის (განსაკუთრებით ქვემოაჭარულის შავი ზღვისპირა სექტორისა და ქობულეთურის) სახით ჩვენ გვაქვს მეტად საინტერესო კილო, სადაც ზანიზმები საკმაოდ ხელშესახებია (განსაკუთრებით ლექსიკასა და ტოპონიმიკაში).

დ. აჭარული კილოს ხანგრძლივად უცხო ენობრივ გარემოცვაში ყოფნამ მასში წარმოაჩინა საინტერესო ლექსიკურა მასალა, რასაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს სტრუქტურულად განსხვავებულ ენათა — ქართულისა და თურქულის ურთიერთობათა შესწავლისას, სიტყვათესხების გზებისა და ნასესხობათა „გამშობლიურების“ პროცესის მიკვლევა-დადგენისას.

დასასრულ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქვეყნის კულტურული დონის სწრაფ აღმავლობასთან დაკავშირებით, დღითიდღე იზრდება სალიტერატურო ენის გავლენა დიალექტებზე, ჩვენს შემთხვევაში — აჭარულზე. ეს გარემოება კი აშკარა გაქრობის საშიშროებას უქადის ცოცხალი, ხალხური მეტყველების ნიმუშებს, საუკუნეთა წიაღში შემუშავებულ მრავალ სიტყვასა თუ გამოთქმას. ამიტომაც, რომ, რაკი აჭარული მეტყველების არქაული სიტყვები და ფორმები დაეიწყებას ეძლევა, ბუნებრივია, საშური, გარდუვალი გახდა მათი აღნუსხვა და სისტემატიზაცია.

აჭარული დიალექტი ენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს განპირობებულია იმ ისტორიული ვითარებით, რომლის შესახებ ზემოთ იყო საუბარი. სტრუქტურული თვალსაზრისით მისთვის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენს ძლიერი კილოკაური დიფერენციაცია. მართალია, გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით აჭარულში, ჩვეულებრივ, გამოყოფენ ორ კილოკავს — ზემოაჭარულსა და ქვემოაჭარულს, მაგრამ ქვემოთ შევეცდებით იმის ჩვენებას, რომ ქობულეთურიც აჭარულის ცალკე კილოკავს წარმოადგენს.

ზემოაჭარული კილოკავი გავრცელებულია აჭარის ასს რესპუბლიკის ხულოსა და შუახევის რაიონებში. ზემოაჭარა მდებარე-



რეობს აჭარის აღმოსავლეთ ნაწილში. მას საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია (1300 კმ<sup>2</sup>). ზემოაჭარას აღმოსავლეთით ესაზღვრება — ადიგენის რაიონი, დასავლეთით — ქედის, ჩრდილოეთით — მახარაძისა, ხოლო სამხრეთით — საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარულის ენობრივ-დიალექტური დიფერენციაცია ძირითადად ემთხვევა აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეთნიკურ დაყოფას. ისტორიულად აჭარა იყოფოდა ზემოაჭარად და ქვემო აჭარად, რომელთა შორის მიჯნად დებენ დანდალოს<sup>1</sup>.

ზემოაჭარულს ენობრივი თვალსაზრისით შეხვედრის წერტილები აქვს როგორც დასავლურ დიალექტებთან (ძირითადად) — გურულთან და იმერულთან, ისე აღმოსავლურ დიალექტებთან, რაც, ცხადია, განპირობებულია ისტორიული წარსულით. აჭარა დაახლოებით მე-2 საუკუნეში ჩ. ერამდე აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოში, ზემო ქართლის გამგებლობაში იყო მოქცეული. ასევე, ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესებით ზემოაჭარულს ბევრი რამ აქვს საერთო მომიჯნავე მესხურ-ჭავჭავურთან და იმერზეულთან (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

აჭარული დიალექტის სპეციფიკური მოვლენები, შეიძლება ითქვას, ძირითადად თავს იყრის ქვემოაჭარულში<sup>2</sup>. მაგრამ ყველაზე მეტად ამ თავისებურებებით მდიდარია აჭარის ცენტრალური ნაწილის — ქედის რაიონის მკვიდრთა მეტყველება. მას შედარებით ნაკლებად ემჩნევა სხვა კილოების გავლენა და უფრო შემონახულია აჭარულისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ქვემოაჭარულში დასავლურ კილოთა ნიშანდობლივი ფორმები ძირითადად გურულ-ქობულეთურის გზით გავრცელდა, ხოლო აღმოსავლური კილოებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება მესხურ-იმერზეულის გავლენას მიეწერება. აქვე შევნიშნავთ, რომ ქვემოაჭარული მეტყველება არაა ერთფეროვანი: ჭოროხის ხეობის აჭარულის ნაირგვარობა იმითაა შეპირობებული,

<sup>1</sup> იხ. პ. უმიკაშვილი, ოსმალის საქართველო: გაზ. „ივერია“, 1877 წ. №12; დ. ბაქრაძე Археолог. путешествие по Гурии и Абхазии. СПб., 1878; მ. თაყაიშვილი, Археолог. экспедиция в южные провинции Грузии, 1952, გვ. 17.

<sup>2</sup> ქვემოაჭარული, როგორც აჭარული დიალექტის ძირითადი კილოკაური ერთეული, ტერიტორიულად მოიცავს ქედისა და ხელვაჩაურის (ამ უკანასკნელის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის) რაიონებში შემავალ სოფლებს.

რომ აქ სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ ზანთა ტომები, ბერძნები, აფხაზები, ჩერქეზები, ზემშილები, ქურთები და სხვა. ამის გამო თავი მოიყარა უცხოური ენობრივი სამყაროს ლექსიკურმა და გრამატიკულ-სტრუქტურულმა ელემენტებმა; ხელვაჩაურის რაიონის ბარის მეტყველებაში ყურადღებას იქცევს ზანიზმები. კირნათ-მარადიდის, ახალსოფლისა და გონიოს მკვიდრთა მეტყველებისათვის დამახასიათებელია მეგრულ-ქანურისებური სინტაქსური კონსტრუქცია: მოთხრობითი ბრუნვა ზმნის I სერიის ფორმებთან (ვინმემ არ ებნევა...), ხოლო გარდამავალ ზმნებთან პირდაპირი ობიექტის გადმოცემა სახელობით ბრუნვაში (ამდენხან რაფერ ეერ დაღობავს კაცმა ეს ყანა...) და სხვა.

### აჭარულის უნსწავლის მდგომარეობა

3. აჭარულის ფონეტიკა და გრამატიკულ თავისებურებათა შესწავლა 1926 წ. დაიწყო. პირველი ნაშრომი ზემოაჭარის კილოკავს მიუძღვნა მ. ხუბუამ („ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა“, 1932 წ.). მკვლევარს 1926 წლის ზაფხულში უწარმოებია დაკვირვება ზემოაჭარულზე. გამოკვლევა წარმოადგენს ამ მუშაობის შედეგს. კარგადაა შენიშნული და კვალიფიცირებული ზემოაჭარულის რიგი თავისებურებანი. ისიც უნდა ითქვას, რომ მ. ხუბუა მოკლე დროის განმავლობაში აწარმოებდა ზემოაჭარულზე დაკვირვებას, მის მიერ ჩაწერილ ტექსტთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა (ტექსტები ჩაწერილია ზემოაჭარის 10-12 სოფელში, მაშინ, როდესაც აქ 120 სოფელია); ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ნაშრომის ხასიათზე. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ზემოაჭარულის არაერთი თავისებურება. მიუხედავად ამისა, ქართული დიალექტოლოგიის განვითარების მაშინდელი დონისათვის მ. ხუბუას ზემოდასახელებული გამოკვლევა მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს. აჭარული დიალექტის შესწავლის საქმეში დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული დოც. ჯ. ნოღაიძელს. მან გამოაქვეყნა საკმაოდ დიდი მოცულობის დიალექტოლოგიურ-ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომები („ნარკვევები აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან“, ბათუმი, 1933; „აჭარის ხალხური პოეზია“, ბათუმი, 1936; „აჭარის ხალხური პოეზია“, ბათუმი, 1940) და გამოკვლევები („აჭარა დიალექტოლოგიურად“, 1936; „აჭარული კილოს თავისებურებანი“, ბათუმი, 1960; ნარკვევები და ჩა-

ნაწერები, I. ბათუმი, 1971; კრებული გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები ლექსიკონითურთ დაურთო პროფ. იოსებ მეგრელიძემ, ბათუმი, 1971; ნარკვევები და ჩანაწერები II, დიალექტოლოგიის საკითხები. კრებული გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა. წინასიტყვაობა და დამატებითი ცნობები დაურთო პროფ. ი. მეგრელიძემ. ბათუმი, 1972), რომლებშიაც დაწვრილებითაა აღწერილი და გაანალიზებული აჭარული კილოს თავისებურებანი. აღსანიშნავია პროფ. ქ. ლომთათიძის ორი გამოკვლევა: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“; თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, 6. 1938 წ. და „დამოკიდებულ წინადადებათა ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში“. იკე, I, 1946 წ.

აჭარულ კილოს რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა პროფ. ი. მეგრელიძემ. მან გაარკვია არაერთი საკითხი ჩვენთვის საინტერესო დიალექტის ცალკეულ მოვლენათა შესახებ (იხ. „მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში“; თსუ-ს შრ., 6, 1937; Лазский и мегрельский слои в гурнийском. Труды ИЯМ. XII Серия „Caucasica“ № 1. М.-Л., 1938, 248 С.

ზემოაჭარულში 1929-30 წწ. (სოფ. დანისპარაულში მასწავლებლად მუშაობის დროს) საყურადღებო დიალექტოლოგიური ტექსტები ჩაუწერია პროფ. დ. კობიძეს. ტექსტები („ქართული ხალხური სიტყვიერების მასალები. აჭარა“) გამოქვეყნებულია თსუ-ს შრომებში, 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. 1967 წ.

პ. ჯაჯანიძის ნაშრომთაგან უნდა დავასახელოთ „აჭარული დიალექტის მორფოლოგიის საკითხები“; აღ. წუ ლ უ კ ი ძ ი ს სახ. ქუთაისის სახელმწ. პედინსტიტუტის 23-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, 1959 წ.; „აჭარული დიალექტის ზოგიერთი საკითხი“; იმავე ინსტიტუტის 24-ე სამეცნ. სესიის თეზისები, 1960 წ.; „ნაწევარი გურულსა და აჭარულში“; ქუთაისის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. 18, 1958 წ. აჭარულის ლექსიკონის მასალები: იმავე ინსტიტუტის შრომები, ტ. 23-ე, 1961 წ.; გურული დიალექტი აჭარულთან მიმართებაში, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა სადოქტორო დისერტაციისა, 1971 წ.

აჭარული დიალექტური ტექსტები მცირე ლექსიკონითა და მოკლე ენობრივი მიმოხილვა მოცემულია ი. გიგინეიშვილის,

ვ. თოფურიასა და იქავთარაძის „ქართულ დიალექტოლოგიაში“, I, 1961 წ.

მხატვრულ ლიტერატურაში და ეთნოგრაფიულ ნარკვევებში აქარული მეტყველების ნიმუშები გვხვდება ქ. ლომთათიძის<sup>1</sup>, ზ. ჭიჭინაძის<sup>2</sup>, დ. ბაქრაძის<sup>3</sup>, პ. უმიკაშვილის<sup>4</sup> ნაწერებში.

---

<sup>1</sup> ქ. ლომთათიძე, მოთხრობები, ტ. მე-2, 1925.

<sup>2</sup> გამოქვეყნებულია ავტორის მიერ სხვადასხვა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

<sup>3</sup> დ. ბაქრაძე, Археолог. путешествие по Гурии и Адчаре. 1878

(იხ. მოკლე შედარებითი ლექსიკონი ქართლურ-კახურ, იმერულ, გურულ, ქობულეთურ და აქარულ თქმათა).

<sup>4</sup> პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ოთხ ტომად, I ტომი, 1964 წ.

**აჭაიულის ნაიკსახეობანი და მისი მიმართება  
ქართული ენის სხვა დიალექტებთან .**

1 თ ა ვ ი

**ქოხულეთური მატყველების დიალექტოლოგიური  
განსაზღვრისათვის**

4. 1. აჭარულ დიალექტში ტრადიციულად 2 კილოკაურ ერთეულს გამოყოფენ: ზემოაჭარულსა და ქვემოაჭარულს. ქობულეთურს, ჩვეულებრივ, მიაკუთვნებენ ქვემოაჭარულს. როგორც ავტორთა ჯგუფი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე) შენიშნავენ<sup>1</sup>, ეს უკანასკნელი დაყოფა არ ემთხვევა გეოგრაფიულ დაყოფას, რამდენადაც ქედისა და ხელვაჩაურის რაიონები ქვემოაჭარულში შემოდის და მეტყველება კი ზემოაჭარულად არის მიჩნეული. უთუოდ ამითაა გამოწვეული სხვაგვარი, მთისა და ბარის აჭარულად დაყოფის ცდა, მაგრამ არც ეს კლასიფიკაციაა უნაკლო. როგორც ჩანს, — შენიშნავენ ზემოდსახელებული ავტორები, — აჭარულის კილოკაეზად კლასიფიკაციისათვის მასალები საკმარისი არ არის. ქობულეთური მეტყველების დიალექტოლოგიური პროფილის დასადგენად ჩვენ იგი შევეუდარეთ ზემო და ქვემოაჭარულ მეტყველებას.

4. 2. დაკვირვებამ გვიჩვენა, — როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, რომ ქობულეთური მეტყველება ენობრივ-დიალექტოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავდება როგორც ქვემოაჭარულის ისე (განსაკუთრებით) ზემოაჭარულისაგან. ამის საფუძველი ძირითადად ისტორიულ წარსულში უნდა ვეძიოთ. საისტორიო ლიტერატურიდან კარგადაა ცნობილი, რომ ქობულეთში ისე ხანგრძლივად არ ბატონობდნენ თურქები, როგორც სამხრეთ საქართველოს სხვა პროვინციებში. კერძოდ ზემო და ქვემო აჭარაში.

<sup>1</sup> ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 388.

ამის გამო, ბუნებრივია, ქობულეთის მკვიდრთა მეტყველებას ზემო და ქვემო აჭარულის მსგავსად ისე ხანგრძლივად არ უგემია უცხო ენობრივ სამყაროში ძალმომრეობითი ასიმილაცია, თურქული ენის ზეგავლენა.

4. 3. ქობულეთური მეტყველების ცალკე კილოკაურ. ერთეულად გამოყოფის მიზნით ზემო და ქვემო აჭარულთან შეპირისპირებისას მსგავს ფონეტიკურ-გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებთან ერთად სადიფერენციაციოდ გამოვყავით ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებიც.

4. 4. ბ გ ე რ ა თ ს ი ს ტ ე მ ა შ ი აჭარულისაგან<sup>1</sup> განსხვავებით ქობულეთურისათვის, შეიძლება ითქვას, არაა დამახასიათებელი „ნეიტრალური“ ბგერა ჯ და წყვილბაგისმიერი ხშულმსკდომი მ. როგორც ქვემოთაც დავინახავთ, ეს უკანასკნელი (მ) აჭარულში, ჩვეულებრივ, ჩნდება ნაცვალსახელებსა, შორისდებულებსა და უარყოფის ნაწილაკებში სიტყვის თავში ხმოვნის მაგარი შემართვით.

4. 5. ფონოლოგიური თვალსაზრისით ქობულეთურისათვის ფრიად დამახასიათებელია სპირანტ ჰ-ს ადგილას ხ-ს ხმარება.

მანამ: ჰ ბგერა, როგორც ცნობილია, არაა სრულღირებული ფონემა სალიტერატურო ქართულში (და მის დიალექტებში): ხმოვნის წინ სალიტერატურო ქართულში იგი იხმარება საყოველთაოდ გავრცელებულ მხოლოდ ორ სიტყვაში (ჰაერი, ჰავა) და ზოგიერთ ძახილში, მაგ. ჰა, ჰე, ეჰე, აჰა<sup>2</sup>. დადგენილია ისიც, რომ ჰ თანხმოვნების წინ სალიტ. ქართულში წარმოადგენს უფრო მეტად თანხმოვნის ფშვინვიერ შემართებას, ვიდრე დამოუკიდებელ ფონემას<sup>3</sup>.

ქობულეთურ მეტყველებაში როგორც მშობლიურ (ქართულ), ისე უცხოური წარმოშობის სიტყვებში, თითქოს უგამონაკლისო წესი, ჰ-ს ადგილას გვხვდება ხ ბგერა. მართალია, ზოგჯერ ხ-ს მიღება ფონეტიკურ ნიადაგზე (ასიმილაცია) ხდება, მაგრამ გვაქვს საკმაო შემთხვევები, როცა ხ ბგერის გაჩენა არაა ფონეტიკურად (resp. ბგერობრივი პოზიციით) განპირობებული.

ხ ბგერა უცხოური წარმოშობის სიტყვებში: ხ ე ვ ი ბ ა (შდრ. აჭ. ჰეგება 'აბგა'), ხ ა ზ ი რ ი, მ ო ხ ა ზ ი რ ე ბ ა (აჭ. მოჰაზირება), ხ ე მ შ ი ლ ი (აჭ. ჰემშილი), ხ ე ქ ი ა (ჰექია 'ზღაპარი', ხ ე რ ა მ ი

<sup>1</sup> აჭარულის ქვეშ ვგულისხმობთ ზემო და ქვემოაჭარულ კილოკაებს.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 286.

<sup>3</sup> იქვე.

(||ჰერამი 'არამი'), ხ ე ლ ა ლ ი (||ჰელალი ალალი), ყ ა ხ ვ ე (||ყაჰვე 'ყავა'), მ უ ხ ა ჯ ი რ ი (||მუჰაჯირი) და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთურში ხ ბგერა მაშინაც იჭერს ჰ-ს ადგილს, როცა ეს უკანასკნელი მორფოლოგიური ფუნქციის (იგულისხმება ჩვეულებრივ O<sub>3</sub>-ისა და S<sub>2</sub>-ის ნიშნები) მქონეა, მაგ.: მ ო ხ კ ი დ ე ნ ა ი ქვირთი და გ უ დ გ ე ნ გ ზ ა ს ; წ ა მ ო ხ კ რ ა ხ ე ლ ო ამ ბილუზულ და მოწიწინდა შინისკენ; მ ა მ ის ი დ ა ნ ხ ქ ო ნ დ ა გ ა გ ო ნ ი ლ ი ; ა ი თ ხ ა ქ ე ხ ა ვ ს ხ ე ლ შ ი და...

ამრიგად, ამ მოვლენით (ჰ→ხ) ქობულეთური მკვეთრად უპირისპირდება როგორც ქვემო, ისე ზემოაჭარულს.

4. 6. ფონეტიკური პროცესებიდან ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები ქობულეთურში სპორადული ხასიათისაა, მაშინ, როცა აჭარულში (განსაკუთრებით ზემოაჭარულში) იგი უფრო ხშირად გვხვდება: დ ო ო უ მ ი ზ ნ ა და პირდაპირ შუფში (შუბლში) გამჟაწება.

4. 7. ქობულეთური მეტყველებისათვის ერთობ დამახასიათებელია როგორც ბგერათკომპლექსთა შენაცვლება, ისე კომპლექსის ხმოვნით და ხმოვნის ბგერათკომპლექსით შენაცვლება.

ვე-ო: ვერ ჩ ა ვ ხ ო ბ ი მაგ სალდათებს ოზრუქეთში; ვორა ძმაი შიშმანოლი, დევნახვიდი — ყ ო ლ გ ა ნ მძულდა (პ. უმიკ.).

ამ მოვლენით ქობულეთური არსებითად უპირისპირდება აჭარულს და უახლოვდება გურულს. ასე რომ, ქობულეთურ მეტყველებაზე გურულის გავლენა უეჭველად ჩანს.

4. 8. არაიშვიათად ეა კომპლექსს ია ენაცვლება. როგორც ცნობილია, ანალოგიური ფონეტიკური მოვლენა ძვ. ქართულშივე დასტურდება (შდრ. ეამა→იამა). ქობულეთურ მეტყველებაში ამ ტიპის ხმოვანმონაცვლეობა უპირატესად შე- პრევერბთან გვხვდება, როცა შე- ზმნისწინისეულ ე-ს უშუალოდ მისდევს ფუძისეულ ა: ვაჭარი და ქოსაჲ ბოლოს ქე შ ი ა ფ ხ ა ნ ა კ დ ე ნ ; არ შ ი ა წ უ ხ ო , ც ა ვ , ც ო ტ ა უ ქ ე ი ფ უ რ ა თ ა ა .

4. 9. ცალკე უნდა გამოიყოს ხმოვანთა სუბსტიტუციის შედეგად მიღებული ფორმა ბ უ ძ ი ა , ბ უ ძ ი ე . ქობულეთური მეტყველებისათვის ეს სიტყვა (ამ ფორმით) იმდენად დამახასიათებელია რომ საკმარისია აჭარულმა ვისიმე (უცნობის) საუბარში გაიგონოს სიტყვა ბ უ ძ ი ე , რომ მოუბრის ვინაობა (ქობულეთელობა) მართო ამ სიტყვის მიხედვით დაადგინოს.

ეგვე შეიძლება ითქვას მ ი ა ლ ზ მ ნ ის შესახებ. წინააღმდეგ აჭარულისა, ქობულეთელი, ჩვეულებრივ, მ ი ვ ა ლ ზ მ ნ ის ნ ა ც ე ლ ა დ ვ - ი ნ დაკარგულ ფორმას (მ ი ა ლ) ხმარობს.

4. 10. რ ბგერის დაკარგვას ქობულეთურში ისე სისტემური ხასიათი არა აქვს, როგორც ეს დადასტურებული გვაქვს ქვემოაჭარულში, კერძოდ ქედის რაიონის სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში<sup>1</sup>. ქობულეთურში რ თანხმომიანი იკარგება, ჩვეულებრივ, „ფერ“ კომპონენტთან უარყოფით ნაცვალსახელებში: ა ფ ე რ ი, ნ უ ფ ე რ ი, ვ უ ფ ე რ ი... აღსანიშნავია, რომ მსგავსად აქარულისა, დასახელებულ მაგალითებში რ-ს დაკარგვამ გამოიწვია ხმოვანთა შერწყმა, და, რაც მთავარია, რ-ს გაწყვეა ა ხმოვანი. ასე რომ, აქ აშკარად შეიქმნა პირობა მარცვლის (რა) დისიმილაციური დაკარგვისათვის ანუ ფ ე ხ შ ვ ე ლ ა-ს ტიპის ჰაპლოლოგიისათვის.

4. 11. მორფოლოგიური თავისებურებებიდან ქობულეთურში ყურადღებას იქცევს ორმაგი მრავლობითობა. იგი დამახასიათებელია როგორც არსებით სახელებში, ისე ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებში, მაგ.: ა ი მ ო წ მ ე ნ ე ბ ი ქ ლ ა გამევიდენ მეფ-დანზე; დახქეჭებოდეს ღ ო ბ ე ნ ე ბ ს, მას მოსტეხოოდეს წელია; თუ ასია, მაშინ ი გ ი ნ ე ბ ს ა ც დახკითხეთ; მიერენები სულაც აღარ გამოჩენილან.

წარმოდგენილი მოვლენებით ქობულეთური მეტყველება არსებითად გამიჯნულია აქარულისაგან.

4. 12. საკვლევ მეტყველებაში, ისე როგორც დასავლური ჯგუფის კილო-თქმებში, მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ირიბობიექტური პრეფიქსები ზმნაში იშვიათად იხმარება, ხოლო იმავე პრეფიქსებიდან ჰ-ს ნაცვალად თითქმის ყველგან ხ გვხვდება. ეს წესი ვრცელდება ე. წ. ინვერსიულ ზმნებთანაც, სადაც პირის ნიშნად ჰ არის წარმოდგენილი: ა ი ზ ისუნახავი გოგო სულ უნცროს მი ხ გ ვ ა რ ე ს მეგემ; ერთი ბარიშნა ხ ყ ო ლ ი ა, ცოტა დაბალი, სქელია; ერთი უღელი ბიჭები ხ ყ ა ვ ს, ავ თვალს არ ენახვება.

ს პრეფიქსიან ზმნებში ადგილი აქვს სხვა სახის ფონეტიკურ ცვლილებებსაც: ს ბგერა მეღერი თანხმომის წინ ზ-დ იქცევა: მესამე მენადირე დათვის კვალ მი ზ დ ე ე დ ა; მეიხედა, რომ ქ ე ღ ა ზ დ გ ო მ ი ა თავზე აი სამთავიანი დევი.

ჯ თანხმომით დაწყებულ ზმნასთან ს-ანი ჟ-დ გვევლინება: უნცროსი ყველას ე ქ ო ბ ნ ი ს; თუარ დაქეჯერდები, შენი ნება იყოს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> რ-ს დაკარგვის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ „ფონეტიკური მოვლენები“.

<sup>2</sup> პირის ნიშნებთან დაკავშირებულ ცვლილებებს ვრცლად ეხება ქ. ნოღაი დელი (იხ. მისი აქარული კილოს თავისებურებანი, 1960, გვ. 36—37).



ამგვარად, ქობულეთურ მეტყველებაში პირის ნიშანთა პრეფიქსების სახეობანი (პ, ს, ზ, შ, ძ, ხ) ზემო და ქვემოაჭარულისათვის არაა დამახასიათებელი. და თუ აქა-იქ შეინიშნება ანალოგიური მოვლენები, იგი სპორადული ხასიათისაა და გურულისა და ქობულეთური მეტყველების გავლენას უნდა მიეწეროს.

4. 13. ხაზგასასმელია ისიც, რომ, თუ III პირის მრ. რიცხვში ნამყოსა და კავშირებითში გარდაუვალ ზმნებს ქობულეთურში, ჩვეულებრივ -ენ სუფიქსი დაერთვის, აჭარულში მას -ნენ (უპირატესად ზემოაჭარულში) -ენ (უპირატესად ქვემოაჭარულში) სუფიქსები სცვლის.

4. 14. -ევ სუფიქსიანი ზმნა აქ ზოგჯერ -ამ თემის ნიშნით გვხვდება, ხოლო -ებ თემისნიშნისანი — -ავ, -ევ თემის ნიშნებით, მაგ.: შენ თუ წაართუმ ცხვარს...; რას არქვამ, ცავ, შენს ბალანს? მეიკი დავდენ ზრუქში და გუყვებოდენ ჩოლოქ.

4. 15. ქობულეთურში აჭარულისგან განსხვავებით დადასტურდა როგორც თავისებური ზმნები, ისე თავისებურებანი ზოგიერთი ზმნის უღლებაში, მაგ.: ტაცება ზმნის ფუძეში ჩნდება უფუნქციო ნ-არი ასეთ კონტექსტში:

სიღედრი გამომეგება,  
ლაგამს მიტაცნა ხელია.

გატირება ზმნა ნამყო ძირითადას და მისგან ნაწარმოებ კავშირებით მეორეში ნ-არით ფუძე გაფართოებულ ფორმას იძლევა: ქარ გეეტირნა ბალანა დეღამის; არ გეგეტირნოს, ჩუმათე წაჲ, გო!

ვლება ზმნა ნამყო ძირითადას და მყოფადში რება ფუძით გვხვდება: ეღლო თენექა და გადაარო ნაფთი; მომშორდი, თუარა, გადაგარეფ თავზე...

ასევე, ჩივა (ჩივის), კივა (კივის) და სხვა.

4. 16. წინააღმდეგ ზემო და ქვემოაჭარულისა, ქობულეთურში არც ისე იშვიათად იხმარება დადასტურებითი ნაწილაკი ქე, ქი: მიერე გადაწიწვაზე ქი გადაანტრია აი ქათმი[ს] ბარკალი.

4. 17. აქა-იქ მოხუცთა მეტყველებაში პირმიმართი ობიექტისა და ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტის მრავლობითობის გადმოსაცემად ყუ ნაწილაკი გამოიყენება: ზეთ ყველაყაჲ ამა-ცალეს, პლაკონები ფარიანა.

ზემოთმოყვანილი მაგალითებით ქობულეთური აშკარად ემიჯნება აჭარულს და საერთო შეხვედრები აქვს გურულ კილოსთან. აშკარაა, აგრეთვე ამ უკანასკნელის გავლენა ქობულეთურის მიმართ.

4. 18. ადგილის გარემოების გამოხატველი თანდებულიანი ფორმები აქში, მაქში, აგზე, იგზე, რომლებიც ძალზე გავრცელებულია ზემო და (განსაკუთრებით) ქვემოაჭარულში, ქობულეთურისათვის საერთოდ არაა დამახასიათებელი, სამაგიეროდ გურულის ვავლენით აქ ერთობ ფეხმოკიდებულია მიზნის გარემოების გამოხატველი ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმა — იზა (—იზა—ისდა) ტიპისა: ე ნ გ უ რ ა ი ზ ა უმფრო ყირმიზი ან ტრედ-ფერაჟ მიწა ვარგულობს.

4. 19. ქობულეთური ყურადღებას იპყრობს ლექსიკური შედგენილობის თვალსაზრისითაც. აქ გვხვდება რიგი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც აჭარულში ან სულ არ დასტურდება, ან მის ადეკვატურ სიტყვა-თქმებად სულ სხვა ფორმებია წარმოდგენილი. სამაგიეროდ ქობულეთურისათვის ნიშანდობლივი სიტყვები არც თუ იშვიათად დასტურდება დასავლურ კილო-თქმებში, განსაკუთრებით გურულში.

დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

აჩარიქვა — 1. ასო-ასოდ აჭრა-დანაწილება (საკლავისა, ხორცისა), — აქნა; 2. გად. ნაკუწ-ნაკუწად დაჭრა, აკუწვა; აწიოკება.

„ა ვ ჩ ა რ ი ქ ე, დაეჩარიქე.

ორყურ ქვაბში ვერ ჩავტიე“ (ნ. ლ. აჩარიქვა, შ ა რ ა შ. აკაფსვა, აჩარიქვა).

ბაზღავატ-ი — აბღაბით: გოგო, გომბიო (შდრ. ზ.-აქ. პრატი).

ბუღუა — ნათლია (ნ. ქ ლ.).

ბოგილ-ი — ბოგა.

გამმეტ-ი (თანღ. — გან+მეტი) ‘გარდა’, ‘თვინიერ’, ‘ჩაუთვლელად’. „ერი კაკალა ბაღანა, მაგან რანდა გეიკვლიოს ცხოვრება, ჩ ე მ გ ა მ მ ე ტ ი კაცი არ ყავს პატრონი“; „ყველაყას შენზე აქ ექვი, შე ნ გ ა მ მ ე ტ ი კაცი არ იზმიდა ამას“ (ნ. რ ს ლ გამეტი. ჩემგამეტი, შ ა რ ა შ. ჩემგამმეტი).

გოხ-ი 1. ღორმუცელა, გაუმაძლარი, მსუნავი; 2. მკვახე, უმწიფარი, საჭმელად უვარგისი (ხილი); 2. მწირი, ხრიოკი (მიწა). გ ო ხ ი ძ ე ქობულეთში გვარიცაა.

ებგვევა — ესევა, ეხვევა (ვთქვათ, ფუტკარი, ბუზი) რასმე სქლად (შდრ. შ ა რ ა შ. ბგოვა, ებგოვა).

გამრე — მჭობნი, გამსწრე. „ჩვენს ხუსიკაზე ვამბოფ, მართლაც ერი კეკალი დელიყანდია, სოფელჩი გ ა მ რ ე არ ყავს“.

ტარაკვეცი — ოდნავ მოღუნული მსხვილთავა კეტი (კომბალივით), რომელსაც, ჩვეულებრივ, საცხევაად იყენებენ (შდრ. ს ა ბ ა, მ ე ნ თ., აჭ. ტაკვეცი, ტოკვეცი).

ყვიციანი — აბღბით: ფერმიხდილი, ფერმკრთალი, „ყვი-თელფეროვანი“ (ს ა ბ ა).

უზნაურ-ი — უზნეო, უხასიათო, გონჯი, მძიმე ხასიათის: ქირ-ვეული, ანჩხლი (ნ. ლ. ლ. უზნოური).

მოჭვა — კრუხი (ნ. გურ., იმერ.).

ხილაბორკილა — შემწვარი ქათამი (მთლიანად, დაუჭრელად).

სახლიშვილ-ი — გათხოვილი ქალის მამისეული ოჯახი, „მამანთი“. „ცხნებული ბებიანემი გოლიაძის სახლიშვილი იყო (ნ. იმერ.; შდრ. ყ ლ. თავისახლი).

ფხე ქალის გვარის საწარმოებელი სუფიქსი, ქალის წარმოშობითი გვარის მაჩვენებელი, მხევალი. ი ნ ა ი ფ ხ ე — ინაიშვილის ქალი (ნ. ბერ., ყ ლ.; ლ ლ.)<sup>1</sup>.

4. 20. ზემოთქმულის მიხედვით ირკვევა, რომ ქობულეთური მეტყველება, მართალია, ბევრ საერთოს ამჟღავნებს ზემო და ქვემოაჭარულ კილოკავებთან, ასევე გურულთან, მაგრამ ამასთან ერთად საანალიზო მეტყველებაში დასტურდება ბევრი ისეთი თავისთავადი (resp. სპეციფიკური) დიალექტოლოგიურ-ლექსიკური ელემენტები, რომელნიც საკმაოდ განასხვავებს მას ზემო და ქვემოაჭარული კილოკავებისაგან. ასე რომ, არსებობს სავსებით რეალ-

<sup>1</sup> ფხე-სთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას ვკითხულობთ ეურნალ „მნათობის“ (1974 წ. № 10) ფურცლებზე, სადაც გამოქვეყნებულია პროფ. ი. მეგრელიძის წერილი: „ეჭვთაზე თაყაიშვილის წერილები“. სარედაქციო შესავალ ნაწილში ნათქვამია: ი. მეგრელიძე 1933-1939 წწ. ლენინგრადიდან პარიზში ე. თაყაიშვილს უგზავნიდა ნიკო მარის ნაშრომების ახალ გამოცემებს. აღრესატი, რომელიც ღრმა ინტერესით ადევნებდა თვალს საქართველოს კულტურულ ცხოვრებას, აი, რას სწერს მადლიერების გრძნობით აღსავსე ერთ-ერთ საპასუხო ბარათში ი. მეგრელიძეს: „ბ-ნო იოსებ, თქვენი ღია წერილი და მასში აღნიშნული წიგნები მივიღე. უგულთადაც მადლობა თქვენმა სტატიამ ფხეს (ხაზგასმა ჩვენია, შ. ნ.) შესახებ მასიამოვნა. კიდევაც გამოვიყენე. ერთ ფრაგმენტარულ წარწერაში ამოვიკითხე სიტყვა შ ა ნ ი ფ ხ ე, ე. ი. შანიძის ასულის (ქალი)...“

სპეციალისტები კარგად იცნობენ პროფ. ი. მეგრელიძის ზემოთხსენებულ სტატიას (И. В. Мегрелидзе, Женские фамильные окончания в южно-кавказских яфетических языках фолклоре—კრებული „Памяти Н. Я. Марра“, მოსკოვ-ლენინგრადი, 1938, გვ. 152-180), რომელმაც ასე აღაფრთოვანა უცხოეთში მყოფი ღვაწლმოსილი მეცნიერი აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი.

რი საფუძველი, სადიფერენციაციო ნიშნები, რათა ქობულეთური მეტყველება მივიჩნიოთ აჭარულ დიალექტში შემავალ ცალკე კილოკაურ ერთეულად.

## II ტ ა ვ ი

### აჭარულის მიმართება ბურულთან

5. 1. აჭარულს თვალსაჩინო შეხვედრები აქვს მეზობელ დიალექტებთან. თუ ზემოაჭარულს ფონეტიკურ-გრამატიკული პროცესებით და ლექსიკური მონაცემებით ბევრი რამ საერთო აქვს მომიჯნავე მესხურ-ჯავახურთან და იმერხელთან, სამაგიეროდ ქვემოაჭარულის (ვანსაკუთრებით ქობულეთურის) მჭიდრო კავშირი გურულთან დღეს უკვე დავას აღარ იწვევს. ორივე დიალექტის (გურულ-აჭარულის) ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური ანალიზი მდიდარ მასალას იძლევა ამ ორი კილოს ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. მსგავსი მოვლენების მეტი წილი ამ ორივე კილოს კუთვნილებას ოდიჯან წარმოადგენდა და დღემდე შემორჩათ მეტ-ნაკლები სიძლიერით, ხოლო ზოგი გაჩნდა ერთიანი მიზეზით, ანდა ურთიერთზეგავლენის შედეგად.

აღსანიშნავია, რომ ქობულეთლებისა და გურულების ეთნოლოგიურ-გეოგრაფიულ მსგავსებაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში შენიშნავდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი. „აჭარული მცხოვრებლები (ქობულეთლები შ. ნ.) ვერაფრით ვერ განირჩევიან გურულებისაგან: სახითა და ტანით, ტანსაცმლით, სახლის შენობით და მოწყობილობით, ხასიათით და ჩვეულებით, მზნეობით და შრომის მოყვარეობით, ქართულის ენით (გურულის კილოთი). განსხვავება მხოლოდ სარწმუნოებაა, რადგან ქობულეთლები მაჰმადიანები არიან, მაგრამ იმათშიაც მრავალი საიდუმლო ქრისტიანია, მეტადრე დედაკაცები, რომელნიც პატარა ყმაწვილებს ანათვლინებენ და ქრისტიანობის სიყვარულს გულში უნერგავენ... გურია-ქობულეთში ცოლ-ქმრობა ძალიან ხშირად სიყვარულით, მიჯნურობით ხდება ხოლმე!.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა გურულ-აჭარულის დიალექტური ნათესაობის შესახებ, მაგრამ სრულ-

1 ბ. უმიკაშვილი, ოსმალის საქართველო. ქობულეთი. ივერია, № 2), 1877.

ყოფილად შემხვედრი ენობრივი მოვლენების თავმოყრისა და განალიზების ცდა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე არავის მოუცია.

ჩვენთვის საინტერესო დიალექტთა ურთიერთმიმართების გარკვევისას ერთიან მოვლენათა თანაფარდობის დადგენის პარალელურად საანალიზო მასალებზე დაკვირვების პროცესში შესაძლებლობა მოგვეცა გამოგვეყო ორივე სამეტყველო კოლექტივის დიალექტური მასშტაბის განმასხვავებელი ძირითადი ნიშნეულობანი. — ის თავისებურებანი, რომელნიც საფუძვლად დაედო ცალცალკე დიალექტურ ერთეულებად ჩამოყალიბებას, ლინგვისტურ პროფილებად გამოყოფას. არაა ძნელი მისახვედრი, რომ ზოგიერთა მსგავსება, რომლებიც არსებობს გურულ-აჭარულს შორის, მეორეულია და მომდინარეობს ხანგრძლივი თანამეზობლობის საფუძველზე წარმოქმნილი ენობრივი დაახლოებიდან — კონვერგენციიდან, ხოლო სპეციფიკური ენობრივი მოვლენები — რამდენადმე განაპირობებს განსხვავებულმა ისტორიულმა ფაქტორებმა. საისტორიო წყაროებიდან კარგადაა ცნობილი, რომ შესადაარებელ დიალექტს — გურულს, — როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თავისი განვითარების ის გზა არ გაუვლია, რაც ისტორიული წარსულით აჭარულის ავბედითს ხვედრს წარმოადგენდა. ამიტომ სტრუქტურულად უცხო (თურქულ) ენობრივ სამყაროსთან შეუხებლობამ გურულ კილოში ვეღარ წარმოაჩინა ის ზოგიერთი ენობრივი ფაქტი, რაც ასიმilatორული პოლიტიკის შედეგად აჭარულისათვის სავალალო ნიშანდობლიობად იქცა.

5. 2. ორივე დიალექტისათვის დამახასიათებელია ზანურის (მეგრულ-ჭანურის) ძლიერი კვალი. ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა გამოკვლევებიდან კარგა ხანია ცნობილია, რომ ლოკალურად ის ტერიტორია, სადაც ამჟამად გურულები და აჭარლები არიან დასახლებული, ძველად ზანურ მოსახლეობას ეჭირა. ჯერ კიდევ 1904 წ. ნ. მარტი აღნიშნავდა, რომ ლაზიკას ერთ დროს ეჭირა არა მხოლოდ ახლანდელი ლაზისტანი, არამედ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროც. ახლანდელი გურიით, სამეგრელოთი და იმერეთით. ეგვე შეხედულება განავითარეს შემდგომში ივ. ჭავჭავაძის მიერ. მ. ი. ყიფშიძემ, არნ. ჩიქობავამ, ს. ყდენტმა და სხვ.

ამგვარად, გურულსა და აჭარულში ზანიზმების დაფენება (resp. ზანიზმების სუბსტრატის კვალი) ძირითადად ერთნაირი ისტორიული ფაქტორებითაა განპირობებული. ოღონდ ეს კია, რომ აჭარულს უფრო მეტად ამჩნევია ჭანურის გავლენა, ხოლო გუ-

რულს — მეგრულისა. ზანიზმები განსაკუთრებით ზელშესახებადაა წარმოდგენილი ლექსიკასა და ტოპონიმიკაში<sup>1</sup>.

5. 3. ბგერითი შედგენილობით ორივე დიალექტისათვის მეტნაკლებად დამახასიათებელია ა, ე, და ო ხმოვნით დასრულებულ სახელთა ფუძეზე სახელობითი ბრუნვის ნიშნის ი-ს დართვით გამოწვეული ცვლილებები, სადაც აჭარულში ფორმანტისეული -ი ხმოვანი და-მდე სუსტდება (ასლანაა, ჩითილაა, ტოპ. სახ., ელენეა, ბაბოა...), ხოლო გურულში -ი ბგერა წინამავალ ხმოვანთა გავლენის სფეროში აღარაა მოქცეული, ე. ი. აღარ უმარცვლოვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში (განსაკუთრებით) -ა-ფუძიან სახელებს, როცა ბოლოკიდური -ა ხმოვანი ზოგჯერ იმდენად ასუსტებს ფორმანტისეულ -ი-ს, რომ ძნელი გასარჩევია ერთმანეთისაგან და ი-ნი. მაგალითები გურულიდან: გადაარონია ცხრაიფთაი; დაგეკაკერიეი; მუაწია წასლის დროი, მაგრამ: ნენაა, ცთაა (ცთაა ბედის მენახევრეაო), ნეტაა და სხვ. (ყლ. 46).

5. 3ა. ი ხმოვანი აჭარულში და-მდე სუსტდება მაშინაც, როცა იგი ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში მომდევნო პოზიციაში მოხვდება. ანალოგიურ ბგერობრივ პოზიციაში გურულში ი-ნი, ჩვეულებრივ, სრული სახითაა წარმოდგენილი.

მაგალითები აჭარულიდან: ყურდგელმა თქვა: ჩემ საწოლი ლობიაა ს ძირი ბენჩქიავო; ქოსამ უთხრა: ათასი ოქროთ ერთ სახენწიფოს ავაშენეფო (ნიფ. I, 5).

გურ.: რა დროის მაგია; გადაარჩინა ძუძუის მოჭრას (dod. 193).

მოტანილი მაგალითების გაანალიზების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ გურულში იოტიზაციის პროცესი ჩანსასახურ მდგომარეობაშია (resp. სპორადული ხასიათისაა), აჭარულში იგივე პროცესი დასრულებული სახით გვხვდება. აქ ბუნებრივად მეორე საკითხი წამოიჭრება: გურულში იოტიზაციის (დიფთონგიზაციის) დაწყება ხომ არაა აჭარულის გავლენით გამოწვეული? ამ საკითხზე პასუხის გაცემა ნაადრევად გვეჩვენება მანამ, სანამ არ აიხსნება დიფთონგიზაციის ტენდენცია თვით აჭარულში.

<sup>1</sup> ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. შ. ნიქარაძე აჭარის ტოპონიმიკის ძირითადი საკითხები: ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, XV, 1969; ზანური ელემენტები აჭარულში: ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, შესავალი, 1971.

5. 4 უმარცვლო უ-ს, როგორც დიფთონგის ელემენტის, აკუსტიკური შთაბეჭდილება აქარულში უფრო საგრძნობია, ვიდრე გურულში. ამასთანავე უ-ს მიღების გზები გურულთან შედარებით აქარულში უფრო მრავალფეროვანია. დადგენილია, რომ უმარცვლო უ აქარულში გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მოსალოდნელია ძველი ქართულის მიხედვით. იგი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს დავიწროებულ უ-ს ვ-საკენ გადახრილს, სახელდობრ, უ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ: თ ჟ ა ლ ი, თ ჟ ა რ ა, თ ქ ლ ა, ლ ჟ ა რ ი, ნ ა ქ ჟ ე რ ც ხ ა ლ ი, ე ქ ჟ ს ი და სხვ. (ნოე. II, 20).

ჟ გარკვეულ შემთხვევაში მიიღება ვ-საგან, თუ ეს უკანასკნელი მოქცეულია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, მაგ. ბ ე ჟ რ ი (გვხვდება ასეც: ბ რ ე ჟ ლ ი). გვაქვს ზოგჯერ შემთხვევები, როცა უმარცვლო ჟ უ-ს დასუსტების შედეგია, მაგ.: ოვა და ოვე კომპლექსები იქცევა ჟა—ჟე-დ შემდეგი ცვლილებების შედეგად: ოვა—ოვე—ოა, ოე—ჟა—ჟე—ჟა—ჟე: გაღმე ჟ ა წ ე რ ი ე (← გაღმე ჟ ა წ ე რ ი ე ← ვაღმე ჟ ა წ ე რ ი ე ← გაღმე ჟ ა წ ე რ ი ე ← გაღმე ჟ ა წ ე რ ი ე), შ ა მ ჟ ა ტ ა ნ ი ა, წ ა მ ჟ ა ლ და მისთ. (ნოე. II, 21).

რა შეიძლება ითქვას ჟ-ს გარშემო გურულში?

ს. ე ლ ე ნ ტ ი თავის შრომაში („გურული კილო“) აღნიშნავს: „... უმარცვლო უ (უბრჯუ) მიღებულია უ ხმოვნის დასუსტების გზით, რომელსაც მარცვლიანობის უნარი დაკარგული აქვს, დღევანდელ სალიტერატურო ენაში მის მაგიერ ყველგან ვ-ინი იწერება“.

უბრჯუ გურულში ისმის შემდეგ შემთხვევებში: ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, მაგ.: ბრეჟლი ან ბეჟრი, ჰხაჟს (ჰყავს); თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: ყუთავი, ყუთაკიჟა; ჩოუშუენ; ჩააცუენ; თუარ (თუარ); ჯუარი; ქუაბი; თუეი; სხუაი; კუალი; ორუე; შვიდუე; კუარი; თქუა; გუარი; აყუანა; ბუე; ჩუენ; თქუენ და სხვ. უბრჯუ ისმის ისეთ სიტყვაში, როგორიცაა: ჟარი, სადაც უბრჯუ თავკიდურად ზის და მას ხმოვანი მოსდევს (ილ. 47).

ამრიგად, ჟ-ს მიღების გზები და მისი აკუსტიკური ბუნება გურულ-აქარულში თითქმის ერთნაირი ბგერობრივი პოზიციებიდან გამომდინარეობს

5. 5. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს ძირის ხმოვნის ცვლილებას. კავშირები რომ, რომელ, ხომ, რატომ ძირის ხმოვანს იცვლიან და ო-ს მაგიერ გვაქვს უ (ო—უ). მაგ.: „ცოლი რ უ მ არ ვითხოვო არ იქნება“ (ეშ. მათრახი, 1921 წ. № 55, გვ. 15); „ასე რ უ მ“ (შდრ. აქარული: „ფუხრის პირიდან რ უ მ ე თავრობა დალოცვილია“); „ხ უ მ არ მიგიყილია“ (ეშ. მათრ.

1915 წ. № 16, გვ. 6); „ხუმ გითხარი“; „რუმელ მიწაზე იკეთეფ“; „ნატუმ იკადრეფ მაგას“. ეს მოვლენა გურულში უფრო სპორადულია; ის უფრო დამახასიათებელია აჭარულისა და მესხურისათვის (იხ. მაკარ ხუბუა, ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა).

5. 6. გურულ-აჭარული ხასიათდება მდიდარი ფონეტიკური მოვლენებით. აჭარული დიალექტი, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, ძირითადად დასავლურ დიალექტთა წრეს განეკუთვნება, მაგრამ რიგი სპეციფიკური მოვლენებით (პრევერბისეული ხმოვნის სრული ასიმილაცია სათავისო ქცევის ი-სთან, როცა მათ შორის ობიექტური ნიშნებია: დ ი მ ი წ ე რ ა; ქცევის ან ვნებითა ვვარის ი ხმოვნის მიერ პრევერბისეულ ა, ო ხმოვანთა დამსგავსება და შემდეგ მისი უკვალოდ გაქრობა: გ ე ვ კ ე თ ე; თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის სიჭარბე; ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება; სრულხმოვნობა: თ ი ბ ი ლ ი, ხ ო ბ ო; არქაული ვითარების გადნონაშთები ც ა მ მ ე ტ ი; გემინაცია: ჩ ე ვ ე ა რ ე და სხვ.) საკმაოდ განსხვავდება დასავლური დიალექტებისაგან, კერძოდ გურული კილოსაგან.

5. 7. აჭარულში, ისე როგორც გურულში, ძალზე გავრცელებულია პრევერბების ასიმილაცია. დამსგავსება გურულში ხდება როგორც ნაწილობრივი, ისე სრულიც.

მაგალითები გურულიდან: კაზაკები დადრაალდნენ, ერთს მას გვერდით მ უ უ წ ვ ე ნ ს (ქპ. 7); გადაეარდა ერისთავი, ათს ჩ ო უ კ რ ა ერთად ფხარი (ქპ. 8).

აქ.: დათვს კაზახობა წ ო უ ხ დ ა, რომ დ უ უ ყ ე ფ ა მურამო (ქპ. 44).

5. 7 ა. აჭარულში, მსგავსად გურულისა, მაასიმილებელ ძალას იჩენს უ, რომელიც სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ ა, ე, ო და ი ხმოვნებს; სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი რდენტური ხმოვანი (უ) შეერწყმის ერთმანეთს (აქედან იწყება სწორედ განსხვავება) და იქმნება გრძელი უ-ს შთაბეჭდილება. ამ გზით მიღებულ უ-ს ახასიათებს ერთგვარი დაყოვნება. პრევერბთა ხმოვნითი ელემენტების ასიმილაციასთან დაკავშირებული ბგერითცვლილებანი უმთავრესად შემდეგ სახეობებს გვაძლევს:

აუ→ოუ→უუ→ჴ: ნეფემ იმაჰაც ჴ შ ე ნ ა ცალკე სარაჰა; ერთქვანეფში გ უ ღ ჴ რ ი ა და წყლათ გედეიქცა; პაწას წ ჴ ე ი ც ხ ე ბ დ ე ნ და მემრენ მაღლივით იფშნებოდა (ნიყ. II, 27).

ხმოვანთა ასიმილაცია აქ-იქ სახელებშიც შეინიშნება: ვეზირის ბ[რ]ძანებაზე შეიყარნენ ჴ ვ ა რ ე ბ ე ლ ი ხალხი; ეს საქმე



უმჯობესების არ დახერხდება; გაბრუნდა უკან მუ-  
რავი. (ნოლ. 24).

ეუ→ოუ→უუ→უ: შუღგა გუგუმი წყაროთვალში (ნიუ.  
II,28).

იუ→უუ→უ: ანდგარა ი ხუმბარი კაცი და ნეფისთვინ მუყ-  
ვანია ეს ფარშავანგი.

სახელებში: ძალთან გამხერხოა, მარა მუღგომელი კაცია.  
ოუ→უუ→უ: ცოტა მუწყე გვერძე (ნიუ. II,28).

ხმოვანთა შერწყმით მიღებული გრძელი ხმოვნებია იშვიათად  
სხვა შემთხვევაშიც შეინიშნება, მაგ.: აე→ეე|ე, ოე→ეე→ე: ხელ-  
წერილი რომ დეწერა, ამტონი ამბავიც არ მოხდებოდა; კილარ-  
ნი გეზა ბელაში (ნიუ. II,20—29).

5. 8. აქარული გურულ დიალექტთან მიმართებაში არსებითად  
განსხვავებულ ვითარებას გვაძლევს ქვემოთმოყვანილი სპეციფიკუ-  
რი ფონეტიკური მოვლენით. აქარულისათვის დამახასიათებლად უნ-  
და ჩაითვალოს პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი)  
ხმოვანთა ასიმილაცია, როდესაც მათ შორის ობიექტური პრეფიქ-  
სია; ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას: იმ ა-  
შენა (ამიშენა), დიმიწერა. გიმიშენა, შიმიტანა,  
ჩიმიშენა, წიმიწერა, გიდიმიწერა და სხვ. (ნიუ. I,14).

5. 8ა. ასევე, აქარულის სპეციფიკურ მოვლენად უნდა ჩაითვა-  
ლოს ი თავსართთან (იქნება ეს ქცევის ნიშანი თუ ვნებათის საწარ-  
მოებელი) პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ მისი (ი-ს)  
უკვალად გაქრობა 1 პირის ფორმაში: შარშან სამ ჰექტარზე გეგ-  
შენეთ ყურძენი; ფაცუკავ, მამაშენი რომ დევბარე კან-  
ტორზე, რატომ არ ამოვდა?

5. 9. გურულ-აქარულში თითქმის ანალოგიური ვითარება  
გვაქვს ბგერათა განმსგავსების თვალსაზრისით. არსებითად სურათი  
არ იცვლება თითო-ორი განმასხვავებელი მაგალითით. ოღონდ  
გურულში, წინააღმდეგ აქარულისა, ჩვენ ვერ დავადასტურეთ დი-  
სიმილაციური გამჟღერება!

5. 10. ძირითადად ერთ სებრტყეზე შეიძლება დავაყენოთ გუ-  
რულ-აქარული მეტათეზისის, სუბსტიტუციის, კომპლექსთა შენა-  
ცვლების. თანხმოვანთა დაკარგვის, ბგერათჩართვისა თუ სხვა ფო-  
ნეტიკური მოვლენებით.

5. 11. სახელობით ბრუნვაში (გურულში, შ. ნ.) ბოლოხმოვნთან  
სახელებს დაერთვის ი ხმოვანი (როგორც ქვემდებარეს, ასევე ამბ-

1 ვრცლად იხ. ქვემოთ — „ასიმილაცია. დისიმილაციური გამჟღერება“.

სწავლებსაც), რომელიც ზოგჯერ სუსტდება და მ იქცევა. ი დურთვის სახელობითი ოთხივე ხმოვანით ფუძემდამთავრებულ სახელებს (ელ. 58): ც ა ი ღ რ უ ბ ლ ა ვ ს; ბ ზ ე ი ბ რ წ ყ ა ნ ა ვ ს; დ ე ი ქ ი რ ა ხ პ ო ი; დ ი ე ს ხ ა ბ რ უ ი (ელ. იქვე).

ნათქვამს უნდა დაემატოს, რომ „სახელობით ბრუნვაში ბოლო-ხმოვნიან სახელებს დაერთვის ი, რომელიც ზემოგურულში იწვევს ასიმილაციას და ფუძისეულ ა-ს აქცევს ე-დ: დუუნგრიის სახლი და კ ე რ ი ე; ახლა დ რ ო ი უ შონეთ (ძიძ. 194).

ანალოგიური ვითარებაა აჭარულშიც, ოღონდ აქ ბოლოხმოვნიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ბოლოვდება იოტით (ფორმანტისეული ი სუსტდება მ-მდე): გ ა ნ დ ა გ ა ნ ა მ, ო რ ნ ა ე ე მ (ნიუ. II, 67).

5. 12. გურულ დიალექტში ბოლოხმოვნიანი სახელები ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვაში თავისებურებას მით იჩენს, რომ ფუძეში კვეცადობა არ ხდება, არამედ სრულ ფუძეს პირდაპირ ერთვის ბრუნვის ნიშნები: „ყ პ ა ი ს ძვალი“; „ქვეყანაზე დათიკელაის თანაიც ბევრია, ბესიკელაის თანაიც და ლევანიკაის თანაიც“; „რეთ გეიმართლევს თავს“; „გაძღა ღარი რკოით“ (ელ. 58).

აჭარულში ზემოდასახელებული მოვლენა შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ბოლოხმოვნიან სახელებს ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ზოგჯერ უცვლელად ერთვის ბრუნვის ნიშანი -ის, -ით, მაგრამ ბრუნვის ხმოვანითი ნაწილის (ი-ს) დასუსტების შედეგად აღნიშნული ფორმატები (უპირატესად) ასეთ სახეს იღებს: -მს, -მთ. თანაც ბოლოკვეცად ფუძეთა გარკვეულ ნაწილს ბოლო ხმოვანი არ ეკვეცება და ბრუნვის ნიშნის ხმოვანითი ნაწილი მ-თაა წარმოდგენილი, ისევე როგორც ძველ ქართულში: ქ ო ს ა მ ს ძ მ ე ბ ი; ე მ ი ნ ე მ ს ბ ა ღ ვ ი; ა რ ა ბ ა მ თ ა მ ე ი ტ ა ნ ე ს; ბ ა ბ ო მ დ ა ნ ა ნ დ რ ძ ი ქ ო ნ დ ა; ჩ ე მ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი გამაგზანე რ ა მ ე ი თ ო (ნოღ. 49).

5. 13. ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმა, რომელიც ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებული იყო, იძლეოდა — თ ვ ი ს თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ა ნ ი ფ ო რ მ ი ს გ ა გ ე ბ ა ს ა ც. ასეთი წარმოება დღემდე მტკიცედ შემონახა გურულმა კილომ. ოღონდ უპირატესად /-ისდა— იზდა/— ი ზ ა დაბოლოების სახით: ახლა ვის ცალია ძ რ ო ხ ი ზ დ ა; პრისტავი გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ზ ა მოსულა; რ ე ი ზ ა მ ე ი ტ ა ნ ე ა ი წ ი გ ნ ი ა ქ ა ნ ე? (ძიძ. 194).

გურულის გავლენით ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმა არაიშვიათია აჭარულ დიალექტში, კერძოდ იგი დამახასიათებელია ქობულეთური მეტყველებისა და გურიის მომიჯნავე ჭვანის ხეობის

ზოგიერთი სოფლის მკვიდრთა მეტყველებისათვის: ე ნ გ უ რ ა ი ზ ა უმფო ყირმიზი ან ტრედიფერაჲ მიწა ვარგულოფს (ქლ. 412).

5. 14. გურულში, წინააღმდეგ თანამედროვე ქართულის ნორმისა, ზოგიერთ კუმშვად სახელებს ფუძე არ ეკუმშებათ: *ქ მ ა რ ი ს ე შ ი ნ ი ა*; *წ ყ ა ლ ი ს* შესხმა დუბირა; *ნ ი გ ო ზ ი ს* ძირში; *დ ი ა კ ო ნ ი ს* შვილი; *უ რ ე მ ი თ* მოზიდა (ქლ. 59).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს მოვლენა დასავლური ჯგუფის კილოებისთვისაა დამახასიათებელი.

ზოგიერთი ფუძის უკუმშველობის საკითხი აჭარულში ჩვენ განხილული გვაქვს რედუქციის მოვლენის გარკვევისას. აჭარულშიც ხმოვანთა რედუქცია სუსტადაა განვითარებული. დაახლოებით აქაც ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც გურულში.

მაგალითები აჭარულიდან: *ც ხ ვ ა რ ი ს* ხორც ფასი დაკლებია; *დ ე დ ა ბ ე რ ი ს* მოსლა ყველას გვეგო; ერთმანებ დაადვეს *ხ მ ა ლ ე ბ რ* (ნიე. II,62).

იგივე ფორმები შეიძლება რედუქცირებული სახითაც შეგვხვდეს.

5. 15. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ამ მიმართებითაც ანალოგიური სურათი გვაქვს გურულ-აჭარულში, თუმცა გურულისაგან განსხვავებით აჭარულში დაიძებნა ისეთი რედუქცირებული ფორმები, რითაც აჭარული განცალკევებოთ დგას არამართო გურულისაგან, არამედ, საერთოდ დასავლურა ჯგუფის დიალექტებისაგან. შენიშნულია აჭარულში -ავ და -ამ თემის ნიშნების რედუქცია, რაც გურულს ეუცხოვება, მაგ.: *დ ა ნ ა ყ ვ ე ნ*, *ა ბ მ ე ნ*, *მ ო თ ი ბ ვ ე ნ*, *ნ ა ხ ვ ე ნ* და სხვ. (ნიე. II,62). ასევე, ყურადღებას იქცევს აჭარულში ისეთი ფორმები, რომლებიც ქართული ენის დანარჩენ დიალექტებში საერთოდ, და, კერძოდ გურულ დიალექტში, ურედუქციაოა. აჭარულში, როგორც წესი, იკარგება ი ხმოვანი ვედ ვიდ ზმნაში: *მ ო ვ დ ა*, *გ ე ვ დ ა*, *წ ე ვ დ ა*, *გ ა დ მ ო ვ დ ა* (ნოი. I,27).

5. 16. ორივე დიალექტისათვის ერთობ დამახასიათებელია ორმაგი მრავლობითობა. მაგალითები გურულიდან: მერე ბატონმა ვამჩაყხადა, *ყ მ ა ნ ე ბ ო*, თავისუფალი ხართო; *ბ ი ძ ა ნ ე ბ ი*, *მ ა მ ი დ ა ნ ე ბ ი*, *დ ე ი დ ა ნ ე ბ ი* (ქლ. 59)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: ორივე დიალექტისათვის დამახასიათებელია ერთნაირი ფორმები და არა ორმაგი მრავლობითობა, რადგან აქ წარმოდგენილი ყველა მაგალითი ერთ სიბრტყეზე არ დგას.

აქარულში ორმაგი მრავლობითობა შენიშნულია როგორც არსებით: სახელებში, ისე ნაცვალსახელებსა და რიცხვითებში. არა-იშვიათია ორმაგი მრავლობითის წარმოება ადამიანთა გვარებშიც. აი მოწმენები ქლა გამოვლენ შეიდანზე; დახქექებოდეს ღობენებს, მას მოსტეხოდეს წელია; ჩელხ კიდენებში მივაყრით; მიერენები სულაც აღარ გამოჩენილან (ნიჟ. II, 71—72).

5. 17. ი- და ე- თავსართით ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნენი დროთა 1 სერიაში გვხვდება -ებ თემის ნიშნას გარეშე, მაგ.: დიგინახე, ნულარ იმალვი! ძე რომ გეიწურვის საწურიაში, ნემრენ წამჭადულებენ: თვალები ეკურცხლის; ნუ იკრიკვით, ღარქებო! (ნიჟ. I, 47).

ანალოგიური ვითარებაა გურულშიც: ადვილათ ინახვის; გეიპარვის და ვერ ნახავ; დეიკარქვის, ჟერ უტხოა (ძიძ. 195)

5. 18. აქარულ დიალექტში, ისე როგორც გურულში, მსგავსად დასავლური ჯგუფის კილო-თქმებისა, მეორე პირის სუბიექტური და III ირიბ-ობიექტური პრეფიქსები ზმნაში იშვიათად იხმარება (შეიძლება ითქვას, მათი ხმარება ფაქულტატიური ხასიათისაა), ხოლო იმავე პრეფიქსებიდან ჰ-ს ნაცვალად ზოჯჯერ ხ გვხვდება (ჩამეტურ ქობულეთურში). ეს წესი ვრცელდება ინვერსიულ ზმნებთანაც, სადაც პირის ნიშნად ჰ არის წარმოდგენილი, მაგ.: ერთი ბარიშნაც ხყოლია, ცოტა დაბალი, სქელია; ერთი უღელი ბიჭები ხყავს, აჲ თვალს არ ენახვება (აქარ.). შეიძლება მრჩობლი პრეფიქსის ხმარების შემთხვევების დადასტურებაც. მაგ. აქარულიდან: მოჰხკიდა თოფს ხელი და გვექანა ამ კაცისაყენ; ნეფის შვილი შდან ჩაბძანდეს, დედოფალიც თან ჩაჰხყვესა (ნიჟ. I, 44).

მაგალითები გურულიდან: ძაღლი უკან მიჰხოზოდა, კმყოფილი კუდის ქნევით; მამა ისთე დიდარი ჰხავს, ჟულით გაგიტენის ჯიბეს (ყლ. 63).

გურულ-აქარულს III პირის ობიექტური პრეფიქსი ბევრ შემთხვევაში ნაშთის სახით შემოუნახავს. სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოცვაში მოხვედრილი ჰ-, ხ-საგან მომდინარე ეს პრეფიქსი სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება: ზ, შ, ჟ, ხ. მაგალითები აქარულიდან: მესამე მენადირე დათვის კვალ მიზდევდა; ვის რათ შქირღება შენი დახმარება; თჳარ დაეჯერღები, შენი ნება იყოს.

ასეთივე ვითარება გვაქვს არსებითად გურულშიც: მოზდიოდა; შქირს; დაეჯერდა; წასტირნა; წახკიდებია (ძიძ. 195).

5. 19. ზოგიერთი ზმნა, მსგავსად ძველი ქართულასა, გურულ-აქარულში მარტივფუძიანია. აქარულში ჩვენ მიერ ფიქსირებულია ასეთი ფორმები: ყანიეფს წალეკს; კარქი ცელით ორ დღეზე მოვთიბ; საქონელს თაებზე გავრეკთ (ნიფ. II, 91).

გურულში: ყველას დახოცს; რეკს და რეკს ამ მხალს; ხვეტს, რეცხს (ძიძ. 195).

5. 20. ორივე დიალექტში გადმონაშთის სახით ძველი ქართულის ნორმაა დაცული -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა უღლებიას; აქარულს ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში ახასიათებს -ევ-ღ, -ვი-ღ და -ემ-ღ, -მი-ღ წარმოება, ოღონდ უნდა დაეძინოთ, რომ აქ, წინააღმდეგ ძველი ქართულის წარმოებისა, უწყვეტლის I—II პირში -ევ-ღ ფორმანტა პარალელურად ვხვდებით -ვი-ღ ელემენტსაც. პარალელური ფორმები გვაქვს აგრეთვე -ემ-ღ, -მი-ღ წარმოების დროსაც: კარქა და ვაკრეველით ზრტუგზე ყათირ ვაფუთიან კვირთ[ს] და გავჰსწევლით არდაჰან; დავნაყვილით მიწას, წყალ დავასხემლით და მემრენ მოვზილევილით; ჰაცხან მალევე და იმ დანას, კაკალმა კაცმა არ იცოდა (ნიფ. I, 48).

ასევე, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნები გურულში ნამყო უწყვეტელს ძველი ქართულისებურად აწარმოებენ. ერთადერთ განსხვავებას, — როგორც ამის შესახებ აღნიშნულია სათანადო ლიტერატურაში, — ის ქმნის. რომ გურულს ორივე რიცხვის სამსავე პირში ერთნაირი წარმოება აქვს: მე ჩემს თავს რომ დევინახვილი, შემეზარებოდა; ცურვიდა შით ტანი; დიდი ქვაი იელო და ურტყმიდა; ძროხას ვაბმილით (ძიძ. 195—196).

გურულსა და აქარულს ბევრი რამ აქეთ საერთო კაუზატივის წარმოების, სიტყვაწარმოების, ტოპონიმიკურ სახელთა აღნაგობისა და სხვათა მხრივ.

5. 21. თავისებურებანი ქვემდებარე-შემასმენელის შეთანხმებაში.

გურულში გვხვდება როგორც შეთანხმების, ისე ქვემდებარე-შემასმენელს შორის რიცხვში ხან გვაქვს შეთანხმება და ხან არა. ზირები გამოვა; თურმე მოსულა ჭინკები; წევვიდა სტუმრები (ელ. 68). მაგრამ: იმისანაი დროი იყო, როცხა ბატონები არსებობდენ (ქლ. 424).

ასეთივე სურათი გვაქვს ძირითადად აქარულშიც. ქვემდებარე-შემასმენელს შორის რიცხვში ხან გვაქვს შეთანხმება და ხან არა. სულიერი საგნის აღმნიშვნელი ქვემდებარე შემასმენელს, ჩვეულებრივ, ითანხმებს რიცხვში: კამბეჩები შიერები ღარჩე-

ნილან მეგემ; სკიდან თლათ გადაფრენილან ფუტკრებში. მაგრამ ვხვდებით გამონაკლისებსაც, როცა შეთანხმება დარღვეულია: ძროხები შესულა ყანაში.

რაც შეეხება უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარეს, აქაც შემასმენელს ხან ითანხმებს ქვემდებარე რიცხვში და ხან არა: ხენდეკები თლათ ქვებით ავსილა — მაგრამ: გეიხედე, ჭო, რამხელვანი ქვიები დაგორვებულან (ნიჟ. II, 115—116).

5. 22. გურულისათვის დამახასიათებელია ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმება ისეთ პირობებში, როცა ქვემდებარის მრავლობითობა ცალკე სიტყვითაა განსაზღვრული: ორივე ძმები ფირალათ იყვენ გასული; სამივე დები გულდათუთქული ტიროდენ ერთადერთ მარჩენალ ძმას.

ანალოგიური ვითარებაა აჭარულშიც. ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმება უფრო სისტემურ ხასიათს ატარებს, როცა სახელის მრავლობითობა გადმოცემულია ყველა, ბარსამი, მთელი, ბევრი და მისთ. სიტყვებით, აგრეთვე რიცხვითი სახელებით, მაგალითად: გეიხე, გაღმა, სირთზე, ჭო, რამდენი კაცი მოდიან! თქვენ ბრიგადაში უმფო ბეჭური ქალი არიან; გაზეთი ამბოფს, რომ თურქეთში წყალდიდობის დროს ვორბოზდაათი კაცი დარჩობილან თურმეც (ნიჟ. I, 56).

5. 23. გურულ-აჭარულში გარდაუვალი ზმნა II სერიაში ქვემდებარეს ჩვეულებრივ მოთხრობითში მართავს.

აჭ: ჭერ კიდევ გატიალებული არ იყო, რომ ფირალეებმა წამოცვინდენ ზეზე; შერიფ-ბეგმა რუსეთ მიემფხრო თურმინ (მაგრამ: თავეღუ მარე საშროფში ჩევდა; ახლა შამშებრუნდა დედაბერი (ნიჟ. II, 158). ეს უკანასკნელი ფორმები უფრო იშვიათია და, შეიძლება ითქვას, იგი ფაკულტატიური ხასიათისაა.

გურ.: ვაკქარმა აღგა; ქაჯმა ერთი კი წეიქცა (ყლ. 69); შევიდა ამ კაცმა შით (ქდ. 430).

5. 24. აჭარულში, ჩვენი დაკვირვებით, ბევრი ისეთი დიალექტური სიტყვა-თქმაა, რომელთაც პარალელები დაეძებნება შესაპირისპირებელ დიალექტში — გურულში. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას გურულსა და მის მოსაზღვრე ქობულეთურ მეტყველებას შორის.

შესადარებელი დიალექტებიდან, თუ რომელმა რომლისაგან შეიძინა ესა თუ ის სიტყვა, სად არის ამა თუ იმ სიტყვის კერა — აჭა-

რულში თუ გურულში, ეს ცალკე კვლევის საგანს შეადგენს<sup>1</sup>. მაგრამ ერთი რამ დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ თურქული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც საგრძნობლად დადასტურებული გურულში, ექვი არაა, შესული უნდა იყოს აჭარულის გზით, რამდენადაც აჭარულში ასეთ სიტყვა-თქმათა დამკვიდრების ისტორიული საფუძველი დადგენილი ფაქტია.

5. 24ა. შესაპირისპირებელ დიალექტთა ლექსიკური მონათესაობა იმიტაც დასტურდება, რომ ორივე კილოს ლექსიკურ ფონდში სჯამო რაოდენობითაა წარმოდგენილი ზანიზმები. ჩვენ ზემოთ გაკვრით კიდევ აღვნიშნეთ, რითაა გამოწვეული ზანიზმების ასეთი სიუხვით დაფენება გურულ-აჭარულში.

გურულში: ჯ ა ფ ა რ ი კ ა, ქ ე ი ჯ ა, ჯ ა ლ ა მ ბ ა რ ი, დ ი ხ ა შ -  
ხ ო, ჯ უ მ ა თ ი, ქ ყ ო ნ გ ვ ა რ ი, ქ ყ ვ ი შ ი, გ უ ბ ა ზ ო უ ლ ი, დ უ -  
დ ი, ო რ ჩ ხ უ მ ი, რ ო ფ ი და სხვა.

აჭარულში: ე რ ი ნ ჯ ი, დ უ დ ხ ა ლ ი, მ ა რ ქ ე ა ლ ა, თ ო რ ი,  
კ ა ლ ა შ ი, ფ ო რ კ ა, ზ ე პ ა, ო ჭ ვ ა თ ო, მ ა თ ა რ ა, ჩ ა მ უ რ ი  
ღ ა ს ხ ვ ა.

ზემოაღნიშნულ ერთიან ფონეტიკურ-გრამატიკულ მოვლენათაგან და ლექსიკის სფეროდან ბევრი რამ არქაულია ორივე დიალექტისათვის, რაც კიდევ ერთ-ერთ უტყუარ არგუმენტად უნდა მივიჩინოთ გურულ-აჭარულის ნათესაური ურთიერთობის დასადასტურებლად.

### III თ ა ვ ი

#### აჭარულის მიმართება მესხურ-ჯავახურთან

6. 1. ფონეტიკური და გრამატიკული პროცესებით, ასევე ლექსიკის თვალსაზრისით აჭარულს, კერძოდ ზემოაჭარულ კილოკავს, ბევრი რამ აქვს საერთო მესხურთან და ჯავახურთან.

მესხურსა და ჯავახურში კი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული<sup>2</sup>, — გამოიყოფა როგორც აღმოსავლური,

<sup>1</sup> ეს საკითხი რამდენადმე გაშუქებულია ჩვენს შრომაში „ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა“, 1972 და ხელნაწერ ნაშრომში „ძირითადი ლექსიკური პლასტები აჭარულში“ 1973-1975 წწ.

<sup>2</sup> ა. მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: პუბლიკის სახელობას თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრ., VIII, 1950, გვ. 291.

ისე დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები. ამის საფუძველი, აშკარაა, უნდა ვეძიოთ იმ თავისებურ გარემოცვაში, რომელშიც მესხურ-ჯავახურია მოქცეული. მას ურთიერთობა აქვს როგორც დასავლურ (აჭარულ, გურულ, იმერულ), ისე აღმოსავლურ (უმთავურესად ქართლურ) კილოებთან. მართალია, „თანამედროვე მესხური (ასევე ჯავახური შ. ნ.) კილო ძირითადად ქართლურია, მაგრამ იგი საკმაოდ რაოდენობით შეიცავს აჭარულის დამახასიათებელ მოვლენებს; ასევე თურქულ და სხვა ენათა გავლენის ელემენტებს. ზისი ასეთი თავისებური წარმოქმნა გამოწვეულია იმ ძნელბედობით, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში განიცადეს მესხეთის მკვიდრთ. ცხადია, მესხური იმ სახით არ არის ჩვენამდე მოღწეული, რა სახითაც ის უნდა ყოფილიყო XVI საუკუნემდე. ამ მხრივ მასთან მსგავსება აქვს ჯავახურს<sup>1</sup>.

ზემოაჭარის მკვიდრთა მეტყველების მსგავსება აღმოსავლურ ქართულთან, კერძოდ, ქართლურთან ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ზეორე ნახევარში შენიშნეს ქართველმა მოღვაწეებმა: ამ მხრივ (მეტყველების თავისებურებით, კერძოდ აქცენტუაციით, ტემპერამენტით, შ. ნ.) „აჭაური (ზემოაჭარელი შ. ნ.) ქართლელს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცბლ მკვიდრსა“, — შენიშნავდა თედო სახოკია<sup>2</sup>. ასევე აჭარის მთიანეთისა და საქართველოს მთიანეთის მეტყველების ნათესაობაზე მიუთითებს გიორგი ყაზბეგი ნაშრომში: „Три месяца в турецкой Грузии“.

აჭარულის მესხურ-ჯავახურთან მიმართების ძიების შედეგად, როგორც ქვემოთაც იქნება აღნიშნული, დადგინდა საზიარო მოვლენებთან ერთად რიგი განმასხვავებელი ნიშნებიც, რომლებიც ნიშანდობლივი ჩანს თითოეული მათგანისათვის.

6. 2. ბგერითი შედგენილობიდან თანამედროვე სალიტ. ქართული ენისაგან განსხვავებით აჭარულში ყურადღებას იქცევს **ჟ**, უმარცვლო **უ** და ნეიტრალური ბგერა **ჯ**.

მესხურში **ჟ** გვევლინება როგორც სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჰმოვანდუძიან სახელებთან და მიღებულია ი-ს დასუსტების შედეგად: **ხ უ რ მ ა-ჟ, პ ა ტ ა რ ა-ჟ...** ა ლ ი ა-ჟ, ო ქ რ ო-ჟ, ყ რ უ-ჟ... გვაქვს, როგორც დამავალი, ისე აღმავალი დიფთონგი: **დ ა ჟ პ ა ტ ი-ჟ ე ს...**, **გ ა მ ე ვ ჟ ი ა რ ე, ქ ჟ ა რ ა ვ ა ნ ი.**

<sup>1</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961. გვ. 357.

<sup>2</sup> „მოგზაურობანი“, 1950, გვ. 117.



მ. ა. მ. გვევლინება პრეფიქსად: მომთხვია || მომსთხვია, მომტაცა || მომსტაცა და მისთ<sup>1</sup>.

6. 2 ა. მ დასტურდება ჯავახურშიც. იგი „შემადგენელი ნაწილია აღმავალი და დამავალი დიფთონგებისა. მ უპირატესად თურქულიდან შემოსულ სიტყვებში გვხვდება, მაგ.: მაგვაში (ნელი), მაღალმა (ერბოვაშლა), მაბანი (გარეული), მელაგი (სამოსი); გვაქვს ქართულს სიტყვებშიც: მოსმაი (ქალის სახელია), მასონაჟ (კაცის სახელია), მოლი, მოშავნ...<sup>2</sup>

6. 2ბ. ანალოგიური ვითარება გვაქვს მ-ს მხრივ აჭარულში. იგი შეიძლება შეგვხვდეს: ა. ხმოვანთუძიანი (უკვეცელი) საზოგადო და საკუთარი სახელების სახელობით ბრუნვაში, სადაც მისი არსებობა შეპირობებულია ბრუნვის ნიშნის ი-ს დასუსტებით: ასლანაჟ, ბაბოჟ...; ბ. ბოლოხმოვნიან უკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილის /ი/ დასუსტების შედეგად: ვინცხაჟს გულისთვინ; ოჩოთეხაჟთ. ვ. სახელური წარმოშობის ზმნისართებთან, მ, როგორც ს-ს ალოფონი: გზიპირაჟ (გზისპირას); დ. სიტყვის ფუძეში: ციცაელი (მეხი); ე. უცხოური წარმოშობის სიტყვებში: ყაჟმაღლი (ნაღები) და სხვა.

6. 3. უ აჭარულში წარმოიშობა: ა. თანხმოვნის შემდეგ ვ-ს ბილაბიალიზაციის შედეგად: თუალი, ექუისი; ბ. უ მიიღება ვ-საგან. როდესაც იგი მოქცეულია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: ბეური. გ. ზმნის პირიან ფორმებში მარცვლოვანი უ-ს დასუსტების შედეგად: ვაძუე; დ. შეინიშნება გარკვეულ ბგერობრივ პოზიციაში როგორც ძირეულ, ისე წარმოქმნილ სახელებში: თხუარი, ნანათხუები, ე. უ შეიძლება გამოვიდეს აღმავალი დიფთონგის ელემენტად: მეწუელი საქონელი.

6. 3ა. უმარცვლო უ მესხურში ზოგჯერ „გვხვდება არა მარტო იქ, სადაც ძვ. ქართულში შესაფერის შემთხვევაში ეგვევ ბგერა იზმარებოდა, არამედ ისეთ სიტყვებშიც, რომლებიც ჩვეულებრივ ვინით იწერებოდა. ერთი მხრივ, გვაქვს: თუარე, ტუარი, მოკულა, აგუიყვანა, მეორე მხრივ კი — ქუა, რუა, დასამალულად და სხვა“<sup>3</sup>.

6. 3ბ. უ, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ძვ. ქართულში გარკვეული წესისამებრ იზმარებოდა. იგი გვხვდე-

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, მესხური დიალექტი: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970, გვ. 138. შემდგომში ამ ნაშრომს აღენიშნავთ შემოკლებით: ძიებ.

<sup>2</sup> გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო: მაცნე, 6. 1970, გვ. 233.

<sup>3</sup> მარტიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, 1922.

ბოდი: უკანაენისმიერ ხმულებსა და სპირანტებთან, აგრეთვე შიშინა აღრიკატებთანაც. ჭავახურში აღნიშნული წესიდან გადახვევას აქვს აღგილი. მაგ.: თ უ ა რ ე... თ ქ უ ე ნ თ ვ ი ს... და სხვა.

ქვ. ქართულში იხმარებოდა რ ვ ა, ქ ვ ა, ჭავახურში კი ამ სიტყვებს ვ-ს მაგიერ უ აქვს: ქ უ ა, რ უ ა<sup>1</sup>.

6. 4. ნეიტრალური ბგერა ჯ აჭარულში ძირითადად ჩნდება ისეთ სიტყვაში. რომელშიაც თანხმოვნებია თავმოყრილი და სადაც არ იქმნება ქართული ენისათვის დამახასიათებელი ჰარმონიული კომპლექსები. ე. ი. წარმოიქმნება აქცესიური ბგერათკომპლექსები, რომელთა წარმოთქმის გასაადვილებლად ჯ ვამოდის სუპერაციისათვის, მაგ.: ღ ო რ ჯ ჯ მ ე ლ ი (ღორჯომელი). კიდევ უფრო გამოკვეთილად აღიქმება ჯ ბგერა რიცხვით სახელში ცხვრა.

6. 4ა. „ნეიტრალური“ ხმოვანი: ჯ ჭავახურში გვხვდება უმთავრესად თურქულიდან და თურქულის გზით შემოსულ უცხოურ სიტყვებში: ა ჯ ჯ ღ ზ ე თმოგვის ნეფეს აჩვენა (ქდ. 337); ხ ა ს ჯ მ ი (ბადალი, შესაფერისი), ყ ჯ ს მ ა თ ი (ბედი, ხვედრი), ყ ა თ ჯ რ ი (ჯორცხენა), ყ ჯ შ ლ ა (ზამთრის საძოვარი), ფ ჯ რ ს ა ნ დ ი (შემოხვევა), ს ჯ რ ი (საიდუმლო)... (ბერ. 235). თუმცა არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ჯ გასჩენია ან შენაცვლებია სხვა ხმოვნებს ქართულ სიტყვებშიც, მაგ.: ღ ჯ რ ღ ჯ ტ ა (ღირღიტა); კ ჯ ღ ო (კიდევ), ღ ჯ რ მ ა || ღ ი რ მ ა, ბ რ ჯ მ ა || ბ რ ი შ ა, მ ჯ ზ ე || მ ი ზ ე, კ ჯ რ ა ვ ი || კ ი რ ა ვ ი, კ ჯ ღ ღ ე || კ ი ღ ღ ე (ბერ. 235)

6. 5. გარდამავალი ბგერა ჰ/ს დადასტურებულია მხოლოდ ზემოაჭარულში. იგი ზმნაში წარმოდგენილია პრეფიქსად. ჰ/ს შეინიშნება ძ, ც, წ თანხმოვანთა წინ: ერთ ღ ო ნ უ მ ა ჯ მ ი ჰ ს ც ა ყარსი შერიფ-ბეგმა: ა ვ ჰ ს წ ო ნ ე ვ ი თ და ცოცხლათაჲ თრამმეტი ფუთი ვამოვლა (ნიე. II, 88).

6. 5ა. ჭავახურში „გარდამავალი ბგერა ჰ/ს ზოგჯერ პრეფიქსად გვევლინება ზმნაში და აქუსტიკურად ჰ-ს დასაწყისის და ს-ს დასასრულის შთაბეჭდილებას ტოვებს; მაგ.: მ ო ჰ ს ტ ყ დ ა... და ჰ ს ც ი ნ ა... (ბერ. 235).

მესტურში „ზოგჯერ S<sub>2</sub> და O<sub>3</sub>-ად გვევლინება მს—ა: მ ო ა ს თ ხ ვ ი ა || მ ო ა თ ხ ვ ი ა; მ ო ა ს ტ ა ც ა || მ ო ა ტ ა ც ა (ძიებ. 145).

6. 6. აჭარულისათვის (განსაკუთრებით ზემოაჭ.) დამახასიათებელია ს—ჰ: ჰ ა [ღ] გაეჩქარე ამ დილაჲ? ჰ ი დ ა უ რ ი ხ არ, ემაჲ?

<sup>1</sup> გ. ბერიძე, ქართული ენის ჭავახური კილო, მაცნე, 6, 1970, გვ. 234.

ბ—ჰ (ზემოაქ.) შეიძლება განიცადოს ცვლილება სიტყვის ბოლოშიც: ბ ი ჰ ო ჰ (ბიჰოს) გათენებულა უყე!

აქარულში ჰ დასტურდება უცხოური წარმოშობის სიტყვებშიც — როგორც დასაწყისში, ისე სიტყვის შიგნით: ჰ ე ლ ა ლ ი (ალალი) ჰ ე გ ი ბ ა ო ო ჰ ე გ ბ ა (აბგა)...

ზოგჯერ ჰ ენაცვლება არაბულ გ /ჲ/-ს: ს ა ჰ ა თ ი<sup>1</sup> (ნიე. II, 24-25).

აღსანიშნავია, რომ ქობულეთური კილოვანებისათვის დამახასიათებელია სისტემებრ ჰ-ს ადგილას ხ-ს ხმარება როგორც მშობლიურ ისე უცხოური წარმოშობის სიტყვებში: ხ ა ზ ი რ ი, ხ ე მ შ ი ლ ი...<sup>2</sup>

ჰ ბგერა მესხურში უპირატესად უცხოური წარმოშობის (არაბულ-სპარს.) სიტყვებშია შენარჩუნებული: ჰ ა ლ ა ლ ი 'ალალი', ჰ ა ლ ბ ა თ 'ალბათ'; იშვიათად ჰ შეიძლება განვითარდეს სიტყვის დასაწყისში ხმოვნის ფშვინეიერი შემართვის შედეგად. მაგ. „ჰ ი მ ს ნ ი ს“ 'შვილო (ინსნის 'ადამიანის' შვილო)'<sup>3</sup>.

ხ-ს ჰ-თი შენაცვლების მოვლენა უფრო სისტემურ ხასიათს ატარებს ჯავახურში:

ა. ხმოვანთა ფშვინეიერი შემართვის შედეგად სახელებში დადასტურებულია: ჰ ა ბ გ ა (აბგა), ჰ ა ს ტ ა მ ი, ჰ ა კ ვ ა ნ ი, ჰ ი გ ი დ ი (თურქ. ყოჩაღი); ბ. ჰ გვხვდება ხ-ს ნაცვლად ზმნებშიც: მ ო ჰ დ ე ვ ს, დ ა ჰ ტ ი ე, დ ა ჰ დ ე ვ ს; გ. ზმნის მესამე პირში ხმოვნის შემდეგ სუფიქსად ხმარებისას: გ ა მ ო დ ი ჰ, ნ ა ხ ე ჰ, ი ა რ ე ჰ (იარეს); დ. ხმოვანდუქიანი სახელების მიცემითსა და თანხმოდუქიანი სახელების ნათესაობით ბრუნვაში: ყ ა ნ ა ჰ გ ლ ე ჯ ა მ ს, დ ა ნ ა ჰ ლ ე ს ე ბ ე ნ, ა რ ზ რ უ მ ი ჰ კ ე ნ, კ ა ც ი ჰ გ ა ნ; ე. ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებში: ი ჰ ყ ვ ე ლ ა ზ ე გამოსარჩევი იყო, ი მ ი ჰ ქ ო ნ ე ბ ა ჰ ე ჰ ა მ<sup>5</sup>.

6. 7 ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი დ ა ნ აქარული ხასიათდება გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ბგერითი ცვლილებებით, ვიდრე მესხურ-ჯავახური. ამ მხრივ აქა-

<sup>1</sup> შტრ. კან. ს ა ჰ ა ტ ი, ს. უდენტი, კან.-მეგრულის ფონეტიკა, 1953, გვ. 53.

<sup>2</sup> ვრცლად ან საკითხზე იხ. ზემოთ „ქობულეთური მეტყველების დიალექტოლოგიური განსაზღვრისათვის“.

<sup>3</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1974 წ. გვ. 52—56.

<sup>4</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, იქვე, გვ. 52.

<sup>5</sup> მავალითები მოყვანილია მარიტოროსოვის ზემოთდასახელებული შრომიდან, გვ. 273.

რული ძირითადად დასავლურ დიალექტთა ჯგუფს განეკუთვნება, მაგრამ სხვა კილოებთან საერთო მოვლენების გარდა აქ დადასტურებულია ასეთი პროცესები, რომლებიც აშკარად გამოჰყოფს მას სხვა კილო-თქმებისაგან.

მაასიმილებელ ხმოვანთაგან, როგორც ცნობილია, აქარულში ჯანსაყუთრებულ ძალას იჩენს უ, რომელიც სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ ხმოვნებს; სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი იდენტური ხმოვანი /უ/ შეერწყმის ერთმანეთს და იქმნება ვრძელი უ-ს შთაბეჭდილება: აუ→ოუ→უუ→ჟ: უ შე ე ნ ა.

მესხურში ამ ტიპის ხმოვანთა ასიმილაცია იშვიათია. აქ გვხვდება „ოუ→უუ (იშვიათად): მ უ უ ტ ა ნ ა, მ უ უ რ ბ ე ნ ი ა“ (ძიებ. 139).

ჯავახურში პრევერბისეულ ო-ს ან ი-ს იმსგავსებს სასხვისო ქცევის ნიშანი უ: მ უ უ ყ ა რ ა, მ უ უ ხ ტ ა (ბერ. 237).

დადასტურებულია აგრეთვე მო+ე→ეე (მეეწია, მეედო) ტიპის ასიმილაცია; ასევე, ასიმილაცია რთულ პრევერბებთან. ამო+ე→ამეე→ემეე: ე მ ე ე გ ლ ი ჯ ა, გ ე მ ე ე ქ ც ა, ჩ ე მ ე ე ტ ა ნ ა, წ ე მ ე ე წ ი ა, შ ე მ ე ე ე წ ყ ო, გ ე დ ე ე წ ო დ ე ბ ო დ ა (ბერ. 236).

ესგავსი ვითარება გვაქვს მესხურშიც.

ასიმილაციის ზემოთგანხილული ფორმები აქარულისთვის არაა დამახასიათებელი. მესხურ-ჯავახური ამ პროცესებით აღმოსავლურ დიალექტებს უდგას მხარში.

6. 8. აქარულის კერძობითს შემთხვევად „უნდა ჩაითვალოს პრევერბისეულ (ა, ე) და ზმნის ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრული ასიმილაცია, როცა მათ შორის ობიექტური პრეფიქსებია. ასე რომ, I და II ობიექტური პირის ნიშნები მ, გ, გვ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ქმნის ასიმილაციისათვის. მათი მომდევნო ბგერა ი იმსგავსებს ზემოდანახელებულ ა, ე პრევერბისეულ ხმოვნებს და ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას: ი მ ი ყ ვ ა ნ ა, გ ი მ ი შ ე ნ ა, დ ი მ ი წ ე რ ა, ჩ ი მ ი ე დ უ მ ლ ა, წ ი გ ვ ი ყ ვ ა ნ ა, გ ი დ ი გ ი ბ ა რ ა, შ ი გ ვ ი შ ვ ა (ნიჟ. 29-30).

ამ მოვლენით აქარული მესხურ-ჯავახურისაგან განცალკევებით დგას.

6. 9. აქარულში ყურადღებას იქცევს დისამილაცია პრევერბისეულ (ა, ო) ხმოვნისა ფუძისეულ (ძირითადად ე პრეფიქსთან) ხმოვნებთან. ფუძის თავიჯიური ე იმსგავსებს წინამაველ ხმოვანს და გვაძლევს ეე-ს; დისიმილაციის შედეგად მიიღება იე; დისიმილაციური ხმოვანი (ი) შემდგომი დავიწროების შედეგად გაუმარცვლოვდება და გვაძლევს ე-ს. პროცესი შეიძლება გამოისახოს ფორმუ-

ლით: აე, ოე—ეე—იე—ჟე: გ ა ე ლ ვ ი ძ ა (—გიელვიძა—გეელვიძა—გაელვიძა).

ასეთსავე ვითარებას, — ერთდროულად ასიმილაცია — დისიმილაციის პროცესს ადგილი აქვს რთულ პრევერბებშიც: წ ა მ მ ე ყ ე ვ ა ნ ა ...

ეე—იე [—ჟე: აქარ.] უნდა იქნეს ასსნილი, როგორც ერთ-ერთი კერძობითი გამოვლენა დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებისა ენაში (გ. ახვლედიანი). ეე-ში ეს ტენდენცია კომპლექსის ერთ-ერთი კომპონენტის დ-დ: ქეცვისაკენ მიემართება. გარდამავალი საფეხურია ე-ს დავიწროება ი-დ, და ამ საფეხურზე დგას უმეტესობა იმ დიალექტური ერთეულებისა, რომელთაც იგი ახასიათებთ; მხოლოდ აქარულს მიუღწევია ჟე-მდის (ძიებ. 141).

ანალოგიური სურათი გვაქვს ამ მიმართებით მესხურ-ჯავახურ-შიც. ოღონდ აქარულის მსგავსად აქ დისიმილირებული იე—ჟე-მდე აღარ დადის, მაგ. ჯავახ.: დ ი ე ნ ტ რ ე ვ ა თ ერთიან შუშა (ქდ. 368); დ ი ე შ ვ ა ჩ ი ტ ი და დააჯდა საღორეს (ქდ. 372).

მესხ.: დედუფალი არ დ ი ე ნ დ ო ი მის სიტყვას (ქდ. 364); ვაეი დ ი ე ს ა ხ ლ ე ბ ი ნ ა და ქორწილში დ ი ე პ ა ტ ი ე ბ ი ნ ა იესე ბატონი (ქდ. 365).

ასე რომ, „მესხურსა და ჯავახურში, დასავლური დიალექტების (აქარულის, იმერხეულისა და გურულის) გავლენით, ისე მაგრად დამკვიდრებულა ანალოგიური სახის რეკრესული დისიმილაცია, რომ მას ემორჩილება პრევერბისეული ხმოვანიც (დეერქვა, დიეწია, დიენდო, დიენტერევათ, დიესახლებინა, დიეპატიეებინა, დიეძინა, ჩიეგდო; მიეკლათ, გამიეწყოთ და სხვ.). სხვა აღმოსავლური კილოებისათვის იდენტურ ხმოვანთა თავშეყრა პრევერბებთან ბუნებრივი და ასატანია“<sup>1</sup>.

6. 10. შეტათეზისის, ბგერის დაკარგვის, ბგერის ჩაშატების, ბგერათმონაცვლეობისა თუ სხვა ფონეტიკური მოვლენების მხრივ დაახლოებით ერთნაირი ვითარება გვაქვს აქარულსა და შესადარებელ დიალექტებში — მესხურ-ჯავახურში.

6. 11. ცალკე უნდა გამოვეყოთ „უნდა“ ნაწილაკი, რომელიც სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან შერწყმით აქარულში ენკლავური ფორმაში წარმოდგენილია ნა, ნდა, და-ს სახით: ქ კ უ ა ზ ე ნ დ ა (ქკუაზე უნდა) შემშალოს მაგ პრატმა! ა რ ნ ა (არ უნდა) გეკადრებია ეს ჩემთვინ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, 1974. გვ. 107-108.

<sup>2</sup> შდრ. ი. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში: გორის სახელმწიფო პედაგოგიკის შრ., ტ. 1, თბ., 1942.

ასევე, ჭავჭავურში „მეტყველების ყველა ნაწილთან გვხვდება ენკლიტიკურ ფორმაში ნაწილაკად უნდა ზმნა“ (ბერ. 248): მ გ ზ ა ვ-  
რ ო ბ ა ზ ე 'ნ ა გამოცადო; ვინ როგორ მოგექცევა ის ე'ნ ა წაყვეო  
(ქდ. 370); 'შენ 'შვილი' და [= 'შვილი უნდა] გაგიჩნდეს და ცხენსაც  
კვიცი' და [= კვიცი უნდა] გაუჩნდეს (ქდ. 356).

მესხ. ახლა მ ა ყ რ ე ბ ი 'ნ ა მივიღნენ გოგოსთან; ხ ა რ ჭ ი 'ნ ა  
გადაიხადოს (ქდ. 334).

6. 12. მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი თავისებურებებიდანაც ბევრი  
რამ საერთოა აჭარულსა და მესხურ-ჭავჭავურს შორის.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, რიგი  
ქართული კილოების მსგავსად, აჭარულსა და მესხურ-ჭავჭავურში  
ხმოვანფუძიანი სახელები, როგორც ზოგადი, ისე საკუთარი (ასევე,  
ზოგჯერ მასდარიც) სახელობით ბრუნვაში, ჩვეულებრივ, მ/←||/  
ნიშნითაა წარმოდგენილი:

აჭ. ფ ი ლ ი ნ თ ა მ, წ ყ ე რ ი ფ ე ხ ა მ, ზ ე ქ ი ე მ, ფ ე ხ ტ კ უ-  
ც ი ა მ.

მესხურშიც „სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი→მ ხშირად ერ-  
თვის ხმოვანფუძიან სახელებს: პ ა ტ ა რ ა-მ, ა ლ ი ა-მ, ო ქ რ ო-მ.  
(ქიებ. 138 და 143).

ჭავჭ. დ ე დ ა მ, მ ა მ ა მ... დ ა ვ ი თ ა მ. დ უ ტ უ მ, ა ღ ა-  
თ ო მ...<sup>1</sup>.

მაგრამ: გააღე, მ ა მ ი დ ა ი გენაცვალოსო, — უთხრა ჯ ა ზ ბე-  
ბერმა (ქდ. 346); წამოვიდა ლ ა ლ ა ი სახლჩი (ქდ. 356).

6. 13. როგორც აჭარულში, ისე მესხურ-ჭავჭავურში ნათესაო-  
ბითი ბრუნვის თანხმომავითი ელემენტი (ს) ჩვეულებრივ ეკვეცება  
თანხმოვანფუძიან და ბოლოკვეცად პრეპოზიციულ მსაზღვრელებს.

აჭ.: დ ე ლ ი [ს] პ ი რ ი, ყ უ რ ძ ნ ი წ ვ ე ნ ი, მ ა წ ნ ი დ ე-  
დ ო, ქ ა თ მ ი ბ ა რ კ ა ლ ი.

მესხ.: თ ა თ რ ი ც ხ ე ნ ს რო აჭმევდნენ (ქდ. 364); თ ა ვ ი  
მ ა მ ი სა ხ ე მ წ ი ფ ო შ ი გაღვიდნენ (ქდ. 372); წ ყ ლ ი ყ ა ბ ი  
(367).

ჭავჭავ.: ღ ა მ ი მ ე ხ რ ე სახში მოღის (ქდ. 333); ს ა დ ი ლ ი  
ქ ა მ ი შ ე მ დ ე გ დავიწყემთ ხნვას (333); მ ა ყ რ ე ბ ი ე ტ ყ ვ ი ა ნ ო ჭ ა-  
ღ ი პ ა ტ რ ო ნ (334); ც ო ლ ი დ ი ე ბ მ ა ჩ ა ი მ უ ლ ტ ა ნ ე ს (335).

6. 14. მიცემითში თანხმოვანფუძიან სახელებს, ჩვეულებრივ,  
ეკარგებათ ბრუნვის ნიშანი.

<sup>1</sup> ო. ლომსაძე, ჭავჭავური მეტყველების თავისებურებანი, თბ. უნივერ-  
სიტეტის სტუდენტთა სამეცნ. კონფერენციის თეზისებო, 13, 1951, გვ. 37.

აჰ.: ჩემ ბაღნეფ წიგინები აჩუქვა მასტავლებელმა; დერი-ბეფ ფულეფ ვაჩუქვეფ, შენი სიტყვა თუ ახდება (ნიე. I, 33).

მესხ.: დიდი ამ ბიჭ დაუტოვა (ქდ. 370); საქორწინო ტანისომოს რო მოუტანებენ (369); თხოვრებ იქ ვერ გვიცნემენ (371).

ჯავახ.: ხარ სამხრობამდი აღარ ვასვენამთ (ქდ. 333); სწყვიტამს აპეურებ; ანტრევს ტაბიკებ და გარბის (333).

მ. 15. სიტვაწარმოებ დან აჭარული მესხურ-ჯავახურთან მიმართებისას განსაკუთრებით დიდ მსგავსებას იჩენს სადერვიაციო აფიქსთა მონაცვლეობისას.

აჰ.: ბოლოს საცოლოსაც შეეკითხება; სათავოში რომ წამოწუწუდები, შენმეტ ვერვის ხედავ, კო! გაუთვილი, გამზადილი...

მესხ.: შემოტანული, დასვენილი, დანგრავილი (ძიებ. 143).

ასევე, ჯავახურში განსაკუთრებით ხშირია -ულ და -ილ სუფიქსების მონაცვლეობა მიმღეობებში, მაგ. გამოგზავნული, მოტანული, აყვანული...; გაკრილი, შეკრილი, დაკლილი<sup>1</sup>.

მ. 16. აჭარულში მარტივ ფუძეთა რედუბლაციით მიღებული კომპოზიტებიდან ყურადღებას იქცევს: ამბურ-ძამბური (აბდაუბდა), ბაღან-ბულანა (ბაღღები), ბლაცა-ბლუცი (ბარბაცი) და სხვ.

ანალოგიური ფორმები არ ეუცხოვება მესხურსაც: არაბ-მარაბი, ჯინჭარ-მინჭარი, კაქკით-მაქკით (ძიებ. 143).

მ. 17. აჭარულში, კერძოდ ზემოაჭარულში არც ისე იშვიათად გვხვდება -ღამ თანდებულის ხმარების შემთხვევები: ესენი ნაფოცხვარიღამ მაქ ჩამოტანილი; შიანეღამ აქ საკლეთი; ის ჩინგნები (ანცები) თურში ჭიტინაღღამ უყურებდენ მაგას (ნიე. II, 78).

ზემოაჭარული, როგორც ცნობილია, რიგი დიალექტური თავისებურებით ენათესავება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებს, განსაკუთრებით, ქართლურს. -ღამ თანდებულიანი ფორმების არსებობა ზემოაჭარულში, შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, ამ მოსაზრების ნათელი დადასტურებაა.

მესხ.: მაღლიღამ, ციღამ, პირიღამ, სოფლიღამ (ძიებ. 143).

<sup>1</sup> შათიროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის, გვ. 294.

ჯავახ.: ხარ უღლიდამ გამოუშვამთ (ქდ. 333).

აქვე დავძენთ, რომ „-დამ (=დალმა||დალმე) თანდებული, რომელიც კახურსა და მესხურში იხმარება, [დადასტურდა შ. ნ.] მესხეთის მოსაზღვრე სოფლების მეტყველებაში: ზეიდამ, ხიდამ, სიდამ (=საიდან), სახლიდამ...“<sup>1</sup>.

6. 17 ა. -თვის თანდებულის პარალელურად აქარულში გვევლინება -თვის: ჩემთვინ ბადიშეებისთვინ, ყველთვინ (ნიე. II, 80).

მესხურში -თვის წარმოდგენილია შემდეგი პარალელური სახეობებით: —თვის, -თუნ: ნიმუშები: ხემწიფისთვინ, მურთქეთვინ, ჩემთვინ, ჯინჯილისთვინ წამუშელია ხელი (ქდ. 373). თუნ-ის ნიმუშები: შენთუნ, ურჯულოებისთუნა, დევისთუნ (ძიებ. 141, 143).

ჯავახურში თანდებულთა აღნიშნული სახეობები უფრო იშვიათია.

6. 18. აქარულში, კერძოდ ზემოაქარულში -ინ, -ენ-იან ვნებითებს წყვეტილში მრ. რიცხვში ხშირად ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი -ენ სუფიქსი აქვთ შემოწახული: ბექთან ვიდავენით, მარა მააც აფერი გამოვდა; (ხენწიფე) ყვიროდა -- მომეშველენით, ვიწვიო; მათაც კაი არ დამართენს, ბაწრით ჩაიყვანეს გემში (ნიე. II, 90).

მესხურ-ჯავახურში ზმნის მრ. რიცხვის ძვ. ქართულიებური წარმოება ზემოაქარულთან შედარებით ძალზე იშვიათია, შეიძლება ითქვას, სპორადული ხასიათი აქვს.

ჯავახ: მე და შენ წავიკიდნეთ, თუ მე მოქკალ, მე დამრჩეს ეს ქვეყანაო (ქდ. 351).

6. 18ა. აქარულსა და მესხურ-ჯავახურს შორის მსგავსება დასტურდება სახელთა მრ. რიცხვის წარმოების თავისებურებათა თვალსაზრისითაც.

აქარულში მრ. -ებ ფორმანტიხელ და ფუძის ბოლოკიდურ ე-ე ხმოვნებს შორის დისიმილაციის ნიადაგზე მიღებულია მრავლობითში ასეთი ფორმები: კილდეები (←კილდეები←კილდეები), ღელდეები, პაქსაძეები (სოფლის სახელია).

ასეთივე შედეგია მიღებული მრ. -ებ სუფიქსის ზოგიერთ -ა ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებზე დართვისას: ხო-

<sup>1</sup> ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო: მაცნე (ქართული ენისა და ლიტერატურის სერია). 4. 1972, გვ. 145.



ჯ ა ე ბ ი, უ ს ტ ა ე ბ ი, ლ ო ყ ა ე ბ ი, ა ლ ა ე ბ ი, ბ ე გ ა ე ბ ი, ს ი რ-  
თ ა ე ბ ი (გორები).

ანალოგიური სურათი (მცირე გამონაკლისით) გვაქვს მესხურ-  
ჯავახურში. მესხურში ეს მოვლენა ასეა კვალიფიცირებული: რო-  
გორც წესი, -ებ სუფიქსის დართვისას წინ ჩნდება ი ელემენტი. თუ  
მოვიგონებთ დისიმილაციის კანონს ეე—იე, რომელიც ეგზომ მოქ-  
მედია ჩვენს დიალექტში, ამ ი-ს ასეთ ახსნას ვუბოვიტ: იეა უნდა იყოს  
მიღებული ე-ბოლოკიდურიანი და ა-ბოლოკიდურიანი სახელებისა  
და -ებ სუფიქსის შეხვედრის ნიადაგზე... ეებ—იებ, აებ—ეებ—იებ.  
კერძოდ, ა-ბოლოკიდურიანებში იებ მიღებულია ასიმილაციის სა-  
ფეხურის გავლით<sup>1</sup>. ო- და ე-ბოლოკიდურიანთ ეს, რასაკვირველია,  
არ მოუღიბთ. თანხმოვანფუძიანები კი, ანალოგიით, იებ-ს ატარე-  
ბენ. ე: რ ა მ ი ე ბ ი, ს ა ქ მ ი ე ბ ი, ტ ყ ი ე ბ ი, კ ლ დ ი ე ბ ი; ა:  
დ ი ე ბ ი, ღ რ თ ი ე ბ ი, მ თ ი ე ბ ი; თანხმ.: რ ძ ლ ი ე ბ ი..., მ ტ რ ი-  
ე ბ ი..., ძ ვ ლ ი ე ბ ი..., ც ხ ვ რ ი ე ბ ი (ძიებ. 144).

ამავე რიგისაა მრავლობითობის ებ სუფიქსის დართვისას ა და  
ე ბოლოხმოვნიან სახელთაგან წარმომდგარი მრ. რიცხვის ფორმე-  
ბი ჯავახურში: მ თ ი ე ბ ი (←მთეები←მთაები), დ ი ე ბ ი, ე გ ი ე-  
ბ ი, კ ლ დ ი ე ბ ი...

ანალოგიურად ხმოვანფუძიანებისა, „იებ“ სუფიქსს დაირთავენ  
თანხმოვანფუძიანებიც, მაგრამ იმ განსჯევებით, რომ სახელის ფუ-  
ძე შეკუმშულია, სახელი კი ერთმარცვლიანია: გ ლ ი ე ბ ი, რ ძ ლ ი-  
ე ბ ი, ძ ვ ლ ი ე ბ ი, მ ხ რ ი ე ბ ი (ბერ. 239).

მ. 19. აჭარულში, კერძოდ ზემოაჭარულში მესხურ-ჯავახუ-  
რის მსგავსად წყვეტილში -ე ბოლოსართიანი ზმნის ფორმა I და II  
პირში -ვი ელემენტია: შაშინჯველაჲ (საასინჯველად) რომ მობ-  
ძანდი, რა გვიინახევი ყუსური; წყალი მასვი კოკითა, გამა-  
ძღევი კოცნითა.

მესხურშიც „ე-დაბოლოებიან ზმნებს ერთვის ვი—ი მარცვა-  
ლი: შეუხევიევი, მოვსპევი, დავხოცევი, ნახევი,  
წამოიღევი და მისთ.“<sup>2</sup> (ძიებ. 148).

<sup>1</sup> შტრ. ი. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში.  
გორის სახელმწიფო პედინსტ. შრ. I, თბ. 1942, გვ. 140-141.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური ამ ფორმის გაჩენას აჭარულში მესხურის გავლენით  
ხსნის (იქვე, გვ. 148).

ჯავახ.: გ ა ვ ა კ ე თ ე ვ ი, მ ო ვ თ ი ბ ე ვ ი; ზოგი კი მე ვ ნ ა -  
ხ ე ვ ი (ქდ. 353).

ეს მოვლენა, — როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერა-  
ტურაში, — ნიშანდობლივია მხოლოდ ქართლისათვის. რიგ ქარ-  
თულ დიალექტებში ასეთი ფორმები სამართლიანად არის მიჩნე-  
ული ქართლის გავლენით გაჩენილად<sup>2</sup>.

6. 20. ქართული ენის რიგ დიალექტთა მსგავსად შე- ზმნისწინს  
ენაცვლება შა-, მაგრამ ამ მოვლენის პირობად ითვლება მო-ს და-  
თვა: ლოდას გარედამ შ ა მ ჭ ა კ რ ა ვ თ ჯ ი ხ უ რ; შ ა მ ჭ რ ი გ ე ს  
თეთ-თეთრი პურები.

მართალია, დაიძებნა რამდენიმე მაგალითიც, როცა შე—შა-ს,  
მაგრამ ეს მოვლენა აქ კანონზომიერების ხასიათს არ ატარებს, მაგ.:  
კიდევ არ გავკეთო, თუარა ყურეფ შ ა გ ა ფ რ ე წ (ნიფ. II, 94).

მესხურ-ჯავახურში პრევერბებთან დაკავშირებით, თავისებურე-  
ბანი გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე აქარულში.

მესხურში „პრევერბები მო-, შე-, გამო- (შემო...), ამო- წარ-  
მოდგენილია მა-, შა-, გამა (შემა...), ამა-ს სახით: მა-: შ ა მ ე შ ი -  
ნ ა...; გამა-: გ ა მ ა მ ი ც ხ ე თ...; ამა-: ა მ ა მ ი ყ ვ ა ნ ე თ.

ამ მოვლენით მესხური ძირითადად აღმოსავლური კილოების  
რიგში დგას, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ანალოგიურა ფაქტი აჭა-  
რულისა და იმერხეულისთვისაც არაა სულ უცხო. იმერხეულ-აჭა-  
რულ-მესხურ-აღმოსავლური კილოები ამ მხრივ ერთ ზოლზე ექცე-  
ვიან. უნდა ვიფიქროთ, რომ აქარული-იმერხეულში ეს თავისებუ-  
ლება მესხურის შენაძენია (ძიებ. 144).

ჯავახურშიც ზმნისწინთა ნაირსახეობანი ძირითადად გამოწვე-  
ულია ფონეტიკური პროცესების შედეგად: გ ე მ ე ე ქ ც ე ვ ი, დ ე -  
ე პ ყ რ ო, ჩ ე ე ტ ე ვ ა, წ ე ე კ ი თ ხ ა, მ ე მ ე ს ა ლ მ ა.

რთულ პრევერბებში კი ორმაგ პროცესებთან გვაქვს საქმე.  
ენებითის ე-ს ემსგავსება პრევერბისეული ო და გვაძლევს ეე-ს  
(ოე), ხოლო ასიმილირებული ე პრევერბისეულ ა-საც იმსგავსებს  
და ვიღვტ:

ამო + ე → ამეე → ემეე: ემეეგლიჯა...

გ ე მ ე ე ქ ც ე ა...

<sup>1</sup> ო. ლომსაძე, ჯავახური მეტყველების თავისებურებანი, თბ. უნივერ-  
სიტეტის სტუდენტთა სამეცნ. კონფერენციის თეზისები, 13, 1951, გვ. 37.

<sup>2</sup> ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 91. მისივე ზემოიმე-  
რული კილოკავი (ჭიათურის მიმდებარე სოფლების მეტყველებას მიხედვით),  
გვ. 388, რომელიც დამოწმებულია გ. იმნაიშვილის მიერ შრომაში: ქართ-  
ლური დიალექტი. I. 1974, გვ. 90-91.

ჩ ე მ ე ე ტ ა ნ ა...  
წ ე მ ე ე წ ი ა...  
შ ე მ ე ე წ ყ ო...

გ ე დ ე ე წ ო დ ე ბ ო დ ა... (ბერ. 236).

6. 21. აქარულსა და მესხურ-ჭავჭავურს შორის საზიარო მოვლენებთან ერთად დადასტურდა განსხვავებულობაც ზმნის თემატური სუფიქსების გამოყენებაში.

აქარულ დიალექტში -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნებს ნამყო უწყვეტელსა და პირველ კავშირებითში ახასიათებთ -ევ-დ, -ვი-დ და -ემ-დ. -ში-დ წარმოება. ამდენად აქაც დღემდე შემონახულია გადმონაშთის სახით -ავ და -ამ სუფიქსიან ზმნათა უღლების ძვ. ქართულის ნორმა. ოღონდ უნდა დავძინოთ, რომ აქარულში წინააღმდეგ ძვ. ქართულის წარმოებისა, უწყვეტლის I-II პირში -ევ-დ ფორმანტთა პარალელურად ვხვდებით -ვი-დ ელემენტსაც. ასეთივე პარალელური ფორმები გვაქვს -ემ-დ, -ში-დ წარმოების დროსაც<sup>1</sup>. კარქა და ვნაყვი დით მიწას, და ვასხემ დით წყალ და გემრენ მოვზილევ დით; რას მეიწველვი დენ შენი ხრიკები, შუამთობამდინ გაშრენ ი მუდრეგები (ნიქ. II, 95—96).

ზოგიერთი -ევ სუფიქსიანი ზმნა -ამ თემის ნიშნითაა წარმოადგენილი, ხოლო -ებ თემის ნიშნიანი — -ავ, -ევ თემის ნიშნით, მაკ.: მ ი ვ ა რ თ ვ ა მ...  
-ებ თემის ნიშნის ნაცვლად ჩვეულებრივ -აბ გვხვდება სტატიკურ ზმნებში: კ ა ნ კ ა ლ ო ბ დ ა; რას ა პ ი რ ო ფ...

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ ზმნასთან -ებ თემის ნიშნის ნაცვლად გვხვდება -ი: რატონ არ უჭერი მასტავლებელს, კო!

მესხურ-ჭავჭავურში, — როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, — ზმნის თემის ნიშანთა მონაცვლეობის მხრივ ძირითადად ერთნაირი ვითარება გვაქვს. „მიუხედავად იმისა, რომ ჭავჭავურში, თემის ნიშნების მონაცვლეობა ნებისმიერია, შეიძლება დად-

<sup>1</sup> ეს საკითხი აქარულში პირველად გაარკვია მ. ცინცაძემ (იხ. მისი, კირანთ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი: რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწ. პედინსტიტუტის სტუდენტთა შრ., 1, 1954). გ. დეეტერსის აზრით, — შენიშნავს გრ. იმნაიშვილი (ქართული დიალექტი, 86, სქოლიო 58), — ევ მიღებულია ფონეტიკურ ნიადაგზე (-ავ—-ევ-იდ). „შენ ჰკითხველ“ (=ჰკითხვეილ) და „იგი ჰკითხვიდა“ (=ჰკითხავდა) სხვადასხვა ფონეტიკური სახეობა (L. Deeters, Der Karthvelische Verbum, Leipzig, 1930 § 232, ავ. 134).

ვინდეს ზოგადი წესი, რომელსაც აქვს თავისი გამონაკლისებიც. ზოგადი წესი ასეთია:

1. მონაცვლეობა ხდება მხოლოდ I სერიის ფორმებში.

2. მონაცვლეობენ მოქმედებითი და საშუალი გვარის ზმნების თემის ნიშნები.

3. -ავ, -ებ, -ობ სუფიქსები იცვლება -ამ//ან, -ემ//ენ, -ომ//ონ ბოლოსართებით: ა) -ავ და -ებ ბოლოსართის მონაცვლე -ამ//ან ძირითადად იხმარება აწმყოსა და მომავლის მწკრივებში. ბ) -ემ//ენ იხმარება უწყვეტლის, კავშირებითისა და მათგან ნაწარმოებ ფორმებში. გ) -ობ სუფიქსი აწმყოსა და მომავლის ფორმებში იცვლება -ომ//ონ ბოლოსართებით, მაგრამ უწყვეტელში, კავშირებითისა და მათგან ნაწარმოებ მწკრივებში გვხვდება პარალელური ფორმები -ემ//ენ ბოლოსართებით ვაქემდი//ნდის ტიპის ზმნებისა. ამ ზმნებს კავშირებითი II ო-თი აქვს ნაწარმოები (ვაქრობ — ე-ვაქრო...).

4. თუ ზმნა ნამყო სრულში ა-ზეა დაბოლოებული (ყერა, აკოცა, აჩვენა...), მაშინ -ების რეფლექსი -ამ არის, ხოლო თუ ო-ზეა დაბოლოებული (გაავდო, წაიღო, გაიგო...), მაშინ ემ<sup>1</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ადრე შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი მესხური დიალექტის მონაცემების მიხედვით დაასკვნის: ე. წ. I სერიის მაწარმოებელი სუფიქსები ანუ I სერიის თემატიკური ნიშნები საყურადღებოა როგორც მასალობრივად, ისე ფუნქციურად. სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით გამოყენებულია შემდეგი მასალა: -ამ, -ემ, -ან, -ენ, -ონ, -ინ (ძიებ. 145).

6. 22. აქარულსა და მესხურ-ჭავჭავურს შორის ბევრ შემთხვევაში ერთგვაროვნება და ზოგ რაშიმე უმნიშვნელო განსხვავებულობაც შეინიშნება სინტაქსურ მოვლენათა თავისებურებების მხრივაც.

რიგი ქართული დიალექტების მსგავსად, წინადადების ესა თუ ის წევრი, რომელიც სალიტ. ქართულის ნორმით მიც. ბრუნვის ფორმით უნდა ყოფილიყო, აქარულში უნიშნოდაა წარმოდგენილი, ხოლო სინტაგმაში ნათ. ბრუნვის ფორმით სავარაუდებელი პრეპოზიციული მართული განსაზღვრება ბრუნვის ნიშნის (-ის) თანხმონითი ნაწილის (ს) გარეშე: მუდამ ლ ა მ ა ზ ე ფ (ლამაზებს) ვმერაყოფ, არ მეტყობა გარედანა; ყ უ რ ძ ნ ი წ ვ ე ნ ი, ქ ა თ მ ი ბ ა რ კ ა ლ ი ...

<sup>1</sup> გ. ბ. რ. ი. ძ. ქართული ენის ჭავჭავური კილო (მორფოლ. თავისებურებანი): მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 4. 1972, გვ. 147.

მესხ.: გე ნ ე რ ლ ე ბ მისცა, აქ ლ ე მ ვაჩუქამ, დე ვ ე ბ ეძი-  
ნენ; მივიდა ხ ი ძ ი რ ა ს ა, ბ რ ი ნ ჭ ი ფ ლ ა ვ ი (ძიებ. 150).

ჯავახ.: დედოფალი ყ ა თ ი რ გამოაბა კულზე და გაქანებულ  
ყ ა თ ი რ დააგლეჯინა (ქდ. 337); მერე ამ ე რ ბოთი აცხობენ ბ ი შ,  
ლ უ ხ უ მ, ჭ ი რ ი ხ ტ ა ს და სხვა (335); თ ი ხ ი ჯ ა მ ი თ არაყს  
აწოდებენ (334).

მ. 23. აჭარულში დასავლური დიალექტების მსგავსად გარდა-  
უვალი ზმნა მე-2 სერიაში ქვემდებარეს მართავს როგორც მოთხ-  
რობითში, ისე (იშვიათად) სახელობითში: რ ა ც ვ ა მ გ ი ე ჩ ხ ა კ უ-  
ნ ა და ფ ი რ ა ლ ე ბ მ ა. წ ა მ ო ც ვ ი ნ დ ე ნ ზ ე ზ ე (მაგრამ: ბო-  
ლოს აი ქ ო ს ა მ ც შამშობრუნდა მეგემ).

ეს მოვლენა მესხურში ქართლურისებურადაა წარმოდგენილი:  
„როდესაც გარდაუვალ ზმნას გარდამავალი მოსდევს უშუალოდ,  
წყვეტილში სუბიექტი გარკვეულ შემთხვევაში მოთხრობითში დგას:  
ამ ბ ი ჭ მ ა მ ი ვ ი დ ა, ა ა ყ ე ნ ა...; გ ა მ ო ა რ დ ა ვ ა ე მ და  
თ ა ვ ი მ ო ს კ რ ა.

მაგრამ არის შემთხვევა, როცა გარდაუვალ ზმნას ისევე გარდა-  
უვალი მისდევს, მაგრამ სუბიექტი მოთხრობითშია: ა მ ა ნ ა დ გ ა  
და წ ა ვ ი დ ა; ა დ გ ა ა მ ა ნ, ა ვ ი დ ა ს ა ბ შ ი (დაყოფა ჩვენია;  
ძიებ. 151).

რაც შეეხება ჯავახურს, სათანადო მასალებში მსგავსი სინტაქ-  
სური მოვლენა არ შეგვხვედრია.

მ. 24. აჭარული და მესხურ-ჯავახური ყურადღებას იქცევენ  
ლექსიკური შედგენილობის თვალსაზრისითაც. დასახელებული დია-  
ლექტების ლექსიკურ ფონდებში გვხვდება ბევრი ისეთი სიტყვა ან  
ცალკეული გამოთქმა, რომლებიც ქართული ენის სხვა კილო-თქმე-  
ბში ან სულ არ დასტურდება, ანდა რამდენადმე განსხვავებული ში-  
ნაარსითა თუ გრამატიკული გაფორმებითაა დამკვიდრებულნი.

მ. 24ა. მესხურ-ჯავახურ ლექსიკურ ფონდში, მსგავსად აჭა-  
რულისა, გამოიყოფა რიგი არქაული ფორმები და უძველესი ლექ-  
სიკური მონაცემები, რომლებიც მრავალმხრივ იქცევენ ყურადღე-  
ბას, განსაკუთრებით ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზ-  
რისით.

აჭ.: გ ა რ გ ა ნ ი, ზ ა კ უ ე ლ ი, ს ა ს ი რ ე ბ ა დ ე, დ ა მ ი ო -  
ბ ა მ, დ ა გ ვ ა ჭ ე ბ ა, ზ ი თ უ ა ლ ი, ს ა ფ ე რ ხ ე ლ ი, ფ ე შ ხ უ მ ი,  
ფ ხ ე (—მხე—მხევალი), კ ე ლ ო ბ ს, ნ ე რ ჩ ი, უ ს კ უ რ ა და  
სხვა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სიტყვების განმარტება იხ. ნიქარაძე, ქართული ენის აჭარული დია-  
ლექტი. ლექსიკა, 1971, გვ. 32-36.

მესხ.: რემა, შიგან (შდრ. აჭ. შაან), კაპანი, კარაპანი, მორბელი, ფეშხუმი, წაფელი, ჭოჭი, ჭილა, პაშტა და სხვა<sup>1</sup>.

ჯავახ.: ასტამი, ასპიტი, დაბურვა, კაპანი, სართულა, ბაგა, უზვი, ურწანი, ერლო და სხვა<sup>2</sup>.

6. 24ბ. სამივე დიალექტის ლექსიკურ ფონდებში ჭარბადაა წარმოდგენილი აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) ენებიდან მომდინარე სიტყვები და ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომელთაც ერთგვაროვანი ისტორიული საფუძველი აქვს. ბევრ შემთხვევაში ლექსიკური ნასესხობანი უცვლელადაა შესული დასახელებულ დიალექტებში, ხოლო ზოგჯერ საკმაო ცვლილებანი განუცდია როგორც ფონეტიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით, ისე სემანტიკურადაც<sup>3</sup>.

აჭარულსა და მესხურ-ჯავახურში დაცულია: ა. არაბული წარმოშობის ლექსიკა: აჯაფ, ინადი, ჰერსი, გეყურბანე, აღდი, ეყრები (შდრ. მესხ.-ჯავახურში აყრაფი), ფუხარა, ხებერი (მესხ. ხაბარი), ვესიეთი (მესხ.-ჯავახ. ვესიათი), ზალუში, იბრეთი (მესხ.-ჯავახ. იბრათი), მეხსუს (მესხ.-ჯავახ. მახსუს), მუზი, ყეზა (მესხ.-ჯავახ. ყაზა), ჰაჯეთი (მესხ.-ჯავახ. ჰაჯათი) და სხვა. ბ. სპარსული წარმოშობის სიტყვები: ბაზირგარი (შდრ. აჭ.-ში ბეზირგანი), დოსტი, ერიშტი, ვერანა, თემბელი (მესხ.-ჯავახ. თამბალი), მალა, მაიხოში, ქოშე (მესხ.-ჯავახ. ქოშა), აბდესი, ფიშმანი და სხვა. გ. თურქული წარმოშობის სიტყვები: აჯელი (მესხ.-ჯავახ. აჯილი), ანჯახ, ბალდიზი // ბალდუზი, ბიში, სექვი (მესხ.-ჯავახ. საქვე), აბლა, ახარანი, ბაირამი, სური, თესპე, ყაბი და სხვა.

ამრიგად, აჭარულის მესხურ-ჯავახურთან შედარება-შეპირისპირების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარული ძირითადად დასავლური კილოების ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო მესხურ-ჯავახური — აღმოსავლურ კილოებს (უმთავრესად ქართლურს).

„მესხურის (ასევე, რამდენადმე ჯავახურის შ. ნ.) დაფენებაში გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი მნიშვნელობის ნიშანი, რომლებითაც ეს დიალექტი მჭიდროდ უკავშირდება დასავლურ კილოებს“ (მ. ძიძიგური).

1 ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან: რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწ. პედაგოგ. შრ. IV. 1954; ქდ. მესხური ლექსიკონი.

2 ს. მელიქიძე, ჯავახური დიალექტის ლექსიკიდან: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. 3. 1973; ქდ. ჯავახური ლექსიკონი.

3 ვერცლად ამ საკითხზე იხ. ქვემოთ: ლექსიკა.

## აჭარულის მიმართება იმერხელთან

7. 1. აჭარული და იმერხელი დიალექტები, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ენობრივი თვალსაზრისით ძალზე გვიან ერთიანდებიან. „ჭოროხის ხეობაში მოქცეული იმერხევის მეტყველება (მეტყველება მუსლიმანი ქართველებისა), როგორც ნ. მარის მასალების მიხედვით (Март, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, ТР. VII, 1911) იმერხეული ეწოდება, არსებითად გურულ-აჭარული ბუნებისაა... უნდა ვივარაუდოთ, რომ მესხურის „დასავლური ფენა“ იმ დიალექტური ერთეულის ნაყოფია, რომელიც შემდგომში გადაშენდა და „ნამსხვრევების სახით-და“ შემორჩა ჩვენს დრომდის, და რომელსაც პირობით იმერხეულის სახელით ვიცნობთ“<sup>1</sup>. ამ ორი კუთხის (ერთის მხრით აჭარისა და, მეორეს მხრით შავშეთ-კლარჯეთის) მკვიდრთა მეტყველების ასე დიდი მსგავსება, ეკვი არაა, განაპირობებს ერთნაირმა ისტორიულ-ეთნოლოგიურ-გეოგრაფიულმა ფაქტორებმა. ორივე მხარემ ისტორიულ წარსულში ძნელბედობის ერთნაირი გზა განვლო ძირითადად: „XVI საუკუნეში თსმალთ თურქებმა ნაწილნაწილ მოკვლია ეს აყვავებული მხარე (ტაო-კლარჯეთი, შ. ნ.) საქართველოს და ქართველები ძალით გაამაჰმადიანეს, ენა წაართვეს, ტრადიციები დაავიწყეს. 1878 წელს ნაწილი მიტაცებული მიწებისა ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა, მაგრამ იმდენად ააზრებული და გაპარტახებული, რომ მოსაძებნი გახდა ისეთი ცნობილი კულტურული ცენტრები, როგორიც იყო ხანძთა და შატბერდი“ (ქდ. 377).

აჭარულ-იმერხელს შორის, როგორც ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება მსჯელობა, მსგავსება დადასტურდა როგორც ბევრითი შედგენილობისა და გრამატიკული თვალსაზრისით, ისე განსაკუთრებით ლექსიკაში.

7. 2. ორივე დიალექტში ბევრითი შედგენილობიდან ყურადღებას იქცევს ა, რომელიც ორივეში ძირითადად ერთნაირ ბგერობრივ პოზიციაში ჩნდება:

აქ.: ჭ ი ვ ა ნ ა ჯ; კ უ ტ ტ ა ნ ტ რ უ ქ ა ჯ (ბოლოქანქარა), ბ ა ბ ო ჯ. ნათესაობითსა და მოქმედებითში: ... ჩემ საწოლი ლ ო ბ ი ა ჯ ს ძირი ბენჩქიაჯო; ბ ა ბ ო ჯ დ ა ნ ქონდა ვესიეთი (ანდერძი).

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970, გვ. 137.

იმერხ.: ზოკროფ ჩივის... 58; დედესებები გეძახდა, არ შეუძლოდი იმ საქმეში (50); ფენჯერა და ნვიყურები: შავათ მეჩვენება თეები (50).

აჭარულში გვხვდება ფუძის შიგნითაც (იგი წარმოქმნილია ფონეტიკურ ნიადაგზე): შაანე დამ აქ საკლეთი; წოლ მარემ გუმკლავდა მეგემ; როცხა იქნება, შენთვისაც მეცელი.

იმერხ.: ვერ დე მქირეს ფირალები (46); თაში ბასხუნი დემეცა: მაშინ მეცლა ზაფთიებაში (იქვე)<sup>1</sup>.

აჭარულ-იმერხულში დაცულია უცხოური (არაბ.-სპარს.-თურქ.) წარმომავლობის სიტყვებში<sup>2</sup>.

აქ.: შეეთანი, ძალი, დემიზ.

იმერხ.: ფატყიმე დეთიმათ დამჩა, მისთინ მომდის ცრემლები (50); აინაით გაუხედა ყაფვაზმა (65).

7. 2ა. უმარცვლო აჭარულში გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც ის მოსალოდნელია ძვ. ქართულის მიხედვით. იგი, როგორც ცნობილია, წარმოადგენს დავიწროებულ უ-ს, ვ-საკენ გადახრილს: თქალი, ნაკჭერცხალი, თქქა.

გარკვეულ შემთხვევაში უმარცვლო უ მიიღება უ-ს დასუსტების შედეგად: შამუტანი, წამუელ, ვათხუე და მისთ.

ანალოგიური შემთხვევები არაა უცხო იმერხელისათვის, რასაც მოწმობს ქვემოთმოყვანილი სათანადო მაგალითები: ბიჭიკ წეუდა (56), სახელი ბანი ხანუმი ერქუა (59); იმ ქელოლანს აჩუქუა (62); მეგემ თლათ წევან და ძინუან (63).

როგორც ცნობილია, თანხმოვანთა (განსაკუთრებით ვ-ინის) გამარცვლიანების შემთხვევები არაიშვიათია ქართული ენის ისეთ დიალექტებში, რომელთაც განიცადეს უცხო (ძირითადად თურქულის) ენის გავლენა (ინგილოური, ფერეიდნული, მესხური). ამიტომ შეიძლება აქ თურქული ენის გავლენის საკითხი დაისვას. თურქულისათვის ხომ თანხმოვანთა გამარცვლიანების ტენდენცია სავსებით კანონზომიერი მოვლენაა.

7. 3. ბგერათსისტემიდან, წინააღმდეგ აჭარულისა, იმერხულში ყურადღებას იქცევს ძ—ზ-ს ტენდენცია. არაა ძნელი მისახვედ-

<sup>1</sup> იმერხელისათვის დამოწმებული მაგალითები ამოღებულია მარის ნაშრომიდან *Дневник поездки в шавшетию и Кларджетию*, ТР. VII, 1911. აქ მითითებულია მხოლოდ გვერდები.

<sup>2</sup> უცხოურ სიტყვებში ა ფონემას წარმოადგენს.

<sup>3</sup> აქაც და ქვემოთაც დიალ. სიტყვების განმარტებას დაინტერესებული მკითხველი იპოვის ჩვენს შრომაში: ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა. 1971.



რი, რომ აქ საქმე უნდა გვეკონდეს თურქული ენის გავლენასთან. როგორც ცნობილია, თურქული ენის ბგერათსისტემაში ძ, როგორც ფონემა, არ გვხვდება. ამიტომ ისეთ ქართულ ფუძეებში, სადაც ძ ბგერაა მოსალოდნელი, იგი ყოველთვის შეცვლილია ზ-ენით: სოფელი მტერი გემიხდა, მი ზ ე ბ ნ ი ა ნ სამყოფნელსა (47); ალი აღამ დე მ ი ზ ა ხ ა: მეგან, მე ვარ ჯელეთოღლი (48); სიზმრებიც რომ წემიხდება, ზ ა ლ უ ა ნ გავდერდიანდები (48).

აქარულში ანალოგიური მაგალითები არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ: ერთადერთ მაგალითს „ზროხა“, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დგას იმავე სიბრტყეზე, როგორც ზემოთგანხილული მაგალითები. ეს ერთადერთი ფორმა („ზროხა“) ექვი არაა, კვ. ქართულიდან უნდა მომდინარეობდეს.

„ძ-ზ საგულისხმო ფაქტია — შენიშნავს შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი. ცნობილია, რომ ინგილოურ კილოში ეს შენაცვლება ხუნჯურის გავლენით სისტემად იქცა. ძ განიღვენა მეტყველების მთელ სივრცეზე და მისი ადგილი ზ-მ დაიჭირა. იმერხეულშიც ვამჩნევთ ამ ტენდენციას... ამგვარად, ინგილოური, იმერხეული და მესხური ამ მხრივ ერთ ხაზს მიჰყვებიან. ამის სათავეა უცხო ენა, რომლის გარემოცვაშიც ისინი იმყოფებიან (ძიებ., 142).

7. 3ა. თურქულისავე გავლენას უნდა მიეწეროს რუსული „სიბირის“ უცვლელად გადასვლა იმერხეულში: არავინ არ გადამარჩენს, გამაგზავნიან ს ი ბ ი რ შ ი (47). ასეთივე ფორმით გვხვდება ეს სიტყვა აქარულშიც: ბუნტის თავეფს ს ი ბ ი რ ი და სალოგვა არ აცდებოდა, შეი ჭიიმე.

7. 4. იმერხეულში დადასტურებულია კ ბგერა, რაც ასე უცხოა აქარულისათვის: ამას ქ ე ვ ი ქ ვ ი ა; „ ი ფ ე რ ქ უ ლ ე თ “-ო, „ ის ა მ ე თ “-ო, ის თქმა არი (ქდ. 379).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იმერხეულში „შემორჩენილი ზოგი ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენა (ბგერა კ...) და ლექსიკური ერთეულები (პაშტა, ნეკერი...), რომლებიც დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის (ქართლურის, კახურისა და სხვ.), ადასტურებს მასში ქართლურის ფენის არსებობას, როგორც ეს ისტორიული ცნობების თანახმად მოსალოდნელი იყო (ქდ. 378).

7. 5. ფონეტიკური პროცესების მხრივაც ძირითადად ერთ ხაზს მიჰყვებიან აქარული და იმერხეული.

ხმოვანთა პრევერბისეული ასიმილაციის მაგალითები აქარულში: გ უ დ ვ ა თავის გზას; დ უ დ ვ ა თვალი; გ უ დ უ წ ე რ ა და გა-დასცო ყადის (ნიე. 11, 27).

იმერხ.: დ უ უ ძ ა ხ ა ბიჭი (59); წ უ უ ყ ვ ა ნ ა ერთი ცხენი (63); აპეილო ბილაზუკი... და დ უ უ დ ვ ა (59).

7. 5ა. შეიძლება ფუძისეულმა ე ხმოვანმა დაიმსგავსოს პრევერბისეული (ა, ო) ხმოვნები და სრული ასიმილაციის ასეთი მაგალითები შეგვხვდეს აქარულში: დ ე ე წ ე რ ა, ჩ ე ე ტ ა ნ ა...<sup>1</sup>.

იმერხ.: გულში მერაყ რომ ჩ ე მ ე ვ დ ე ბ, გაბუკვილივით დაჯდები (49); თაში ბასხუნი დ ე მ ე ც ა, მაშინ მეკლა ზაფთიებაში (48).

7. 6. ნაწილობრივი ხმოვანთა ასიმილაცია აქარულში იშვიათია, მაგრამ ზემოაქარულის ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში აქა-იქ მაინც შეინიშნება: ერთი კილო დ ო უ კ ა რ კეკელა და შარო, რა იქნება!

იმერხ.: შიგან დ ო უ კ ა რ ი ბორი... (48).

7. 8. აქარულისათვის დამახასიათებელია ეე→იე→აე-ს ტიპის დისიმილაცია. იმერხეულში კი, მსგავსად რიგი ქართული დიალექტებისა, გვხვდება ეე→იე სახის დისიმილაცია: ვინცხას თუ შ ი ე ძ ლ ე ბ ა... (60); ქოროლის შ ი ე ბ რ ა ლ ა (62).

აჟ.: დ ა ე წ ე რ ა; შ ა ე ქ ე და კიბილი; გა მ ა ე ს ხ რ ი კ ა.

იმერხ.: ვინცხას თუ შ ი ე ძ ლ ე ბ ა (60); ქოროლის შ ი ე ბ რ ა ლ ა (62).

სახელებში:

აჟ.: დ ე ლ ა ე ბ ი, პ ა ქ ს ა ძ ა ე ბ ი (ტოპ. სახ.).

იმერხ.: არავისაც არ ვაწყინე, ისე დევიარე ტ ყ ი ე ბ ი (50); ა ა შ ა-ხანუმის თ მ ი ე ბ ი (50).

მაშ, „გარდამავალი საფეხურია ე-ს დავიწროება ი-დ და ამ საფეხურზე დგას უმეტესობა იმ დიალექტური ერთეულებისა, რომელთაც იგი ახასიათებთ; მხოლოდ აქარულს მიუღწევია აე-მდას (ძიებ. 141).

7. 9. აქარულსა და იმერხეულში (უმნიშვნელო სხვაობით) ერთგვაროვანი ვითარება დადასტურდა ბგერის ვანვითარების (აჟ.: მურთაქა, ხუმბრობა, ტყენჩი, საცოდვაი... იმერხ.: ახლა გოგო მ ო ლ ს რ უ ლ ა ფენჯერაზე 55; რა ს ა ც ო დ ვ ა ვ ა თ მე დავრჩი, ველარ მიველ ჯამი ჯარსა 47); ბგერის დაკარგვის (აჟ.: ზდილობა, ძიმე, ჭედელი, მოყრობა, იმითანაა, მირალოთან//მირალოსთან, შენი გული-

<sup>1</sup> პროცესის შემდგომი საფეხური იხ. „დისიმილაციაში“.

თვინ, ძამლეთ 'ძამლეთს, ძამლეთში'; იმერხ.: მე რომ მოვკდე, სხვას მიეცით, მე რომ მჯობდეს თვალტანათა, 49; იქ ფარი ქენსა დამჩა, 55; შენ რავეაც რობძანე, 56; ზოპროთან მიმიყვანე 58), სუბსტიტუციის (აჟ. ნამუნასტრევი, ზუმა, ონაჯირი, ქაოო 'ქვემო' ჩოულობა; იმერხ.: ერთი კილომ ქოსა კაცი იყო, 65; ქომოდან წისქვილ ქვეშ დეიმალე, 64; ნახაკაცი კუჩხეში, 64), მეტათეზისის (აჟ.: ქროფლი, ზრუგი, დერჟუნი, პევეში, ხერტალი, სურიელი; იმერხ.: ფირალმა და ლესგი უახრა, დავამღეროთ ჩონგურები 47) და სხვა ფონეტიკურ მოვლენებში.

7. 10. მორფოლოგიური თავისებურებებიდან ორივე დალექტში ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ბოლოვდება მ (—//ი) -თ (აჟ.: ალაზანაჲ, ვესილეჲ, განდავანაჲ; იმერხ.: რა და რაჲ გინდა საჟმელი. 63).

7. 10ა. მოთხრობითი ბრუნვის ნიშნისეული ა ელემენტი იშვიათად ბოლოხმოვნიანებთანაც გვხვდება.

აჟ.: თვითონ დეიტირა თავის დე დამა; კილარში თვალეა გამოკეკა მ ა ბ ზ ა კ უ ნ ა მ ა .

ანალოგიური ფორმები გვხვდება იმერხეულში: დუუძანა ჰანსან ფაშამა ქელოლლანი (61); არ მიცა ნება თავის დე დამა (61); გამეაარა ერთ თვემა (62).

7. 10ბ. ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი წოდებით ბრუნვაში ჩვეულებრივ ვ-ინით ბოლოვდება.

აჟ.: ახმედავ! ზექიეე! მუსტაფავ!

იმერხ.: მუხამედავ, თუ წეგიკითხეს ბარათი (48).

7. 10გ. მიცემითი ბრუნვის ფორმით აქარულში ზოგჯერ გამოხატულია ვითარების გარემოება: ჩვენში ფუტყარი კარქს მუშაობს. იმერხ.: ამ ლესკისა გამომთქმელი ნახევარზე ბეჩიავო (53).

7. 10დ. აქარულში არის შემთხვევები, როცა ვითარებით ბრუნვას ზოგჯერ ენაცვლება სახ. ბრუნვა. იგი ფრანაში ვითარების გარემოებას გადმოსცემს: იმასაც მეტი მიეწონა: იმერხ.: მეტი შეეშინდა ქოროლლის (63).

7. 10ე. ნათ. ბრუნვას არც ისე იშვიათად მოქმედებითი (დაწყებითი) ბრუნვა სცვლის, მაგ.: ჯეფერაჲ შენიდან ზოჭლაჲ ნაწყენია. იმერხ.: ბიჭიდან შეილი არ ყავდა იმ ბეზირგანს (57); დედაბერმა ფული ეალო ზოპროდან (59).

7. 11. თვითონ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის პარალელურად ხშირად იხმარება თვითან, ხოლო იმავე თვითონ ნა-

ცვალსახელს ზოგჯერ ენაცვლება თავათ: თავათ მას შეცთა  
ნეგემ; თ ვ ი თ ა ნ მისი ხელით ჩარგო ი ჩქოლა.

იმერხ.: ეს საქმე თავათ ნეფემ ივისრა; თავათ ქელოლ-  
ლანმა ფერუზეთ ხანუმთან დაწვა (66).

7. 11ა. დასავლური კილოების მსგავსად აქარულში არაა გარ-  
ჩეული თავისი და მისი კუთვნ. ნაცვალსახელები: თუ შექდა  
მისებურათ გაკნაჟულ ვირზე მის ადგილს სხვას არ დაუთმობს.

იმერხ.: ქელოლანმა ცხენი შინ მის კალოზე გამოაბა (65);  
მანაც უნდა მომცეს მისი გოგო მე (60); ოდელიოლის თუ იკი-  
თხავ, ჭვანას აქ მისი ვათანი (48);

7. 12. აქარულისათვის, მსგავსად იმერხეულისა, დამახასიათე-  
ბელია — თვინ თანდებულის ხმარება (თვის თანდ. ნაცვლად): ბა-  
დ ი შ ე ბ ის თ ვ ი ნ ვმუშაოფ, თუარა, მე ახლა ცალი ფეხი სამარე-  
ში მაქ.

იმერხ.: ფატყიმე აეთიმათ დამჩა, მის თვინ მომდის ცრემ-  
ლიები (50).

7. 12ა. -დამ თანდებული უპირატესად ზემოაქარულისათვის  
არის დამახასიათებელი: ესენი ნ ა ფ ო ც ხ ვ ა რ ი დ ა მ მაქ ჩამოტა-  
ნილი.

იმერხ.: ჩ ი ტ ი დ ა მ ა ც მეშინოდა ღმერთ-გამჩენის დღელამე-  
ში (50): არ სვეს ცხენებმა ქუ რ უ მი დ ა მ წყალი (62).

7. 12ბ „გარდა“ თანდებულის მნიშვნელობით ზოგჯერ გვევ-  
ლინება „მეტი“: შე ნ მე ტ ი გზა აღარ მაქ; მა გ მე ტ ი თუარ  
შიგიძლიოდა, რაღას კვპირდებოდი.

შდრ. იმერხ.: შე ნ მ ა რ ტ ო სხვა არ მინდა, ას ოთხ ქითაბ  
გეფიცები.

7. 13. პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ, რიგი ქართული  
დიალექტების მსგავსად, ჩვეულებრივ, დაკარგულია: ერთი მეცვა-  
ლო, უ ჩ ვ ე ნ ე ფ მე მაგას სეარს.

იმერხ.: მე საწყალმა ვისა უ თ ხ რ ა ჩემი გულისა დერდები  
(47).

7. 13ა. ასევე, იკარგება III ირიბი ობიექტის ნიშანი -ჰ და -ს:  
ქურდმა ქურც (=ქურდს) მ ო პ ა რ ა და ღმერც გაეცინავო; ადგა  
და ერთი ჭაჭვი ალთუნი მ ი ც ა მეგემ იმ დედაბერს.

იმერხ.: ტ ა ც ე ს ფეხზე და გამეყვანეს კარში (62); ჩოზანმა  
კ ი თ ხ ა, რა საჩივარ ქ ო ნ დ ა (58).

7. 14. გარდაუვალ ზმნებში III პირის მრ. რიცხვის ირიბი ობი-  
ექტი ხშირად -ენ, -ეს სუფიქსების საშუალებითაა გამოხატული:

შუა ვზაზე დეღლინენ საგძალი; იმათაც მიეწყინეს აქ  
ჯოფნა.

იმერხ.: თვალახანაში ადგილი ქონდენ სეისებს (62); ჯუმ-  
ბუში აქვან (62).

7. 15. -ინ, -ენ-იანი ვნებითები I სერიაში უპირატესად გვხვდე-  
ბა არქაული ფორმით -ებ თემის ნიშნის გარეშე: ძე რომ გეა-  
წყურვის საწურიაში...; თვალები ეკურცხლის.

იმერხ.: საყვარელ კარგა დეამალვი, არ მომიკლან ყურ-  
შუმითა (49).

7. 16. დასავლური კილოების მსგავსად, აქარულში კაუზატიუ-  
რობის -ინ სუფიქსი მარტო იხმონითაა წარმოდგენილი. ასევე, ნ  
თანხმოვანი დაკარგულია -ევიზ სუფიქსში: შიმიცაჲ, ერცულულზე  
კარტიკჳანდა გადაეკართმევიო ბაშფორთისთვინ.

იმერხ.: ერთი სანდული გააკეთებია, მუშაბალი (59).

7. 17. სინტაქსური თავისებურებებიდან ყუ-  
რადღებას იქცევს შესიტყვებაში სიტყვათა შორის დამოკიდებულე-  
ბის ისეთი შემთხვევა, როცა მსაზღვრელი (როგორც პრეპოზიციუ-  
ლი ისე პოსტპოზიციური წყობის დროს) საზღვრულთან მართულ-  
შეთანხმებული ფორმითაა წარმოდგენილი: აჰმედასი ბადი-  
შია, კო, ესე? კარქ ფასში გეყიდა, ხომ იცი, აქი ფასი ხა-  
რები.

ანალოგიური შემთხვევა არაა უცხო იმერხელისათვისაც: თე-  
ჰარ მირზასი თავის მუშაყეთის ნათქვამი (55).

7. 18. არაიშვიათია ორივე დიალექტში სახელთა შორის შე-  
თანხმების დარღვევის შემთხვევები: მაგათ შვილებმა რა-  
შინდა გამჟადგენ შობლეთ; ერთმა ერთ კედრიდან და მფე-  
რემ — მფერე კედრიდან...

იმერხ.: შეიტყვა ჩემ ბაბამ ხებერი (59); კიდოც მის  
სიძემა მოუაროს (66).

7. 19. ნათ. ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მართული გან-  
საზღვრება, მსგავსად რიგი ქართული დიალექტებისა, ორივე დია-  
ლექტში, ჩვეულებრივ, თანხმოვანმოკვეცალია: ნაჰწნები გადმოგე-  
ყარა პური კონი ქელივითა; წყარო თავზე...; ჰა გა-  
ქარდა იგელი შექმული, ჰა?!

იმერხ.: ბახჩი ბოლოს რომ ჩაველი, სახშიც შეიქნა ხრი-  
ალი (53).

7. 20. ცალკე მდგომი თანდებული „ქვეშ“ ნაცვლად ნათესაო-  
ბითისა, სახელს მოითხოვს მიც. ბრუნვაში: ქვა ქვეშ არი ჩემი

ბელი, იქიდან სულ არ იძრება; ი გელიშეკმული ზვინ ქვეშ  
შეაბეჭა მეგემ.

იმერხ.: წისქვილ ქვეშ არი დამალული (64).

7. 21. გარდაუვალი ზმნა II სერიაში ქვემდებარეს მართავს  
როგორც მოთხრობითში, ისე (უფრო იშვიათად) სახელობითში:  
შერიფ-ბეგმა რუსეთ მიემფხრო თურმის (მაგრამ: ახლა დე-  
დაბერი შამშურუნდა მაგას).

იმერხ.: წეჟდა ქელოლანმა ქოროლლისან (61); მი-  
ვიდა ქოროლიმ დეგირმანჩის კარში (64); მაგრამ: მივი-  
და ესკერი (70); დალატობა რომ შამოვდა, ვერა კაცს  
ველარ ვენდობი (47).

7. 22. დროის (ან ადგილის) გარემოების გადმოსაცემად ზოგ-  
ჯერ-ზე თანდებულანნი სახელი იხმარება: ამ დროზე ჩიტმა მოვ-  
და ენაზე (ნოლ. II, 84); უწინ სამ დღეზე ჩევდოდი ბაჟუმ.

იმერხ.: ორ დღეზე დულუნი შეითავეს (66); გეჟდა გალ-  
მაზე (67).

7. 22ა. ადგილის გარემოება, რომელიც სალიტერატურო ქარ-  
თულში -ში თანდებულანნი მაცემითთათა გამოხატული, აქ ამ თან-  
დებულის გარეშე გვხვდება: საქონელ ზაფხულობით ვგზავნი ა  
ნათელათ, გვალმინდორ, კუნჭულეთ; ერთ საათზე ევ-  
და ხულას.

იმერხ.: ჰვანას აქ მისი ვათანი (48); ჰასან ფაშა იყო სი-  
ლისტრას (61); ჩასულა ჩამლიბეს (61).

7. 23. აჭარულ-იმერხული მეტყველებისათვის ერთობ დამბა-  
სიათებელია თურქული ენიდან ცალკე სიტყვებისა თუ გამოთქმე-  
ბის კალკირება. ორივე დიალექტში დადასტურდა არაერთი თურ-  
ქული სტრუქტურული ფრაზა (ან გამოთქმა-შესიტყვება), რომლებ-  
შიდაც პრედიკატული წევრი ყოველთვის ქართული ზმნითაა გად-  
მოცემული<sup>1</sup>.

აჭ.: თერბიეს მიცემა 'აღზრდა', 'გაწვრთნა'; ეზეთის  
მიცემა 'შეწუხება'; მეშვერეთი ვქნათ 'მოვითათბიროთ':  
აღდის გაქრა '„ჯვარის დაწერა“'.

იმერხ.: ფარა, საქონელი მიცა... ჩირალი ქნა (58); ჰასან  
უამამ ემრი ქნა (60); ხიზმეთი უნდა უყოს (62); ერ-  
თი თემენნა უყოს (66).

<sup>1</sup> ვრცლად ამ საკითხზე იხ. ქვემოთ: სტრუქტურული ნასესხობანი — კალკი-

7. 24. ლექსიკის თვალსაზრისითაც აჭარულ-იმერხეული მეტყველება მრავალმხრივ საინტერესო მასალას იძლევა. ორივე დიალექტს დაუცავს არაერთი არქაული სიტყვა: თუ გამოთქმა იმ მნიშვნელობით, რაც მათ ძვ. ქართულში ჰქონდათ. აჭარულში დაცული ლექსიკური არქაიზმებიდან (გარგანი 'არგანი', ზაკუელი, საფერხელი, ოროკი საბათი: ოროკო, სასირე ბადე, ფხე [←'მხევალი'], კანული, კოლაუზი, ლეშტერი, შათხირი, მაქვა, შემოთარჯვება და სხვ.) საგრძნობი რაოდენობა იმერხეულშიც დადასტურდა. ასევე, იმერხეულშიც შემოინახა ბევრი არქაული სიტყვა თუ გამოთქმა (რემა, ტანტრაბა, კაპანი, მარჩილი, მერული, გამომფრინვალე და სხვ.), რაც სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში იშვიათად თუ შეგვხვდება.

7. 24ა. ორივე დიალექტში დადასტურებულია მეგრულ-ქანური წარმოშობის სიტყვები (დუდი, დუღხალი, საჯი, ფორკა, ერინჯი, თორი, კალაში, მარქვალა, ქერეჭი, ჯარგვალი და სხვ.).

7. 24ბ. სპეციფიკური დიალექტური სიტყვები: აპიმპილაქება, კოროპინი, მორბედი, პემპელა, პიმპილაქი, ყირავი, მერე, ჭუმბუში, სამა, დელიხორუმი, ბადეკეტი, ჩახრახი, ყოლსამა, ზანკალი, ურუბა, მერეგი, სეკვი, ფინი, მახარი და სხვა.

7. 24გ. დადასტურდა, ასევე თურქული ენის მეშვეობით დამკვიდრებული აღმოსავლური წარმოშობის ისეთი სიტყვები (აღღა, ბირამი, რამაზანი, სალაჯა, ქულფეთი, ყათირა, ქოშე, ჯერაპი, დევლეთი, ზემბილი, ჩენგე, ყურბანი, ფუხარა, თესპე და სხვ.), რომელნიც ძირითადად ქართული ენის ისეთ დიალექტებში (მესხურ-ჯავახური, ინგილოური, ფერეიდნული) გვხვდება, რომელნიც ხანგრძლივად მოქცეული იყვნენ თურქული ენის გავლენის ქვეშ.

ამრიგად, ა. აჭარულსა და იმერხეულს მთელი რიგი საერთო მოვლენები ახასიათებთ როგორც ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში, ისე, განსაკუთრებით, ლექსიკაში. ზოგიერთი მათგანი საზიაროა სხვა კილოებისათვისაც.

ბ. დიალექტური მასალების შედარება-შეპირისპირების შედეგად დადგინდა, რომ იმერხეული, ისე როგორც აჭარული, ძირითადად მიეკუთვნება დასავლური კილოების ჯგუფს.

გ. ორივე დიალექტურ ერთეულში რანდენადმე გამოიყოფა აღმოსავლური ქართული კილოებისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები, რაც მესხურ კილოსთან ახლი ურთიერთობის შინაშეხდება.

## II ნაწილი

# აჭაჩულის თავისებულებანი

### I თავი

#### ფონეტიკა

##### ბგერითი შედგენილობა

8. 1. თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისაგან განსხვავებით აჭარულში გვაქვს შუაენისმიერი ფშვინვიერი „ნახევარ ხმოვანი“ ზ (იოტი), წყვილბაგისმიერი უმარცვლო უ, გრძელი ხმოვნები: ა, ე, ი, უ, „ნეიტრალური“ ხმოვანი ზ, წყვილბაგისმიერი ხშულმსკდომი ძ და გემინირებული თანხმოვნები.

8. 1ა. ზ, რომელიც ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში ი-ს პალატალიზების შედეგს წარმოადგენს<sup>1</sup>, წარმოთქმის ისე, როგორც ძველი ქართულისათვის ივარაუდება: „ენის შუა წელის მაგარ სასასთან მიახლოვებით“<sup>2</sup>.

როგორც ცნობილია, ზ შედიოდა ძვ. ქართულის ბგერითს შედგენილობაში. იგი დღემდე შემორჩა ქართული ენის მრავალ დიალექტს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის მე-12, მე-18 სს. I. თბ. 1964, გვ. 64.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ძვ. ქართული ენა: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძვ. ქართული ენა და ლიტერატურა, თბ. 1954, გვ. 28.

<sup>3</sup> ა-ს ნაცვლად მ. ხუბუა ამ შემთხვევაში ი-ს აღნიშნავს... ესროლეს ბარდენაი; ჰემ დღეით..., მუშიაი..., თუმცა იქვე დასძენს, რომ ეს ხმოვანი ლექსში (ავტორით: წყობილისტივაობაში) ზოგჯერ კმნის მარცვალს, ზოგჯერ კი არა (იხ. მისი „ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა“, 1932, გვ. 7). ჩანს, ა-ს ნაცვლად ი ხმოვნის აღქმა მკვლევარის სუბიექტური ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული.



ა ქართველური ენებიდან ყველაზე უფრო ჭანურშია გავრცელებული. „[ა] სეგმენტი ბევრად უფრო გავრცელებულია ჭანურში, ვიდრე მეგრულში. ჭანურში იგი საკმაოდ ხშირია ნასესხებ სიტყვებში:

+ — V: აავაშ—აავაშ (თურქ.) „ნელა“, ააზი (თურქ.) „გაზაფხული“, აერი (თურქ.) „ადგილი“;

C—V: დულაა (ბერძნ.) „საქმე“, გენჯი (თურქ.) „ახალგაზრდა“, უაურა (ბერძნ.) „ქალბატონი“;

V—C: ეაღული (თურქ.) „სიკეთე“, ეანა მემან „ნაირფეროვანი“, ბოადრული (sic! ბოაუნდრული? შ. ნ.) თურქ. „უღელი“;

V—V: ბოაა (თურქ.) „ფერი“ კააა (თურქ.) „კლდე“. (იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965, გვ. 69).

აჭარულში ა შეიძლება შეგვხვდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა. ხმოვანფუძიანი (უკვეცელი) საზოგადო და საკუთარი სახელების სახელობით ბრუნვაში, სადაც მისი არსებობა შეპირობებულია ბრუნვის ნიშნის ი-ს დასუსტებით:

ერთი თხა მყავდა, [რ] ქებკაუჩაა..., დიმიძახე ასლანაა (სახ. ბრუნვაში იგულისხმება), ბაბოაარ დაბრუნებულა, ცავ, თეთრობიდამ? ელენეა, ზექიეა...

ბ. ბოლოხმოვნიან უკვეცელ სახელებთან ნათესაობითსა და მოქმედებითში (უკანასკნელში უფრო იშვიათად) ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილის (ი) დასუსტების შედეგად:

ნათესაობითში: კი ვიცო, ვინცხაას ბრალია; გონია სა-  
ცოლეას დაბარებული.

მოქმედებითში:

რამდენჯელნა გითხრა, მაგეჩოათ ვერ ჩამოთლი ამხელა ქუთუგ მეთქინ! უწინ ხეფ ორყვერაათ შეყვარადენ.

აგრეთვე სახელური წარმოშობის ზმნისართებთან: აქეთ რომ მოვდიოდი, გზიპირაა რაცხა ბული ავარდა; ამწახანებაა სულ ნამსხმანი მეჭედება; ჰიღამდი უნდა იყო ასე ტყულათა-  
ლაა, უსაქმური, ჰა?!

გ. სიტყვის ფუძეში, როცა ი ხმოვანი ემეზობლება ა, ე და ო-ს (უსწრებს ან მოსდევს): წამოვდა ციცაელი (‘მეხი’) და, პირდაპირ ფაშის ყულლეს დეეცა მეგემ; მარაობაა (ძვ. მარიობის-  
რევე ‘აგვისტო’) რომ გათავდება, მემრენ აგრილდება; ერთი სოაას [მ]სხალი იცის ჩვენში — მარაობაა; ორი დღე მუნდი მდერედის გათოხნას. ცალკე შეიძლება აღინიშნოს რუსული და უცხოური წარმოშობის სიტყვები: კაზოონი, აბაეშიკი, ააში-

კი, შეფთანი, ყაამალი ('ნაღები'), ძალი ('ერბო'), ყაამეთი ლასხვი.<sup>1</sup>

აქვე დავასახელებთ რ- გაუჩინარებულ ზოგიერთ სიტყვას: გაბსოვს, მურთაზავს. უწინ მძალიც რომ გვენატრებოდ?! ცაეელი ევა, სამსე ჩამტა (გამოცანა — გიდელი); ისთე დსუცხნა იმ ტძალ მინდორში, რომ სულს ველარ ვითქვამდით.

დ. ხმოვანფუძიანი (ან ხმოვანგანვითარებული) სახელების მრავლობით რიცხვში -ებ საწარმოებლის წინ: ამ დღებში ძალქან დაჭვირთული ვარ; ერთიც გეცხედე, რომ წამოვდა სირთებზე ლეშტერი; ბალშევიკი რომ შამოვდა, იმ დღიდან ეილაგმენ ჩვენში აღებე, ბეგებე.

ე. ზოგ სიტყვასა თუ ფორმაში ხსენებული ბგერა ზედმეტი ჩანს სალიტ. ქართულის მიხედვით<sup>2</sup>. სულ არ მოსპოლოტა მერეყანები ამ ლანქერმა! დიდი როყო ვინმეა, ხელიდან არაფერი გამწვა (შდრ. საბა როყო). სულ მასკლძავეებით იყო ცა გაქედლი; მაგთანა ყოლჩამადეფს მევლუდაა წოლძარე უმკლავდებოდა; უმცროსი ბლვი ბეშუმში მინდა გავგზანო, პიონერთა ლაგირში...

8. 2. ჟ (უმარცვლო უ)-ს ხმარების თვალსაზრისით აკარული ძველ ქართულს უახლოვდება<sup>4</sup>.

როგორც ცნობილია, „ძველი ქართული ლიტერატურული ენის ძეგლების მიხედვით ქართულში მკვეთრად არის გარჩეული მარცვ-

<sup>1</sup> შდრ. იოტიანი ხმოვნები ქანურში უცხოური წარმომავლობის სიტყვებში: ძალი, კაზალი (არნ. ჩიქობავა, ქანური ტექსტები, 1929, გვ. 112), ძაპული (იქვე, გვ. 3), შეფთანი (იქვე, გვ. 25); ი. ყიფშიძისთან: შეფტანი (ქანური ტექსტები, 1939, გვ. 35); მეთიმი (არნ. ჩიქობავა, ქან. გრამ. ანალიზი, გვ. 141).

<sup>2</sup> მძალ-ში (-მაილი-მარილი) ძ-ს მიღება უფრო ზუსტი იქნებოდა ავეხსნა იოტაციის ტენდენციით რ-ს დასუსტების (რ—ა) ნიადაგზე (რამაე გამოიწვია მისი ვოკალიზაცია), როგორც ამას ადგილი აქვს ქანურში (იხ. არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 13); ანალოგიურ პროცესთან უნდა გვქონდეს საქმე ხელცაფელ-სა და გემფელ (—გემრიელი)-ში: ხელცაფელი არ დაბრუნდე, ქესა გქონდეს ფარიანი.

<sup>3</sup> ანალოგიური შემთხვევების შესახებ ივ. ქავთარაძე აღნიშნავს: „ძ-ს ხმარების III თავისებურ შემთხვევას პირობით ძ — მეტობა შეიძლებოდა დარქმეოდა: იხ. ქართული ენის ისტორიისათვის. მე-12 მე-18 სს. I, თბილისი, 1964, გვ. 66.

<sup>4</sup> ივ. ქავთარაძე, ქართ. ენის ისტორიისათვის მე-12, მე-18 სს. I. თბ. 1964, გვ. 85.

ლოვანი (ხმოვნური) უ და უმარცვლო (უმახვილო, არახმოვნური) უ“. იგი წარმოადგენს დავიწროებულ უ-ს, ვ-საყენ გადახრილს.

უ წარმოიშობა:

ა). თანხმოვნის შემდეგ ვ-ს გაწყვილბაგისმიერების შედეგად: თქუა, თუალი, თუარა, სხუა, ლუარი, ქუაბი, ნაკუერ-ცხალი, ექუსი, შიშუელი.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ მოყვანილი მაგალითების მიხედვით მოცემულ პოზიციაში უ-ს არც ისე იშვიათად ენაცვლება ვ-ინი (თქვა, თვალი და სხვა). უ-სა და ვ-ს აღრევა, ცხადია, არ უნდა იყოს შემთხვევითი. ვ „ხმოვნის ჩანასახს ატარებს მუდამ, რომ ის საესე-ბით თანხმოვანი არ არის და რუა, ქუა სიტყვებში მახვილის მა-ტარებლად გვევლინება, სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ვ-სა და უ-ს აღრევა<sup>1</sup>.

ბ) უ მიიღება ვ-საგან, როდესაც იგი მოქცეულია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, მაგ. ბეური.

გ). ზმნის პირიან ფორმებში მარცვლოვანი უ-ს ღასუსტების შედეგად: ოვა—ოვე—ოა—ოე—უა—უე—უა—უე: მუაფერებს (—მუაფერებს—მოაფერებს 'მოახერხებს'), წამუალ წამუელ, ეაძუე ('ვაძოვე'), ვთხუე და მისთ.

ასევე, აუ—აუ // ავ, ეუ—ეუ // ევ ტოპონიმიკურ სახელებში: კოპილაური, კობალაური; ჩანტრელი, ფუშრუ-კაული; ბირტყევი (—ბირტყევი // [\*ბირტყეული]—ბირ-ტყეული); ცეცხავი/—[\*ცეცხავრი—ცეცხაური]—ცეცხა-ურივ, გრინტავი (\*გრინტაული); ქაბუკავი (\*ქაბუკაუ-რი). ოა//ოვა/ კომპლექსის უა-დ ქევის წინა საფეხური დადასტუ-რებულია ქართული ენის არაერთ დიალექტში<sup>4</sup>.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, გვ. 69—87.

<sup>2</sup> ს. ედენტო, გურული კილო, 1936, გვ. 46. ასეა ეს სიტყვა იმერხულ-შიც: ქვეყანა რომ შეაწუხა, ახლა ბეური ყავს ღუშმანი: ნ. მარი იმერხ. ტექსტები, გვ. 48.

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ ამოსავალი ფორმითაც (ცეცხლური) გვხვდება ტოპონიმიკურ სახელად ქობულეთში.

<sup>4</sup> იხ. არნ. ჩიქობავა, მთიულური, გვ. 47 და სხვა; არ. მარტიროსო-ვი და გრ. იმნაიშვილი ქართული ენის კახური დიალექტი. გვ. 49-50; ვ. თოფური, ქართლური, გვ. 138; გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1966, გვ. 27-28; ვ. ბერიძე, ქარ-თული ენის ჭავახური კილო, 1970, გვ. 234.

ოე//ოვე/ კომპლექსის უე-დ ქცევა აქარულში ისევე ხდება, როგორც ეს აღმოსავლურ კილოებშია დადასტურებული, ოღონდ ეს პროცესი აქ დასრულებულ სახეს გვაძლევს და ვიღებთ ჟე-ს; მაგ.: მ ჟ ე მ მ ა რ ე . გ ა მ ჟ ე ქ ც ა , წ ა მ ჟ ე ლ თ და მისთ.

აღსანიშნავია აგრეთვე სახელებთან ჟ-ს მიღების ისეთი გზა, როგორც აქვს ქართლის მასალების მიხედვით ვ. თ ო ფ უ რ ა ს<sup>1</sup>. ო-ფუძიან სახელთა მრავლობითის წარმოების დროს ოე კომპლექსში ო-ს დაეწროება უფრო შორს მიდის და ჟ-ს ვიღებთ, მაგ. ო ქ რ ჟ ე ბ ი (←ოქრუები←ოქროები), წ ყ ა რ ჟ ე ბ ი , კ ო ლ ჟ ე ბ ი ('ქაობები'), უ რ ჟ ე ბ ი და სხვა<sup>2</sup>.

ოა-ს განვითარების მეორე საფეხურის ჟა-ს ნიმუშები, — როგორც შენიშნავს შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, — ძირითადად დაცულია აქარულში (მთაყვანია...), ამ შემთხვევაში ქართული კილოების მიხედვით ადგილი აქვს ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დაეწროებას. ჩანს, მომდევნო ფართო ხმოვანი ვერ იჩენს საასიმილაციო ძალას. მაშ, ხმოვანთა ჯგუფი, რომლის პირველი ნაწილი ვიწროა და მეორე ნაწილი ფართო, ისწრაფვის დიფთონგად ქცევისაკენ<sup>3</sup>.

ღ. უ გაუმარცვლოებულია აგრეთვე ერთმარცვლოვან ვ:ო (←გოგო) და ჳო (←ბჳო←ბჳო) სახელთა წოდებით ბრუნვაში; ორსავე შემთხვევაში ო გამოითქმის გრძლად, შესამჩნევად ახასიათებს დაყოვნება, რის შედეგად ზოგჯერ ვლებულობთ უმარცვლო უ-საკენ გადახრილ ხმოვანს, სადაც ო-ც შენარჩუნებულია: გოჳ! ჳოჳ!<sup>4</sup>, მაგრამ ვერც იმას ვიტყვიტ ვიღებთ, რომ ამ გზით მიღებული ჟ ზოგჯერ არ ტოვებდეს ვ თანხმოვნის აქუსტიკურ შთაბეჭდილებას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვ და ჟ ფონემათა დისტრიბუციის გათვალისწინება, რომელიც იძლევა ამ ბგერათა ფონემატური დაპირისპირების საფუძველს და რომელიც ძველ ქართულში დასტურდება, ისტორიულად მეორეულია და ემყარება ამ ელემენტთა წმინდა პოზიციურ სხვაობას და რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო [ვ]

<sup>1</sup> ქართული, გვ. 138.

<sup>2</sup> საეხებით ანალოგიური მაგალითები (ოქრუები, პალუბა, წყარუები და სხვა) მესხურში დადასტურებული აქვს ი. მაისურაძეს (იხ. მისი „ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი მესხურში“, 1942, გვ. 3).

<sup>3</sup> შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში და ზანურში: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970, გვ. 118-119.

<sup>4</sup> მსგავსი ფორმები (ვოვ, ჳოჳ) დადასტურებულია იმერხეულში (ნ მარი, იმერხ. ტექსტები, გვ. 80).

და [უ] ელემენტებს შორის ისტორიულად პოზიციურ სხვაობათა მორფოლოგიზაციამ<sup>1</sup>.

უ შეინიშნება გარკვეულ პოზიციაქი როგორც ძირეულ, ისე წარმოქმნილ სახელებში:

შუ ა ნ თ ო ბ ა ზ ე მ ე ნ თ ე უ რ ი ე ფ ს გარეთ ბარიდანაც გეიკრიფება სასეაროთ ხალხი; ახლა იშვიათ, რომ თ ხ უ ა რ ს შენ-დე კაცმა. ნ ა ნ ა თ ხ უ ე ბ ი კაბა ფერს მალე იქცევსო, — ძველები იტყოდენ. ხ ო ბ უ ე ბ დიდ საქონელში არ ურევთ, ცალკე შევყრით ს ა ხ ბ ო უ რ ე შ ი; ი ქაფიწალად ხარი დ უ რ ს უ ნ ა ს ე უ ლ ი ხომ არაა, ქო ყ უ თ ე ლ დ დ ე მიაკითხავდა მეგემ თავის შეყვარებულს; დ ი დ უ ა ნ ი ხეები ადგილზე ჩააჯოღვა.

8. 3. ზემოაღნიშნულ ბგერათცვლილებათა შესახებ მსჯელობისას მიზანშეწონილია დიფთონგთა საკითხის განხილვა.

ქართულისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია დამავალი დიფთონგები<sup>2</sup>. „ქართულს კილოებში შემონახულია ე, როგორც წესი, დიფთონგის მეორე ნაწილს წარმოადგენს: აჲ, ეჲ, ოჲ, უჲ<sup>3</sup>, ხოლო „მეგრულ-ქანურში და სევანურში ქარბობს აღმავალი დიფთონგიზაცია“<sup>4</sup>.

დიფთონგიზაციის პროცესებიდან აქ შეინიშნება რიგი თავისებურება, რომლებიც აქარულს რამდენადმე განასხვავებს ქართულის დიალექტებისაგან და მათთან მიმართებაში ამ მხრივ საკუთარ ადგილს აკუთვნებს; მაგალითად: დამავალი დიფთონგის მიღების ერთ-ერთ გზად ზმნებში დასტურდება რთულ პრევერბისეულ ხმოვანსა (ო) და ქვევის ნიშანს (ი) შორის ასიმილაციისა და ფორმანტისეულ მ თანხმოვანთა დისიმილაციის შეერთებული პროქმედება: ა უ მ ი რ ბ ე ნ ი ე (ტატულავ, ჩეირბინე ქომო და, შენი კდრების სულისთვინ ერთი წყალი ა უ მ ი რ ბ ე ნ ი ე!).

ეწვი არაა, ეს ფორმა ასეა მიღებული: ამომირბენინე—აომირბენინე—აუმირბენინე—აუმირბენინე. გ ა უ მ ი გ ზ ა ნ ა (გამომიგზავნა), ჩ ა უ მ ი წ ე რ ე (ჩამომიწერე), წ ა უ მ ი ლ ო, შ ა უ მ ი თ ვ ა ლ ა და მისთ.

აღმავალი დიფთონგის გაჩენას აქარულში ზოგიერთი მკვლევარი თურქული ენის გავლენას მიაწერს. იგულისხმება დიფთონგა, რომლის პირველ ელემენტს ე შეადგენს. საკმარისია დაუუკვირდეთა

1 თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, დასახ. შრ. გვ. 41.

2 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 104.

3 არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ... ტფ., 1936, გვ. 13.

4 ს. ქლენტი, მეგრულ-ქანური ვოკალიზმი: იკე, მე-4, 1953, გვ. 352.

აქარულის მონაცემებს, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ აღნიშნულის გარდა, მასში უ-თი დაწყებული დიფთონგებიცაა გავრცელებული

საკმაოდ ხშირია აქ უ-თი წარმოშობილი აღმავალი დიფთონგები.

მაგალითები ოა—უა—უა, ოე—უე—უე ფორმულის შესატყვისი აღმავალი დიფთონგებისა: ზულეაზა ხანუმი ყ უ ე ლ დ დ ე თითო ღერ თმას მეაწეკვდა და ლაჩაქი[ს] ყურში გამოკოჭავდა; ცავ, ყუროფ, შენ გებნევი, გეიქე და ერთი ღლია ბალახი მუტანე ხობ უ ე ფ, თ უ ა რ ა შიმშილით დეახოცვიან! მაგას რა გამუჟ ასტორებს, ეწრი[ს] ტურას?! მ უ ა ც ი ლ ვ ე მაი ხბო, გო, თ უ ა რ ა, ისე გამოწუწუნის, რომ ეანქსაც აღარ შატეცს! სამანს ('ბზეს') შურევთ მორჩვს, ცოტა მარილ მ უ ა პ ზ უ პ კ ა ვ თ, ქეტოს მ უ ა ყ რ ი თ, წ ა მ უ ა დ ზ უ ღ ე ფ თ და მეწუთელ საქონელს დუდგამთ.

აღსანიშნავია უ-ს ვ თანხმოვანში გადაზრდათ დიფთონგიზაციის საწინააღმდეგო მოვლენაც, დიფთონგის დაშლა: ეს პირველად შენიშნა და საგულისხმო ფაქტად მიიჩნია კ. კუბლაშვილმა<sup>1</sup>. ავტორი მაუთითებს, რომ იგი დასტურდება გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში. სახელდობრ, მაშინ, როცა უ ხმოვანსა და თანხმოვანს შორისაა მოქცეული. საანალიზო ფაქტებმა დაადასტურა ამ შემთხვევაში ხმოვანთაგან ა და ე, ხოლო თანხმოვანთაგან რ და ლ: დ ა ნ ა შ ა ვ ლ ი — დ ა ნ ა შ ა უ ლ ი — დ ა ნ ა შ ა უ ლ ი; ი ქ ა ვ რ ო ბ ა — ი ქ ა უ რ ო ბ ა; დ ა მ წ ყ ვ დ ე ვ უ ლ ი (sic! დამწყრეკელი" შ. ნ.) — დ ა მ წ ყ ვ დ ე უ ლ ი — დ ა მ წ ყ ვ დ ე უ ლ ი.

დიფთონგის დაშლის ეს პროცესი აქარულში, — ნათქვამია რქვე, — ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, რასაც ადასტურებს იმავე პოზიციაში უ-ს ხმარების არც ისე იშვიათი შემთხვევები: ა რ ჩ ე უ ლ ი, დ ე კ ე უ ლ ი, ი ქ ა უ რ ე ბ ი, დ ა ს ე უ ლ ი.

აღმავალი დიფთონგის ელემენტი (ა) აქ ვითარდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დისიმილაცია მოუღის პრევერბისეულ (ა, ო) ხმოვანს ფუძისეულ (ძირითადად ვნებითი გვარის ე პრეფიქსთან) ხმოვნებთან.

მაგ.: შ ა ე ჭ ე და მეგემ მარცხენა ღჯილი კიბილი, და დაჯანგული ქელფეთით ა მ ა ე გ ლ ი ჯ ა; გ ა მ ა ე ს ხ რ ი კ ა ამ გომფაკმა და ნაბუძგები ნაფუზრი[ს] ბოლოს მ უ ა ძ ე ბ ნ ი ა.

<sup>1</sup> დიფთონგიზაცია აქარულში: აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახ. პედინსტიტუტის შრ., XXIV. 1962, გვ. 247.

მაშასადამე, აქარულში მა, მე და მო დიფთონგები არ დგას განცალკევებით. თუ დავუშვებდით, რომ მა, მე, მო განვითარებულა თურქული ენის გავლენით, მაშინ აუხსნელი რჩება ჭა, ჭე დიფთონგთა წარმოშობა.

აღმავალი დიფთონგი ვითარდება ასევე -ობა სუფიქსით წარმოქმნილ სახელებთან ასეთ პოზიციაში: მ ა მ ა ო ბ ა (მამობა), დ ე დ ო ბ ა, ს ი ძ ო ბ ა, ნ ე ფ ო ბ ა.

აქ და ზემოთმოყვანილი (იხ. ა-სა და უ-ს ხმარების სხვა შემთხვევები: ლმანქერი, მასკლმაგი, როყმო, ლაგირი და სხვ.) მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იოტაციის ტენდენცია აქარულში უცილობელი ფაქტია. რაც თანაბრად მტკიცე კანონზომიერ საფუძველს ქმნის ორივე სახის დიფთონგის წარმოშობისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფაქტები სხვა დიალექტებშიც გვხვდება, ოღონდ ეს კია, რომ იოტაციის პროცესი ჭერ კიდეც ყველგან არაა დასრულებული. ასე მაგალითად, სავსებით ანალოგიური შემთხვევები დამოწმებული აქვს ო. კ ა ხ ა ძ ე ს იმერული კილოს ოკრიბული მეტყველების მასალათა საფუძველზე, იგი მიუთითებს შემდეგ მაგალითებს: შ ა ა ხ მ ა, შ ა ა გ ი ნ ა, შ ა ა ნ ტ ვ რ ი ა, შ ა ა ფ უ რ თ ხ ა, მ ჭ ა ყ ა რ ა, მ ჭ ა წ ე რ ა, მ ჭ ა რ თ ე ა<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნული მოვლენის შუა საფეხურის (ია, .იე, უა, უე) ღამადასტურებელი ფაქტები საკმაოდ ხშირია ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, მაგ. გურულში: შ ი ა დ ა რ ა, დ ი ე ს ი ზ მ ა, დ ი ე მ შ ვ ი დ ო ბ ა; წ ა მ უ ა რ დ ა, მ ო თ ხ უ ა, ხ ო ლ ო ო რ ჭ ე, შ ვ ი დ ჭ ე, ჩ ჭ ე ნ, თ ჭ ე ნ და სხვ. სიტყვებში გვაქვს აქარულისათვის დამანასიათებელი ბგერათკომპლექაები<sup>2</sup>.

მესხურში: გ ი ე პ ა რ ა; დ ი ე ლ ი ა; მ ი ე წ ო ნ ე ნ; გ ა მ ი ე გ ზ ა ე ნ ა, გ ა მ ი ე კ ი დ ნ ე ნ<sup>3</sup>.

ჯავახურში დ ი ე ბ ა დ ა, მ ი ე კ ლ ა, გ ი ე შ ი ნ ჯ ა<sup>4</sup>.

იმერხელში: შ ი ა ნ დ ო, შ ი ე ბ რ ა ლ ა, ჩ ა მ უ ე ლ ი თ, მ უ ა თ ა ვ ე თ<sup>5</sup>.

1 ო. კ ა ხ ა ძ ე, ოკრიბულის თავისებურებანი: იყ, მე-6, 1954, გვ. 169.

2 ს. ქ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 46, 51, 52 და 57.

3 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტი: ძიებანი, გვ. 134-135.

4 არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: ა. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედინსტიტუტის შრ., VII:1. 1950, გვ. 293.

5 მ ა რ ი, იმერხ. ტექსტები, გვ. 48-63.

რაკულში: მიეწყინა, გადიეგლო...<sup>1</sup>.

აღნიშნული მოვლენა მეტ-ნაკლებად გავრცელებულია აგრეთვე აღმოსავლურ დიალექტებში (ქართლური, გარე-კახური, მთიულური და სხვ.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასახელებული მოვლენა აჭარულში ბოლომდისაა მისული. მაშასადამე, აღმავალი დიფთონგის განვითარების საფუძველი ქართულ დიალექტებშივე გვაქვს.

ამრიგად, ამ შემთხვევაში სხვა რომელიმე ენის გავლენის საკითხი უნდა მოიხსნას. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვიტყვი, რომ ის უცხო წარმოშობის სიტყვები, სადაც დიფთონგი გვხვდება, ემორჩილება აჭარულისათვის (resp. ქართული ენისათვის) დამახასიათებელ წესს.

გარკვეულია, რომ „ნასესხობას — რა რაოდენობისაც არ უნდა იყოს იგი — არ შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს მსესხებელი ენის ბგერათსისტემაში“<sup>2</sup>. სპეციალურ ლიტერატურაში იმის შესახებაცაა მითითებული, რომ „მსესხებელი ენა თავისი მორფოლოგიური სისტემის შესაბამისად აფორმებს ნასესხებ მასალას“<sup>3</sup>.

8. 4. გ რ ძ ე ლ ი ხ მ ო ვ ნ ე ბ ი: ა, ე, უ, ი მიღებულია ორი იდენტური ხმოვნის შერწყმის შედეგად. ზანურის მსგავსად, ცხადია, აქ ბუნებრივი ანუ ისტორიული წარმოშობის გრძელი ხმოვნები არა გვაქვს, არამედ ხ მო ვ ა ნ თ ა პ ო ზ ი ც ი უ რ ი ს ი გ რ ძ ე მიღებულია ორი ერთნაირი ხმოვნის გაერთიანებით. ხ მო ვ ა ნ თ ა პ ო ზ ი ც ი უ რ ი ს ი გ რ ძ ი ს წარმოშობის საფუძველია ასიმილაცია. მაგ.: მ ა მ ი ს ი (←მამამისი←მამამისი); ა ფ ე რ ი (←ააფერი←არაფერი); დ უ წ ე რ ა (←დუუწერა←დოუწერა←დაუწერა); რ უ კ ა ვ (←რუუყავ←როუყავ←რა უყავ); ე თ რ ი ე (←ეეთრიე←აეთრიე); ე ტ ო ლ ო შ ი ნ ე ბ ა (←ეეტოლოშინება←აეტოლოშინება); ვ ე ფ ე რ ი (←ვეეფერი←ვერაფერი); ნ უ ფ ე რ ი.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად ასეთი ვითარებაა სვანურშიც, სადაც „გვაქვს პოზიციით გამოწვეული სიგრძე ხმოვნისა. ამდენად ხმოვანთა სიგრძე სვანურში, — ამბობს ს. ელენტი, — არა ფონოლოგიურია, არამედ ფონეტიკური“.

აჭარულში გრძელი ხმოვნების შესახებ მსჯელობს შ. ძიძიგური. ავტორი ი-ს მიღებულად თვლის კონტაქტური ასიმილაციის

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, მთარაკული: ძიებანი..., გვ. 187.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები, 1949, გვ. 246.

<sup>3</sup> არს. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 246.



გზით (ი+ი: წილო, ვიქნია და პარალელურად გრძელი ხმოვანი: ი+ი=ე: გექნია...) პრევერბის ხმოვნით ნაწილსა და ქცევის ნიშან ი-ს შორის. გრძელი ი-ს მიღების დასახელებულ პროცესს უნდა დაემატოს სხვა გზაც; სახელდობრ, იგი ვითარდება სიტყვის ფუძეში რ- თანხმოვნის გაუჩინარების შედეგად; რ-ს აქ გარკვეულ პოზიციასში ახასიათებს პალატალიზაცია, რომელიც ხშირად ისე შორს მიდის, რომ ბოლოსდაბოლოს სრულიად ქრება. მაგრამ გაუჩინარება როდი ჩაივლის უკომპენსაციოდ; ამა თუ იმ ხმოვანთან (მეტწილად მომდევნო პოზიციასში) შერწყმის შედეგად ხდება მისი ეოკალიზაცია. ამ გზით იქმნება საფუძველი გრძელი ხმოვნების -ნ-სა და ე-ს განვითარებისა. ქვემოთ წარმოდგენილი იქნება საილუსტრაციო მაგალითები: ს ე [რ] ც ხ ე ი ლ ი შ ე ნ ი, თ ი თ ი [ს] ს ი გ ძ ე ბ ა ლ - ხ ა მ რ ა ფ ე რ დ ა გ ა კ ე რ ც ხ ა, ჰ რ ე ?! რ უ მ გ ი გ ი ნ ა თ ე ფ ყ უ [რ] ი [ს] ძ რ - შ ი, ვ ე ღ ნ [რ] ც მი ც ნო! ც ე ც ზ ლ ე ფ ყ რ ისო, გ ე გ ო ნ ე ბ ო ღ ა, ის თ ე დ შ ყ ნ ი მ ი ზ დ ა თ ვ ა ლ ე ბ ი; მ ა გ ბ ე ზ ი რ გ ა ნ [ს] ე თ ი ვ ო გ ო შ ვ ი ლ ი დ ა ე თ ი ც ბ ო ვ შ ი ხ ყ ა ვ დ ა; ა რ მ ო კ წ ყ ი ნ დ ა მ ა მ ც ა მ დ ე ნ ი ს ნ ბ ი ლ ი, ს კ მ ა - გ ლ ა ?! ე ც ხ ვ ა (ეროსხვა—ერთის სხვა 'ერთის გარდა, ამის გარდა'): ე ც ხ ვ ა ა ლ არ ქ ნ ა, თ უ ა რ ა ყ უ რ ე ფ შ ა გ ა ფ რ ე წ! ჰ ო, შ ე ნ ი ჰ ი მ ე, დ ა... ი მ ა გ ე ბ ნ ე ვ ო ღ ი, რ ო მ...!

ამრიგად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გრძელი ხმოვნის ე-ს განვითარების ერთ-ერთი საფუძველია რ-ს გაუჩინარება ხმოვნის მომდევნო პოზიციასში. დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ აჭარულში, კერძოდ ქვემოაჭარულში, სონორ რ-ს ახასიათებს განსაკუთრებული სისუსტე-სირბილე. მისი წარმოთქმა აქ ხშირად უჭირთ. ასე რომ, იგი ადგილობრივი მკვიდრის მეტყველებაში ან სრულიად იკარგება, ან უკეთეს შემთხვევაში ძალზე შერბილებულია, პალატალიზებულია.

3. 5. ჯ და ყ. ჯ-ს შესატყვისი „ნეიტრალური“ ხმოვანი აჭარულში იშვიათ შემთხვევაში დასტურდება. იგი ფიქსირებულია მხოლოდ ზემოაჭარის რამდენიმე სოფელში: ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში. ამ ბგერას გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ასე ახასიათებს: ჯ ნეიტრალური, ირაციონალური ბგერაა, იგი ფიზიოლოგიურ-აკუსტიკურად შუა რიგის ხმოვნად მიიჩნევა<sup>2</sup>. სვანურში თავშეყრილ თანხმოვანთა

<sup>1</sup> შლრ. ჰან. კიბიი//კიბირი (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანური ტექსტები. ხოფუ-რი, გვ. 159).

<sup>2</sup> გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველ., 1949. გვ. 66.

შუა ჩაერთვის ნეიტრალური ხმოვანი *ე*: ხენსგა „ნახევარი“ კვლდე<sup>1</sup> — კვლდე, კვრელ-კვრელი და ა. შ.<sup>2</sup>

ქართული დიალექტებიდან *ე* ჩავახურში დადასტურებულია თურქულიდან და თურქულის გზით შემოსულ სიტყვებში<sup>3</sup>. ქართველური ენებიდან *ე* სვანურის გარდა იხმარება ქანურ-მეგრულში, კერძოდ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოკავში<sup>4</sup>.

აქარულში (კერძოდ ზემოაქარულ კილოკავში) ნეიტრალური<sup>5</sup> ხმოვანი *ე* მ. ხ უ ბ უ ა ს ორიოდე მაგალითში აქვს შენიშნული. მკვლევარი ამ ბგერის (მისი გამოთქმით: გაურკვეველი ბგერის) გაჩენის მიზეზად თვლის მიჯრით თანხმოვანთა კომპლექსს სიტყვაში. ავტორი სხვა შემთხვევაში *ე*-ს გაჩენის ფაქტორად ასახელებს ორი სიტყვის ერთბაში აღქმის დროს მომდევნო „უნდა“ ნაწილაკა თავკიდური უ-ს დავიწროებას, რომელიც ტოვებს კვალს *ე*-ს სახით<sup>5</sup>.

აქარულში *ე* ჩნდება ისეთ სიტყვაში, რომელშიაც თანხმოვნები თავმოყრილი და სადაც არ იქმნება ქართული ენისათვის დამახასიათებელი ჰარმონიული კომპლექსები; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იქმნება აქცესიური ბგერათკომპლექსები, რომელთა წარმოთქმის გასაადვილებლად *ე* გამოდიხს სუპერაციისათვის, მაგ.: ღ რ ე მ ა ნ ი (ტობ. სახ.); ღ ო რ ჯ ე მ ე ლ ო (ფრაზაში: ო რ ა ღ ო რ ჯ ე მ ე ლ ი იყო... მ. ხ უ ბ უ ა, დასახ. შრ., გვ. 28); კიდევ უფრო გამოკვეთილად აღიქმება *ე* ბგერა რიცხვით სახელში ც ხ ე რ ა. განსაკუთრებით კარგად ისმის ეს ბგერა დათვლის დროს: ექუსი //ექსი/, შვიდი, რუა, //რუა/, ც ხ ე რ ა<sup>6</sup>.

<sup>1</sup> შდრ. ავ. კილდე.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. შრ. გვ. 223.

<sup>3</sup> გ. ბერიძე, ქართული ენის ჩავახური კილო: პაცნე, 6, 1970, გვ. 235; შდრ. მესხ. ბეზულაბაძევი (ი. მაისურაძე, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები მესხურში, თბ., 1942).

<sup>4</sup> Н. Кипшидзе, Грамматика мингрельского (ингерского) языка с хрестоматией и словарем. С-Петербург, 1914, გვ. 39<sup>22</sup>, 57<sup>2</sup>.

<sup>5</sup> მ. ხ უ ბ უ ა, ზემოაქარის ენობრივი მიმოხილვა, 1932, გვ. 7.

<sup>6</sup> სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებულია ქართ. ცხრა, მეგრ.-ქან. ჩხორა, სვან. ჩხარა და წამოყენებულია ასეთი ვარაუდი: „ქართველურ ენათა ერთიანობის ეპოქაში უნდა გვექონოდა როგორც \*ცხრა, ისე \*ცხრა ფორმები დიალექტური არეალებისა მიხედვით. კერძოდ ზანურ-სვანური არეალისათვის ამოსავლად \*ცხრა ფორმა უნდა ვივარაუდოთ მარკველიანი [\*რ] ელემენტით ≡ C—V პოზიციაში. განვითარება \*ცხრა—ჩხარა სვანურში, როგორც ჩანს, ბოლოკიდური ას გაელენას მიეწერება, რომლის ტემპრმა განსაზღვრა [\*რ] ელემენტის მარკველიანობის ხარჯზე წარმოქმნილი მეორეული ხმოვნის ტემპრი“ (თ. გამყრელიძე, გ. მაკაველიანი, დასახ. შრ. გვ. 111-112).

აქართლში ქიბილი-ს პარალელურად გვხვდება ქ ე ბ ი ლ ი -კ.  
8. 6. ე (ხორხისმიერი ხშულმსკდომი) ბგერა ქართველურ ენა-  
თავან, როგორც ცნობილია, ზანურს ახასიათებს. ქართული ენის  
დიალექტებიდან შეინიშნება თუშურში, ინგილოურში, იშვიათ შემ-  
თხვევაში — ხევსურულში და კახურში. ზანურში ე ხმოვნების წინ  
ყ-ს ადგილს იქერს, ზოგჯერ ვ-ს წინაც გვხვდება<sup>1</sup>, ხოლო თუშურ-  
ში იგი ძირითადად ერთმანეთისაგან ყოფს პრევერბისეულ ხმოვანსა  
და გვარის ან ქცევის საწარმოებელ ხმოვანს.

ე ასევე, ზოგიერთი ხმოვნის მაგარი შემართვის შედეგსაც წარ-  
მოადგენს. იგი ფართოდ გავრცელდა და მტკიცედ ჩამოყალიბდა  
ცალკე ფონემად თუშურში<sup>2</sup>.

ინგილოურში ე ჩნდება ფონეტიკურ ნიადაგზე<sup>3</sup>.

აქართლში იგი გვხვდება უმთავრესად შორისდებულებსა და  
ჩვენებით ნაცვალსახელებში და წარმოადგენს ანლაუტში ზოგიერ-  
თი ხმოვნის მაგარი შემართვის შედეგს. ასევე, შეინიშნება უარყო-  
ფით მიგებით ნაწილაკებთან და ვითარდება ისეთ შემთხვევაში, რო-  
ცა სამწუხარო გაკვირვება ან დაჟინებული აკრძალვა სურათ გად-  
მოსცენ. შენიშნულია ისიც, რომ ე ბგერა აქ უპირატესად ინტონა-  
ციურ ნიადაგზე ვითარდება ხმოვნების წინ მაგარი შემართვის შე-  
დეგად. მაგ.: ე ე ჰ, რა დღეები მქონდა, შენითანა ფეზემენგები წელ-  
ზემთაც რომ ვერ შემხედვადენ?! ე ე ჰ, მე ისიც კარქა მახსავს,  
ერთი ნაგვეხი ჭადიც რომ მოსანატრებლად ქვექონდა! ე ო ა. შენ არ  
გაჟმიწყდი, რაფერ ვორთხავს, გო! ე ა ჰ, არ გადახტე, არ შეაშალო,  
ქო! ე ე ჰ, რამითხანია აღნ მითევზნია, ზექერიავ! ე ე რამითათა  
ბიძავ? ე ა ბ ა, გავში ქალი, ხუსიკავ, ჰო?! ე ე [რ] თი უყურე ამას!

ე გვხვდება უცხოური (არაბულ-თურქული) წარმოშობის სიტყ-  
ვებში, სადაც ადგილი აქვს აინიზებულ ხმოვანთა (resd. დასახელე-  
ბულ ენებში ე-ის როგორც ფონემის) გამარტივების ტენდენციას.  
ვერ ვიტყვი, რომ აქართლში ე ზოგჯერ ზუსტად ყ-ის აქუსტიკურ  
შთაბეჭდილებას არ ტოვებდეს ისეთ სიტყვებში, სადაც ეს უკანას-  
კნელი ფონოლოგიურად სიტყვის შემადგენელ ბგერას წარმოად-  
გენს. მაგალითად ე ა ბ დ უ ლ ა ა, ე ი ს ა ა (საკუთარი სახელებია),  
ე ე მ ი ა ა (მამით ბიძა) და სხვა.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 20-21.

<sup>2</sup> თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 7; მისივე, ქართული  
ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966, გვ. 36.

<sup>3</sup> გრ. იმნაიშვილი, დასახ. შრ., გვ. 19.

ასე რომ, საფუძველს არ იქნება მოკლებული, აჭარულში მ-ს ასეთი გავრცელებულობა რამდენადმე უცხო ენებისა და ქანურის (სადაც ფართოდ იყენებენ მ-ს) ხანგრძლივ გავლენას მივაწეროთ.

8. გემინატი. ცნობილია, რომ ქართულს ფუძისეულ თანხმოვანთა გემინაცია არ ახასიათებს. ეს წესი ვრცელდება ნა-სესხებ სიტყვებზეც. ასეთ შემთხვევაში გემინატი ჩვეულებრივ გამარტივებულია — გარმაგებული თანხმოვანი თითო ბგერითაა წარმოდგენილი (მაგ. არაბ. წარმოშობის **مَدِينَة** [კუვეათ] 'ძალა' ქართულში ტრანსფორმირებულია **მუთი, მუთიანი, მაღა** [ჯალანდ] 'ჯალათი' და მისთ.); ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს აჭარული, რომელშიც უცხო წარმოშობის სიტყვებთან გემინაცია

დაცულია ყოველ პოზიციაში. მაგ.: არაბ. წარმოშობის სიტყვა **مَدِينَة** [მუა' შინ] აჭარულში დამკვიდრდა **მუეზინი-ის** სახით (მდრ. ქართ. მუეძინი), სპარს. **مَل** [ქალლე] 'თავი' აჭარულში ქელ-ელ-ის სახით (მდრ. ავ. ქელლე შექერი, ლიტ. ქალა, თაშაქალა) და სხვა<sup>1</sup>.

## ფონეტიკური მოვლენები

აჭარული ხასიათდება მრავალფეროვანი და საინტერესო ბგერითი ცვლილებებით. ამ მხრივ იგი ძირითადად დასავლურ დიალექტთა ჯგუფს განეკუთვნება. მაგრამ სხვა დიალექტებთან საერთო მოვლენების გარდა აქ გვხვდება ისეთი პროცესები, რომლებიც გამოჰყოფს მას სხვა კილო-თქმებისაგან და დამოუკიდებელ ადგილს მიუჩენს.

## ასიმილაცია

8. ასიმილაცია საკმაოდ გავრცელებულია. დადასტურებულია როგორც ხმოვანთა ისე თანხმოვანთა ასიმილაცია. ხმოვანთა სრული ასიმილაცია ხდება უმთავრესად ზმნის ფორმებში. აღსანიშნავია, რომ ბგერათა ერთნაირ განლაგებაში შეიქლება ადგილი ჰქონდეს ზოგან სრულ ასიმილაციას, ზოგან ნაწილობრივს. იშვიათად არც უასიმილაციო ფორმებია გამოირიცხული.

<sup>1</sup> უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ (თურქიზმები. „გემინირებულ თანხმოვანთა გადმოცემა“).

ხმოვანთა ასიმილაცია უპირატესად გავრცელებულია ბგერათა ისეთ კომპლექსებთან, რომლებიც მიიღება პრევერბისეულ ა, ე, ო, ი ხმოვნებთან ქცევის ა, ი, უ და გვარის ი, ე ნიშანთა შეხვედრისას. ა-ეთ შემთხვევაში ხმოვანთა ცვლილებას იწვევს როგორც ნაწილობრივი ისე სრული ასიმილაცია. ამასთან დაკავშირებით გ. ახვლედიანი აღნიშნავს: „უფრო ძლიერაა გავრცელებული პრევერბისეული ა-ფონემის ისე როგორც ყველა, სხვა პრევერბისეული ხმოვნის — სახეცვალება, ვიდრე ფუძისეულისა, — მეტადრე დასაფლურ კილოებში“<sup>1</sup>.

მაასიმილებელ ხმოვანთაგან აქ განსაკუთრებულ ძალას იჩენს უ, რომელიც სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ ა, ე, ო და ი ხმოვნებს; სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული ორი იდენტური ხმოვანი (უ) შეერწყმის ერთმანეთს და იქმნება გრძელი უ-ს შთაბეჭდილება.

ხსენებულ ხმოვანთა ასიმილაცია ასე გამოიხატება: აუ → ოუ → — უუ → უ: უ შე ე ნ ა / — უუ შე ნ ა — ოუ შე ნ ა — აუ შე ნ ა).

ასიმილაცია მიმართულების მიხედვით რეგრესულია, პოზიციის მიხედვით — კონტაქტური, შედეგის მიხედვით კი — სრული.

ამ სახის ასიმილაცია მოქმედია რთულ პრევერბებთანაც, ოღონდ პოზიციის მიხედვით ადგილი აქვს როგორც ახლოურ, ისე შორეულ ასიმილაციას. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, კონტაქტურ განლაგებაში ასიმილირებული და გამვლენელი უ ხმოვნების შერწყმით აქაც მივიღებთ გრძელ უ-ს; მაგ.: გ უ დ უ რ ი ა (← გუდუურია ← გადოურია ← გადაურია).

ასიმილაცია სრულია იუ კომპლექსშიც. იგი მიიღება ჰი ზმნის-წინის დართვით უ ხმოვნით დაწყებულ ფუძეზე; მ უ გ ზ ა ნ ე (← მუუგზანე ← მიუგზანე ← მივუგზანე); მ უ ყ ვ ა ნ ი ა — მ უ უ ყ ვ ა ნ ი ა — მიუყვანია).

პრევერბისეულ ა, ო-სა და ფუძისეულ (ფორმანტისეულ) ე ხმოვანს შორის ასიმილაცია აქაც, ჩვეულებრივ, სრულია. იგი გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

აე → ეე (→ // ე), ოე → ეე (→ // ე)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 284.

<sup>2</sup> აე-ეე-ს პროცესს კ. კუბლაშვილი საესეებით სამართლიანად ასე ხსნის: ე იმსგავსებს ა-ს ლიაობის მიხედვით, ასევე, წარმოების ადგილის მიხედვითაც: ნეიტრალური მდგომარეობის ხმოვანს აქცევის წინა არტიკულაციის ხმოვ-

ასიმილაცია რეგრესულია, სრული და კონტაქტური: ეტოლოშინე (← ეეტოლოშინე ← აეტოლოშინე); გადმეწყო (← გადმეწყო ← გადმოეწყო).

აღსანიშნავია, რომ აჭარულში, ისე როგორც ქართული ენის რიგ დიალექტებში გადა ზმნისწინის ორივე ხმოვანი (ა—ა), ჩვეულებრივ, ასიმილირებულია ფუძისეული ხმოვნის მიერ. გედეცი დით, გედეცი დენ (მაგრამ: შდრ. გელიეკიდენ).

ანალოგიური ვითარებაა, როცა გამკლენელ ბგერად ფუძეში იმოვანია: გედეცი ცვალა, გედეცი ბარგა.

ქართული ენის დიალექტებში, — წერს ივ. ქავთარაძე, — თითქმის თანაბრად არის გავრცელებული რეგრესული ასიმილაცია აე კომპლექსებში: აე→ეე. ეს პროცესი უშუალო მეზობლობის დროს საუბრის ენაში თითქმის უგამოწიკისა<sup>1</sup>.

აჭარულისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს პრევერბისეულ (ა, ე) და სასხვისო ქცევის ნიშნის (ი) ხმოვანთა სრული ასიმილაცია, როცა მათ შორის ობიექტური პრეფიქსებია. ასე რომ I და II ობიექტური პირის ნიშნები მ, გ, გვ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ქმნის ამ ცვლილებისათვის. მათი მომდევნო ი იმსგავსებს ზემოდანსახელებულ ა, ე პრევერბისეულ ხმოვნებს და ადგილი აქვს დისტანციურ ასიმილაციას.

აჭარულსა და ქვემოიმერულის სამტრედიულ თქმაში, — შენიშნავს კ. კუბლაშვილი, — ხშირად დასტურდება სრული ასიმილაციის შედეგად მიღებული იი; პირველში მაშინ, როცა ასიმილაცია დისტანციურია, ხოლო მეორეში მაშინ, როცა ასიმილაცია კონტაქტურია.

აჭარულში, — ნათქვამია იქვე, — სრულ ასიმილაციას იწვევს მხოლოდ სასხვისო ქცევის ი და არასოდეს სათავისო ქცევის ან ვნებითის ი; ქვემოიმერულის სამტრედიულ თქმაში კი, პირიქით, მაასიმილებელია სწორედ ეს უკანასკნელი, ამიტომ, ბუნებრივია, თუ სრული ასიმილაცია აჭარულში მხოლოდ არა უშუალო მეზობლობაში ხდება<sup>2</sup>.

#### მაგალითები:

ნად. ე უპირისპირდება ა-ს სწორედ ამ ორი ნიშნით, ამიტომ ორივე ამ დაპირისპირებულობის ერთდროული მოშლა, ცხადია, შედეგის მიხედვით სრულ ასიმილაციას გამოიწვევს (იხ. მისი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში: ქუთაისის სახელმწ. პედინსტ. შრ., ტ. 19, გვ. 224).

<sup>1</sup> ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის მე-12 და მე-18 სს. 1, თბ., 1964, გვ. 284.

<sup>2</sup> იხ. მისი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, გვ. 241.

ა+ი→ი — ი: იმიშენა (—ამიშენა), იგიშენა (—აგიშენა), იგვიშენა (—აგვიშენა)...

გა+ი→გი — ი: გიმიგზა [ვ]ნა, ჩა+ი→ჩი — ი: ჩიმიკალბა; წა+ი→წი — ი: წიმიწერა; გადა+ი→გადი — ი: გიდიმიზიდა; შე+ი→ში — ი: შიმიშევა.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს მაშინაც, როცა შ, გ, ვ პრეფიქსები აცალკევებს ზმნისწინისეულ ა-ს მომდევნო ე-საგან, მაგ.: დემეხსენ, წემეკინდლა.

შე პრევერბისეული ხმოვნის ზმნის ფუძის თავკიდურა ა ხმოვანთან შეხვედრით მიღებულ ვა კომპლექსშიც ადგილი აქვს სრულ ასიმილაციას. იგი როგორც კონტაქტური, ისე დისტანციურია. ყურეფ შაგაფრეწ!

შესაძლებელია ჩვენ საქმე გვქონდეს შე- ზმნისწინის შა- სახეობასთან. შდრ. შავირთავ; ოზდახუთის რომ შავიქენ. ბელჩიკას მოვკიდე ხელი.

როგორც ცნობილია, ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებს ახასიათებს შა ზმნისწინი; ასე მაგალითად, ხევსურულმა შე ზმნისწინი არ იცის, გვაქვს მხოლოდ შა: „... შავსვი თქვენის გამარჯვებისა (გაბ., 126,23); შახახებს ღმერთს (გაბ., 121,5); შაგენაცვლაო (ეთნ. III, 39,1)!

კ. კუბლაშვილის აზრით, შე პრევერბის ხმოვანი ელემენტის ცვლილება არასიმილაციურ გარემოში გამოწვეული უნდა იყოს ანალოგიის ძალით<sup>2</sup>.

ასიმილაციასთან უნდა გვქონდეს საქმე სხვა პრევერბებთანაც. სახელდობრ, გა, ჩა, წა ზმნისწინთა ა ხმოვანი ისეთ ბგერობრივ პოზიციაშიც „ასიმილირდება», სადაც საამისოდ არაერთარი საფუძველი არ არსებობს: გევა (←გავა); წევა (←წავა); ჩედი (←ჩადი), თუმცა არ იქნება საფუძველს მოკლებული, ეს ენობრივ ფაქტი უფრო ანალოგიას რომ მივაწეროთ.

## ასიმილაცია ან კომალექსუ

8. 9. ქართული ენის დასავლური კილოებისათვის ნიშანდობლივი მასიმილირებელი ა ხმოვანი ზემოაღნიშნული თავისებურების გარდა სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. იგი მაშინაც იმსგავ-

<sup>1</sup> ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1962, გვ. 94-95.

<sup>2</sup> კ. კუბლაშვილი, დასახ. შრ., გვ. 250.

სებს ზმნისწინის ა-ს, როცა I სუბ. პირის ნიშანი ყოფს გამვლენელ სასიმილაციო ხმოვნებს (ე ვ [ი] ზ ა რ დე, გ ე ვ [ი] ქ ე ც ი, ჩ ე ვ [ი] ბ ა რ გ ე), მაგრამ პროცესი აქ არ წყდება, გამვლენელი ფუძისეული ი ხმოვანი პრევერბისეული ხმოვნის დამსგავსების შემდეგ სრულიად ქრება: ე ვ შ ე ნ ე (←ევიშენე←ავიშენე); გ ე ვ ბ ე ჩ ე; დ ე ვ პ შ ე ნ; ჩ ე ვ წ ე რ ე.

აღნიშნული ცვლილება ხდება რთულ პრევერბებშიც, მაგ.: ა მ ე ვ გ ლ ი ჯ ე (←ამევიგლიჯე←ამოვიგლიჯე 'ამოვითხარე'); გ ა მ ე ვ ე ძ ა ხ ე; ჩ ა მ ე ვ ტ ა ნ ე; წ ა მ ე ვ კ ი დ ე.

აჭარულის სპეციფიკურ მოვლენად ითვლება „ვიდა“ ზმნასთან დაკავშირებული ბგერათცვლილება. როგორც ცნობილია, ქართულში ძირის ხმოვანი (ამ შემთხვევაში ი), საზოგადოდ, გავლენას ვერ ახდენს პრევერბისეულ ხმოვნებზე. ერთადერთი შემთხვევაა, როცა ძირისეული ხმოვანი (არაუშუალო მეზობლობაში) მოქმედებს პრევერბის ხმოვანზე; მ ო ვ ი დ ა ზმნა ქართული ენის დასავლურ კილოებში მ ე ვ ი დ ა-ს ფორმითაა წარმოდგენილი (სადაც ი-ს გაჰ-ა ო ხმოვანი ე-დ არის ქცეული).

ასიმილაციის ამ ტიპსაც აჭარულში ახლავს ერთგვარი თავისებურება: ვ ი დ ა ფუძის ძირისეული ი გავლენას ახდენს მხოლოდ ა (პრევერბის) ხმოვანზე, ვერ იმსგავსებს ზმნისწინის ო (←მო)-ს, მაგრამ ორსავე შემთხვევაში უკვალოდ ამოვარდება ვ ი დ ა ძირიდან; მაგ.: მ ო ვ დ ა (და არა: მევიდა), წ ე ვ დ ა (და არა: წევიდა), შ ე ვ დ ა (და არა: შევიდა); ჩ ე ვ დ ა, გ ე დ ე ვ დ ა, ჩ ა მ ო ვ დ ა, გ ა დ მ ო ვ დ ა...

### პრევერბისეულ ხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია

8. 10. ხმოვანთა ნაწილობრივ ასიმილაციას ზემოთაღნიშნულ შემთხვევებს გარდა ადგილი აქვს პრევერბისეულ და ქცევის ნიშნის ან (უფრო იშვიათად) ძირის ხმოვნებს შორის. მაასიმილებელ ხმოვნად გვევლინება ი, რომელიც ავიწროებს ზმნისწინთა (ა, ო) ფართო ხმოვნებს, რის შედეგად ა, ო→ე-ს<sup>1</sup>. გ ე ა ქ ც ა დეაწყეს, მეატანა, ჩამეაწია.

ზემოაჭარულში არის ნაწილობრივი ასიმილაციის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ადგილი აქვს ასიმილაციას ზმნისწინისეულ ა ხმო-

<sup>1</sup> პროცესი აქ არ თავდება, ასიმილაციის შედეგად მალებული ე თვითვე ახდენს გავლენას ი-ზე და ა-მდე ასუსტებს მას (იხ. ზემოთ „დიფთონგიზაცია“).



ვანსა და ქცევის ნიშანს (უ) შორის, მაგრამ იგი, უნდა შეენიშნოთ, სპორადულია, ხოლო ქვემოაქარულში საერთოდ არ გვხვდება.

აუ → ოუ.

უ-სთან მეზობლობაში, როგორც ცნობილია, ვიწროვდება ზმნისწინის ა და გვაძლევს ო-ს. ასიმილაცია რეგრესულია და ნაწილობრივი:<sup>1</sup> გოუმკლავდა, დოუმინა.

## ხმოვანთა ასიმილაცია სახელეზოში

8. 11. ხმოვანთა სრული ასიმილაცია იშვიათად შეინიშნება სახელეზოშიც: დო დო ფა ლი, დო დო ფ ლი ქ ი პ ა ა (მცენარეა 'ქათმის კუჭა'), პ ა რ ა ნ გ ი (ზ.—აჯ.), რ ე მ ე ლ ი, ო ზ ო, დ ო ხ ო მ ო ზ ი კ ა, ბ ო დ ო ყ რ ო, ს ი მ ი ქ კ ა, პ რ ო კ ო ლ ო ვ ი, რ ა მ ა ტ ი ზ მ ა, ფ ო მ ფ ო (ფომფლე) და სხვ.

## თანხმოვნის გავლენა ხმოვანზე

8. 12. გვხვდება ბგერათა ცვლილების ერთი შემთხვევა, როცა მ გავლენას ახდენს ხმოვანზე. რიგ სახელთა თუ ზმნურ ფორმათა ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ლაბიალური ო ხმოვანი ნაზალურ მ-სთან მეზობლობაში ხშირ შემთხვევაში იმავე რიგის უ ხმოვნად იქცევა. ამასთან ერთად მ-ს გავლენა ო ხმოვანზე ცხადად შესამჩნევი ფაქტი აღმოჩნდება გამვლენელი თანხმოვნის ყოველგვარ პოზიციაში; ს ა ნ დ უ მ ი ა ნ ი, უ ს ა ნ დ უ მ ო, ჩ ა დ გ უ მ ა: ი ნ ა დ შ ი ჩ ა დ გ უ მ ა ('ჯიბრში ჩადგომა'), ა ა ლ უ ლ შ ი ჩ ა დ გ უ მ ა ('სამსახურში ჩადგომა'), დ ა ე დ უ მ ლ ე ბ ა ('დასმა', 'დაჭენა'). ნ ა მ უ ნ ა ს ტ რ ე ვ ი (სოფლის სახელი ქვემო აქარაში), კ ა მ უ ტ ი (რუს. комод), ზ უ მ ა (||ზმანა 'ზომა'), ტ ო რ მ უ ზ ი (რუს. тормос), რ უ მ (||რუმე, რუმენ), ხ უ მ<sup>2</sup> ყ უ მ ა რ ი (შდრ. ყომარი).

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, საფუძვლ. გვ. 118: Быховская С. „Некоторые фонетические особенности нижненмерского говора грузинского языка: ЯС“ Ленинград. 1931, გვ. 60, შ. ძიძიგური, ძიებ... გვ. 139. მარი, დასახ. შრ. გვ. 80.

<sup>2</sup> შდრ. რ უ მ, ჰ უ მ (მ. ჭანაშვილი, სანგილო: ძვ. საქართველო, II, გვ. 192 და 199); ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი: იყე, ტ. VI, თბ., 1954. გვ. 169; რ უ მ, ხ უ მ გვხვდება გურულშიც (ს. ჟღენტი, გურული ენა, გვ. 53), ს. ჟღენტი იქვე შენიშნავს, რომ ეს მოვლენა აქარულისა და

ეხება რა ო უ ხმოვანთა მონაცვლეობის საკითხს, ივ. ქ ა ვ თ ა - რ ა ძ ე შენიშნავს: ხმოვანმონაცვლეობის შემთხვევებიდან გავრცელებულია აგრეთვე ო და უ ხმოვნების ერთმანეთის ადგილას ხმარება. მაგრამ აქ ჭერ უნდა გამოიყოს კოარტიკულაციით გამოწვეული ცვლილებები, როცა უ-ს წარმოქმნის პროცესი გამოიწვია ბაგისმიერ სშულ თანხმოვანთა და თვით ფუძისიული უ-ს გავლენამ, პროგრესულმა ან რეგრესულმა ასიმილაციამ. სხვა მაგალითებთან ერთად იქვე დამოწმებულია ყ უ მ ა რ ი ს თამაშობა (შდრ. ყო მ ა რ ბ ა ზ ო ბ ა) .

არსებითად ასეთსავე ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე მ უ მ რ ა ო ბ ა - შ ი ც ('მოურაობა'), ოღონდ აქ სხვა ფონეტიკური მოვლენებიც (ბგერის განვითარება, სუბსტიტუცია) უნდა ლებულობდნენ მონაწილეობას. ადვილად შეინიშნება ეს მოვლენები პროცესის გრადაციაში: მ ო უ რ ა ო ბ ა → მ ო უ რ ა ო ბ ა → მ ო ვ რ ა ო ბ ა → მ ო მ რ ა ო ბ ა → მ უ მ რ ა ო ბ ა.

რ უ ა რ (←რომ არ...), ხ უ ა რ (←ხომ არ...) და სხვა.

### თანხმოვანთა ასიმილაცია

§. 13. თანხმოვანთა ასიმილაციის არაერთი შემთხვევა იქნა დადასტურებული. ამ სახის ბგერათცვლილებიდან ქართული ენის სხვა კილო-თქმათა მსგავსად აქაც უპირატესად რეკრესული ასიმილაციაა გავრცელებული. ბგერათა დამსგავსება, ჩვეულებრივ, წარნობებს ფიზიოლოგიური თუ აკუსტიკური თვისებების მიხედვით. რეგრესულ ასიმილაციას უშუალო მეზობლაობაში ადგილი აქვს უმკოვრესად ბაგისმიერ და წინაენისმიერ თანხმოვნებში.

### სრული რეგრესული ასიმილაცია

§. 14. ღტ→ტტ: კ უ ტ ტ ა ნ ტ რ უ ქ ა ე ('ბოლოქანქარა'); ორი სიტყვის მიჯნაზე მომდევნო სიტყვის თავკიდური ბგერა შიშინა შ

მესხურისთვისაა უფრო დამახასიათებელი; ამავე რიგისა უნდა იყოს ზემოაქართულში გავრცელებული ტ უ მ ა რ ა (გამოცანაში: ტუ-ტუ ტ უ მ ა რ ა, სახელს ეტყევა, გვარს არა); ო ხმოვანი ვიწროვდება სხვა ბგერათა მეზობლადაც. შ უ - ფ ე რ ი, დ ა ზ უ ქ ე ი ლ ი, პ ა წ უ ა ნ ე ბ ი ('პაწაწები', 'პატარები'), ე ნ უ ა ნ ი, ფ ე - რ უ ა ნ ი და სხვა.

<sup>1</sup> შდრ. სუბსტიტუციური ცვლილებით მიღებული ფორმები: ე მ ს ო ბ ო დ ა (ეესებოდა — თვალები), გ ა მ ო მ ლ ი ხ ა ნ (გამოვლისას, აქეთობისას), ა მ ლ ე - ბ ი ე ფ ს (ავლებინებს).

სრულად იმსგავსებს წინამდებარე სიტყვის ბოლიკიდურ სისინა ს-ს და სშ—შშ: რ ა შ შ ო ბ ი ('რას შერები'), თ ა ვ შ შ ა ვ ა კ ლ ა ვ.

თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის სხვა მაგალითები: სქ—შქ: შ ქ ი რ დ ე ბ ა, სჭ—შჭ: დ ა შ ჯ ა, შ ა შ ჯ ე ლ ი (||სარჯული); სჩ—შჩ: შ ე შ ჩ ი ე ლ ა...

როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რეგრესული ასიმილაციის პროცესში ასიმილატორის როლში გამოდის როგორც მეღერი (ჭ), ისე ყრუ (მკვეთრი და ფშინვიერი ქ. ჩ) აფრიკატები. დასახელებული ბგერების წინ ასიმილაციის შედეგად ს-ს შ-დ გადაქცევა დამახასიათებელი იყო ძველი სალიტერატურო ქართულისათვის. პართალია, ახალ ქართულში ტრადიცია აღარ გაგრძელდა, მაგრამ ამ ტიპის ასიმილაციური ბგერათცვლილებანი დიალექტებმა შემონახა. აქარულიც ამ მხრივ სხვა დიალექტების ტრადიციას აგრძელებს.

O<sub>2</sub> გ მომდევნო ყრუ ბგერებთან მეზობლობაში დაყრუების შედეგად აბრუპტივთან (კ) გვაძლევს კ-ს, ყრუ ფშინვიერთან (ქ) კი — ქ-ს.

გკ—კკ: არ კ კ ა დ რ უ ლ ო ფ ს, კ კ ო ც ნ ი ს, ზემ არ და კ კ რ ა ს; გქ—ქქ: შ ი ქ ქ ო ნ დ ა, რ ა ქ ქ ვ ი ა.

ასევე, სრული რეგრესული ასიმილაციის შედეგად მიღებულია დ ო შ ე ქ ქ ვ ე შ (—დოშეგ ქვეშ 'ლოგინის ქვეშ').

## ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია

უშუალო მეზობლობაში:

ნ. 15. ბჟ—შჟ: ს ა პ ჯ ო („შვით წელწათ ს ა პ ჯ ო ს წვერი ვიყავ“); ბკ—შკ. პ რ ო პ კ ა (—„пробка“), ო პ კ ო მ ი (ზეგიზა ო პ კ ო მ შ ი (—обком — областной комитет) ვარ გამოძახნილი).

წყვილბაგისმიერი ფუძისეული თუ ფორმანტისეული ბ თანხმოვანი მომდევნო ყრუ ბგერებთან მეზობლობაში ყრუედება და ასიმილაციის შედეგად გვაძლევს ფშინვიერ (ფ) ვარიანტს: ძ მ ა ნ ე ფ თ ა ნ, დ ა ნ ე ფ თ ა ნ, კ ე ლ ო ფ ს ('კოჭლობს'), ა შ ე ნ ე ფ ს, დ ა ფ ჩ ი ნ ა — პირი, დ ე რ გ უ ლ ა ე ფ შ ი, გ ვ ე რ დ ე ნ ე ფ შ ი...

არაიშვიათია ასიმილაცია აბრუპტივ და ფშინვიერ თანხმოვანთა შეხვედრის დროს. ასეთ შემთხვევაში ასიმილირებული ფორმები. ჩვეულებრივ, მაშინ მიიღება, როცა აბრუპტივს წინ უსწრებს

ფშვინვიერი ხშული: პიკკა, კკალოვი (ჩკალოვა), პაკკა (пачка), ბოკკა!..

O<sub>2</sub> გ მომდევნო ყრუ ბგერებთან — მკვეთრებთან და ფშვინვიერებთან (თ, პ, ც, ჩ, წ, ფ, ტ, ხ) უშუალო მეზობლობაში, ჩვეულებრივ, ყრუვდება და ნაწილობრივ ემსგავსება გამვლენელ ბგერებს. გ მელერი, ასევე, ყრუვდება და ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად ფშვინვიერ ქ-დ იქცევა თანდებულისეულ თუ ბრუნვისეულ ყრუ ხშულთან — თ-სთან და სისინა და შიშინა სპირანტებთან ს—შ-სთან: დე რ ქ შ ი, ჯემალ ბ ე ქ თ ა ნ, კ ა რ ქ ს (კარგს); გც—ქც: ქ ც ე მ იმდენ, რომ; საყვარელო, თუ მოგიდექ, ხელში უნდა მოქცე დანა; გფ—ქფ: ღმერთი თუ ქ ფ ა რ ა ვ ს. მტერი რას დაგაკლებს?

გჩ—ქჩ (მელერას ასიმილაციური გაფშვინვიერება): დ ა ქ ჩ ხ ა ვ ლ ე ფ ს: გწ—ქწ: მოქწყინდენ, ქწყენს; ნუ გწჩერდები წინ, ბიჭო, რომ ამოქფაწლოს?! გხ—ქხ: დ ა ქ ხ დ ა; გტ—ქტ: ნუ გეშინია, პაწვე ბიჭო, მითხარ, რა კტკივა! გუფ[რ]თხილდი, თუარა. რომ მოკტაცონ, მემრენ ჰა ჯოჯოხეთში წახვალ! გპ—ქპ: ხუჩაფაციზა ქორწილში კპატიყო ბ და აბა, შენ იცი!

აბრუპტივმა კ-მ უშუალო მეზობლობაში შეიძლება დაიმსგავსოს წინამავალი მელერი ხშული -დ და დკ—ტკ: მ ა რ ტ ო ტ კ ა ლ ა: აფერუმ ჩვენს მურთაზას, მ ა რ ტ ო ტ კ ა ლ ა ბიჭმა რომ ამხელა ოჯალი შეიდევა თავზე.

ქვეთრმა ხშულმა ტ-მ შორეულ (წინამავალ) პოზიციაში შეიძლება დაიმსგავსოს მელერი ხშული გ და იგი კ-დ აქციოს: კ ი რ ტ ა რ ა: დავამლეროთ კ ი ტ ა რ ა ზ ე.

იშვიათად შესაძლებელია აბრუპტივთა წინ ასიმილირებით მიღებული კ დისიმილაციური გაფშვინვიერების შედეგად გადაიქცეს ქ-დ: მე ხომ გებნევოდი, მ ო ქ პ ა რ ა ვ ს-მეთქინ! ქ პ ი რ დ ე ბ ი; ქ წ ე რ; შექქამ, ბიჭო; შენ შამოქტირის ქვეყანა, სიმართლით გამარჯვებულო!

მხ—ფხ//[მ]ფხ. უკანანისმიერი ფრიკატივი ხ უშუალო მეზობლობაში იმსგავსებს რა წინამავალ წყვილბაგისმიერ მელერ მ-ს, ასიმილაციის შედეგად ვლებულობთ ქართულისათვის სპეციფიკურ, ბუნებრივ კომპლექსს ფხ: ფ ხ ა რ ი, ფ ხ ა ლ ი, ა ფ ხ ა ნ ა კ ი (||ამფხანაკი), დ ა მ ფ ხ ო ბ ა, დ ო მ ფ ხ ა ლ ი, პ ი რ ჩ ა მ ფ ხ ო ბ ი ლ ი.

<sup>1</sup> კკა მისთ. ბგერათკომპლექსების ცვალებადობის საკითხს უფრო ვრცლად განვიხილავთ ქვემოთ („სუბსტიტუცია“).

აღსანიშნავია, რომ, როგორც აქ წარმოდგენილი მაგალითებიდან (ამფხანაკი, დამფხოზა...) ჩანს, ასიმილირებული მ-ანი დამსგავსების შემდეგ ინარჩუნებს თავის ადგილს, რასაც ჩვენი აზრით, უნდა განაპირობებდეს ჰარმონიული კომპლექსის (ფხ) შექმნა. ჰარმონიული კომპლექსისაკენ ტენდენციითვე უნდა აიხსნას ისეთი ფორმების არსებობა აჭარულში, როგორიცაა: ფ ხ ა ვ ს ი, მ ი ფ ხ ა ვ ს ე ბ უ ლ ი, დ ა ფ ხ ა ვ ს ე ბ უ ლ ი („იყო ერთი ბებერი, დ ა ფ ხ ა ვ ს ე ბ უ ლ ი კაცი — ნოღ. III,5).

რ თანხმობის გაუჩინარების შემდეგ ბ [რ] ტ ყ → პტყ: გ ა პ [რ] ტ ყ ე ლ ე ბ ა („კარქა გ ა ა პ ტ ყ ე ლ ე მაი ცომი, ცაჲ“ „ს ი ბ ტ ყ ე ზ ე გულწკლისა“).

ბ [რ] წ → პწ: შეხე, კარქა, გო, რაფერ პ წ ყ ი ნ ა ვ ს!

ყ გავლენას ახდენს მკლერ დ-ზე, ამკვეთრებს მას და ვიღებთ ქართულისათვის ჩვეულებრივ ტყ კომპლექსს. დ [მ] ყ → ტყ: ა ვ ა ტ ყ ო ფ ი (||ავანტყოფი), დ ა ა ვ ა ტ ყ ო ფ თ ა, სადაც ასიმილაციამდე სხვა ფონეტიკური პროცესები იჩენს თავს. — მეტათეზისი და სუბსტიტუცია. ასე რომ, ა ვ ა ნ ტ ყ ო ფ-მა ასეთი პროცესი განვლო: ა ვ ა ნ ტ ყ ო ფ ი (—ავამტყოფი—ავამდყოფი—ავამდყოფი), ს ა ა ვ ა ნ ტ ყ ო ფ ო<sup>1</sup>. ანალოგიური ვითარებაა ქართულურში<sup>2</sup>.

ამ ფორმებში (ავატყოფი...), სადაც ასიმილაციის შედეგად იქმნება ტყ კომპლექსი, რამდენადმე განპირობებულია ქართულისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კომპლექსისადმი მიდრეკილების ტენდენციით<sup>3</sup>.

ბ [რ] კ → პკ: დ ა პ კ ო ლ ე ბ ა, დ ა ვ პ კ ო ლ დ ი („მაპატივეთ, ცოტა დ ა ვ პ კ ო ლ დ ი“); ბ [რ] წ ყ → პწყ: პ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე, პ წ ყ ი ნ ა ვ ს; ბ [რ] წ კ → პწკ: პ წ კ ა ლ ი, პ წ კ ე ნ ა, პ წ კ ე ნ ს; ბ [რ] ჰ ყ → პჰყ: პ ჰ ყ ა ლ ი, პ ჰ ყ ვ ი ა ლ ი; კ [რ] ძ → გძ: ა ვ ძ ა ლ ვ ა, ა გ ძ ა ლ უ ლ ი („ა გ ძ ა ლ უ ლ ი ხილი მეტი გემიელია, ხომ იცი!“), დ ა გ ძ ა ლ უ ლ ი, მ ო გ ძ ა ლ ე ბ უ ლ ი („ჩვენი მ ო გ ძ ა ლ ე ბ უ ლ ი სალაში ქესკინ ბუძიეს!“).

როგორც აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ასიმილაციის პროცესს წინ უძღვის ბგერის (ჩვეულებრივ რ-ს) დაკარგვა — მოსალოდნელი დისტანციური ასიმილაცია კონტაქტური ხდება. ცხა-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად. არილი, ტფილ-ს., 1925, გვ. 71; ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა: ტუმ, 10, ტფილისი, 1930, გვ. 293.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, ქართლური, არილი, ტფილისი, 1925, გვ. 131.

<sup>3</sup> შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი. 1961. გვ. 35.

დია. კონტაქტმა დააჩქარა (resp. ხელი შეუწყო) ასიმილაციის პროცესი.

ს—ზ: სისინა სპირანტი ს მელერ ხშულებთან დ, გ-სთან და მელერისავე აფრიკატ ძ-სთან ნაწილობრივი დამსგავსების შედეგად იქცევა ზ-დ: სულ ბაბუამის დ ი ე მ ზ გ ა ვ ს ა; თ ა ვ ი ზ დ რ . ო ზ ე რომ მოსულიყო.... ბიჭი სულმუთქმელად მიზღვედა თურმეც; ყუელ ხ ი ზ ძ ი რ შ ი წყარო მოჩუხჩუხობდა.

ს—ჟ, შ: სისინა სპირანტი ს მელერ ბგერასთან (ჟ) მეზობლობაში ჟ სიბილანტს მოგვეცემს, ხოლო ყრუ მკვეთრ აფრიკატთან (ჟ)—შ-ს: ქალი რასძალა ე ჟ ო ბ ნ ი და საქმროს; უნცროსმა აღარც იმას დაეჭერდა; ნამთრალევ ხალხ ყველას თავები წ ა ვ - შ ე კ ა რ ი (ნოლ. III, 105).

ღ—ხ: უკანაენისმიერი მელერი სპირანტი ღ ყრუ შიშინა აფრიკატისა (ხ) და სისინა სიბილანტის (ს) მეზობლად დაყრუვდება და ზ ბგერად იქცევა: ბ ა ხ ს მარჯვენა კედრიდან მერეგი ესამზღვრებოდა; ბ ა ხ ჩ ა — ბ ა ხ ჩ ა შევიარე, ბ ა ხ ჩ ა ბალახიანი.

ასიმილატორული თვისებისაა გარკვეულ პოზიციაში ველარული ხშული ყ-ც. ამ ბგერას შეუძლია დაიმსგავსოს წინა სიტყვის ბოლოკიდური ან ფუძისეული მელერი დ, გ და ნაწილობრივი დაყრუვების შედეგად შეცვლილ იქნეს იმავე რიგის თანხმოვანთა სამეულეებიდან მკვეთრი ხშულით (მელერის აბრუპტივიზაცია) ან ყრუ ფშვინვიერით (მელერის გაფშვინვიერება): გყ—ქყ: მიქყვება („ნასე თუ იარე, ჰაი შინამდი არ მიქყვება!); ქყავს („რამდენი შვილი ქყავს, ბიძავე?“); დყ—ტყ: გეიგე, ქო, ჰატყოფილა მიი ჩობანი? ჰატყავს ნეტად წაყვანილი ი მოზვერი?

ყ აბრუპტივით, ასევე, იმსგავსებს ყრუ ფშვინვიერ ჰ-ს, ნაწილობრივი დამსგავსების შედეგად ჰ იქცევა ზ-დ, რასაც ზოგჯერ თანსდევს თვით ასიმილირებული ბგერის დაკარგვა: ჰყ ზყ—ზ. ეს მოვლენა ქობულეთური კილოკავისთვისაა დამახასიათებელი: ბალანე თან მიხავს, ცავ?!.

ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ი ს მოსაზრებით, ეს პროცესი, რომელიც ამჟამად კვლავ მოქმედია გურულ-აქარულში, ისტორიულად უფრო ადრეულადაა გავრცელებული დიალექტთა სხვა ჯგუფებშიც, მათ შორის სალიტერატურო ენის ფუძე-დიალექტებშიც, რომლებიც ერთი წყაროა ხანმეტი ძეგლებისათვის?.

1 ქ. ლომთათიძე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსებისა გურულსა და აქარულში: თსუ შრ., მე-6. 1936, გვ. 130—135.

2 ქართული ენის ისტორიისათვის მე-12, მე-18 სს. 1, თბ., 1964, გვ. 273.

## თანხმოვანთა რეგრესული დისტანციური ასიმილაცია

8. 16. აჭარულში ასევე საკმაოდაა გავრცელებული თანხმოვანთა რეგრესული დისტანციური ასიმილაცია.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მოვლენის საფუძველი მეღერი ან ყრუ აფრიკატებისა და სპირანტების მოქმედებაშიაო. აჭარულშიც, ცხადია, თანხმოვანთა რეგრესული დისტანციური ასიმილაცია ამავე კანონზომიერებისაა. მომდევნო დისტანციურ პოზიციაში აბრუპტივი კ წყვილბაგასმიერ ზ თანხმოვანს ნაწილობრივ დაიმსგავსებს და გადააქცევს იმავე წარმოების აკვეთრ ბგერად (პ): ტ ა პ ი კ ი („გამუხსენ ხარეფ ტ ა პ ი კ ე ბ ო, ჭო!“).

ფ—პ: დ ა პ ა ნ ტ ვ ა („დაბნელდა უყე, არ დ ე კ პ ა ნ ტ ო თ?“).

შეიძლება მოხდეს პირიქითაც: პ—ფ: ფ რ ო ს ტ ო („რა ფ რ ო ს ტ ო, ფოზუ; თუთუნ წევ, ჭო!“), ფ ა ჩ ი ნ კ ა, დ ა ფ ა ჩ ი ნ კ ე ბ ა.

კ—ქ: ა ქ ო შ კ ა („ა ქ ო შ კ ა ზ ე მომდგარიყო თვალუყუნ თეთრი ქალია“), ქ ო შ კ ი<sup>1</sup>.

მეღერი აფრიკატი ძ შეიძლება სრულად დაემსგავსოს მომდევნო ყრუ აფრიკატს და გადაიქცეს ც-დ, ძც—ცც: ც ა რ ც ვ ა („ახლასულ მისპო ც ა რ ც ვ ა-გლეჯა“); „უწინ კვირა არ გვედოდა, რომ ნგზავრი არ გ ი ე ც ა რ ც ვ ე ნ ბათუმ-ხულას შუა“.

შიშინა შ ზოგჯერ იმსგავსებს იმავე არტიკულაციის წინამავალ სპირანტს (ს); მაგ.: შ ა მ შ ო ბ ლ ო („გათხუებული ქალი მამის ოჯალს შ ა მ შ ო ბ ლ ო ს ეტყვის“), შ ა შ თ ა ლ ო („შ ა შ თ ა ლ ო პირათ ცოტა შავგრიმანდი და თვალჭრელია“); შ ო შ ე<sup>2</sup>: შ ო შ ე გ ზ ა, შ ა შ თ ე ლ ი („ჰე, ბიჭო, არ უნდა დააყენო შ ა შ თ ე ლ ი?!“) ა მ შ ი შ ო რ ე („ამ შ ი შ ო რ ე გზა მარტუაჲ რაფერ გამეიარე, ჭო?!“).

<sup>1</sup> ამ მოვლენის ახსნისას უნდა გავიხსენოთ, რომ რუსულ ენას არა აქვს ქართული მკვეთრების — პტკ-ს შესატყვისი, ამიტომ რუსულში აღნიშნულ ბგერებს ფშვინვიერება ახლავს, რის გამო ქართულში ვლდებულობთ ლაჟათქას, ხაფოჟნიკს (გ. ახვლედიანი). ამიტვე უნდა აიხსნას ფროსტო, ფაჩინკა, აქოშკა და მისო.

<sup>2</sup> შღრ. აღ. დ ლ ო ნ ტ ი, გურული ფოლკლორი, გვ. 16.

მეღერა აფრიკატი ჯ იმგავსებს სპირანტ ხ-ს: ხჯ—შჯ: გ ა-  
შ ი ნ ჯ ვ ა („კარქა გამ შ ი ნ ჯ ე ზ ე ზ ი მ, ამ ალაგას რაცხა მტეხს“<sup>1</sup>;  
შ ი ნ ჯ ვ ა-შ ი ნ ჯ ვ ა შ ი თ ლ ა თ შ ა მ ი ე ჯ ა მ ა)?

ამავე ტიპის ასიმილაციითვე უნდა აიხსნას, როცა მკვეთრი კ-ს წარმოება კიდევ უფრო გადაიწევა უკან და იქცევა ფარინგალურ აბრუპტივ ყ-დ: ყ მ ა ყ ო ფ ი ლ ი („ეჭუს ცალ დიგიმატეფ კილო, ყ მ ა ყ ო ფ ი ლ ი ხარ?“) დ ა ა ყ მ ა ყ ო ფ ი ლ ა, უ ყ მ ა ყ ო ფ ი ლ ო.

## თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია

8. 17. ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში, „უპირატესნი და დამახასიათებლნი არიან: რეგრესული ასიმილაცია და პროვრესული დისიმილაცია“<sup>2</sup>. გარკვეულია ისიც, რომ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში საკმაო შემთხვევებია თანხმოვანთა და ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციისა. ოღონდ ეს კია, რომ პროვრესული ასიმილაცია თანაბრად არაა გავრცელებული აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში. იგი სპეციფიკურია უდავლური კილოებისათვის. ეს ბგერათცვლილებანი ჩვეულებრივ ბგერათა რაგვა-რობის მიხედვით ხდება. იგი შეინიშნება როგორც კონტაქტურ, ისე დისტანციურ პოზიციაში.

მეღერი ბგერის მკვეთრ აფრიკატთან ან ფშვანვიერ მარტივ ხშულებთან ასიმილაციის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ხ ე ჳ ე პ ო („კაკლის ხ ე ჳ ე პ ო ი დ ა ნ საზღრიალას გავაკეთებთ ჩვენ“; შდრ. ს ა ბ ა, გლ. ხეჭბი), თ ფ ე ბ ა („თელი დღია პერანგითაჲ [მ]ზეზე თ ფ ე ბ ა“), ფ ა ფ რ ი კ ა („ორმოზდაათი წელწადია, რაც აი ფ ა ფ რ ი კ ა-ქარხნები მუშების ხელშია“).

8. 17ა. პროგრესული ასიმილაციის სხვა შემთხვევები: თ [რ] დ — თ [რ] თ: არ გათეთ თ [რ] თ ე ბ ა ყ ო რ ა ნ ი; ხ დ — ხ თ: მა-  
შ ი ნ უ ნ დ ა მ ი მ ხ თ ა რ ი ყ ა ვ, რომ გავ [რ] ც ე ლ დ ა ს წ ა ვ ლ ა ხ ა ლ ხ შ ა;

<sup>1</sup> შდრ. ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, გურული ფოლკლორი, გვ. 16.

<sup>2</sup> ანალოგიური მაგალითები არაა უცხო საშუალო ქართული სათქმის (ივ. ქ ა ე-  
თ ა რ ა ძ ე, დანახ. შრ., გვ. 277-279).

<sup>3</sup> ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მე-  
რულს: ტუმ. I, 1919, გვ. 8; თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია, როგორც  
გაარკვეია ბ. ფ ო ჩ ხ უ ა მ, დასავლურ დიალექტებს ახასიათებს (იხ. მისი თანხმო-  
ვანთა პროგრესული ასიმილაცია კილოებში: თსუ შრ. მე-10, 1939, გვ. 187 და  
შემდეგ: შდრ. კ. კ ე ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქარ-  
თული ენის დასავლურ კილოებში: ქუთ. პედინსტიტ. შრ., მე-19, 1959, გვ. 266).



თუარ დაქვევთა, რა ჟყოთ მაშინ<sup>1</sup>; ხბ—ხფ: ხფიებიების-  
თვინ გამოცალკევებულათ გვაქსახფორე<sup>2</sup>. ჩ[რ]დ—ჩ[რ]თ:  
მაგენი ჩთილას (ტოპ. სახ.) წასულიყვენ; ჰდ—ჰტ უფროსმა  
ძმამ გაკუქტა ამაზე და უთხრა (ნოლ. III,10).

კბ—კპ (→პდ→პტ): კრეპტიშენის კაბა გეცვა, წელში  
გამოჭირებული; კდ—კტ: თურმეც კამუტის თავზე ჩამიეწ-  
ყო; გიგისკტა მაი ხაპერაი თავი, ჰო!

წვეილბაგისმიერი ხშული ბ იმსგავსებს რა შორეულ მომდე-  
ნო პოზიციაში აბრუპტივ კ-ს, რის შედეგად მოგვეცემს იმავე რიგის  
მეღერ ვარიანტს — ელარულ გ-ს: ბრაგი (←რუს. брѧк), დაბ-  
რაგული, დაბრაგა.

ერთადერთი შემთხვევა<sup>3</sup>, როცა ყრუ აბრუპტივი იმსგავსებს  
სამკვეთრის მიხედვით ყრუ ფშვინვიერ (-ეთ ფორმანტიხულ) თ-ს:  
პა[დ] მიხვალ ამ ლუსკუმეტ ლამეში?

### აფრიკატიზაცია

8. 18. ადგილი აქვს როგორც ხშულ და სპირანტ მარტივ თან-  
ხმოვანთა ურთიერთშერწყმის, ისე სპირანტთა სპონტანური აფრი-  
კატიზაციის მოვლენებს.

კომბინატორული აფრიკატიზაციის შემთხვევები:

ა. თ + ხ = ც. იგი მიიღება, ჩვეულებრივ, ფუძისეული თ-ს ფორ-  
მანტისეულ (მიც. ბრ. ნიშანთან) ს-სთან შერწყმით. თუ ფუძისეუ-  
ლი ბოლოკიდური ბგერაა დ-ონი ან (იშვიათად) ტ, მაშინ აფრიკა-  
ტიზაციის პროცესს წინ უსწრებს ასიმილაცია, რის შედეგად მეღე-  
რი და მკვეთრი ხშულები გაფშვინვიერდებიან და გადაიქცევიან  
თ—დ:

ღმერც („ქურდმა ქურც მოპარა და ამაზე ღმერც  
გაეცინა მეგემ“), სააც („ორ სააც უკან წამოვლა მაგარი წვიმა,  
ზოშკაკალი“), ბეჭეც („ღედამთილი რომ დოდოფალ ბეჭეც  
წამუაცვამს...“), ქეციმერი (←ქეთსიმერი←ქედსიმერი ტოპ.

<sup>1</sup> ამ ფორმაში პროგრესულ ასიმილაციასთან (ხდ—ბთ) ერთად რეგრესულიც  
(გხ—ქხ) დასტურდება.

<sup>2</sup> ხბ—ხფ (ხფიებ და მისთ.) პროგრეს. ასიმილაციის ნიმუშები უფრო ხში-  
რად გვხვდება და უფრო ტიპურიცაა გურულისათვის.

<sup>3</sup> თუ, რასაკვირველია, ანალოგიურ ვითარებასთან არა გვაქვს საქმე კვაშ-  
ტა-ში (სოფლის სახელია ქვემო აპარაში); შდრ. ძვ. ქართ. კრეტსაბმელი (←კა-  
რეთ საბმელი), ვ. თოფურიია, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნი-  
მუში ძვ. ქართულში: იკე, მე-5, 1953, გვ. 522-523.

სახ.), ქეცუკანი (←ქეთსუკანი←ქედსუკანი ტომ. სახ.), ორ-  
შაფაც პარახოც (←პარახოთს←პარახოტს←„პარახოდს“),  
ბაც („მაგა ორ თავ ბაც [‘ბატს’] არ მიბარეფს კაცი“), როცაც  
soluk ‘სუნთქვა’+ზე): ერცულულზე ჩვენთანაც შამუქციე, რა  
თჷარა ყურეფ აგათხრეშ!“), ერცულულზე (←ერთ+თურქ.  
←როთსაც←როლსაც←როდესაც<sup>1</sup>; ერცხვა („ერცხვა აღარ ქნა,  
იქნება! პარცკოლა („ერხანს აქ პარცკოლა ციო“); ერ-  
ცახვანი („სამი ახალი დამშაშვებული, ერცახვანი ქუჭუ-  
ლები ერთ დღეში მომტაცა ქორმა“).

ანალოგიური მოვლენის ამსახველი მაგალითები ძვ. ქართულში  
შენიშნული აქვს ივ. ქავთარაძეს<sup>2</sup>, ქანურში — ს. ყღენტს<sup>3</sup>.

ბ. ფუძისეული მკლერი ხშულისა (დ) და თანდებულისეული  
(-ზე) ზ-ს შერწყმით მიიღება წინაენისმიერი მკლერი აფრიკატი ძ:  
ვარძე უმფო წითელი ლოყაები აქ. გვერძე („ბოსლის გვერ-  
ძე საქათმე იღა“)<sup>4</sup>. ბეძე („ბეძე მამისმა მუსტრა, თჷარა...“).

გ. აფრიკატი ჩ (=თ+შ) მიიღება ხშული თ-სა და შიშინა სპი-  
რანტ შ-ს შერწყმის (resp. საურთიერთო ასიმილაციის) ნიადაგზე.  
ნარჩი („კილო. წააგე ბიჭო, ნარჩი“ ‘ნარღში’), გორჩი  
(←გოროთში←გოროღში), ხუჩაფაც („წინა ხუჩაფაც თე-  
ლი დღე იწვიმა“), სააჩი („ამდენი ყოლი[ს] ყვერი ნახევარ სა-  
ჩი რაფერ დამოქე, ცაჲ?!“), გვერჩი („აფერუმ, რამხელა ბიჭი  
მოგსტრია, მალე გვერჩი ამოგიდგება!“), ამინუჩი (←ამი-  
ნუთში←ამ მინუტში). გარკვეულია, რომ -ჩი თანდებულის წარმო-  
შობქმნას ზოგჯერ ხელს უწყობს პოზიცია: შღრ. გვერღში→გურ.  
ქვემო იმერ.-ლეჩხ. გვერჩი<sup>5</sup>.

<sup>1</sup> შღრ. ი. მეგრელიძე, მიეცემით ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის  
სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის  
შრ. მე-6, 1938, გვ. 349 და შემდ.

<sup>2</sup> დასახ. შრ., გვ. 297-299.

<sup>3</sup> ს. ყღენტის „ქანურ ტექსტებში“ დამოწმებულია თურქ. დავეთსუჲ „დაუ-  
პათიებელი“—daveit+siz, რომელიც ქანურში გვაძლევს დავეცუზ-ს, ts—ც.  
ამაზე გრ. იმნაიშვილის ყურადღება გაუმახვილებია ს. ჭიქიას (იხ. ქარ-  
თული ენის ინგილოური დიალექტი..., გვ. 36).

<sup>4</sup> ამ ფორმით „გვერძე“ გვხვდება ქართლურსა (ალ ლლონტი ქართლუ-  
რი ზღაპრები და ლეგენდები, 1938, გვ. 9), და კახურში (არ. მართიროსოვი  
და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 47—48)  
და ლეჩხუმურში.

<sup>5</sup> ივ. ქავთარაძე, ქართ. ენის ისტორიისათვის, მე-12, მე-18 სს., I, თბ.,  
1964, გვ. 245.

8. 18ა. სპირანტთა აფრიკატიზაციის შემთხვევები.

აფრიკატიზაციის ისეთი სახეობა, რომელიც მომდინარეობს ყოველგვარი კომპლექსის გარეშე, სპონტანური აფრიკატიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი.

სპირანტთა — ხ, შ, ზ-ს აფრიკატიზაცია უპირატესად დასტურდება რეზონანტისა და ლატერალის უშუალო მეზობლობაში.

ზ—ძ: სიძმარი („ნფეს სიძმარი ესიძმა, ხელთ ეჭირა ოქროს ბულთი... „დროშა“, № 73, 1882), გაძანგული (მდრ. საბა ზანგი, ქგლ. გაზანგული), სამძღვარი, საგძალი, საბძელი, დაგძნება, დაგძნებული, გურძავო, გურძავიკი (ბოლო ორ მაგალითში ადგილი აქვს ასევე ხმოვნისა (უ) და თანხმოვნის (რ) კონტაქტურ მეტათეზისს).

-ში თანდებულსეული შ ლ-ს მომდევნო პოზიციაში ჩვეულებრივ ჩ აფრიკატად გვევლინება: პირველი (ჩვენი სოფლიდან პირველი კოლექტივში მე გავერთიანდი), წყალი, ტიალი, მიდღემჩი.

ანალოგიური მაგალითები დადასტურებულია ქართ ენის სხვა დიალექტებშიც.

ერთადერთი შემთხვევით ვადასტურებთ ენაკბილისმიერი თ-ს აფრიკატიზაციის შედეგად ფშვინვიერ ჩ აფრიკატში გადასვლას კუჩხე ('კუთხე'): კერა-კუჩხეს მოიბზენდა, გაძღებოდა სულ ერთ წამზე (აქ. ხ. პოეზ.)<sup>1</sup>.

ასევე, დ სპონტანური აფრიკატიზაციის შედეგად გადაიქცევა ძ-დ: ძეს, მიძეს, გიძეს ('ღვეს...').

ღ—ძ აფრიკატიზაციის მოვლენა ძვ. ქართულში ძევს ძეს მაგალითების დამოწმებით შენიშნული აქვს ივ. ქავთარაძეს<sup>2</sup>.

მარტივი აბრუპტივი ტ—ჭ, რის შედეგად ლიტ. ტვირთ-სა და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში ტვ კომპლექსი აპარულში წარმოდგენილია ჭვ-ს სახით: ჭვირთი, ჭვირთული („ცარიელი ევა, ჭვირთული ჩამუა“, გამოცანა — გიდელი), დაჭვირთულა, დაჭვირთავს.

<sup>1</sup> კუჩხე ამ სახით იმერხულში დადასტურებული აქვს ნ. მარს (მარჯ. დასახ. შრ., გვ. 64).

<sup>2</sup> იხ. მისი, ქართ. ენის ისტორიისათვის, გვ. 240.

ს—ც: გაპარცვა, გაპარცული, პენცია. ციცქელი 'მეხი', ბლავილც („ზროხები დეიწყებენ ბლავილც, მბიებს ეკვინტირებიან“; გაზ. „საქ.“ 1916, № 248), თურმეც.

ჟ-საგან გარკვეულ პოზიციაში შეიძლება მიღებული იქნეს აფრიკატი ჯ: ჟ—ჯ: პაიჯი, პაიჯულობა, ჯანგი, ღაჯანგული, ჯანგარა, ინჯინერი (||ინჯილერი), ჯინიანა, ჯეშტი, სტოროჯი, საჯენი, დელიჯანი (дилижанс), ჯენდერმე. სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხს არაერთი მკვლევარი შეჰხებია. ი. ქობალავა მის საფუძველს ხედავს იმ ბგერითს გარემოში, რომელშიაც ეს პროცესი მიმდინარეობს<sup>2</sup>. ასე მაგალითად, სპირანტთა აფრიკატიზაციის შემთხვევათა ერთი ნაწილი მომდინარეობს წინამავალ მ, ნ, ლ, რ თანსმოვანთა მეზობლობაშიო. ასეთი შემთხვევები სპეციალურად აქვს შესწავლილი შ. გაფრინდაშვილს<sup>3</sup>.

### დეზაფრიკატიზაცია

8. 19. ვადასტურებთ სისინა წ-ს დეზაფრიკატიზაციას, როდესაც მას წინ უსწრებს ხ, მიიღება სწ. სწ—სტ.

როგორც ცნობილია, ქართ. დიალექტებში ჩვეულებრივ დეზაფრიკატიზაციის ის სახეობაა გავრცელებული, როდესაც პროცესის შედეგად აფრიკატი კარგავს ხშულობის ელემენტს და იქცევა სპირანტად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში გვექნება აფრიკატის სპონტანური სპირანტიზაცია. შედარებით უფრო იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა აფრიკატი კარგავს სიბალანტურ ელემენტს და იქცევა ხშულად, რასაც უწოდებენ დესიბილაციას. ამის შედეგად გვაქვს: სასტორი, დუსისტორა, ისტავლა, კმისტული, მაზლისტული, გამსტრო, მასტავლებელი, კინტლობა (კინწლობა), ეკინტლება, დღეისტორა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ამოსავალ ფორმად ვვარაუდობთ „ცისიერ“-ს; შდრ. მარი იმერხ. ტექსტ. ცისიელი („ლალუმი რომ გვექნეი, ესკერს ეგონა ცისიელი“, გვ. 48).

<sup>2</sup> ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში, მე-9, თბ., 1958, გვ. 71-72.

<sup>3</sup> სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენებში: ენათმეცნ. ინსტიტუტის მე-6 (მე-12) სამეცნიერო სესიის თეზისები, 1955.

<sup>4</sup> შდრ. კან. წაპუნს—ტაპუნს 'წვეთავს' (Н. Мара. Грам. уаи. яз. გვ. 318; გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეგრულში გვაქვს სიტყვა სასტავლი (—სას-

სწ კომპლექსის დეზაფრიკატიზაციის მიზნებს გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი -  
ლი სავსებით სამართლიანად ხედავს თვით ამ კომპლექსის თავი-  
სებურებაში: აფრიკატი წ შეიცავს, — აღნიშნავს იგი, — ტ ხშულაა  
და ს სპირანტს. სწ კომპლექსი, თუ წ-ს თავისი შემადგენელი ელე-  
მენტებით გამოვხატავთ, უდრის ს+ტს-ს (სტს-ს ანუ სსტ-ს), რაც  
უჩვეულოა საერთოდ ქართულისათვის<sup>1</sup>.

იშვიათ შემთხვევაში მარტივდება სისინა აფრიკატი ც და გვაძ-  
ლევს ს-ს: შე ნ ა ს (შენაც), სა დ ი ყ ა მ ა ს (სადიყამაც). სუბსტა-  
ტუციისა და დეზაფრიკატიზაციის შეერთებული მოქმედებით მიღე-  
ბულია ლ ე მ ს ა ა: ლ ე მ ს ა ა ძ რ ო ხ ა (რუს. ХЕМЕЛУКХА).

უფრო სისტემატური ხასიათი აქვს ძ-ს სპირანტიზაციას —  
ძ—ჴ: ნ ი ზ ლ ა ვ ი, დ ა ნ ი ზ ლ ა ვ ე ბ ა: დაიწყეს თამაში ნ ი ზ-  
ლ ა ვ ზ ე (ა. ზებ.), დ ი ე ნ ი ზ ლ ა ვ ა, ზ რ ო ხ ა (ზემოაპარულში  
ისმის)<sup>2</sup>.

სისინა აფრიკატი ც მქლერი ღ-ს წინ თუ მოხედა, დამსგავსე-  
ბის შედეგად, როგორც ცნობილია, იმავე წარმოების მქლერ აფრი-  
კატს ძ-ს მოგვცემს, მაგრამ ამის შემდეგაც გრძელდება პროცესი  
და ასიმილირებული ძ სპირანტიზაციის შედეგად გვაძლევს ჴ-ს. ეს  
პროცესი ასახულია „და“ თი შეერთებულ რიცხვით სახელებში,  
რომლის კომპონენტად „ოც“-ია წარმოდგენილი: ო ზ ლ ა ა თ ი  
(ოდლაათი—ოცლაათი), ო ზ ლ ა ც ა მ მ ე ტ ი, ო თ ხ მ ო ზ დ ა შ ე ი -  
ღ ი.

ამრიგად, აფრიკატთან (ძ—ც) შეხვედრისას ამ აფრიკატის შე-  
მადგენლობაში შემავალი ხშული კომპონენტი აფრიკატს აკარგავ-  
ნებს ხშულობის ელემენტს. ამ შემთხვევაში ვიღებთ აფრიკატის გა-  
მარტივებას (დეზაფრიკატიზაციას).

შევნიშნავთ, რომ ჰ. ფ ო გ ტ ს<sup>3</sup> ო ც ღ ა ე რ თ ტიპის რიცხვით  
სახელში მომხდარი ფონეტიკური ცვლილების შედეგად მადებული  
მეორეული კომპლექსი ძღ თავის ნაშრომში არ გაუთვალისწინებია  
და, ცხადია, ამის გამო მსჯელობის საგნადაც ველარ გაიხდიდა.

წაული); სიტყვა ნასესხებია და გადაჭრით ძნელია თქმა სწ—სტ მეგრულში მოხ-  
და, თუ ამ ფორმით იგი ქართულის დასავლური კილოებიდან იქნა შეთვისებული  
(ი. მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ი, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია ქართული ენის  
დასავლურ კილოებში: თსუ საშენ. შრ., კრებული, 9. თბ., 1965, გვ. 38).

<sup>1</sup> გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთ  
თავისებური მოვლენის შესახებ: მაცნე, 6, 1966, გვ. 251.

<sup>2</sup> ეს მოვლენა უფრო დამახასიათებელია ისეთი დიალექტებისათვის, რომ-  
ლებმაც თურქულ-აზერბაიჯანული ენების გავლენა განიცადეს — ინგილოურის,  
მესხურის, ფერეიდნულისა და სხვ.

<sup>3</sup> ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა (ქართულ ენაზე), თბ., 1961 წ.

პოსტალეოლარი პალატალური ჯ, ჯედ, ჯდ ფუძე — ძირების შემცველ ზმნურ ფორმებში ჩვეულებრივ მარტივდება, დეზაფრიკატიზაციის შედეგად გვაძლევს სპირანტ ჟ-ს; ჯდ—ჟდ: დაჟდა, დაჟდუმლება, დააჟდენს (|| დააჟდუმლებს), თავ-ჟდომარე (|| თავედუმარე), ჟდოთის ბალაბი 'ყვავისფრჩხილა', ამჟედა („გული ამჟედა“)<sup>1</sup>.

ჩ—შ: კამბეში („კამბეჩისა“ და „ჯამუშის“ პარალელურად); არჩავის პარალელურად ქობულეთურ კილოვებში დადასტურდა არშვი ('კერძი', 'სარგო')<sup>2</sup>.

აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის მოვლენები, როგორც ცნობილია, მეტ-ნაკლებად სხვა კილოვებშიც გვხვდება, მაგრამ აქარულში (გურულთან ერთად) იგი უფრო მასობრივი და მრავალფეროვანი მაგალითებით ხასიათდება.

## დისიმილაცია

მ. შ. ბგერათა განმსგავსება ქართული ენის სხვა კილო-თქმათა მსგავსად აქარულშიც ისე არაა გავრცელებული, როგორც ბგერათდამსგავსება. დისიმილაცია — პროგრესულიცა და რეგრესულიც. ზგულებრივ, ნარნარა და ცხვირისმიერ ბგერებს მოსდით.

## თანხმოვანთა დისიმილაცია

სონორ თანხმოვანთაგან რ ან ნ ერთმანეთის საშუალებით დისიმილირდებიან შემდეგ შემთხვევებში:

რ—რ—ლ: ო რ ო ლ ი, ა რ ა ფ ე ლ ი, ნ უ რ ა ფ ე ლ ი<sup>3</sup>, თ ა ე რ ი ე ლ ი:

ქალბანი შევიკერე,  
ხარის თავრიელია,  
გოგუებთან წასლა მინდა  
ქესა ცარიელია (შდრ. ჟანაშვი. თავრიელ, მენთ;

ნ. კაიშ. თავრიელა), ტ ო ტ რ ი ე ლ ი, ყ ა რ ა ლ ი (არაბ. قار [კარნარ]), დაყარალება, დააყარალა (შდრ. გურ. ყალარი, გ. შარაშიძე).

<sup>1</sup> შდრ. გურ. იმერ. დააჟენს, დაეჟინა.

<sup>2</sup> არშვი — ამ სახით იგი ქართულშიცაა ფიქსირებული (გრ. იმნაი-შვილი, ქართული დიალექტი, 1, 1974, გვ. 156).

<sup>3</sup> როგორც ორი უკანასკნელი მაგალითიდან ჩანს. -რ -რ-ს დისიმილაცია მოსდის „ფერ“ დართულ უარყოფით ნაცვალსახელებში, რომელთა წინამავალ კომპონენტში რ შედის: ვერაფელი და სხვა.

დაეძენთ, რომ სიტყვებში ტოტრიელი და თავრიელი დისიმილაციას წინ უსწრებს ფუძეში რ-ს განვითარება.

რ-რ—რ-ლ დისიმილაციის ცნობილ მაგალითებს წარმოადგენს უცხოური წარმოშობის გაქართულებული სიტყვები: ბრიგადელი (ამ ფორმაში ნათლად ჩანს, ასევე, ზმოვანთა დისტანციური პროგრესული ასიმილაციის შედეგი ი-ი—ი-ე). დალექტორი, ორდელი (ორდერი).

რ-ს დისიმილაცია მოუდის „ჭერ“ ნაწილაკდართულ ისეთ სახელებს, რომელთა ფუძეში (ძირში) რ არის. მაგალითად: რვაჯელ, ბევრჯელ; ანალოგიით: ზოგჯელ, სამჯელ და ა. შ.

დისიმილაციას — როგორც პროგრესულს, ისე რეგრესულს ადგილი აქვს ნ-ს შემცველ ფუძეებში: ნ-ნ—ნ-ლ||ნ-რ: კალონი, ნამეტარი („ჩვენი სიძე ქოშეში დგას, ნამეტარი ცხენია“), ლაგანი („მავზორი და ლაგანი ჯიფეზე ამოვიფარე“, ხუბ.), სუნელი (←სურნელი←სუნნელი), წყენილება.

განმსგავსებას ფუძეში ადგილი აქვს ორ ლ-ს შორისაც. ლ-ლ—რ-ლ ან ნ-ლ-ს: წრეტლ [ს], წრეტს (||წროტლ [ს], წროტს), წრეტლობით („წრეტლობით ესეც გვეჯოფა“); ბურული, დაბურულება („სალამ-სალამ დავაბურულებდით“); სუნყველა („ვეცლები სუნყველასა... გაზ. „საქ.“ 1916, № 248), სუნთელი (სულ მთელი)<sup>1</sup>.

დისიმილაციის ისეთი შემთხვევაც დასტურდება აქ, როცა ერთად თავმოყრილ ბილაბიალთაგან განმსგავსების შედეგად იქმნება უფრო ასატანი კომპლექსი; წყვილბაგისმიერმა ზ-მ შეიძლება ვანიმსგავსოს წარმოების ადგილის მიხედვით იმავე რიგის მ და იქცეს ნ-დ.

მბ—ნბ: ანბავი (||ამბავი): ხენწიფეს გიელვიძა და რა ანბავიაო, იკითხა... (ნოლ. III, 144), ბუნბული (||ბუმბული)<sup>2</sup>: მუსანდარა გამოპეჭილი იყო ბატის ბუნბულის ბალიშებით, მინდრებით.

აქარულისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ძლიერი დისიმილაციის შემთხვევები. „დისიმილაციის ნიადაგზე ზოგჯერ იკარგება დისიმილირებული ბგერა“<sup>3</sup>. აქ უმთავრესად იკარგება

<sup>1</sup> შდრ. იმერხ. ფული, საქონელი, სუნთელი თქვენი იყოს... მარა იმერხ. გვ. 59.

<sup>2</sup> ამ სახით (ბუნბული) კახურშიცაა დამოწმებული (არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართ. ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 41); ასევე, ძვ. ქართულში (ი. ქავთარაძე, დასახ. შრ., გვ. 307).

<sup>3</sup> გ. ახვლედიანი, დასახ. შრ., 201.

ვიზრანტი რ ბგერა მომდევნო იდენტური ბგერის გავლენით, ე. ი. ადგილი აქვს რ-ს დისიმილაციურ დაკარგვას<sup>1</sup>. თუმცა გვხვდება საპირისპირო შემთხვევაც — პროგრესულ-დისიმილაციური დაკარგვა: **ნ ფ ე რ ი, ვ ე ფ ე რ ი, ც ხ ვ ი პ ი რ ი, ა რ ც ე თ ი, ნ უ რ ც ე თ ი** („ნ უ რ ც ე თ ა თ ნულარ მიხვალ და მემრენ მიენატრები!“)<sup>2</sup>.

ქვემოაქარულ (ქედის რ. სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში) კილოკავში დისიმილაციური დაკარგვის ისეთი შემთხვევაც გვაქვს, როცა დისიმილირებულ თანხმოვანთან ერთად იკარგება გამვლენელი ბგერაც, მაგ. თ ე თ [რ ს ყ ი მ ი ზ ი („ერთ ქალათ მაგის თ ე თ ყ ი მ ი ზ ი ლოყაები ღირს“), ყ უ ი ძ ი [რ შ ი (რუმ გიგინათეფ ყ უ ი ძ ი შ ი).

მარცვლის დისიმილაციური დაკარგვის (პაპლოლოგიის) შემთხვევებიდან შეიძლება დავასახელოთ ფ ე ხ შ ვ ე ლ ა (—ფეხშიშველა)<sup>3</sup>, ვ ა წ ყ [ე ნ ი ნ ე ], დ ი ნ ნ ე ჩ ე მ ი <sup>5</sup> („დ ი ნ ნ ე ჩ ე მ ი დ ა ნ მეშინოდა: ღმერთო, შენ ის მომიკალი!“ „თეატრა და ცხოვრება“, 1915. № 29), ხ ნ ე შ ე ს უ ლ ი (—ხნეში შესული), ო რ დ ე [ყ ი ყ ე შ ი (—ორ + არაბ. **قدا** [დაკიკა] + ში 'ორ წუთში'), ვ ე ფ ე რ ი (ვერაფერი), ნ უ ფ ე რ ი (ნურაფერი) ა მ ტ ე ხ ა ნ ი ა (—ამტენიხანია—ამდენი ხანია), მ ა კ ტ ე ხ ა ნ ი ა, ი მ ტ ე ხ ა ნ ი ა, ლ ი ვ ე რ ი (—'რევოლვერი')<sup>6</sup>.

## დისიმილაციური გამჟღერება

8. 21. უხვად აღმოჩნდა ისეთი მაგალითები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ ისინი მიღებული უნდა იყვნენ ხშულთა (და სპირანტთა) დისიმილაციური გამჟღერების შედეგად: კ ო ნ დ ა ღ ი, ჩ ი რ უ ღ ი (—ჩირუხი 'მთის კურორტი ზემო აქარაში'), ტ ო რ უ-

<sup>1</sup> ამ მოვლენას სხვა საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად შევხებით ზემოთ (ბგერითი შედგენილობა. გრძელი ხმოვნები).

<sup>2</sup> შღრ. ერთმანეთი (—ძვ. ერთმანერთი).

<sup>3</sup> დასავლ. ჯგუფის დიალექტთაგან რამდენიმეშია დადასტურებული ეს მაგალითი.

<sup>4</sup> იმერხელშიც გვხვდება ეს ფორმა: არავისაც არ ვაწყყინე, ისე დევიარე ტყეები (მარი, იმერხ. გვ. 50).

<sup>5</sup> არაა გამორიცხული ასეთი ვარაუდის დაშვებაც. „დინნე ჩემი“ შეიძლება მიღებული იყოს „დიდედას“-ს ანალოგიით. ამავე ფორმაში ნათლად ჩანს, ასევე, რედუქციის მოვლენაც (დიდინენეჩემი).

<sup>6</sup> უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ მიღებული ჩანს ეს ფორმა პაპლოლოგიის, ხმოვნის რედუქციისა და რ-ლ სონანტთა მეტათეზისის შეერთებულ მოქმედებით.



ლი (თურქ. doruk tütün 'წვერის თუთუნი'), კ ა მ მ ა ლ ი (||ყამმალი 'ნაღები'), მ ა ხ ა რ ი ჯ ი (||მაქარიჯი), ყ ა ი ლ ი ('ნავი'), ც ი მ ე ნ დ ი , კ ა ბ უ ს ტ ა , დ ე ხ ნ ი კ ი , ს კ ო რ ო დ ა (რუს. сковорода, сковородка). ტ ყ უ ბ ი , ო რ ტ ყ უ ბ ა ლ ა ('ორტოტა', 'ორკაპა'). წ ყ ვ ე დ ფუძის შემცველი ზმნა და მიმღობა: გ ა მ ო წ ყ ვ ე დ ს , გ ა მ ო წ ყ ვ ე დ ი ლ ი<sup>1</sup>, ტ კ ი ბ ა , გ ა ტ კ ე ბ ნ ა , გ ა ტ კ ე ბ ნ ი ლ ი , გ ა ტ კ ე ბ ნ ი ს , ჰ ო რ ო ლ ი (||ჰოროხი) და მისთ.

როგორც გ. ახვლედიანი მაგაარკვია, ოსურში ქართულიდან ნასესხებ სიტყვებს ახასიათებს ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვაში შემავალი ორი ყრუ ხშულიდან ერთ-ერთი (მეტწილად პირველი) მჟღერდება, ე. ი. ყრუ ხშულები (აგრეთვე აბრუპტივიცა და სპირანტიც) განემსგავსებიან ერთმანეთს მჟღერობა-სიყრუის მიხედვით<sup>2</sup>.

ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს თ ა ნ<sup>3</sup> და ს. ქ ლ ე ნ ტ თ ა ნ<sup>4</sup> ერთად გ. ახვლედიანი მაგაარკვია აგრეთვე, რომ ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების კანონზომიერების მოქმედება თითქმის ისევე ძლიერი ყოფილა სვანურში, როგორც ოსურში, და, რომ იგი მეტ-ნაკლებად მოქმედებს ხევსურულსა და მთიულურ დიალექტებში. აღნიშნული: აგრეთვე, რომ სვანურში დისიმილაციური გამჟღერება არსებობს არ. მხოლოდ დისტანციური (როგორც ოსურში), არამედ კონტაქტურიც არა მხოლოდ რეგრესული (როგორც ოსურში...), არამედ პროგრესულიც, გამჟღერების მოქმედებაში მონაწილეობს არა მხოლოდ ხშული (როგორც ოსურში...), არამედ სპირანტიც<sup>5</sup>.

ჩვენ მიერ მოყვანილი აქარული სიტყვების უმრავლესობა უცხოური და რუსული წარმოშობისაა. დისიმილაციური გამჟღერებაც სწორედ ნასესხებ სიტყვებს შეეხება, მაგრამ აქარულში ეს მოვლენა იმდენად გავრცელებული პროცესია, რომ იგი მშობლიურ სიტყვებსაც შეეხა.

<sup>1</sup> საანალიზო მაგალითების ნაწილი შეპირისპირებულია ქართულის სხვა დიალექტებთან, ხოლო ზოგისათვის ამოსავალი ფორმები ლიტ. ქართულიდანაა აღებული. შესაძლებელია, აქ ჩამოთვლილ ფორმათა ნაწილი არქაიზმს წარმოადგენდეს.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, საფუძელ. გვ. 204. 378—387.

<sup>3</sup> ვ. თ ო ფ უ რ ი ა , სვანური ენა, 1, ზმნა, 1931, გვ. 66; გ. ახვლედიანი, იქვე.

<sup>4</sup> ს. ქ ლ ე ნ ტ ი , თსუ შრ., ტ. 30/16, 1947, გვ. 432; გ. ახვლედიანი, იქვე.

<sup>5</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 385.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, უფრო კი ტიპური:

ა. კონდალი. ეს სიტყვა უცხოური წარმოშობისაა, რომელ-  
ნაც სალიტერატურო ქართულსა და მეტწილ დიალექტებში კონ-  
დახ-ის სახე მიიღო, აქარულში კი ეს სიტყვა კონდალი-ს სა-  
ხით დამკვიდრდა. ასე რომ, ყრუ ხშულმა კ-მ განიმსგავსა ყრუ სპი-  
რანტი ხ, გაამჟღერა იგი დამივიღეთ ხ-ს ჰელერი ვარიანტი ღ. სვა-  
ნურის მონაცემების მიხედვით გამჟღერების მოქმედებაში მონაწი-  
ლეობს სპირანტიც. ამგვარად, სვანურისაგან განსხვავებით და ოსურ-  
თან მსგავსებით აქარულში დისიმილატორის როლში ხშული გამო-  
დის, ხოლო სვანურის მსგავსად მიმართულების მიხედვით პროგრე-  
სული დისიმილაცია. ასევე, ოსურის მსგავსად სპირანტი დისიმილი-  
რებულის როლშიც გამოდის.

ბ. ჩირული. ეს სიტყვა არაქართული წარმოშობისაა. სალიტ-  
ქართულში იგი ჩირუხი-ს სახით გვხვდება, ჩანს. საანალიზო  
სიტყვას საკვლევ დიალექტში ისეთივე პროცესი განუცდია, რა-  
გორც ჩვენ მიერ განხილულ პირველ სიტყვას (კონდახი) იმ განსხვა-  
ვებით, რომ ჩირუხ-ში დისიმილატორის როლში გამოდის ყრუ  
უშვინვიერი აფრიკატი ჩ.

გ. ტორული. შემოსულია თურქულის გზით. აქარულში ამ  
სიტყვას რომ ცვლილება განეცადა, მაშინ იგი დორუგი-ს სახეს  
მიიღებდა. ანდა ქანურის<sup>1</sup> მსგავსად აქაც უნდა მიგველო დორუქ,  
დორუქ-თუთუნი, მაგრამ ჯერ რეგრესულა ასიმილაციის გზით  
(ტორუქ, ტორუქ-თუთუნი), ხოლო შემდგომ ხშულთა და-  
სიმილაციური გამჟღერების შედეგად მივიღეთ ტორული, ტო-  
რულ-თუთუნი.

დ. კაჰმალი, ყაჰმალი (თურქ. kaymak(ғы) 'ნაღები'). აქაც  
ადგილი აქვს კ || გ -ს დისიმილაციურ გამჟღერებას.

ე. ჭიბოშანი (შდრ. ლიტ. ჭოპოსანი).

ანალოგიური ვითარებაა რუსულიდან ნასესხებ სიტყვებშიც:  
ციმენდი, კაბუსტა, დეხნიკი და სხვა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქარულში დისიმილაციური გამ-  
ჟღერების კანონზომიერება შეეხება თვით ქართულ სიტყვებსაც.  
წინააღმდეგ სალიტერატურო ქართულისა და მისი დიალექტებისა,  
აქ დადასტურებულია ტყუბი (ტყუბი), წყვედ ფუძის შემცვე-  
ლი ზმნური და მიმღეობური ფორმები (გამოწყვედილი, გამო-  
წყვედს...). ამ უკანასკნელთაგან უნდა გამოვყოთ წყვედ ფუძე,

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ.,  
1938, გვ. 105.

რომელშიაც დისიმილაციურ გამჟღერებას ვგულისხმობთ ახალ ქართულთან შეპირისპირებით, თორემ ძვ. ქართულში იგი „წყუედ“ ფორმით გვხვდებოდა.

ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე დისიმილაციური გამჟღერების ფაქტს ხედავს ძვ. ქართულშიც. მე-11—13 საუკუნეთა ტექსტებიდან დამოწმებული მასალის მიხედვით ასკვნის, რომ თბ—თფ-საგან, ასევე, ცდ მეორეულია, იგი მიღებული ჩანს ცთ კომპლექსისაგან დისიმილაციური გამჟღერების გზით, და, რომ ფშვინვიერ თანხმოვანთა დისიმილაციური გამჟღერება პროგრესულია და (არსებულის მასალის მიხედვით) მხოლოდ კონტაქტური<sup>1</sup>.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი მასალების გაანალიზების შედეგად შეიძლება დავასკვნათ: აჭარულში დისიმილაციური გამჟღერება წარმოადგენს ერთ-ერთ ქმედითს ფონეტიკურ მოვლენას<sup>2</sup>.

### ხმოვანთა დისიმილაცია

8. 22. ხმოვანთა დისიმილაცია უპირატესად უშუალო მეზობლობაში ხდება. შორეულ პოზიციაში იშვიათია. სათანადო შემთხვევათაგან დავასახელებთ: მ ე ლ ი ნ ც ი ა (||მელენცია), ფ ო თ ე ლ ი ფ ო თ ე ლ ო ლ ე ბ ი (ამჟამდ ფოთელაშვილები), ფ ო თ ე ლ ა ო (მერყევი ბუნების ადამიანის ეპითეტი), ჭ ი ბ ო შ ა ნ ი (შდრ. ლიტ. ჭობოსანი), ს ტ ი ქ ა ნ ი, ნ ა გ უ ზ ა ლ ი, ლ ა პ ა რ ი კ ი, ჯ ე მ ა გ ი რ ი, ლ ი ნ ძ დ ვ ა, ს ა ჩ ი ჩ ე ლ ი... დისიმილაცია პრევერბისეული (ა. ო) ხმოვნისა ფუძისეულ (ძირითადად ვნ. გვარის ე პრეფიქსთან) ხმოვნებთან. დისიმილაციას ასეთ შემთხვევაში წინ უსწრებს ასიმილაცია. ფუძის თავიიდური ე იმსგავსებს წინამჟღად ხმოვანს და გვაძლევს ეე-ს, ხოლო დისიმილაციის შედეგად მიიღება იე; მაგრამ პროცესი აქ არ წყდება. დისიმილირებული ხმოვანი (ი) შემდგომში დავიწროების შედეგად გაუმარცვლოვდება და მოგვეცემს ე-ს. ეს პროცესი შეიძლება გამოხატულ იქნეს ფორმულით: აე, ოე→ეე→  
←იე→ჟე.

ეე→იე [→ჟე აჭარ.] უნდა იქნეს ახსნალი, როგორც ერთ-ერთი კერძობითი გამოვლენა დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებისა ენაში (გ. ახვლედიანი). ეე-ში ეს ტენდენცია კომპლექსის ერთ-ერთი კომპონენტის ე-დ ქვევისაკენ მიემართება. გარდამავალი სა-

<sup>1</sup> ზ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ძველი და სპ. ქართულის ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი. მაცნე, 6, 1969, გვ. 225-227.

<sup>2</sup> შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართ. ენის ზემოაქარული დიალექტი. გვ. 38-41.

ფეხურია ე-ს დავიწროება ი-დ. ამ საფეხურზე დგას უმეტესობა ამ დიალექტური ერთეულებისა, რომელთაც იგი ახასიათებთ; მხოლოდ აჭარულს მიუღწევია მე-მდის<sup>1</sup>; მაგ.: გა-ე→ეე→იე→აე: გ ა ე დ ვ ი ძ ა (←გიეღვიძა←გეეღვიძა←გაეღვიძა); და — ე→ეე→იე→აე: დ ა ე წ ე რ ა, დ ა ე ხ ა ტ ა; ჩა — ე→ეე→იე→აე: ჩ ა ე პ ე ჯ ა, ჩ ე კ ა ლ ი ბ ე ბ ი ა, წ ა — ე→ეე→იე→აე: წ ა ე წ ი კ ე ა, წ ა ე ხ რ ო ს ი ნ ა.

ანალოგიური ვითარებაა მო ზმნისწინიან ფორმებთანაც: მო — ე→ეე→იე→აე; მ ა ე ს უ ფ თ ე ბ ი ა, მ ა ე გ ლ ი ჯ ა.

ასეთსავე ვითარებას — ერთდროულად ასიმილაცია-დასიმილაციის პროცესს, ადგილი აქვს რთულ (გადა, გაღმო, წამო, ჩამო...) პრეფერბებშიც: გ ე დ ა ე ფ რ ი წ ა, წ ა მ ა ე ყ ვ ა ნ ა, ჩ ა მ ა ე ბ დ ა ტ ა.

ხმოვანთა დისიმილაცია გარკვეული კანონზომიერებით არის გატარებული ასევე ო ხმოვნით დაბოლოებულ პრეფერბებშიც (იქნება ის მარტივი (მო-) თუ რთული (ამო-)).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პრეფერბისეულ ო ხმოვანს თუ მოსდევს საარვისო ქცევის პრეფიქსი ა, ოა დისიმილაციის შედეგად (ო-ს დავიწროებით) უა-დ იქცევა: მ უ ა ხ ე რ ხ ა (←მუახერხა←მოახერხა).

ანალოგიური პროცესი თავს იჩენს ოვ ელემენტის შემცველ ზმნებსა და სახელებში. აჭარულში ასეთ პოზიციაში ო-ს დავიწროება ისე შორს მიდის, რომ ნადისიმილაციარი ო/→უ/ გაუმარცვლოვდება და უ-თი შეიცვლება, მაგ.: დ ა ა თ უ ა (←დაათუა←დაათოვა), ჩ ა მ უ ა, წ ა მ უ ა, გ ა დ მ უ ა რ დ ე ბ ა, გ ა ა თ ხ უ ა; თ ხ უ ა რ ი (←'მათხოვარი'), მ ა თ ხ უ ა რ ი, ს ა ძ უ ა რ ი (←'საძოვარი'), ს ა შ უ ა რ ი<sup>2</sup>.

ცალკე უნდა გამოიყოს დისიმილაციის ისეთი შემთხვევა, როცა პრეფერბისეული ა განემსგავსება „ვალ“ ზმნის ძირეულ ა-ს:

ა — ა → ე — ა: ე ვ ა ლ, გ ე ვ ა ლ, ჩ ე ვ ა ლ თ, ჩ ე ხ ვ ა ლ თ, გ ე დ ე ხ ვ ა ლ...

ე- ხმოვნიანი ზმნისწინები „ვალ“ ზმნის მყოფადის მწკრივის მთელ პარადიგმს გასდევს; ე ვ ა (←'ავა'), ჩ ე ვ ა, წ ე ვ ა, გ ე დ ე ვ ა:

ხმოვანთა დისიმილაციას ადგილი აქვს მრავლ. -ებ ფორმანტი-

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ. 141.

სეულ და ფუძის ბოლოკიდურ ე-ე ხმოვნებს შორისაც: კ ი ლ დ ა ე ბ ი, ღ ე ლ ჯ ე ბ ი, პ ა ქ ს ა ძ ე ბ ი (ტოპ. სახ.).

ასეთივე შედეგია მიღებული მრ. ებ სუფიქსის ზოგიერთ ახმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებზე დართვისას; მაგ.: უ ს ტ ა ე ბ ი, ხ ო ჯ ა ე ბ ი, ლ ო ყ ა ე ბ ი, ა ლ ა ე ბ ი, ბ ე გ ა ე ბ ი, ს ი რ თ ა ე ბ ი (სირთი 'გორა').

ამრიგად, როგორც ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, აჭარულში ეე—იე—აე-ს ტენდენცია ბოლომდისაა გატარებული. ამ მოვლენის წინა საფეხურს გვიჩვენებს გურული, იმერული, მესხურ-ჭავჭავური, იმერხეული და სხვა.

### მეტათეზისი

8. 23. ბგერათა გადასმა ძირითადად სონორ თანხმოვნებს ახასიათებს. იგი ხდება როგორც ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, ასევე, თანხმოვნებში მახლობელ და შორეულ პოზიციაში. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ფუძისეული ხმოვნის ამოვარდნის შედეგად ახლოურ პოზიციაში მოხვედრილ ნაზალურ და ნარნარა თანხმოვანთა მეტათეზისისათვის აშკარად იქმნება ზელსაყრელი პირობა. ბგერათა გადასმას, — როგორც ეს სპეციალური ლიტერატურადანაა ცნობილი, — ზელს უწყობს სონორობა<sup>1</sup>, ასე რომ, ბგერათა გადასმა აჭარულში საერთო ქართულ დიალექტურ ნორმებს მიჰყვება. ადგილი აქვს როგორც მარტივ, ისე საურთიერთო ადგილმონაცვლეობას. ხოლო მიმართულების მიხედვით უფრო ხშირია რეგრესული მეტათეზისი.

8. 23ა. ხ მ ო ვ ა ნ თ ა და თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა მე ტ ა თ ე ზ ი ს ს, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს ახლოურ პოზიციაში: გავრცელებულია რ, ლ, მ, ნ, ვ-ს გადასმა: მაგ.: ღ უ რ ბ ე ლ ი, მ ა ხ რ უ კ ა (—მახურკა—მახორკა), ზ რ უ გ ი (და აქედან წარმოქმნილი მ ო ზ რ უ გ ვ ა, და ზ რ უ გ ვ ა, და ზ რ უ გ ვ ი ლ ი, მ ო ზ რ უ გ ვ ო ლ ი...), ტ ყ რ ი პ ლ ი (ტყირპლი), თ ხ ე მ ლ ა, გ უ რ ძ ა ვ ო (ასევე, გ უ რ ძ ა ვ ი კ ი), ბ ა რ ე ლ ა მ (ბარემლა), ჭ ო რ ო ფ ლ ი, ი ნ დ ა ყ ვ ი (ეს შესაძლებელია მიღებული იყოს ლიტ. ი დ ა ყ ვ ა-სა და ნ კ დ ა ყ ვ ი-ს კონტამინაციით)<sup>2</sup>, ჩ ლ უ ქ ი.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, საფუძვლ. გვ. 360, ს. ფლენტი, ქართ. ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 239-240; პანს ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გვ. 16-18.

<sup>2</sup> ი-დაყვ, ნ-ი-დაყვი ი-||ნი-ს პრეფიქსაციის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ.; ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. 4.

## თანხმობანთა გადასმა

ყურადღებას იქცევს შემდეგი მაგალითები:

8. 23ბ. პ ე ვ შ ი (პეშვი), უ ბ ა ნ ლ ო („უ ბ ა ნ ლ ო შობს ბ ა ნ ლ ი ა ნ ს ა“ — გამოცანა — კვერცხი), ვ ი ლ ა ნ, მ ე მ რ ე ნ ‘მერმე’<sup>1</sup> და სხვა.

ასევე, ზოგჯერ ასიმილაციისა და მეტათეზისის ერთდროული მოქმედების შედეგად გვაქვს: მ გ ზ ა ვ ს ი, თ ა ვ ს რ ა კ ი (‘თავსაკრავი’), კ ა რ ტ ო ლ ა, ს ა კ ა რ ტ ო ლ ო („მაგენი კაცს რაეა დატევეს, ს ა კ ა რ ტ ო ლ ო ფირალსაო, ხუბ. 37), გ ა ს ხ ნ ა, გ ა ს ხ ნ ი ლ ი (კოროხის ხეობის სოფლებში), ქ ა რ ა ხ ს ი (ქარახხა — აკ. შ ა ნ ი ძ ე), ა ვ ა მ ტ ყ ო ფ ი (||ვანტყოფი, ავატყოფი).

ღ-ს რეგრესული მეტათეზისის შედეგად გვაქვს: ღ ჯ ა (ლიტ. ჯღა).

ღ-რ-ს საურთიერთო მეტათეზისის შედეგად მიღებულია: ს უ რ ი ე ლ ი („თელ ს უ რ ი ე ლ ს გუხარდება ზაფხული და გამოსული“ გაზ. „საქ.“ 1916, № 248), მ ა დ რ ი ე ლ ი, ჩ ი რ ბ უ ლ ი (მდრ. ს ა ბ ა ჩილბური), ვ ე რ უ ლ ი, ვ ე რ უ ლ ი ძ ე (გვარია ქობ. რაიონში), ს ი მ ძ რ ა უ ლ ე. ძ რ ა უ ლ ი (მძლავრი), დ ა თ ვ ა რ ი ე ლ ე ბ ა (||დამთვარიელება, დანთვარიელება), ნ ა ჭ ა რ ვ ა ლ ა (ტობ. სახელი ‘ნაჭალვარა’), ხ ე რ ტ ა ლ ი:

ხ ე რ ტ ა ლ მ ა ხელი დამგალა,

— ხ ე რ ტ ა ლ გასატეხელიო;

მამაჩემი არ მათხუებს,

— კისერმოსატეხელიო.

ნ-ღ—რ-ნ: გ ე რ ნ ა ლ ი. როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, მარტივი კონტაქტური მეტათეზისისათვის ხელსაყრელი პირობა იქმნება ფუძისეული ე ხმოვნის რედუქციის შედეგად. რ-ნ—ნ-რ: დ ა ნ ი ს პ ა რ ა უ ლ ი (სოფლის სახელი)<sup>2</sup>.

ბგერათა დისტანციური გადასმის შედეგად შეიძლება კიდევ დასახელებული იქნეს: მ ი ე ნ ა ლ ა (←‘მეილანდა’; იკარგება ამავე დროს დ თანხმოვანი): ამ შუადღი[ს] გულზე რა მ ო გ ე ნ ა ლ ა, კ ო!

ხმოვანთავსართოვანი სახელები: თსუ შრ., XXX, XXXI B. 1947. გვ. 456-457; ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძვ. ქართულში, 1954, გვ. 264-265.

<sup>1</sup> ასეთი ფორმით გვხვდება იმერხელშიც: წეშლა მ ე მ რ ე თეპარ-მირზა-მა...; მ ა რ ი, იმერხ. გვ. 55; ფშაურში: მ ე მ რ ე მოიღეს სადაოდ, თუნდა ოსმალოს ჭარიო (ვაჟა, მცირე ლექსიკონი, გვ. 178).

<sup>2</sup> ამ სახელის ეტიმოლოგიაზე — დ ა ნ ი ს პ ა რ ა უ ლ ი — დ ა რ ი ს პ ა ნ ა უ ლ ი-დან პირად საუბარში მიგვითითა აკ. შ ა ნ ი ძ ი მ.

დ უ კ ნ ე ს ვ ი ა („იმხელა კიბილი ისე ამეიგლიჯა, რომ ერთიც არ დ უ კ ნ ე ს ვ ი ა“), წ ა მ ო რ დ გ ე ნ ა, დ ი დ თ ე რ ნ ა ლ ი (ტოპ. სახ.), ძ ვ ი ლ ა ჯ („ძ ვ ი ლ ა ჯ ['ძლივს'] არ მევეთქვი სული!“), ა ნ უ რ ი ე ფ ს („ეიხუბებს ამ ბალანას და სალამ-საკამ ზღვი[ს] სპირზე ა ნ უ რ ი ე ფ ს“ ‘არონინებს’). საანალიზო ფორმაში ადგილი აქვს ხმოვნის (ო) სუბსტიტუციასაც, რაც შეპირობებულია ასიმილაციით (ასიმილაციური სუბსტიტუცია). ხ ე ლ ბ ო გ ა ჯ ['ხელგობა'], ნ ა მ ე რ ჩ ხ ლ ა ჯ (მეჩხერი-დან), ე რ ს ა კ ი ლ ა ჯ (ქობ.). ამ უკანასკნელში თანხმოვანთა (დ, თ) დაკარგვის გარდა ადგილი აქვს მეღერი ხშულის (გ) ასიმილაციას (გ→კ-ს აბრუპტივიზაციას), შე პ ო ტ ვ ა ('შეტოტვა').

ამგვარად, აქ დადასტურებული ბგერათვადასმის შემთხვევები არ ამჟღავნებს რაიმე ახალს, განსაკუთრებულს. იგი, შეიძლება ითქვას, თანაბრად ვრცელდება როგორც მშობლიურ ქართულ, ისე ნასესხებ სიტყვებზე, და რომ იგი მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ქართული ენის სხვა დიალექტებშიც.

### სუბსტიტუცია

8. 24. ფონეტიკურად განუპირობებელ ბგერათვცვალებადობის ერთ-ერთ გავრცელებულ და ნიშანდობლივ მოვლენას, როგორც ცნობილია, წარმოადგენს სუბსტიტუცია ანუ ბგერათშენაცვლება. იგი ქართველური ენებისა და მათი კილო-თქმებისათვის ისტორიულადაც დამახასიათებელი იყო. რიგი თანხმოვნების მონაცვლეობა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ფონოლოგიური ღირებულებისაა (სჯული→რჯული, სასჯელი→სარჯელი...). სუბსტიტუციას, ჩვეულებრივ, იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როცა სიტყვის ფუძეში თავს იყრის ფიზიოლოგიურად მონათესავე და აკუსტიკურად მსგავსი ბგერები.

### თანხმოვანთა სუბსტიტუცია

8. 25. მონაცვლეობენ, ჩვეულებრივ, ბაგისმიერი ხშულმსკდომნი. ამ რიგის მონაცვლეობას, როგორც ცნობილია, განაპირობებს წმინდა ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური ფაქტორები.

გ→ზ: დ ა ბ ა რ ც ხ ნ ა („ჯერემ დ ე ი ბ ა რ ც ხ ნ ე კარქა, ცავ, და მემრენ დიგაბწნი!“), დ ა ბ ა რ ც ხ ნ ი ლ ი, დ ა ბ ი წ ყ ე ბ ა, დ ე ი ბ ი წ ყ ე ბ ს, შ ა მ ბ ა ლ ა.

ბ—მ, მ—ბ: ქალაბანი („ქალაბანი შეეიკერე, ხარის თავრიელია“), ბრუნდე (||ბრუნდე), მაყაყი, მაყაყურაჲ (ცურვის სახეა).

იშვითად შეიძლება იმავე წყვილბაგისმიერ ბგერას (ბ) შეე-  
ნაცვლოს უკანანისმიერი გ: გუფეტი, უგნოფს (უბნობს):

ჩიტი ჩიტსა უგნებოდა:

ადე. ჩიტო, სურო ვჰამოთ (აქ. ხ. პოეზ.).

უფრო ხშირია ნ-სა და მ-ს მონაცვლეობა<sup>1</sup>.

მ—ნ: ხენწიფე („რა ანბავიაო, იკითხა ხენწიფემ“ ნოლ. III, 114), სახენწიფო, ვითან, საღანობამლი<sup>2</sup>, უნცროსი, ანბავი<sup>3</sup>, ნეფე (ნეფის გოგო), ნეფიწყარო (ტოპ. სახ.), დაანთავრა, დაანწყრია, მონდურავი, ანდგარა, განთელდა<sup>4</sup>, ბარსანი (—ბარსამი 'ბევრი'), დანტრევა, ანგზობაჲ (=ამგზობაჲ 'ამჯერად'), დონეზია (=დნომეზია) ნამდვილი-ს პარალელურად (უფრო ხშირად) აქ გვხვდება ძვ. ნანდვილი (განსაკუთრებით მოხუცთა მეტყველებაში)<sup>5</sup>, ბოქლონი (||ბოქლომი), შუანთობა (||შუამთობა), ნუქთი.

მ-ნ-ს ურთიერთმონაცვლეობასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ არტიკულაციის მიხედვით ისინი არ არიან მახლობელი, მაგრამ ჰომოგენური ბგერებია და ეს თავისებურება არის ამ შემთხვევაში გამსაზღვრელი გარკვეულ პოზიციაში მათი მონაცვლეობისათვის<sup>6</sup>.

ერთადერთი მაგალითით დასტურდება მ—ვ-ს სუბსტიტუცია: წვინდა (წმინდა-ს პარალელურად).

ვ—მ: მენახი, მიწრო<sup>7</sup>, ამსება, ამსებული, სამსე, მასკლავი (||მარსკლავი, მასკლავი).

<sup>1</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. ივ. გიგინეიშვილი, ანგარიში მივიღებთ სურამის მრამოებში, ენისკის მოამბე, 43, 1939, გვ. 204.

<sup>2</sup> ვერ ვამბობთ კატეგორიულად, ამ მაგალითის მიხედვით სუბსტიტუციას აქვს ადგილი, შეიძლება აქ მ-მს რეგრესულ დისიმილაციასთან გვექონდეს საქმე.

<sup>3</sup> გვხვდება ჯავახურსა (გ. ბერიძე, დასახ. შრ., გვ. 244) და სხვა დიალექტებში.

<sup>4</sup> ამ მაგალითში გ შეიძლება ნ, მ-ს მონაცვლედ კი არ ჩავვეთვალა, არამედ გან-პრევერბისეულად, რომ აქარული არ გაურბოდეს ძველი სახით ზმნისწინების (გან-, აღ-,...) ხმარებას. ვერცად ამ საკითხზე — ქვემოთ („ზმნისწინები“).

<sup>5</sup> ი. იმნაიშვილი შენიშნავს, რომ გურულში ეს სიტყვა ძველად გავრცელებული ნარიანი ფორმით (ნანდვილ, ნანდვილად) იხმარებოდა და არა მ-ანი-თო (ნამდვილ, ნამდვილად): სახელთა ბრუნება... გვ. 656.

<sup>6</sup> ივ. ქავთარაძე, ქართ. ენის ისტორიისათვის, გვ. 211.

<sup>7</sup> ამ სახით გვხვდება ინგილოურში (გრ. იმნაიშვილი, ქართ. ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966, გვ. 32), მთიულურში, სა-



აღსანიშნავია, რომ ვასკულაევი // მასკულაევი პარალელური ფორმები ძვ. ქართულშიცაა დადასტურებული! გამომლიხან ('გამოვლისას'), ჩაამლო („ჩაამლო ხელი ყაზმას ქუჩუქ აღამ“ ხუბ. 36).

ვინის წყვილბაგისმიერი მ-ანით შენაცვლება, — შენიშნავს გრ. იმნაიშვილი, — რაც მოდებულია მთელ რივ აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში, გამოწვეული ჩანს ვინის ბილაბიალური ბუნებით<sup>2</sup>.

ცნობილია, რომ აქცესიური კომპლექსის სუპერაციისათვის ენამ ძველთაგანვე მიმართა ძნელად ასატანი კომპლექსის მონაცვლებას უფრო ბუნებრივი კომპლექსით (ქვრივ—ქურივ—ქმრივ...). ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების გარკვეული ნაწილიც, ეკვი არაა. სუპერაციისთანაა დაკავშირებული.

ბ—ვ: ე ბ ნ ე ვ ა, გ ე ბ ნ ე ვ ა, ვ ე ბ ნ ე ვ ი<sup>3</sup>, ე ხ ე ვ ა, გ ე ხ ე ვ ა („რაც შენ არ გე ხ ე ვ ა, ნუ ეპეკები იმ საქმეში!“).

ნ—მ: რამდენსამე სიტყვაში ნ-ს ადგილს წყვილბაგისმიერი მ იჭერს: ო ლ ო მ (||ოლონ[დ])<sup>4</sup>, ი ა ლ ო მ ზ ე, ი მ ტ ე რ ე ს ი, გ ა მ-ქ ა რ ქ უ ლ ო ბ ა.

არის შემთხვევები, როცა არტიკულაციურად მონათესავე წინაენისმიერი ბგერები ნ და ლ ენაცვლებიან ერთმანეთს.

ლ—ნ: უ მ ა ნ (←უმალ): მ ო ს ლ ი ს უ მ ა ნ, წ ა ს ლ ი ს უ მ ა ნ („რა იყა, ცავ, მ ო ს ლ ი ს უ მ ა ნ ო მ შ ა თ რ ი ნ დ ი მ ა გ ბ ა ლ ა ნ ა ს!“), ს უ ნ ყ ვ ე ლ ა<sup>5</sup>.

რ-სა და ლ-ს მონაცვლეობის საბუთად შეიძლება წარმოდგენილ იქნას: ფ ა თ ლ ი ჯ ა ნ ი ('ბადრიჯანი'), წ ი ნ წ კ ი ლ ი ('წანწკარი'), [მ ო წ ი ნ წ კ ი ლ ე ბ ს (ამ ყურალებმა ['გვალვებმა'] თლათ დააშრო წყარალები, 'წვეთ-წვეთათ მოწინწკილე ბს წყალი'), ბ უ ლ-თ ი, თოვლა — ბ უ ლ თ ა მ, ა ბ ე ლ ე ც ი ა (||აპერაცია), ჯ ო ლ გ ი, დ ა ჯ ო ლ გ ვ ი ლ ი, მ ი ა ჯ ო ლ გ ა.

დაც ძვ. ქართ. იწრო — ეიწრო — მიწრო (არნ. ჩიქობავა, მთიულ. თავისებურებანი, გვ. 47), იმერხეულში და სხვაგან.

<sup>1</sup> ივ. ქავთარაძე, ქართ. ენის ისტორიისათვის, გვ. 210; მ. ძიძიშვილი, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში, იკე IX-X, 1958, გვ. 82.

<sup>2</sup> გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, 1974, გვ. 157.

<sup>3</sup> შდრ. ეუზნევა//ეზნევა (ქდ. კახურში, გვ. 656).

<sup>4</sup> შდრ. ხევს. უ ლ ო მ ც (←ულონც—ულონდც—ოლონდაც): ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 16).

<sup>5</sup> არაა გამორიცხული ვარაუდი „სუნყველა“-ს ლ-ლ—ნ-ლ რეგრესული დისტანციური დისიმილაციის გზით მიღებისა.

ლ-რ: ტ რ ი ნ კ ი, მ ტ რ ი ნ კ ა ვ ი („მაი [მ]გელი[ს] შექმული ტ რ ი ნ კ ა ვ ი რომ არ იყოს, ტამაზლულათ შევნახვიდი“), ქ ი რ ი შ ი (მდრ. ქილიში. ს. უ ლ ე ნ ტ ი).

ნ—ლ: ლ ე კ ი, ლ ე მ ს ი, ს უ ლ ი. აქარულში სულ||სუნ-ის სე-მასიოლოგიური დიფერენციაცია არა თუ დასრულებულია, დაწყებულაც არაა. ს უ ლ-ი ს უ ლ-საც („ძვილაჲ არ მევთქვი ს უ ლ ი“) ნიწნავს აქ და ს უ ნ-საც („რომელი დუხი შეიდრება მაისის ვარდის ს უ ლ ს?!“) (სუნ//სულ-ის სენასიოლოგიური დიფერენციაციის მეორეულობის შესახებ იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგენტ-ღება ქართველურ ენებში, თბ. 1942, გვ. 43. შნშ 1).

წინასწარსმეორ სმულმსკდომ დ-სთან ამავე წარმოების მკვეთრ ტ-ს სუბსტიტუციის შედეგად „ოდენ“-ფუძიანი სიტყვები ასეა წარმოდგენილი: ი მ ტ ო ნ ი, ა მ ტ ო ნ ი, მ ა კ ტ ე ნ ი (||მაქტონი) და მისთ.

ს-ს შეიძლება შეენაცვლოს მკლერი ზ ან ხორხისმიერი ყრუ სპირანტი ჰ: ზ ა ბ უ თ ი, პ ა პ ი რ ო ზ ი, მ ო ზ ი კ ა ჯ, დ ო ხ ო მ ო ზ ი კ ა ჯ, პ ა დ (=‘სად’), პ ა ც ხ ა ნ, პ ი მ კ ე ნ (=‘საითყენ’); ა მ ი ჰ თ ა ნ ა (||ამითანა), ი მ ი ჰ ჰ ა ნ ა. აღნიშნულ ფორმათა წარმომადგენლობის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული ენის დიალექტებში ს თანხმოვნის დაკარგვა გამოწვეულია რელუქციით: ა მ ი ს თ ა ნ ა → ა მ ი ჰ თ ა ნ ა → ა მ ი თ ა ნ ა; მ ი ზ დ ე ვ ს (ზ — მკლერი დ-ს წინ/ → მ ი ჯ დ ე ვ ს → მ ი დ ე ვ ს<sup>2</sup>).

ბ → ლ განსაკუთრებით ნასესხებ სიტყვებში: ო ჯ ა ლ ი, ბ უ ჯ ა ლ ი, პ ა ს უ ლ ი.

დასტურდება ერთი მაგალითი, რომელშიც უკანაენისმიერ მკვეთრ კ-ს ფარინგალური აბრუპტივი ყ ენაცვლება: ყ ა რ თ ო ფ ა ჯ (||ყართოფილაჲ): ბათუმში ჩამოებლაცუნდი, ყ ა რ თ ო ფ ი ლ ა ს ვყიდდი განა.

ეს ფორმები ჩვენ მიერ განხილული იყო ზემოთ („დისიმილაციური გამკლერება“).

ცალკე უნდა გამოიყოს სუბსტიტუციის ისეთი შემთხვევები, რომელთაც საფუძვლად უდევს სხვა ფონეტიკური პროცესები (აფრიკატიზაცია, დეზაფრიკატიზაცია და სხვა).

1 ი მ ი ჰ თ ა ნ ა და მისთ. ფორმები, ჩვეულებრივ, ზემოაქარულისათვისაა დამახასიათებელი.

2 გ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი, საფუძვლ. გვ. 211.

წ—ტ (კინტლობა—კინწლობა); ჯ—ჟ (ედომა, დაედუმლება, შიადედუმლა); ძ—ზ (ნიზლავი, დანიზლავება); ხ—ყ: (თანაყმა, შიეთანაყმენ), ყ—კ (კიეინი: „რასძალა დააკიეინა“); პ—ბ (ბატონი, დაბატონებული, ბატონიანი)¹ ბ—პ (დაპნევა, დაპნეული, პალკონი), ქ—თ (ბეთმეზი 'ბაქმაზი'); ფ—მ (ლორთქმანიძე); ტ—ჭ: ჭვირთი, ჭვირთული.

## თანხმოვანთა ასიმილაციური მონაცვლეობის განსაკუთრებული შემთხვევები

8. 26. გამოვყოფთ ისეთ შემთხვევებს, როცა იგი შეპირობებულია ასიმილაციით. ამ პროცესის შედეგად აქ გამოვლინდა ისეთი მაგალითები, რომელნიც სხვა კილო-თქმებში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ან სულ არ გვხვდება, ანდა არაა ფიქსირებული ლიტერატურაში. მაგ. ცოცოტა (←'ცოტ-ცოტა'): ცოცოტა ჩააყარე, ცავ, თუარა დეიკურკუტვის ფქვილი! ნენნელა (←'ნელ-ნელა'), პილლაჲ (←პირ[ვე]ლად 'პირველად'): პილლაჲ ფხარი მეცვალა, ვერ გევეკ[ვ]ლიე ჩემი ქუჩა, ტამაქქარი (←არაბ. — სპარს. کر + طع 'ხარბი', 'გაუჰაძლარი', 'მოშურნე'): სხუა რატონ არაა ტამაქქარიო, იპიე შეშურეებია მეგემ ერთ დიდარ ტამაქქარს; ტოშში („ჩვენში რომ პილლაჲ ტოზი ჩამუყალიბეს, სოფლიდან ყველაზე ადრე ტოშში მე და რეჯებაჲ გავერთიანდით“).

## ხმოვანთა სუბსტიტუცია

8. 27. გვხვდება ისეთი მაგალითები, რომელნიც უცხოა ქართული ენის სხვა კილო-თქმებისათვის; აქ ხმოვანთა მონაცვლეობა გარკვეულ შემთხვევებში შედეგია ასიმილაციისა.

ე—ო: იმდონი (||იმტონი), მაგდონი (||მაკტონი), კილო (||კიდეენ); კავშირებითის მწკრივის სუფიქსთა მონაცვლეობით: წახვიდო, მოხვიდო („მეწყინება, რომ არ მოხვიდო“)<sup>2</sup>.

1 აღსანიშნავია, რომ ბატონ||პატრონ-ის სემასიოლოგიურ დიფერენციაციას აპარულში ადგილი არ აქვს. ბატონი ბატონსაც ნიშნავს („შენ რომ ბატონი გიმიხდე, იმ დღიდან თავი შაქ მოსაკლავი“) და პატრონ-საც („ვინა ამ ყანის ბატონი?“); შდრ. სულ//სუნი, აქვე („თანხმოვანთა სუბსტიტუცია“). ასე რომ, აპარ. ბატონ-ისათვის ამოსავალი შეიძლება პატონ ფორმა იყოს.

2 მსგავსი მაგალითები ქართული ენის სხვა კილო-თქმებისთვისაც არ არის უცხო.

ო—უ: ს ა ნ დ უ მ ი ა ნ ი, ნ ა მ უ ნ ა ს ტ რ ე ვ ი (წამონასტრევი — სოფლის სახელია ქვემოაჭარაში), ჰ ა რ უ ნ ი ('არონი' — საკუთარი სახელი) კ ა ნ უ ნ ი („გაქეცივი კანუნს და, არ აქცდება სარჯელი!“), კ ა მ უ ტ ი, უ ჩ ე რ ე დ ი, მ ა ხ რ უ კ ა, ზ უ მ ა (წიშომა), დ ა ჩ უ ქ ვ ი ლ ი (დაჩოქილი), პ ლ ა ტ უ კ ი („პლატოკი“).

ამ მაგალითების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ხმოვანთა სუბსტიტუციაში გარკვეული წილი უდევს ასიმილაციას, კერძოდ წყვილბაგისმიერ მ-ს, რომელიც ავიწროებს ბაგისმიერ ო ხმოვანს და გვაქლევს უ-ს (სანდუმიანი, ნამუნასტრევი, კამუტი), შ ე ძ რ უ მ ლ ე ბ ა, დ ე ე დ გ უ მ ლ ე ბ ა („მაგას რომ სირცხვილი აწუხებდეს, აქ აღარც კი დეედგუმდება“), მ უ ა დ გ ი ლ ე, მ უ ა დ გ ი ლ ო ბ ა („კაი რომ ყოფილიყო მუადგილობა, ღმერცსაც ეყოლებოდა“), რ უ მ, ხ უ მ (წრომ, ხომ), თ ა ვ ე დ უ მ რ ო ბ ა: ამხელა კოლექტივის რაფერ წუძღვება, თ ა ვ ე დ უ მ რ ო ბ ა მაგას ტონტოლის ჰალვის ჰამა ხუმ არ გონია!

უ—ო: ო ნ ა გ ი რ ი, დ ა ო ნ ა გ ი რ ვ ა, დ ი დ ო ნ ა გ ი რ ა (ტოპ. სახელი), კ რ ო ხ ი, კ რ ო ხ ი [ს] ბ უ დ ე, ვ ა რ ა ო დ ა თ („მართლა ხომ სასტორზე არ იმიწონია, ვარაოდათ გებნევი!“); ე—ი: ს ი ზ ო ნ ი („ამ სიზონზეც კაი ფარა შამოვკარ!“), ა პ ი კ უ ნ ი, ა პ ი კ უ ნ ო ბ ა („შენი აპიკუნობა არ შჰირდება ამ კაც!“), შ ი შ ა, ც ი მ ე ნ დ ი (დისიმილაციითაა განპირობებული), შ ა ვ გ რ ი მ ა ნ ი („თეთრყირმიზი არ ვიკადრე, შ ა ვ გ რ ი მ ა ნ მ ა დამიწუნა“); ა—ო: დ ე დ ო მ ი წ ა („ბარობაში სულ თავალმა დედომიწაში მიძ[ვ]რება“ გაზ. „საქ.“ 1916, № 248), მ ა წ ნ ი დ ე დ ო; ა—ი: ლ ი ნ ძ დ ვ ა (წლანძღვა), ნ ი ზ ლ ა ვ ი, ლ ა პ ა რ ი კ ი; ა—ე: ფ ე რ ჩ ხ ა ტ ი; ი—ე: ბ რ ი გ ა დ ე ლ ი, კ ა მ ა ნ დ ე რ ი (—'კომანდირი'); ი—უ: ფ უ ნ ჩ ხ ი (შდრ. ფინჩხი)...

## სუბსტიტუცია კომპლექსებში

8. 28. ბგერათკომპლექსების სუბსტიტუციასთან ერთად აქ დადასტურდა კომპლექსის ხმოვნითა და ხმოვნის კომპლექსით შენაცვლების არაერთი შემთხვევა. ადგილი აქვს ასევე დისიმილაციური ხასიათის შენაცვლებასაც.

1 პარალელურად ფარჩხატოცაა დადასტურებული; იგი ნიშნავს მერხერკბილებიანს (კერძოდ სავარცხელს), აჭარულში შემორჩენილი ფერცხი, ფერცხალი იმავე სიტყვასთან უნდა იყოს სემანტიკურ კავშირში. ფერცხი, ფერცხალი ნიშნავს გვერდის ნეკნებს, „გვერდის წიბოს“ (საბა);

თანხმოვანთა კომპლექსებიდან ერთმანეთს ენაცვლება: სტ—შტ: შტვირი, უშტვერს, ჩეშტი („თელი ჯარი ჩეშტზე იყო დამდგარი“), ფოშტა, ფოშტალიონი. უკანასკნელ ორ მაგალითში შეიძლებოდა რუსული ყ-ს დეზაფრიკატიზაცია გვეგულისხმა, თუ ანგარიშს არ გავუწევდით იმავე საანალიზო სიტყვების ლიტ. ფორმებს: ფოსტა, ფოსტალიონი.

რუსულ ჩკ (ЧК)-ს, ჩვეულებრივ, შეენაცვლება ქართული პარმონიული კომპლექსი ჭკ: ბოჭკა, სპიჭკა, პაჭკა, ტაჭკა, საროჭკა (იშვიათად საროჩქა), სიმიჭკა, ჭკალოვი („ჭკალოვის კითხულობს პოლდუსი, ჭკალოვის კითხულობს ტაიგა“).

რუსული ცკ, სკ-ს მონაცვლედ გამოდის წკ (||ცკ): ჩერვონწკი, მარინწკი („უწინ ლენინის ქუჩას მარინწკს ეძახდნენ“; მაგრამ: „ბრაცკის სადგური“), აზიაწკები (||აზიაცკები): აზიაცკებს ვაწმენდიებდი, ორადნიკი მომეპარა.

პკ, მხ—ფხ: შაფხა, ფხალი, ფხარი (მხარი), საფხარქვეში, აფხანაგი, ფხე (←ძვ. 'მხევალი'): ინაფხე ინაიშვილის ქალი.

აღნიშნავთ ხმოვანთა კომპლექსების სუბსტიტუციასთან დაკავშირებულ ძირითად მომენტებს<sup>1</sup>.

8. 28ა. ოა//ოვა—უა//უა, ვა: მუატანია, თხუა, მუალ; მათხვარი, სათხუარი („ერთი სათხუარი მაქ შენზე“).

ასეთსავე გზას გაივლის ო-ზე დაბოლოებული სახელადი ნაწილი შედგენილი შემასმენლისა, როცა მას მოსდევს მეშველი ზმნის ა (←არის): ეზუა (=ეზოა), ორმუა, ახლუა...

ოე//ოვე—უე//უე, ვე: მოთხუეს, მუელთ, ვაწვე, გათხუება; სახელებში: ოქრუები, ეზუები, გოგუები<sup>2</sup>.

ამავე პროცესებთან გვაქვს საქმე ორი სიტყვის შეხვედრისას, როცა წინამავალი სიტყვის (კავშირის) ბოლოკიდური უან ო უშუალოდ ემეზობლება მომდევნო სიტყვის (კერძოდ „არ“, „ვერ“ ნაწილაკების) თავკიდურ ა-ს ან ვ-ს რედუქციის შემდეგ ე-ს, მაგ.: თუ-არ//თვარ (←თუ არ), თუერ, თვერ (←თუ ვერ).

შდრ. „... ფარჩხად წერისათვის...“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. პალეოგრაფია, 1949, გვ. 50).

<sup>1</sup> ბგერათცვლილებათა ამ შემთხვევებს შეეხებთ ზემოთაც (იხ. ბგერითი შედგენილობა“).

<sup>2</sup> ხმოვანთა სუბსტიტუციის აქ წარმოდგენილი შემთხვევები მეტნაკლებად გვხვდება ქართული ენის დასავლ. და აღმ. კილო-თქმებში.

ვა—ია: შიაცვარა („თავის მოქმედობით დედამთლისაც შიაცვარა თავი“), შიამჩნია, შიაწუხა, დღია („ორი დღია პირში ლუკმა არ ჩამს[ვ]ლია, ფეპრიზი მაქ“).

კომპლექსთა და ცალკეულ ბგერათა (ხმოვანთა) მონაცვლეობიდან შეიძლება დავასახელოთ:

ვა—ო: ქომო („ჩეი[რ]ზინე, ტატულავ, ქომო და ხიზარი აჭმირბენიე!“<sup>1</sup>, ჩოულობა („იმით აქვან ასეთი ჩოულობა“, ნოღ. III, 13), შობულობა, ქოყანა (||ქვეყანა)<sup>2</sup> გუშობს (||გაუშვებს), შეხოვია („ხე გაზდილა. ხე მაღალი, ზეთა სურო შეხოვია“), შეხოვილი („პლატუკში ქონდა შეხოვილი“) ყოღან (||ყვეღან), სხოგან (სხვაგან), ყოლიფერი (||ყველამფერი).

სალიტერატურო ქართულში ო ხმოვანი გარკვეულ შემთხვევაში ვა კომპლექსისაგან მომდინარეობს. აჭარულში გვხვდება ამოსავალი ფორმები: მაგ.: გუწვადა, შამეიდვა, კვამლი (კომლის მნიშვნელობით) და სხვ.

ვა—ო: ქოშარდულაჲ (შდრ. შარაშიძე, გურ. ლექსიკონი ქვაშურდულაი); ვი—ო: ფესო (ფესვი); უ—ვი: დვირბილი („ერთი გამაჭიტინიბიე მაგ დვირბილში, რა იქნება!“), ჩვიმპი ‘ჩუმი’, დვიბე (||დუბე).

როგორც ცალკეული ბგერების, ისე ბგერათკომპლექსების მონაცვლეობის შემთხვევები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა მეტნაკლებად ცნობილია ქართული ენის დასავლურსა და აღმოსავლურ კილო-თქმებში.

## ბგერის დაპარგვა

8. 29. ბგერათა დაპარგვა აქ ფართოდაა გავრცელებული. ეს ეხება როგორც ხმოვნებს, ისე თანხმოვნებს. თანხმოვანთაგან განსაკუთრებით ხშირად იკარგება წინაენისმიერი სპირანტები, ბაგისმიერები, უპირატესად კი სონორები. ბგერათდაპარგვას ქართულის დიალექტებში, საზოგადოდ, და, კერძოდ აჭარულში, ძირითადად საფუძვლად ედება მრავალთაგან ერთი რომელიმე ფიზიოლოგიური ფაქტორი. ასე მაგალითად: ზოგიერთი სუსტი ბგერა შეერწყმის რამოდენეო ბგერას, ჩვეულებრივ, უჩინარდება. დაპარგვას (თავი-

<sup>1</sup> შდრ. იმერს. მოი ქომოდან წისქვილ ქვეშ დეიმაღლე! მარი, იმერს. 23. 64.

<sup>2</sup> შდრ. ხოყანა (ვაჟა ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი კინჭარაულმა, თბ., 1969, გვ. 341).

დურ პოზიციაში) განაპირობებს აგრეთვე ხშულის სუსტი არტაქულაცია, კერძოდ, საწარმოთქმო ბგერის შემართვის ანუ ექსკურსიის არასათანადო მკაფიობა და ნაკლებ გამოკვეთილობა უშუალოდ ხმოვნის წინ<sup>1</sup>.

ბგერის გაუჩინარებას შეიძლება ზოგჯერ დისიმილაციური დაკარგვის ხასიათი ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში განმსგავსების გზით ჩვეულებრივ იკარგება ჰომორგანული ბგერებიდან ერთ-ერთი: ც ხ ვ ი პ ი რ ი, ა რ ც ე თ ი...

უფრო ხშირია ბგერის დაკარგვა ისეთ შემთხვევაში, როცა თანხმოვანთა შეჯგუფების შედეგად წარმოიქმნება ქართული ენისათვის უჩვეულო კომპლექსი, მაგ.: ვნ (გაგზანა), ნდ (რ ა ნ ა 'რა უნდა').

აღსანიშნავია, რომ ჭოროხის მარჯვენა ნაპირის მიმდებარე სოფლების (გონიო, სარფი, კირნათ-მარადიდი) მკვიდრთა მეტყველებაში სწ კომპლექსი გამარტივებულია ყოველგვარ პოზიციაში ხ-ს დაკარგვის შედეგად: წ ო რ ი (სწორი); ა წ ა ვ ლ ი ს, ვ ი წ ა ვ ლ ე, ს ა წ ო რ ი, გ ა ა წ ო რ ა<sup>2</sup>.

აქაც ბგერათა დისიმილაციურ დაკარგვასთან უნდა გვქონდეს საქმე. წ აფრიკატი ხომ ტ ხშული თანხმოვნისა და ჰომორგანულა სპირანტის ხ-ს ელემენტებს შეიცავს.

აქ უნდა მოვიგონოთ გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს მიერ დადგენილი გზები, სახელდობრ, როცა მძიმე აქცესიური კომპლექსების (ძღ, ცთ... სწ) სუპერაციისათვის ენა მიმართავს სხვადასხვა საშუალებას. აპარულმა, როგორც ზემოთმოტანილი მასალებიდან ჩანს, ამ შემთხვევაში აქცესიური კომპლექსის დაშლის (resp. დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის) საშუალებას მიმართა (წავლა, წორი).

აქ წარმოდგენილი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ დისიმილაცია ბოლომდე მიდის და დეზაფრიკატიზაცია ისეთ მიმართულებას იღებს, როცა სწ—წ-ს, ე. ი. დეზაფრიკატიზაციის ნაცვლად ბგერის დაკარგვას ვიღებთ. ამ მაგალითებს შეიძლება დაუმატოთ: ს უ-დ ე ნ ტ ი; დ ა ს უ რ (ქობ.), ს უ რ მ ე ნ ტ ი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ივ. ქავთარაძე, ქართ. ენის ისტორიისათვის, გვ. 104—105.

<sup>2</sup> ანალოგიური მაგალითები ფიქსირებულია ქართლურში (გრ. იზნაიშვილი, ქართლური დიალექტი, 1974, გვ. 117—118).

<sup>3</sup> ქობულეთურში დადასტურებული „ს უ დ ე ნ ტ ი“ გურულის გავლენას უნდა მიეწეროს; „ს უ რ მ ე ნ ტ შ ი“ „სტ“ კომპლექსის სიბილანტური ელემენტის (ს) დაკარგვას წინ უნდა უძღოდეს დისტანციური პეტათეზისი.

ამრიგად, აქარულში გამოვლინდა არაბუნებრივი კომპლექსის დაძლევის ერთ-ერთი გზა კომპლექსის გამარტივება სიბილანტური ელემენტის დაკარგვით.

რ იკარგება განსაკუთრებით ბაგისმიერ და უკანაენისმიერ (ბ, პ, ფ, გ, კ) ბგერებთან. რ-ს დაკარგვის შესახებ გაკვირიო ზემოთაც გვქონდა საუბარი გრძელი ხმოვნების წარმოშობასთან დაკავშირებით. ნათქვამს დავძენთ: რ, ჩვეულებრივ, იკარგება იმ შემთხვევაში, როცა იგი მოქცეულია თანხმოვანთა შორის; მაგ.: ბ რ ძ ა ნ ა, მ ო ბ ძ ა ნ დ ა, ბ ძ ო ლ ა; ბ რ მ — ბ მ: ბ მ ა, (ბ რ მ ა), დ ა ბ მ ა ვ ე ბ უ ლ ი; ზ რ დ — ზ დ: გ ა ზ დ ა, გ ა ზ დ ი ლ ი, ზ დ ი ლ ო ბ ა, ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა; გ რ ძ — გ ძ: გ ძ ე ლ ი, ს ი გ ძ ე, გ ძ ე ლ გ ო რ ი გ ძ ე ლ ყ ა ნ ა (ტოპ. სახელები); ფ რ თ — ფ თ: ფ თ ა, ფ თ ხ ი ლ ი, ს ა ფ თ ხ ო ბ ე ლ ა; მ რ თ — მ თ: ჯ ა ნ მ თ ე ლ ი (||ჯამთელი, ჯანთელი); გ ა ნ თ ე ლ დ ა; ფ რ ჩ — ფ ჩ: ფ ჩ ხ ი ლ ი, ს ა ფ ჩ ხ ი ლ ე; ბ რ ტ ყ — ბ ტ ყ (||ბტყ): ბ ტ ყ ე ლ ი. გ ა პ ტ ყ ე ლ ე ბ ა; ბ რ წ ყ — ბ წ ყ (—||პწყ): პ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე, პ წ ყ ი ნ ა ვ ს; ჩ რ დ — ჩ დ (—||ჩთ): ჩ დ ი ლ ი, მ ო ს ა ჩ თ ი ლ ე ბ ე ლ ი, ჩ თ ი ლ ა ჯ (ტოპ. სახ.); მ რ გ ვ — მ გ ვ (—||გვ): მ გ ვ ა ლ ი (||გვალი). გ ვ ა ლ მ ი ნ დ ო რ ა ჯ, ტ ყ ე მ გ ვ ა ლ ა ჯ (ტოპ. სახელები); ვ რ ც — ვ ც: ვ ც ე ლ ი, ს ი ვ ც ე, გ ა ვ ც ე ლ ე ბ ა;

რ იკარგება რ ჩ ძირის მქონე ზმნის პირიან ფორმებში: მ ო ვ ჩ ი, შ ე ვ ჩ ი, დ ა ქ ჩ ე ნ ი ა.

სიტყვის თავში: ბ ი ლ ი (—'რბილი'), მაგრამ: ძ ვ ა ლ მ ბ ი ლ ი ერთი გუნდად, ქ ა, ქ ე ბ ი (რქები) კ ი ნ ა, კ ი ნ ი ჯ ვ ა რ ი (ტოპ. სახ.), კ ი ნ ი გ ზ ა, ძ ა ლ ი, ჯ უ ლ ი, კ ო (რკო).

არაიშვიათია რ-ს დაკარგვა ხმოვანთა შორის: მ ა ჯ ლ ი, ლ ა პ ა ი კ ი, ც ა ჯ ე ლ ი, დ ა დ ა ი ბ ე ბ უ ლ ა, მ ე უ მ (—მე რუმ—მე რომ), ა ს ე ო მ (ასე რომ...)<sup>1</sup>.

ფერ კომპონენტთან უარყოფით ნაცვალსახელებში („რა“ კომპლექსი) ნ უ ფ ე რ ი: (ნურაფერი), ა ფ ე რ ი, ვ ე ფ ე რ ი.

თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: ტ ი ა ლ ი (ტიალი მინდორი), უ მ ფ ო, ი მ ფ ო (||უმფრო), ა ღ ა ვ ი ს, ა რ ც ე თ ა თ („ბარიშნას რომ გადავხედე, ა რ ც ე თ ა თ არ დამეწონა“), ს ა ი ჩ ა ჯ რ ი (—თურქ. carıcağır ტოპ. სახ.), ც ხ ვ ი პ ი რ ი, უ ც ხ ვ ი პ ი რ ო, ე ზ რ უ მ ი (არზრუმი).

როგორც ჩანს, რ-ს დაკარგვა ხშირად დისიმილაციის შედეგია.

<sup>1</sup> თავიღური რ-აე მოკვეცილი კავშირი „რომ“ ის ნაცვალსახელთან — ის ო მ (—ის რომ) გვაქვს „რუსულანიაში“ (არ. მარტიროსოვი, საერა მწერლობის ძეგლების ფონეტ. თავისებურებანი, ივე, მე-6, გვ. 117).



რბ ძირიან ზმნებში: გე ი [რ] ბ ი ნ ე (გაირბინე), ჩ ე ვ ბ ი ნ ე (ჩაევირბინე).

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში (უარყოფით ნაწილაკებში): ა ღ ნ მოხვალ? ნ უ ღ ნ დ უ ც დ ი<sup>1</sup>.

-ებრ თანდებულისეული: ჩ ე მ ს ა ვ ე ფ (ჩემებრ): რას იბღვირ-ვი ხ ა რ ს ა ვ ე ფ, დაჭეჭ უძრავ ქ ვ ა ს ა ვ ე ფ (შელოცვიდან). ცნობილია, რომ რ არ არის მყარი ფონემა ქართველურ ენებში. იგი ხშირად განიცდის პალატალიზაციას და იკარგება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა შორის<sup>2</sup>.

მ იკარგება უპირატესად სიტყვის თავში, განსაკუთრებით მიმდებობებში: ჭ ე დ ე ლ ი, ტ ყ უ ა ნ ი, ხ უ რ ვ ა ლ ე, ხ უ რ ვ ა ლ ა მ, ხ დ ა ლ ი, შ რ ო მ ე ლ ი, დ უ ღ ა რ ე, შ რ ა ლ ი, წ ო ლ მ ა რ ე, თ ხ უ ე ლ ი (—თხუელი—მთხუელი—მთხოველი 'მათხოვარი'), თ ხ უ ა რ ი, კ ე დ ი, კ ე დ ი ძ ა ფ ი, ზ ი თ ე ვ ი (||გზითევი, გზითვი), წ ყ ე ს ი, ს კ ნ ე ლ ი („დედა სკნიდა, შვილი ხსნიდა, სკნელსა ხსნელმა დაჭარბა“), ნ ა ხ ვ ე ლ ი („ნახველებმა მიაკითხეს“), გ ზ ა ვ რ ი (||ნგზავრი), გ ზ ა ვ ს ი, ზ ა რ ე უ ლ ი, გ ა ლ ო ბ ე ლ ი, ტ ყ უ ა ნ ი, თ რ ა ლ ი, კ ბ ე ნ ა რ ი, შ ო ბ ე ლ ი, წ უ ხ ა რ ე, ყ დ ო მ ა რ ე, თ ა ვ ყ დ ო მ ა რ ე, ხ ი ა რ უ ლ ი, ზ ი თ ვ ა ლ ი, ზ ი ს უ ნ ა ხ ა ვ ი ('მზეთუნახავი') გ ე ლ ი, ზ ი ს ა ქ ც ი ე ლ ა მ, ზ ი ს ა მ ზ ე რ ე ლ ა მ ('მზესუმზირა'), კ ლ ა ვ ი, კ ლ ა ვ ი ს მ ო წ ი ე ვ ა ('ხელის მოწერა'), თ ვ ა რ ე, ზ ი ა ხ ო (ტომ. სახ.), გ ვ ა ლ ი, ძ ი ვ ი, ტ რ ე დ ი, ტ რ ე დ ი ფ ე რ ა მ, ძ ე ვ ა ლ ი, ს ხ ვ ი ლ ი, ჭ ა ხ ე, დ ა დ ე, წ ა რ ე, წ ა რ ე მ ბ ა ლ ა მ, დ ი დ ა რ ი, წ ი ფ ე, წ ი ფ ო ბ ი თ ვ ე, წ ვ ა ნ ი ლ ი, ღ დ ე ლ ი, ჩ ა ტ ე, ჯ ი ღ ი (მჯიღი).

ზოგ შემთხვევაში ძნელია თქმა აღნიშნულ პროცესთან გვაქვს საქმე თუ არქაულ ფორმებთან; ვგულისხმობთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: შუენიერი, ტევანი, ტერი<sup>3</sup>.

ანლაუტში მ-ანის დაკარგვა, როგორც ცნობილია, ძირითადად თანხმოვანთა ჯგუფების გამარტივების ტენდენციით აიხსნება.

<sup>1</sup> ზემოთ აღნიშნეთ, რომ რ ასეთ პოზიციაში უკომპენსაციოდ არ უჩინარდება. მისი ვოკალიზაციის შედეგად აბსოლუტურ ბოლოში ხმოვანი გრძელდება.

<sup>2</sup> მ. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანური ენის ბალსქვემოური კილოს ვრცელი თავისებურებანი: იყე, მე-9-10, გვ. 209; თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი, იქვე, გვ. 229; -ებრ თანდებულისეული რ იკარგება ასევე, ქართლურში (გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 202).

<sup>3</sup> შდრ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 70; ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 134; გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართლური დიალექტი, გვ. 144-145.

უფორმო სიტყვებში: მარა, რატო, ხოლოთ. ანალოგიურ პროცესი ცნობილია ქართულის სხვა დიალექტებიდან, მაგრამ აქარულში იგი მეტად ფართოდაა გავრცელებული. შესაძლებელია ეს თურქულის გავლენით იყოს გამოწვეული. როგორც ცნობილია, თურქულში სიტყვა წესისამებრ თანხმოვნით არ იწყება (მით უმეტეს თანხმოვანთა კომპლექსით).

ნ დაკარგულია შემდეგ სიტყვებში: ამტეხან (||ამტოხან, ამლოხან), იმტეხან, მაძც, მაძდამაძც, შეინახვა (ღისი-მილაც. დაკარგვა: „ბიბილაფ, შეინახვა მინდა!“).

მოტანა, მოყვანა ფუძის შემცველ პირიან ფორმებში: მეეტაჲ (მოვიტანე), გეიტაჲ, მეეყყაჲ და მისთ.

„უნდა“ ნაწილაკშიც (იხ. აქვე დ-ს დაკარგვის შემთხვევები).

კაუნატივის -ინ, -ევენ სუფიქსთა ელემენტი: დააწერიან, დავახვევიე, ამჟათხრევიან.

ვ-ს დაკარგვის შემთხვევები: ექსი, თექსმეტი, თრამმეტი, სვლა (ძვ. სლვა) ფუძიან სიტყვებში: მოს [ვ]ლა, წასლა, შესლა; ზოგ პირიან ზმნებსა და უპირო ფორმებში: მომლელი, ჩამსლელი, მოკლა (მოკვლა), ძრება; პირის ნიშნები (ს): აქ, გაქ, მიაქ, გვაქ; ვიდ ძირში: მოხდა (მოვიდა), წამოხდა; გზავნა — ფუძის შემცველ პირიან ზმნებსა და უპირო ფორმებში: გაგზანის, გადმოგზანა, გაგზანილი.

მსგავსად ძვ. ქართულისა და სხვა კილო-თქმებისა, ვ იკარგება ხმოვნის წინ, როგორც პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი: რათხრა ახლა მე მაგ კაც! ადრე, გამთიას შუდექ აღმართ; თითო-თითო ჩუკაკლე ხელში (მე).

ვ გაუჩინარებულია ოვე-ოვა-უვა კომპლექსებშიც: მჟეწყვე (—მუეწყვე—მოვეწყვე), ვაძჟებდი („პა ვიყავ და, ხობჟებ ვაძჟებდი!“), გადმჟარდა, მჟატანია, ჩჟარდა (ჩაუვარდა).

თუ ახალი სალიტ. ქართულიდან ამოვალთ, ზეით, ქვეით ზმნისართები ნეოლოგიზმებად უნდა ჩავთვალოთ, თუმცა ცნობილია, რომ ვ შემდგომია განვითარებულ<sup>1</sup>. განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ვ (განსაკუთრებით) ბაგისმიერ და სონორ თანხმოვნებთან (წინამავალ თუ მომდევნო პოზიციაში) მაშინ იკარგება (ან გადაისმის), თუ ამ პროცესის შედეგად სიტყვა-

<sup>1</sup> იხ. ჩიქობავა, ვ-ს დაკარგვის შესახებ ფერეიდულში: ვინის რეკლექსი ფერეიდულში — „ჩვენი მეცნიერება“ 2—3, 1923, გვ. 83; გრ. იმნაი-შვილი, ქართული დიალექტი, გვ. 146.

ში წარმოიქმნება ქართულისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კომპლექსი.

ღ-ს დაკარგვის შემთხვევები: წ ა ლ! მ ო ლ! (მოლი!), შ ე ლ თ; ჰ ა (—||ჰად 'სად'), ო ლ ო ნ (||ოლომ), მ ა ნ (მანდ), რ ო ლ ს.

ღ (ასევე, ნ) იკარგება „უნდა“ ნაწილაკში; სხვა სიტყვებთან უ ნ დ ა-ს შერწყმის შედეგად ვიღებთ ფორმებს „და დ გ ა უ ნ ა“, „ს ა ქ მ ე უ ნ ა“, მეორე მხრივ, იკარგება ნ, მაგ. ს ა ქ მ ე დ ა ('საქმე უნდა') შიგიძლიოდეს; თ ვ ა რ ე მ დ ა ('მთვარემ უნდა') დაბნელდეს.

აღნიშნული სიტყვა ასეთსავე ცვლილებებს განიცდის ჯავახურში<sup>1</sup>.

ს-ს დაკარგვას ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში არაერთი სპეციალისტის ყურადღება მიუქცევია. ხშირად მიუთითებენ მიც. და ნათ. ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი ელემენტის (ს) გაქრობაზე. ცნობილია, აგრეთვე თ-ს წინ მისი ჰ-დ დასუსტება და სავსებით გაქრობაც<sup>2</sup>.

ქვემოთ წარმოდგენილი მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენის დასავლურ დიალექტთაგან ეს პროცესი არსად არაა ისე გავრცელებული, როგორც აჭარულში. მეტიც, ამ მხრივ იგი შეიძლება გვერდში აშოვეყენოთ კახურ-ქიზიყურს.

ს-ანი როგორც აფიქსი ან ფორმანტისეული ნაწილი თითქმის ყოველთვის იკარგვის. ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს:

ა) მსაზღვრელი სიტყვის ან უბრალო დამატების ნათ. ბრუნვის ელემენტი: წ ყ ა რ ო თ ა ე ზ ე, მ ა წ ნ ი დ ე დ ო, წ ი ნ დ ი [ს] ჩ ხ ი რ ი, ყ ა ნ ი ბ ა ტ ო ნ ი ('ყანის პატრონი'), მ ა მ ლ ი ყ ი ვ ი ლ ი, ყ უ რ ძ ნ ი დ ა წ უ რ ვ ა; გაკომპოზიტებულ ადგილის სახელებში: ვ ე ლ ი პ ი რ ი, ა ბ ა ნ ო ყ ე ლ ი, რ უ ს თ ა ე ი დ ე ლ ე. ა ლ ო გ ვ ე რ დ ი; ქ რ ი შ ო ბ ი თ ვ ე, ე ნ კ ე ნ ი თ ვ ე.

ბ) მიც. ბრუნვის ნიშანი ბოლოთანხმოვნიან სახელებში: ცხვარი ხ ო რ ც კ ა ლ ფ ა ს ი ქ ო ნ ე ბ ი ა; წიგნები აჩუქვეს ბ ა ლ ნ ე ფ; ფ ი რ ა ლ ე ბ გ ე ლ ვ ი ძ ა ზ.

<sup>1</sup> არ. მარტიროსოვი, მესხურის ჯავახურთან მიმართების საკითხისათვის, პუშკინის სახ. პედინსტიტ. შრ., 8, 1950, გვ. 295; გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, გვ. 242.

<sup>2</sup> არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახურ დიალექტი, გვ. 57.

<sup>3</sup> შლრ. იმერხ. დავჯღ და წიგნი დავწერო, ჩიტ გავატანო ხებრათა, იგი საყვარელ მუტანე, ვეღარ ვესტუმრე ჩქარათა... მარი იმერხ. გვ. 49.

ს იშვიათად ხმოვანფუძიან სახელებშიც იკარგება: რა ძაქები, ქო! ადგა და გუშმცხადა ი მ ა; რას მიახდენ მა გ ა.

— თან თანდებულთან სახელებში: რეჭებათან, ზექიეთან.

აქვე უნდა განვიხილოთ Locativus exterior-ის შინაარსის მქონე სახელებში: ნამუნასტრეე წასულან; უჩხით („უჩხით ჩხიკვი ჩხიკინებს, ერგიბოლოს ოლოლი, ყველას თითო ქალი ყავს, აბდილას ოროლი“), დღე ძამღეთ მივდივარ.

აგრეთვე ზოგიერთ გაზმნიზებულ მარტივ და რთულ სახელებში ამტოხან („ჰაყავ ამტოხან?“) დღე („დღე [ს] კაჲ ამინდია“), წრეტლ (წლეულს), ახლო (ახლოს), ზამთარ (ზამთარში) შორ (შორს).

გ) ს იკარგება, როგორც მე-3 პირის ობ. პრეფიქსი: ეილო მანაც და ვოზდაათ მანაჩი მიცა, პასული მოთხტა (მოსთხოვა), თელი ქონება სოფელ გადაცო (გადასცა).

რიგ კილო-თქმათა მსგავსად ს როგორც მორთემა (მე-3 პირის ნიშანი) იკარგება ფუძისეულ ვ-ინთან ერთად „ქონა“ პირიან ზმნებში: აქ [ვს], მიაქ, შამტაქ, გამტაქ და სხვ.

ასევე, I და მე-2 პირში: მაქ, გაქ, გვაქ და მისთ.

ანალოგიური ვითარებაა ზოგიერთ ერთპირიან და ორპირიან გარდაუვალ ზმნებთანაც მხოლ. რიცხვის მე-3 პირში: აქ არი; წიფე არ არი; ისეგავ [ს] (ისე გავს) ტაროსინდა მეიშალოს. მსაზღვრელად ხმარებული ჩვენებითი ნაცვალსახელები: ი ბიჭი; ჰა მიდის ე გომბიო ამ საღამოპირ?

დ) სიტყვებში, რომლებშიც ს-ს მოსდევს დ, პ, ტ, ჰ თანხმოვნები: ტანცია, პიჭკა, ნიკარტი<sup>1</sup>.

აქარულისათვის (განსაკუთრებით ზემო და ქვემო აჭ.) დამახასიათებელია ს—ჰ („ჰა[დ] გეჩქარე ასე მალ!“), ჰაცხან, ჰიდაჭრი (სადაური) და სხვ.

ს—ჰ (ზემოაჭ.) შეიძლება ცვლილება განიცადოს სიტყვის ბოლოშიც: ბიჭოჰ (ბიჭოს) გათენებულა უქე!<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ნიკარტი ძვ. საერო მწერლობაშიც ამ ფორმით გვხვდებოდა (არ. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იკე, მე-6, 1954, გვ. 119).

<sup>2</sup> ს-ს დასუსტება-დაკარგვა ფართოდაა გავრცელებული გარე-კახურში (არნ. ჩიქობავა, გარე-კახ..., გვ. 65-68); ზ/ს-ს შესახებ, ასევე იხ. არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასიკატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში: იკე, მე-5, 1953, გვ. 59; ვ. თოფური, ქართლური, გვ. 132-133. არნ. ჩიქობავა მიუთითებს ამ ბგერის დასუსტებაზე მთიულურშიც, თუმცა როგორც იგი აღნიშნავს, ეს მოვლენა აქ ისე არაა გავრცელებული, როგორც გა-

8. 30. რედუქციის მიზეზი და წესი ქართველურ ენებში საკმაოდ კარგადაა დადგენილი. „ქართულში, სვანურისაგან განსხვავებით ა) კუმშვას იწვევს მხოლოდ სუფიქსი, ბ) რედუქცირდება მარტო სამი ხმოვანი (ა, ე, ო), გ) იკუმშება ერთმარცვლიანებიც გაორმარცვლიანების შემთხვევაში და დ) ერთდროულად ამოიღება ორი ხმოვანი.

რედუქციის წესები საერთო უნდა ყოფილიყო თავის დროზე ქართველური ენებისათვის; სახელდობრ, ძველ ქართულში ა) კუმშვას იწვევდა პრეფიქსიც და ბ) რედუქცირდებოდა ი და უ ხმოვნებიც. ამდენად სვანურსა და ქართულს შორის რედუქციის მხრივ სხვაობა არ იყო<sup>1</sup>.

გარკვეულია, რომ „ცოცხალ კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული“<sup>2</sup>.

უნდა ითქვას, რომ აქარულში ზოგჯერ გვაქვს ისეთი შემთხვევები, რომელნიც ქართულნი ენის აღმოსავლური დიალექტებისათვისაა დამახასიათებელი. თვალი რომ გადავავლოთ დიალექტ. მასალებს, ადვილად შევნიშნავთ, რომ ხშირად ერთი და იგივე სიტყვა ხან ექვემდებარება რედუქციას, ხან არა. მაშასადამე, აქარულში (განსაკუთრებით ქვემოაქარულსა და ქობულეთურში) რედუქციის პროცესი ჭერჭერობით არაა დასრულებული; საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შეუკუმშავი ფუძეების მაგალითებს: ქ მ ა რ ი ს თ ვ ი ნ გ უ მ ჟ ლ ა ვ ნ ე ბ ი ა; ც ხ ვ ა რ ი ს ხ ო რ ც ფ ა ს ი და კ ლ ე ბ ი ა; მ ა გ დ ე დ ა ბ ე რ ი ს შედთნობა ყველას გაეგო; ერთ უჩრუმში (ბნელ, მიუვალ ადგილში) ს ა ნ თ ე ლ ი ს შუქი მოჩანდა; თვალი რომ არ ეცეს, ეკალის გოლეფ (რგოლებს) ჩამოჰკიდებენ; ერთმანებ დაადვეს ხ მ ა ლ ე ბ ი.

იგივე სიტყვები ანდა იგივე ფორმები (ზემოაქარულში, განსაკუთრებით) შეიძლება რედუქცირებული სახითაც შეგვხვდეს; ც ხ ვ რ ი ს ხ ო რ ც ი, ქ მ რ ი ს თ ვ ი ნ, ქ ე ლ ე ბ ი, ქ ა რ ხ ნ ე ბ ი (ტობ. სახ.).

რე-კახურში, მეტადრე ქიზიურში. სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა ს-ს დასუსტებას ქიზიურში (არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ს ბ გერის დასუსტება ქიზიურში: ენიმკის მოამბე, 1, 1927, გვ. 66-69).

1 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: ივე, 1, 1946, გვ. 88.

2 ა. შ ა ნ ი ძ ე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწადული. I-II. გვ. 11.

არაიშვიათია შემთხვევები (განსაკუთრებით ზემოაჭარულში) ზმნის თემის ნიშნისეული (-ავ, -ამ) ხმოვნის ამოღებისა: მაგ.: მო-ზ ი დ ვ ე ნ, და ა ხ უ რ ვ ე ნ, ნ ა ხ ვ ე ნ, თ ი ბ ვ ე ნ. (მხ. თიბს); ს მ ე ნ, ა ბ მ ე ნ, ი ზ მ ე ნ და სხვ.<sup>1</sup>

ყურადღებას იქცევს ისეთი ფორმები, რომლებიც სალიტ. ქართულში (resp. სხვა დიალექტებში) ურედუქციაოა, მაგ.: ვედ//ვიდ ზმნაში ი ხმოვანი, ჩვეულებრივ, ამოვარდნილია: მო ვ დ ა (შდრ. ლატ. მოვიდა, დიალ. შევიდა), გ ე ვ დ ა, წ ე ვ დ ა, გ ე დ ე ვ დ ა, გ ა დ მ ვ დ ა<sup>2</sup>.

ზემოაჭარულში დადასტურდა ისეთი რედუქცირებული ფორმები, რომლებიც თანამედროვე სალიტ. ქართული ენისათვის უჩვეულოა; მაგ.: კ რ ვ ე ბ ი (კრავები), ს კ მ ე ბ ი<sup>3</sup>, ნ ა პ წ ნ ე ბ ი (ნაწნა-ვები)<sup>4</sup>; ნ ა პ წ ნ ე ბ ი გადმოგეყარა, პური კონი ქელივითა; ბ რ ე (ბარე): ჰა მიხვალ ბ რ ე! ა ს ტ მ ე ბ ი, ა ს ტ მ ი ტ ა რ ი, ნ ა ხ ვ ა რ ი, ნ ა ხ ვ ა რ პ ი ნ ა (ქურჭელია ერთგვარი), პ ი ლ ლ ა ჯ (←პირ[ვე]-ლაღ←პირველად), ს ა ტ რ ე<sup>5</sup>, ნ ა ლ ბ ი<sup>6</sup>, წ ა მ წ მ ე ბ ი<sup>7</sup>, ნ ა რ ც ხ ი.

ხშირია აგრეთვე სათავისო ქცევისა და ვნ. გვარის პრეფიქსის ი-ს რედუქციაც პრევერბიან ზმნებში: დ ე ვ ქ ი რ ე, გ ე ვ პ ა რ ე, დ ე ვ ც ო თ (დავიცვათ); დ ე ვ წ ე რ ე, გ ე ვ ხ ა რ ე, გ ე ვ გ ე, მ ე ვ ლ ა პ ა რ ი კ ე თ და სხვ.

სახელობითი ბრ. ნიშანი ი ამოვარდება ვე-ნაწილაკიან რიცხვით სახელებში: ს ა მ ვ ე, ო თ ხ ვ ე. იკარგება ფუძისეული ი-ნიც: წ ე ლ წ ა დ ი<sup>8</sup>, წ ე ლ წ ა დ ნ ა ხ ვ ა რ ი, ხოლო უ „უნდა“ ნაწილა-

<sup>1</sup> შდრ. სიზმარში ნ ა ხ ვ ე ნ: მ ა რ ი, იმერხ., გვ. 79—80.

<sup>2</sup> ანალოგიური ფორმები ქართ. დიალექტებიდან მხოლოდ იმერხელში გვხვდება: ულოგინოდ და გორვაში გვერღზე ამ ო ზ დ ა ეკლები; მ ა რ ი, იმერხ., გვ. 79.

<sup>3</sup> შდრ. ხევს. შკმები.

<sup>4</sup> დადგენილია, რომ ქართულში რედუქცირდება ერთმარცვლიანებიც გაორმარცვლიანებისას (ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის..., გვ. 89).

<sup>5</sup> შდრ. სპილო სტრიანი: ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. კინჭარაულმა, 1969, გვ. 249, საბა მ ე კ რ ე 'კარის მცულში'.

<sup>6</sup> შდრ. ფშ. ნ ა ლ ბ ი ა ნ ი: ერთზე რძიანი და ნ ა ლ ბ ი ა ნ ი ხონები იღვა, იქვე, გვ. 340.

<sup>7</sup> ამ ფორმით ფიქსირებულია საერო მწერლობის ძეგლებში (არ. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტ. თავისებურებანი: იკე, მე-6, 1954, გვ. 128); ივ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე ს (იხ. დასახ. შრ., გვ. 23) „არჩილიანიდან“ „დამოწმებული აქვს: ზიფთს თანჩაეს წ ა მ წ მ ე ს ნ ი ა ვ ი“

<sup>8</sup> ი ხმოვნის ჩავარდნით მიღებული წ ე ლ წ ა დ ი გვხვდება ქართულშიც (გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული დიალექტი, გვ. 148).

კიან ენკლიტიკურ ფორმებში და „უკან“ თანდებულში: მ ე ნ დ ა (მე უნდა...), თ ა ვ ი ნ ა (თავი უნდა) მეკვლა; მ ა ს ქ ა ნ (←მასუკან, 'შემდეგ', 'მერე').

უნ-სუფიქსიან ნაზმნარ სახელებში — ხმაბაძვით გამოთქმებში: ბ რ ა გ ნ ი შეიძახა, გ ვ ე ხ ა გააყრევია 'გვახუნი მოილო'<sup>1</sup>.

ცალკე უნდა გამოიყოს ნ ა ხ ვ ა რ ი, ნ ა პ წ ნ ე ბ ი, ნ ა რ ც ხ ი..., რომლებშიაც ფუძისეული ხმოვანი იკარგება პრეფიქსისეული ხმოვნის გავლენით. როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, რედუქციის ასეთი შემთხვევა დამახასიათებელი იყო ძვ. ქართულისათვის<sup>2</sup>. ამ არქაული ვითარების გადმონაშთად ასახელებენ ორიოდე მაგალითს: დიალ. ს ა რ ც ხ ი და სხვა. ექვი არაა, ზემოთმოტანილი აქარული სიტყვები ამავე რიგისა უნდა იყოს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას: ზემოაქარულში ხმოვანთა რედუქცია ქმედითია, ხოლო ქვემოაქარულსა და ქობულეთურ კილოკავებში კი — შესუსტებული.

## ს რ უ ლ ხ მ ო ვ ნ ო ბ ა

8. 31. სრულხმოვნობა ქართულისათვის ისტორიულად ისევე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო, როგორც ზანურისათვის (მეგრ. ჭანური); ქართულმა ეს ვერ შეინარჩუნა მახვილის მიზეზით.

გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ „ახალი ქართული უფრო მეტად იცავს სრულხმოვნობას, რითაც აძლიერებს სიტყვის მუსიკალურ იერს და ამიტომ რედუქციის თანმიმდევრულ გატარებას გაურბის“<sup>3</sup>.

საყურადღებო მონაცემები აქვს ამ მხრივ აქარულს. აღსანიშნავია თანხმოვანთა თავმოყრის დროს ხმოვნის, ძირითადად ი-ს არსებობა, რიგ სიტყვებში, მაგალითად: თ ი ბ ი ლ ი (ტოპ. სახელში: წყალ-თიბილაჟ), კ ი ბ ი ლ ი, ტ კ ი ბ ი ლ ი, კ ი ლ დ ე (ტოპ. სახ. კილდი-ძირი, კილდიათი, კილდილობილა), წ ი გ ი ნ ი, ხ ე ქ ე პ ო <sup>4</sup>,

<sup>1</sup> ძვ. ქართულში რედუქცირდებოდა ი და უ ხმოვნებიც: ვ. თ ო ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის..., გვ. 88; ავ. შ ა ნ ი ძ ე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: წელიწადული, გვ. 11.

<sup>2</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველ. ენებში. თბ., 1942, გვ. 129.

<sup>3</sup> ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, გვ. 154.

<sup>4</sup> შდრ. ჭ ა ნ. ხ ე ქ ე პ ა -ს, ძ ლ ე ნ ტ ი, ჭ ა ნ.-მეგრული ფონეტიკა, თბ., 1952, გვ. 180; ხ ე ქ ე ბ ი (საბა).

ფილავი, აშიქარე, ჯირეკი, ხობო (მრ. ხობუები, ტობ. სახ. ხობოსაძეარა) და სხვ.<sup>1</sup>.

ამ ფორმებს უნათესავდება რიცხვითი სახელებიც — რუა და ცხრა (მდრ. მეგრ. რუო, ჩხორო).

ქართველურ ენებში რედუქციის საკითხთან დაკავშირებით ვ. თოფურია ეხება აჭარულის ამ მონაცემებსაც, კერძოდ „კიბილი“ სიტყვის შესახებ შენიშნავს, რომ იგი „კბილ“ სიტყვის აღრინდელი სახეა, რომელსაც შეესატყვისება მეგრულ-ჭანური „კიბირი“, თუმცა იქვე დასძენს, რომ ანალოგიურ შემთხვევაში — აჭ. კილდე, წიგინი, ტკიბილი, ხევს. ჩირდილი, ჩინდა (ჩნდა), ფირჩხილი (მეგრ. ჭან. ბირცხა, ბუცხა), კირდე, გირწყილი, ინგილოურში შიტო და მისთ. — ი ფონეტიკური წარმოშობისა ჩანს<sup>2</sup>.

ჩვენ მიერ მითითებული სიტყვები შეიძლებოდა სამ ჯგუფად დაგვეყო: ერთ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ კიბილი, კილდე, ხობო...<sup>3</sup>, რომლებსაც ქართველურ ენებში სრულხმოვნისანი ფორმები შეესატყვისება (იხ. ზემოთ), მეორე ჯგუფში აშიქარე, ფილავი..., რომელთა ფუძეებში ხმოვანთა არსებობა თურქ.-სპარსულ ენათა (საიდანაც ისინი მომდინარეობენ) გავლენას უნდა მივაწეროთ და მესამე ჯგუფში წიგინი, ხეჭეპო და მისთ., რომლებშიდაც იე ხმოვნები თანხმოვანგასაყარია.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ სრულხმოვნობა ქართული ენის პერიფერიული დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი. ერთის მხრივაა ჩვესურული, ფშაური, ინგილოური, მეორე მხრივ, გურულ-აჭარული. ეს მოვლენა დიალექტების აღნიშნულ 2 ჯგუფში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვითარდა. მით უფრო ცხადია, რომ აღმოსავლურ ქართულ დიალექტთა ფაქტებს გენეტურად ვერ დაუკავშირდება ზანურ-სევანურის ანალოგიური ფაქტები. ამავე დროს, — ნათქვამია იქვე, — გამორიცხული არ არის შესაძლებლო-

1 მ. ხუბუა (ზემოაქარის ენობრივი მიმოხილვა, გვ. 12-13) აჭ. სრულხმოვნისანი ფორმებში ერთი მხრივ თანხმოვანთაგაყარ ბგერის განვითარებას ვულისხმობს, მეორე მხრივ, კი მიუთითებს ქართველურ ენათა იმ ფენაზე, რომელსაც სრულხმოვნობა ახასიათებს; ქ. ნოლაიდელი ამ მოვლენას ბგერის ჩამატებად მიიჩნევს („აქარა დიალექტოლოგიურად“ გვ. 13).

2 ვ. თოფურია, რედუქციისათვის..., გვ. 76.

3 ზოგიერთი მკვლევარი ჩვენ მიერ მითითებულ სრულხმოვნისანი ფორმებში (ხობო, თიბილი...) ფუძისეულ ხმოვანს (ო, ე, ი) ანაპტიქსურ წარმოშობისად მიიჩნევს: სევან. \*კბ-ან—>\*კპ-ან—>\*კაბ-ან—//ლაბ-ან//\*ხაბ-ან; მეგრ.-ჭან. \*ტბა>\*ტპა>ტობა//ტიბა და სხვა (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, გვ. 114-116).



ბა დასავლურ ქართულ დიალექტებში დადასტურებული შემთხვევები საანალიზო მოვლენისა მართლაც უკავშირდებოდეს ზანურში გამოვლენილ ანალოგიურ ტენდენციას<sup>1</sup>.

### ბგარის ჩართვა

8. 32. აჭარულში, მსგავსად სხვა კილო-თქმებისა, ძირითადად ის ბგერები ვითარდება, რომლებიც იკარგება სხვა პირობებში.

უპირატესად ვითარდება მ, ნ, რ, ლ სონორი თანხმოვნები.

მ ვითარდება წყვილბაგისმიერი ხშულებისა და აფრიკატების წინ, უფრო იშვიათად უკანაენისმიერი ხშულებისა, სპირანტებისა და სიბილანტების წინ.

მ ვითარდება ფ, პ თანხმოვანთა წინ: ყ ე ე ლ ა მ ფ ე რ ი, კ ა ხ ა - მ ბ ა ლ ი, ზ ა მ ფ ხ უ ლ ი, გ ო მ ფ ა კ ი, და ლ უ მ პ ვ ა, დ ე ი ლ უ მ - პ ა, მ ო მ პ ყ რ ო ბ ა, ე მ პ ყ რ ო ბ ა, უ მ ფ ო (||იმფო), უ მ ფ რ ო, უ მ ფ რ ო ს ი; ვფიქრობთ, „უმფოს“ სიტყვაში მ „უმცროსის“ ანალოგიით არ უნდა იყოს გაჩენილი, ამაზე მიუთითებს სიტყვა „უმფო“ (←უმფრო←უფრო), რომელთანაც მ-ს გაჩენა, რა თქმა უნდა, ანალოგიით არ აიხსნება<sup>2</sup>, მ ბ ი ლ ი (ბილი-ს პარალელურად), ძ ე ა ლ - მ ბ ი ლ ი, და მ მ ბ ი ლ ე ბ უ ლ ი.

მ ჩნდება აფრიკატების წინ: და მ ძ მ ა ნ ი (||დანძმანი)<sup>3</sup>, ს ი მ - ძ ვ ი რ ე, გ ა მ ჯ ა ვ რ ე ბ ა, გ უ მ ჯ ა ვ რ და (||განჯავრება), გ ა მ - ც ხ ა დ ე ბ ა (შეიძლება ნ-მ-ს სუბსტიტუტუციით იყოს გამოწვეული), მ წ ვ ა ლ ე ბ ა (||წწვალება, წრჭალება), ა მ წ ვ ა ლ ე ბ ს, მ ც ხ ვ ა რ ი, თ ხ ა - მ ც ხ ვ ა რ ი, მ ე მ ც ხ ვ ა რ ე, ს ი მ წ ყ ნ ა რ ე.

ნ-ს ჩართვის შემთხვევები გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე მ-ანისა. ნ ჩნდება დ, თ, ც, წ-სა და სხვა ბგერების წინ: მ ი ლ ი ნ - ც ი ა (||მელენცია), მ ე ნ და ლ ი (მედალი), მ ი ნ და ლ ი, ს ა დ - ლ ი ნ გ [რ] ძ ე ლ ო, შ ი ა ხ ვ ე ნ და რ ა. ზოგჯერ ეს ბგერა სახეცვალებად ჩანს განვითარებული მ-ანისა. მაგ.: ა ნ თ ვ ა რ ი ე ლ ე ბ ს (მაგრამ: შდრ. ამთვარიელებს), და ნ წ [ვ] რ ი ლ ე ბ ი თ (შდრ. დამწვერილებით); აღნიშნული თანხმოვანი ვითარდება სხვა ბგერათა მეზობლობაშიც: ტ კ ე ნ ჩ ი, და პ ა ი ჯ ნ ი ლ ი, გ ა მ ო ძ ა ხ ი ნ ლ ი.

<sup>1</sup> თ. გამყარელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა..., გვ. 101-103.

<sup>2</sup> სხვა წარმოშობისა ჩანს „უმფროსი“ სხვა დიალექტებში. ამ ფორმაში, როგორც ეს ცნობილია ლიტერატურიდან, მ გაჩენილია „უმცროს“-ის ანალოგიით (გ. ახვლედიანი, საფუძვლ. გვ. 231).

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძე, გვ. 7-9.

უფორმო სიტყვათა ვ, ა, ი, ო ხმოვანთა ბოლოკიდურ პოზი-  
ციაში (ვანსაკუთრებით ვე ნაწილაკთან), მაგ.: ისვენ (ისევ) იქ-  
ვენ. კიდვენ, ახლავენ, თურმინ, მეოქინ, მემრენ,  
პაცხან!

დადასტურებულია „აქნობამდი“, რომელშიაც ნ დეტერმინან-  
ტისკენი ნა სუფიქსის ნ ელემენტს უნდა წარმოადგენდეს<sup>1</sup>: პა იყავ  
აქნობამდი. კო!

„შემწვენობა“. რომელიც აქაურ მეტყველებაშია გავრცელებუ-  
ლი. მიღებული უნდა იყოს კვ. შეწვენა-ს ანალოგიით: ერთმანებ  
ყველთნ შემწვენობა უნდა მივცეთ, ხოლო აქ. ჩინჩახვი  
ჩვენ ვენა: ხება ძვ. ქართ. ინჩაკვ-სა და თანამედროვე ქართ. ჩინჩახ-  
ვი-ს კონტამინირებულ ფორმად.

ვ ვითარდება ხმოვანსა და თანხმოვანს (დ, რ, ლ, ქ, ფ, შ...) შორის: აჩუქვა, საჩუქვარა (ტოპ. სახ.), მოშორვება<sup>2</sup>,  
საცოდვავი. მშვილვებელი, აგორვებული, ჩა-  
ხურვებული, კრეფვა, ტეხა—კრეფვა, მეგულვე-  
ბა. მაშვინ, თხუნველა (შდრ. საბა) მიანდვეს (მიან-  
დეს)...

სხვათა სიტყვის ო-ს ან პროსოდიული ხმოვნის წინ: გაჩინ-  
დებავო, შიახვენდრავო, ქალეშვივო, ქალეფშო-  
ვო, შააძულვო. არაა გამორიცხული ვ-ინის განვითარება და-  
კავშირებული იყოს \*ძულავს ზმნის -ავ თემატურ ნიშანთან.

ვ ჩნდება ანლაუტში ო ხმოვნის წინ, რასაც შეიძლება მოვე-  
ძებნოთ ფონეტიკური საფუძველი — ხმოვნის შერბილებულად წარ-  
მოთქმა: ვოცნებობს („შენზე ვოცნებობს ქვეყანა, სი-  
მართლით გამარჯვებულ“), ვოთხი, ვოზდათექსმეტი, ვო-  
რერა (მაგრამ: შდრ. ორერა).

ხმოვნებსა (ა, უ) და თანხმოვნებს (თ, ტ, ს, ჟ, ყ, აფრიკატ ძ, ჯ,  
ც, ჩ, წ) შორის ხმოვნების წინ და თანხმოვნების მომდევნო პოზი-  
ციაში): მარყვალა, სარჩხინავი, ჩაბლურჯელი (ჩაბ-  
ლუჯული), გულ-ღვირძლი, ურცხო<sup>3</sup>, ნაარსლარი (ტოპ.

<sup>1</sup> შეიძლება ნ-არი ლ-ს ენაცვლება (ძვ. ქართ. რომელ—რომენ): შდრ.  
არ. მარტიროსოვი, დასახ. შრ., გვ. 112; მარი იმერხ. ჩიტი რომენ  
გდჩუჩუნებს, შეწყაილი გუაქ თოფები. გვ. 48.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“: ენიმკის მოამბე,  
მე-3. 1938, გვ. 223.

<sup>3</sup> ეკვი არაა, მოშორვებაში (და ზოგ სხვა ფორმაში) ვ-ს განვითარების  
საფუძველი დავინახოთ „შორავს“ ზმნის თემატურ (-ავ) ნიშანში.

<sup>4</sup> შდრ. მეგრ. ურცხო; ასეა გურულშიც (ს. ქლენტი, გურული კილო,  
გვ. 56).

სახ.; „ასლ“-თან 'ხორბლ'. დაკავშირებული), მ უ რ თ ა ქ ა, რ წ ყ ვ ი-  
ლი, დ არ წ ყ ვ ა, დ არ წ ყ უ ლ ი დ არ წ ყ ა ვ ს (დაწყვა, დაწყუ-  
ლი, დაწყავს) უ რ წ ყ ვ ე ტ ა ჯ (ადგილობრივი მსხლის ჯიში).

უქანასკნელ მაგალითებში (რ წ ყ ვ ი ლ ი, დ არ წ ყ ვ ა) რ-ს გა-  
ჩენა უნდა მიეწეროს ერთნაირ ბგერათკომპლექსთა (წყ) ანალოგიას.  
პ უ ლ ი მ ე ტ რ ი (←რუს. пулемѣт). ამ უქანასკნელი ფორმის წარ-  
მოქმნაში ეჭვი არაა, წილი უდევს ანალოგიას მ ე ტ რ-თან.

მ ო ბ რ ე გ ვ ა, მ ო ბ რ ე გ ვ ა ვ ს (მიბეგვავს) ეს ფორმები ალ-  
ბათ ბ რ ა გ ვ ა ნ ი-ს ანალოგითაა მიღებული.

ტ ყ რ ი პ ლ ი<sup>1</sup>, ა რ ტ ა ყ ა, დ უ რ ყ ი ნ ა, კ ა რ ნ ა ვ ო.

მ-ს მომდევნო პოზიციაში ზოგჯერ ვითარდება ბაგისმიერი პ,  
ფ, პ, მაგ.: ხ უ მ ბ ა რ ი (საბათი ხუმარი), ხ უ მ ბ რ ო ბ ს, თ ხ ა მ პ-  
ლი (შდრ. საბათი: თხრამლი, შარაშიძესთან: თხამლი), კ ა მ ბ ე ჩ ი  
(შდრ. საბათი კამბეში), დ ო მ ფ ხ ა ლ ი, დ ა მ ფ ხ ო ბ ა, მ ო მ ფ ხ-  
რ ე<sup>2</sup>, გ ა მ ბ რ ა ვ ლ ე ბ ა, გ ე მ ბ რ ი ე ლ ი<sup>3</sup>.

ლ ჩნდება სიტყვებში: ბ ი გ ა ლ ი (შდრ. ბოგა) ქ ყ ი ნ ტ ლ ი,  
ა მ ე ი ს უ ნ თ ქ ლ ა, შ ა ა ნ ა თ ლ ა (შეანათა), უ ქ ა ც რ ა ჟ ლ ა თ  
(უქაცრავი პასულია).

გარკვეულ ინტერესს იწვევს ბგერათგანვითარების ისეთი შემ-  
თხვევები, როცა უქანაენისმიერი გ, კ, ხ, ყ და აფრიკატი წ ჩნდება  
ხმოვნის წინ სიტყვის დასაწყისში: გ ა რ გ ა ნ ი (საბასთან არგანი)  
კ უ კ უ ნ ე თ ი, წ ო ნ ი ნ ა რ ი (ოწინარი), კ ი კ ი ლ ო ('კილო') და  
მისთ., რომლებიც მიღებულია კომბინირებული ფონეტიკური პრო-  
ცესის შედეგად. თავკიდურ პოზიციაში ამა თუ იმ თანხმოვნის გაჩე-  
ნის საფუძველს ასიმილაცია წარმოადგენს, ხოლო ზოგჯერ ამავე  
გზით მარცვლის გაჩენის პროცესი (კიკილო) შეიძლება დაეუბირის-  
პიროთ მარცვლის დისიმილაციურ დაკარგვას — ჰაპლოლოგიას. ხმო-  
ვანთა განვითარების საკითხთან დაკავშირებით იხ. ზემოთ („სრულ-  
ხმოვნობა“).

1 აქ.-იმერ. ტ ყ ლ ი პ ი-სა და ლიტ. ტ ყ რ ი პ ი-ს კონტამინირებულ ფორ-  
მად მოჩანს.

2 ფხ, მფხ კომპლექსთა განვითარების შესახებ ზოგ სიტყვაში იხ. ზემოთ  
(„თანხმოვანთა ასიმილაცია“); ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე ასეთ ფორმებს მიიჩნევს: ფო-  
ნეტიკურად სახეცვლილი სიტყვისა და ამოსავალი ფუძის თანაარსებობის პირო-  
ბებში კონტამინაციის მოვლენის შედეგად და ასახელებს ასეთ მაგ.: სანთლი—  
—სამთელი—სამთელი; მსგავსი—მზგავსი—მსგზავსი (დასახ. შრ., გვ. 334).

3 ეს (და მსგავსი) ფორმა, როგორც ენთეზისის ცნობილი მაგალითი, დადას-  
ტურებული აქვს შ. ძ ი ძ ი გ უ რ ს იმერულ დიალექტში (ძიებანი..., გვ. 157).

## II ტ ა ვ ი

### მორფოლოგია

#### სახელი

9. 1. სახელობითი ბრუნვა. ხმოვანფუძიან სახელებს სახელობით ბრუნვაში ჩვეულებრივ აქვთ **ა** (—ი).

ა. კნინობითის ფორმები: **სარაკუნაა**, **ყაყუტაა**, **კუტანტრუქაა**, **კუღცეცხლაა**, **ტატულაა**, **შავთვალწარბაა**.

ბ. საზოგადო სახელები: **ფთაა**, **თვეა**, **გომბიოა**, **ყრუა**, **მაქახელაა**, **ფილინთაა**.

ხმოვანფუძიანი ზედსართავები წესისამებრ დაირთავენ **ა**-ს, ხოლო არსებითი სახელები გვიჩვენებენ პარალელურ ფორმებს: **ფუძე // ფუძეა**.

გ. პიროვნების სახელები: **ბაბრამალაა**, **არჩილაა** (მაგრამ: **არჩილი**), **ზექიეა** (მაგრამ: **ზექიე**, **ზექიე ხანუმი**), **უსუფაა**.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აქარულში ურთიერთს მკვეთრად უპირისპირდება საკუთარ სახელთა პირველადი და კნინობითის ფორმები. თუ მოსარიდებელი პერსონია, მაშინ მოსაუბრე სხვაგვარად მოუქცევს, პირველად ფორმებს იყენებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კნინობითისას (შდრ. **მემედაა** და **მემედი**, **ესმეა** და **ესმე**).

დ. ვე-ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები: **სამნივეა**, **შვიდნავეა**.

9. 1ა. ნათესაობითსა და მოქმედებითში ბოლოუკვეციელი სახელები ქართული ენის რიგი დიალექტების მსგავსად დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს **-ის**, **-ით**, მაგრამ ხმოვნითი ნაწილის (ი) დასუსტების შედეგად აღნიშნული ფორმანტები ასეთ სახეს იღებენ: **-აბ**, **-ათ**. ამასთანავე ბოლოუკვეცად ფუძეთა გარკვეულ ნაწილს ბოლოკიდური ხმოვანი არ ეკვეცება და ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწი-

ლი მ-თაა წარმოდგენილი, ისე როგორც ძვ. ქართულში, მაგ. ნათესაობითი: ქოსაქს ძმანები; ზექიეძს ძმისტული; პალტოძს ასტარი; გონია საცოლემს დაბარებული (ნოლ. III, 48), მაკახელა-ძს ყარშულლიო, არ წამაძრო ბაშულლიო.

მოქმედებითი: ქერესტე მაშინაძთ ამუზიდვან; ვერცხლის წყაროძდანაა მოტანილი (ნოლ. მე-3 103); გამაგზავენ რამეითო (ნოლ. III, 49); თიქნები გამოცვინდებოდენ სათხედან.

იკვევა, რომ ზემოთაღნიშნული პროცესი ზოგჯერ ფორმანტისეულ ელემენტზეც ვრცელდება.

ამრიგად, ბოლოუკვეცელ სახელებთან სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ზოგჯერ მოქმედებს ძველი ქართულის ნორმა (ბრუნვის ნიშანი უცვლელადაა შემონახული)<sup>1</sup>.

კითხვითი ნაცვალსახელი რა მსგავსად ძვ. ქართულისა აღნიშნულ ბრუნვებში არ იკვეცს ბოლოკიდურ ფუძისეულ ა-ს, მაგ.: რაძს ჩლუქია? რაძთ ჭრი? რა ვარ, რაის მქნელი.

ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ელემენტი ს. ჩვეულებრივ, ეკვეცება თანხმონფუძიან და ბოლოკვეცად პრეპოზიციულ მსაზღვრელებს: კინი პასალი ('რკინის სოლი'), ლელიპირი, კილდილობილი (ტოპ. სახ.), ყურძნი წვენი.

9. 1ბ. ზემოაქარულში ასეთ გარემოში ს ხშირად ხმოვანფუძიან სახელებსაც ეკვეცება: ღუძახევი მურთაზა ქალ!

ეს განსაკუთრებით სისტემატურ ხასიათს იღებს კომპოზიტებსა და გაკომპოზიტებულ საზღვრითს შესიტყვებებში.

მიცემითში (განსაკუთრებით ზემოაქარულში) თანხმონფუძიან სახელთათვის ნიშანდობლივია ბრუნვის ნიშნის მოკვეცა: ქალები მატყლ [ს] ღენკვიღენ.

იშვითად ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე ხმოვანფუძიან სახელებთანაც — მიცემითის ფორმანტი ჩვენებით ნაცვალსახელებსაც ეკვეცება: უთხარ რაცხა მაგა! რაცხა მიახდინე იმა!

9. 1გ. წინადადების ბოლოს მოთხრობითში შეინიშნება ხმოვანფუძიან და თანხმონფუძიან სახელთა გათანაბრების ტენდენცია: გამოვდა სამა დღემა; დეიტირა თავის დღემა; თვალევი გამოკეკა მამზაკუნამა.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძვ. ქართ. ენა... გვ. 239; არნ. ჩიქობავა, მთიულური, გვ. 49 და სხვ.

<sup>2</sup> ანალოგიური ფორმები გვხვდება იმერხულში: ღუძახა პასანფაშამა ქლოლანი; არ მიცა ნება თავის დღემა (მარბ, იმერხ. გვ. 61), კახურში და სხვ.

9. 1დ. წოდებითში თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან ზემოაქარულში უპირატესად ო გამოიყენება: ო ს მ ა ნ ო! ლ ე ვ ა - ნ ო! მ ი რ ი ბ ა ნ ო! — მაგრამ: ოსმანავ!

ხმოვანფუძიან სახელებთან კი ვ: მ ე მ ე დ ა ვ! ფ ა დ ი მ ე ვ!  
მ ი ხ ე ი ლ ა ვ! ხ უ ს ი კ ა ვ!

ამავე რიგს მიეკუთვნება წოდებითის ფორმები: ი მ ა ვ, ი მ ა - ნ ო. ასეთი ფორმების ამოსავლად, ცხადია, ითვლება მოთხრობითი ბრუნვის ბოლოხმოვნიანი ფორმები — ი მ ა, ი მ ა ნ: ი მ ა ვ, რა ქქვია შენ, ტატულავ, ერთი სტიქანი წყალი მასვი, რა იქნება!

9. 1ე. ორიოდე მაგალითით მაინც დადასტურდა უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვა გამოსვლითი ბრუნვის ფუნქციით: ბახს მჟერე კ ე ღ რ ი თ მენახი ესამზლ[ვ]რება; მე ამას თ ა ო ბ ი თ ('თავიდან', 'იმთავითვე') ვ ა მ ბ ო ბ დ ი; არც იკმება, არც ისმება. ა რ ა კ უ თ ხ ი თ არ მიხსლება; ფირალები ს ი რ თ ი თ ს ი რ თ ვ ა - დ ა ს უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ მეგემ; თ ა ვ ი თ ფ ე ხ ე ბ ა მ დ ი შესილაპუ-ლი იუ.

9. 2. ვითარებითში იან- სუფიქსიანი ყოლა-ქონების სახელები ოდენ ა ხმოვნითაა წარმოდგენილი: ქ ა ლ - ბ ა ღ ვ ი ა ნ ა თ ა შ ი გავ-ჰსწევთ: შენი ხ ი ბ ა კ ი ა ნ ა რომ დაპტყელდი...; მოცოცხა თავის გ უ დ ა - ნ ა ბ დ ი ა ნ ა.

მსგავსი ფორმები დამახასიათებელია ქართული ენის რიგ კილო-თქმებისათვის<sup>1</sup>.

იგივე ფორმანტიესული ა სხვა სიტყვებთანაც ხშირია, ოლონდ მას, ჩვეულებრივ, მ ახლავს; მაგ.: ა მ წ ა ხ ა ნ ე ბ ა მ; რატომ კი-ლებს ხელს ცხენის მ ე ტ ა სხუასო (ნ ო ლ. მე-3, 39); ა მ მ ე ტ ა თჳარ შეგიძლიოდა...; დ უ კ ი თ ხ ა ვ ა მ რატომ ჩარგე აი ჩქოლა? ჩემ გ უ ლ ო ბ ა მ შენ რატომდა აგო პასული?<sup>2</sup>; ა მ დ ო ნ უ მ ა მ ('ამჯერად') მე წაეალ.

ასევე, მიმართულებითი ბრუნვის ოდენ ა ხმოვნით გამოხატუ-ლი უძველესი ნიშანი უნდა გვეკონდეს შემდეგ ფორმებში: წ ი ნ -

<sup>1</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიშკი-ს მოამბე, 1, 1937, გვ. 18. ავტორი აღნიშნავს, რომ მსგავსი ფორმები ხშირია ინგილოურში. იმერულ მეტყველებაში დღემდე პოლწე-ულია ამგვარი გამოთქმები: ცოლშვილიანა, ძირფესვიანა, დედაბუღიანა... (იქვე). ამგვარი ფორმები გვხვდება ქვემოიმერულის უხუთურ მეტყველებაში (ქ. ძ ო წ ე - ნ ი ძ ე, უხუთური მეტყველება, გვ. 48), ზემოიმერულში (მისივე, ზემოიმერული კილოკავი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. 11, 1952-1953, გვ. 79), კახურში და სხვ.

<sup>2</sup> შღრ. იმერხ.: ეს უ ჩ უ მ ა ლ ა ზ ო პ რ ე ს (sic!) უნდა მიიყვანო...; ოთხასი კაცით მოსული ვარ შენი თავის მ ო ს ა კ ლ ე ლ ა (მ ა რ ი, დასახ. შრ., გვ. 58-61).

წინდულა ('წინანდებურად'), მაშინდულა ('მაშინდებურად'), ადრინდულა ('უწინდებურად'), პირვანდულა ('პირვანდებულად'), ბაღნობიანა ('ბავშვობიდან').

ა (ა) დაბოლოება გვხვდება ზმნისართებთან, რომელთაც ფუძედ გამოყენებული აქვთ მოქმედებითი ბრუნვა. მაგ.: მოცლითაჲ!, მანგლითაჲ, პერანგიითაჲ.

ზოგჯერ ბრუნვისეული და სხვა სიტყვებთანაც არ ჩანს: შენებურა, თათრულა, გულგარაჲ.

ექვი არ არის, ვითარებითი ბრუნვის ა-ნიანი ფორმების სახით აქარულს ქართულის რიგ კილო-თქმათა (იმერს., იმერული, გურული...) მსგავსად დაუცავს უძველესი ვითარება.

9. 3. ყურადღებას იქცევს მიცემითისა და ვითარებითის მონაცვლეობა. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია მიცემით-ვითარებითისა და ნათესაობით-მოქმედებითის მონაცვლეობის საკითხი; ნაჩვენებია ამ ბრუნვათა ნიშნების ფუნქცია, შედგენილობა და ურთიერთმიმართება<sup>2</sup>. ხშირად ვითარებით ბრუნვაში მოსალოდნელი ფორმა აქ მიც. ბრუნვაშია. ეს ეხება როგორც ძირეულ ისე წარმოქმნილ სახელებს. განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები, როცა ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად გამოყენებულია -ში, -ზე თანდებულიანი ფორმაჲ; მოცვის საკრე ფელში ვერ წამოხვალ? ხუჩაფაც უეჭველში ამჟალ შენთან; შენი ძმა სანადიროს დადის... (ნოლ. III,8); იმდონზე მაღც გავაუართოვოთ გზები; ამდონზე თუ გეშინია... (ნოლ. III,10); რა ღირს? ექსი მანათი. — ნაკლებში არ იქს? ძალუან ძვირი დამიყდა, ხუთ მანაჩი ძვილაჲ გამჟელ; უმფოსი ძმა მოსაგეფში იყო წასული; იმდონზე მაღც მეიხედვიდეს, რომ ფეხზე წამოდგეს, სხვა რა მიქირს<sup>3</sup>.

მოსალოდნელი ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად სახელი ზოგჯერ ფუძის სახითაა: მშამისზე ნაკლებ არც მე მიყვარს შაი ბიჭი; ახლა ნაკლებ შეხდები მაგ ჩალუმის ბიჭ; მაგ ყილილის კაცა

1 შდრ. გურ. მოცლითაი (გ. შარაშიძე, ლექსიკ.).

2 არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითი ბრუნვის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში. თბ. უნივერსიტ. შრ., მე-18; მისივე, ქანურის გრამატიკული ანალიზი. 1936; გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი და ქართველურ ენათა ზმნისა და სახელას მორფოლოგიურ კატეგორიებში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაპბე, ტ. მე-3, № 5, 1942, ვ. თოფურია, ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნვასთან შედარებით. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოაპბე, ტ. მე-5. № 3, 1944. გვ. 399.

3 შდრ. იმერს. ამ ლესისა (ლექსისა) გამომთქმელი ნახევარზე ბეჩიაო..., მარი, იმერს. გვ. 53.

იშვიდათ რომ შექმნდეს ახლა; ყარაყიშის ოზდარვასა, ეს საქმე ნამდვილ არიო (აჭ. ხ. პოეზ.).

ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითი გამოდის: მეტი კაია მაგი; ხედავ, აქეთ მეტი ბნელა; იმდონი სხუა არ ვართ ჩვენ, რატონ მორცხვოფ?!

### მრავლობითის წარმოება

9. 3ა. ე-ზე დაბოლოებული ფუძესმოვნიანი სახელები თავისებურებას იჩენენ მრავლობითის წარმოებისას. ბოლოკიდური ხმოვანი ჩვენ მიერ ზემოთგანხილული წესის თანახმად, დისიმილაციას განიცდის -ებ სუფიქსის ხმოვანთან, რის შედეგად მრ. რიცხვში ასეთ ფორმებს ვიღებთ: კილდეები (←კილდეები←კილდეები), დელდეები, დდეები. ასეთივე პროცესის შედეგადაა მიღებული ტოპ. სახელები: ასამბაძეები, პაქსაძეები, გოგაძეები და სხვ.<sup>1</sup>

ბოლოკიდური აჯერ სრულ ასიმილაციას განიცდის -ებ ფორმანტის ხმოვანთან, შემდეგ, როგორც ზემოთაც ითქვა, დისიმილაციის გამო დად იქცევა: ყანდეები (←ყანიები←ყანეები←ყანანეები); თდეები, ლყყდეები<sup>2</sup>.

ცალკე უნდა გამოიყოს კითხვითი ნაცვალსახელი რა, ვინცხა, რაცხა, „მაშინა“ და მისთ., რომელნიც არ მისდევენ მრავლ. წარმოების ხსენებულ წესს: საწყალს რაეები არ გადახდა თავზე; რაებს არ გიყიდი; აქამდინ ვინცხაებს აშინებდი; მაშინაეები.

ქე-ზე დაბოლოებული გვარები მრავლობითში ზოგჯერ -ნ, -ებ სუფიქსითაა წარმოდგენილი: გოგ!მაჩაძნეები, ჭანკურიძნეები, გოლიაძნეები.

ასევე იწარმოება (განსაკუთრებით ქობულეთურ მეტყველებაში) სხვაგვარი აგებულების გვარებიც, მაგ.: ხაბაზნეები, ხალვაშნეები, ხარაზნეები. როგორც სპეციალური ლიტერატურრიდანაა ცნობილი, -ებ-იან მრავლობითში გამოვლენილი ნ-არი არაა რიცხვის გამომხატველი და ამის გამო აქ ორმაგ მრავლობითს

<sup>1</sup> ვრცლად იხ. ზემოთ („ხმოვანთა დისიმილაცია“).

<sup>2</sup> მ. ხუბუა -ებ ფორმანტსა და ფუძეს შორის ი ხმოვანს ოვლის (იხ. დასახ. შრ., გვ. 13-14) განვითარებულად. ანალოგიური შემთხვევებია გურულში. იმერხულში (ააშა ხანუმის თმეები, მისთვის მომდის ცრემლიები; სოფლიები; ტყეები—მარი იმერხ. გვ. 50).



კი არ აღნიშნავენ, არამედ -ენ (←ნაკაშიძენი) -ან (←ძმანები) დეტერმინანტისეულ ელემენტთან ფორმებს<sup>1</sup>.

სახელთა ორმაგი მრავლობითის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: ს ხ ჟ ა ნ ე ბ ი, მ ზ ე რ ე ნ ე ბ ი, გ ვ ე რ დ ე ნ ე ბ ი, მ ო წ მ ე ნ ე ბ ი<sup>2</sup>.

ქობულეთური კილოკავისა და ჭვანის ხეობის ზოგიერთი სოფლის მკვიდრთა მეტყველებისათვის ასევე დამახასიათებელია ი გ ი, ა გ ი, მ ა გ ი ნაცვალსახელთა ნ-ებ-იანი მრავლობითი: ი გ ი ნ ე ბ ი, მ ა გ ი ნ ე ბ ი...

მრავლობითი ზოგჯერ კრებითისა თუ განყენებულ სახელთა მწარმოებლით -ობა სუფიქსითაა გამოხატული: შიატყობიე მე ზ ო ბ ლ ო ბ ა ს; თელი ნ ა თ ე ს ა ო ბ ა იქ იყ[ვ]ნენ; თელი დ ო ს ტ ო ბ ა, ხისიმ-ენხრება ფხარში აჟმიდგა.

## ნაცვალსახელი

9. 4. ყურადღებას იქცევს პირის, ჩვენებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები.

პირის ნაცვალსახელები „უნდა“ ნაწილაკის ნა და და ელემენტებთან შერწყმული, ასეთი სახით გვხვდება: მ ე ნ ა, მ ე ნ დ ა („მენა წევდე“), ი ს ნ ა მოკლა ცემაში, შ ე ნ დ ა („შენ და ‘შენ უნდა’ მოკწერო“), ი ს ი ნ ი ნ დ ა („ისინინდა წიყყანონ“).

თავისებურება ახასიათებს ჩვენებით ნაცვალსახელებს: ა გ ი, მ ა გ ი, ი გ ი. მრავლობითის ყველა ბრუნვაში, წინააღმდეგ ლიტქართულის ორფუძიანობისა, სახელობითის ფუძეა გამოყენებული, ხოლო მრავლობითის გამოსახატავად ნ სუფიქსი: მაგ.:

სახ.	აგი-ნ-ი	მაგი-ნ-ი	იგი-ნ-ი
მოთხ.	აგი-ნ-მა	მაგი-ნ-მა	იგი-ნ-მა
მიც.	აგი-ნ-ს	მაგი-ნ-ს	იგი-ნ-ს
ნათ.	აგი-ნ-ის	მაგი-ნ-ის	იგი-ნ-ის
მოქ.	აგი-ნ-ით	მაგი-ნ-ით	იგი-ნ-ით

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ნაცვალსახელთა ამგვარი გაფორმება არაა დამახასიათებელი არც ძვ. ქართულისათვის და არც

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძე, გვ. 8-9; გრ. იმნაიშვილი, ინგილოური, გვ. 101; უთურგაიძე თუშური, გვ. 32.

<sup>2</sup> შდრ. გურ. მეზობლ-ენ-ი, ბადიშ-ენ-ი, სადაც -ენ მრ. რიცხვის ნიშანია (ალ. ლლონტი, ორმაგი მრავლობითობის შემთხვევები გურულში: თბილისის სახ. უნივ. შრ., ტ. I, 1936); მსგავსი წარმოება ახასიათებს იმერულ დიალექტსაც (წულუკიძე მეტყველებას): სახლიკაც-ენ-ი, მეზობლ-ენ-ი (შ. ძიძიგური, ძიგბანი..., გვ. 50).

თანამედროვე ქართულის დიალექტებისათვის, გარდა გურულისა. აქვე დავძენთ, რომ აქარულში ეს მოვლენა ერთნაირი სინშირით არაა გავრცელებული. იგი უფრო ქიბულეთური კილოკავისა და ქვანის ხეობის მკვიდრთა მეტყველებისთვისაა ნიშანდობლივი.

იშვიათად ზემოაღნიშნული ნაცვალსახელები ნ-ს გარდა -ებ სუფიქსებსაც დაირთავენ: მაგი-ნ-ებ-ი, ა გ ი-ნ-ე ბ-ი, ი გ ი-ნ-ე ბ-ი, მ ა გ ი-ნ-ე ბ-მ ა, ა გ ი-ნ-ე ბ-მ ა, ა გ ი-ნ-ე ბ-ს და ა. შ.

ნაცვალსახელები ეგ, მაგ გვხვდება მეგ ფორმითაც. იგი მიღებულია ეგ და მაგ ფორმათა კონტამინაციით. ეს ნაცვალსახელი მხ. რიცხვში არ დაირთავს სახელობითის ნიშანს: მე გ რამხელა ჭვირთი წამოგიკილია, ჭო! (მაგრამ: მე გ ე ნ ი აქეთ დალაგე!).

მ ა გ ი ნ ი ნაცვალსახელი მიც. ბრუნვაში ლიტ. მ ა გ ა თ ფორმის საპირისპიროდ გაფორმებულია -ებ-იანი მრავლობითის მიხედვით. მ ა გ ი ნ ე ბ ს, თანდებულთ კი გვაქვს მ ა გ ი ნ ე ბ თ ა ნ: დე-იწყო მ ა გ ი ნ ე ბ თ ა ნ ცხოვრება (ნოლ. III, 31).

ზემოაქარულში შ ე ნ ნაცვალსახელი შ ე ნ ე-ს სახითაც გვაქვს: შ ე ნ ე, ტატულავ, მასვი ერთი სტიქანი წყალი! მაგც გახლებული ვარ და შ ე ნ ე ც არ მანახვიო ბელა!

ეს, ის ჩვენებითი ნაცვალსახელები, როგორც ქართულის რიგ სხვა დიალექტში, აქაც თანხმოვანმოკვეცილი ფორმითაა: ი გომბიო, ე კაცი.

ეგვეე ნაცვალსახელები წინადადების დამოუკიდებელ წევრებადაც ამ სახით წარმოგვიდგება: ი რაჲს ბულია, ჭო!

ყურადღებას იქცევს ის ი, ეს ე ნაცვალსახელები, რომელნიც წინადადების დამოუკიდებელ წევრებად გვხვდებიან; მაგ.: — მაჩვენე ერთი მაჲ საჭათი! — რომელი, ეს ე? — ქოთან დუღდა, გადმოდუღდა, ნეტაჲ ის ი რა არივო? ჭივრი ჩიტი ჭიკჭიკობდა, ნეტაჲ ის ი რა არივო?

ზემოაქარულში ხშირად ჩვენებითი ნაცვალსახელის შინაარსის გადმოსაცემად იხმარება ე მე: ძალუან არ ივარგა ე მე კაცმა!

ეგვეე ნაცვალსახელი -ში თანდებულთაც გვხვდება: ამ შემთხვევაში იგი ადგილობით ბრუნვას გამოხატავს: ე მე შ ი არ მიღიხარ, ბიძაე?

თ ვ ი თ ო ნ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის პარალელურად (უფრო ხშირად) იხმარება თ ვ ი თ ა ნ, ხალო თ ვ ი თ ა ნ ნაცვალ-

---

1 ე მე რომ ამა ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს, ეს ახსნილია არ. მ ა რ-ტი როსოვისა და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (კახური, გვ. 78).

სახელს ზოგჯერ ენაცვლება თავათ: თ ვ ი თ ა ნ მისი ხელით ჩარგო; თავათ მას შეეშალა.

დასავლური კილოების მსგავსად აქ შინაარსობლივად არაა გარჩეული თავისი და მისი კუთვნილებითი ნაცვალსახელები: მამ ბიჭმა მის თავზე ეილო დანაშაული; ბეგმა მისი (= 'თავისი') საკუთარი ძმაც არ დეინდო მეგემ.

ამა და ამ ('რომელიღაც' განუსაზღ. ნაცვალსახელის ფუნქციით) ნაცვალსახელს ზოგჯერ ენაცვლება ამავეალ: ამავეალ ('მავან') სახენწიფოში ერთი ზისუნახავი ქალი ცხოვრობდა.

ხაზი უნდა გაესვას ჩვენებთ ნაცვალსახელებს: ამიერთები, იმიერთები, რომლებიც მიღებულია ის ეს ჩვენებით ნაცვალსახელთა ერთ ('სხვა'-ს შინაარსით) -თან შერწყმით: იმიერთი (←ის ერთი, სხვა); იგი, ჩვეულებრივ, მრავალ. რიცხვის ფორმით გვხვდება; შეიძლება (იშვიათად) დაისვას ირიბ ბრუნვებშიც (თანდებულობით ან უთანდებულობით), მაგ.: იმიერთებზე გებნევოდი; ჩვენ რა, იმიერთებმა იჩივლონ.

ჩვენებითი ნაცვალსახელები ამისთანა, იმისთანა, მაგისთანა — ამითანაჲ, მაგითანაჲ, იმითანაჲ-ს სახითაა წარმოდგენილი (შდრ. გურ. ამისანა/ე, მაგისანა/ე).

მრავალ კილო-თქმათა მსგავსად აქ ხშირად იხმარება დაცა ნაწილაკიან განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა პროგრესული ასიმილაციით მიღებული ფორმები: ვინცხა, რაცხა, რომელცხა...

გვაქვს ასეთი ფორმებიც: რავარცხა ('როგორც', 'როგორღაც'), რაცხამეთი, რაცხამდენეთი: სიფართე, რაცხამეთი ლერწამი იქნება, იმფერი გამოვა!; რავარცხა იქნა, გამოვდა გარეთ; რაცხამდენეთ მეთიხოვ, მე ყაბულს ვარ.

ფერ-კომპონენტთან უარყოფითი ნაცვალსახელები ფონეტიკურ ნიადაგზე ასეთი სახეცვლილებით გვხვდება: ნფერი, ენფერი, ნჟფერი, ნულნფერი (= 'ნულარაფერი').

ურთიერთობითი ნაცვალსახელის — ერთმანეთის- პარალელურად აქ ხშირია ერთქვანები: კილარმი დააშავეს ერთქვანები, შეხედეს ერთქვანეფ [ს].

იშვიათი არაა „პლენასტური. ერთი — ერთქვანები (←'ერთი — ერთმანეთი'), რომელიც „ერთიმეორისა“ და „ერთმანეთის“ კონტამინაციით წარმომდგარი ჩანს“ (ა. შანიძე, სა-

1 ქ. ლომთათიძე, დამოკიდებულ წინადადებათა ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში: იქმ, 1, გვ. 339.

ფუძვლ., გვ. 98). საანალიზო ფორმაში ებ-ის, როგორც ფონეტიკურ-ი სუბსტიტუციის მიზეზი, ჩვენის აზრით, უნდა ვეძიოთ სემანტიკურ-მრავლობითობის მნიშვნელობის გაძლიერებაში: იმ ზისუნახავ ქალს რომ არ მიესტრო, ერთი-ერთ ქვანე ფ შსკდებოდენ; ერთი-ერთ ქვანებს აძლევენ ნაწილს.

ერთმანეთი -ობა სუფიქსიან ფორმაში -ეთ (—ძვ. ერთ)-ს მოიკვეცს და -ში თანდებულის დართვის შედეგად ასეთ სახეს იღებს: ერთმანობაში ('ერთმანეთს შორის', 'უერთიერთშორის').

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქ ხშირია ნაცვალსახელები იმავ, იმანო ფორმით. მოლაპარაკე მიმართავს მას, როცა არ სურს დასახელება, ანდა დაავიწყდა თანამოსაუბრის სახელი და განსენების მოლოდინში იძულებულია მიმართოს ამ ფორმებს: იმავ: იმავ..., არჩილო, რამითათაა ე ფართალი? დღე არ მიდიხარ..., იმანო, ხელას?

გვრცელებულია უარყოფითი ნაცვალსახელების შინაარსის გადმოსაცემად ასეთი ფორმები: არაკაცი, არასულდგმული, არასურიელი, კაკალი კაცი ('არავინ'), ნურაკაცი ('ნურავინ'), ვინმე არ... (= 'არავინ'), რამე არ... (= 'არაფერი').

როგორც ქვემოთაც დავინახავთ, უარყოფითი ნაცვალსახელების მაგივრობას ეწევა კაცი, სულდგმული, სურიელი ('სულიერი') და მისთ., რომელთაც წინ უძღვით უარყოფითი ნაწილაკები: არა, ვერა, ნურა ან უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციის მქონე სიტყვა — კაკალი. ამავე შინაარსის შემცველია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ვინმე, რამე, რომლებიც ისეთ უარყოფით წინადადებაში გვხვდებიან, სადაც უარყოფის ნაწილაკი წინააღმდეგ ზემოთგანხილული წესისა, ზმნას უკავშირდება. ამრიგად, პირველ შემთხვევაში ორმაგი უარყოფა გვაქვს, მეორეში კი ცალმაგი; კაკალი კაცი არ ჩანს; ვინმე არ მოსულა; არასურიელი არ გაქაქვანებულა; სისტორიეზე იმუშავე და, შენ ვერაკაცი ვერ შეგეხევა; არიკაციმა არ უნდა შეიტყოს (ნოლ. III, 128).

## თანდებული

9. 5. თანდებულთა სტრუქტურისა და ფუნქციასთან დაკავშირებით აღინიშნება არაერთი საყურადღებო მომენტი. ხშირია არქაული ფორმები.

დამახასიათებელია -ში და -ზე თანდებულების დართვა ადგილის ზმნიზედებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებზე. ამდენად, ხსენებული თანდებულის გავრცელების არე აქ ფართოვდება: ა გ ზ ე ('აქ', 'ამ ადგილას'): ა გ ზ ე ჟოლი[ს] ჩქოლა მინდა ჩავ[რ]გო; მ ა ქ შ ი ჩახყარე! ა გ ზ ე დაალაგე!

ამ ფაქტს საფუძველი აქვს ძვ. ქართულშივე. პროფ. არ. მარტიროსოვი ძვ. ქართ. ძეგლებიდან მიუთითებს ასეთ მაგალითებს: ქმნა მ უ ნ შ ი ნ ა სასწაულნი მრავალნი: ილოცე მ უ ნ შ ი ნ ა ფარულად, პოონ აქა შინა მრავალი სარგებელი<sup>1</sup>. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ფერეიდნულში დამოწმებული აქვს ი ქ ე ბ ჩ ი<sup>2</sup>.

აჭარული ი ქ შ ი, ა ქ შ ი და მისთ. ძვ. ქართულის მ უ ნ შ ი ნ ა, ა ქ ა შ ი ნ ა და ფერეიდნულის ი ქ ე ბ ჩ ი ფორმათა კანონზომიერი მორფოლოგიური შესატყვისებია.

-ზე, -ში თანდებულებიანი მიცემითი ზოგჯერ უთანდებულო მიცემითს ან ვითარებითს ენაცვლება და მნიშვნელობით უტოლდება ან ბრუნვებს; მაგ.: ს ა დ ა მ ო ზ ე ბიჭმა მოვდა შინ; პ ი რ ვ ე ლ შ ო

ზოგი ქართული დიალექტის (ხევსურული, მთიულური. იმერუკოლექტივში მე შეველ; ვ ო ზ დ ა ხ უ თ თ უ მ ა ნ შ ი ვიყიდე. ლი, გურული და სხვ.) მსგავსად -ში თანდებულის ნაცვლად გვხვდება — ჩი: ს ა ხ ჩ ი, ს ო ფ ე ლ ჩ ი, ზ ა ფ ხ უ ლ ჩ ი.

-გან თანდებულებიანი ნათესაობითის ნაცვლად აქ ჩვეულებრივია ამავე თანდებულებიანი მოქმედებითი: თ ა ვ უ დ უ მ რ ი დ ა ნ მაქნება მიღებული; ფული ჩ ე მ ი დ ა ნ, სიმართლე შ ე ნ ი დ ა ნ<sup>3</sup>.

შემდეგ ზმნისართული თანდებულის ფუნქციას ხშირად „უკან“ ზმნისართული თანდებული ასრულებს. ის დაერთვის დროის აღმნიშვნელ სახელებს (ხანი, წელიწადი, ავ. წელწადი, დღე...), მართავს ნათ. ან მიც. ბრუნვაში და აღნიშნავს შემდგომობას: ცოტა ხნის უკან დეიძრა შავი ღრუბლები; ს ა მ დ ღ ე ს უკან რუმ მე-იწვევდე, უმფო მეტი ხალხი დიესტრობა.

საწყისებთან და აბსტრაქტულ სახელებთან -ზე თანდებულა გადმოსცემს დროის გარემოებას და აქვს ამ სახელთა ნანათესაობითარი მიცემითის ფუნქცია: ამის გ ა გ ო ნ ე ბ ა ზ ე ყველამ ფეხზე წამოცვინდა; შ უ ა ლ ა მ ე ზ ე წამეიშალნენ.

<sup>1</sup> იკე, I, გვ. 218.

<sup>2</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, მე-7, 1927, გვ. 214.

<sup>3</sup> შლრ. იმერხს.: ბიჭი დან შვილი არ ყავდა იმ ბეზირგანს (მარო, ტექსტ..., გვ. 55).

-თვის თანდებულის პარალელია თ ვ ი ნ: ძ მ ი ს-თ ვ ი ნ, ჩ ე მ-  
თ ვ ი ნ, ბ ა დ ი შ ე ბ ი ს-თ ვ ი ნ.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -თ ვ ი ნ (ძვ. ქართ. თვნ) მომდინარეობს თუ (←თავი) ძირიდან<sup>1</sup>.

გავრცელებულია თ ვ ი ნ თანდებულიანი პირის ნაცვალსახე-  
ლები, სადაც თანდებულის მიერ იგი მართულია ვითარებით ბრუნ-  
ვაში: ჩ ე მ დ ა-თ ვ ი ნ ა ა, შ ე ნ დ ა-თ ვ ი ნ ა ა, მ ი ზ დ ა-თ ვ ი ნ ა ა,  
მ ა თ დ ა თ ვ ი ნ ა ა. როგორც ჩანს, დანიშნულება-კუთვნილების  
შინაარსის გამომხატველი -და ფორმანტი საძიებელ ფორმაში გაგე-  
ბულ იქნა ფუძისეულად, გაქრა მისი პირვანდელი სიტყვაწარმოე-  
ბითი ფუნქცია, რის გამოც იმავე შინაარსის გადმოცემა დაეკისრა  
-თ ვ ი ნ(ა) თანდებულს. ძვ. ქართ. -და თანდებულის ფუნქციონალურ  
ეკვივალენტს რომ -თ ვ ი ს (დიალ. -თვინ) წარმოადგენს, ეს ლიტე-  
რატურიდანაც არის ცნობილი<sup>2</sup>, მაგრამ რაღაა სიტყვის ბოლოს დარ-  
თული აა? თუ ა-ს ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულ სმოვნად  
ჩავთვლით, აუხსნელი რჩება ა. ამ ფაქტს შეიძლება ასეთი ახსნა  
დაეძებნოს: იგი შეიძლება ვითარებითი ბრუნვის თანხმონითი ელე-  
მენტის (დ) დასუსტების შედეგად იყოს მიღებული. ამ ახსნას რამ-  
დენადმე მხარს უჭერს ანალოგიური ფორმების არსებობა: ჩ ე მ გ უ-  
ლ ო ბ ა ა (←ჩემ გულობად 'ჩემი გულისთვის'), ჩ ე მ ბ ა რ ო ბ ა ა  
(ჩემდა თავად'), ე რ თ ჩ ა მ ო ვ ლ ა ა, ნ ა პ ი რ ე უ ლ ა ა ('ნაპირ-  
ნაპირ') და მისთ.

ამრიგად, თუ ჩვენი მსჯელობა საფუძველს არაა მოკლებული,  
მაშინ ჩ ე მ დ ა თ ვ ი ნ ა ა და მისთ. ფორმებში -თვის თანდებულს  
ისეთივე ბედი უნდა სწეოდა, როგორიც -და-ს.

მაგალითები წინადადებებში:

რაშშობი, ბაბუ, რას, რას საქმოდ?

— აგერ ჩ ე მ დ ა თ ვ ი ნ ა ა ვებაკუნები ეზო-კარ.

— შენ რატონ ერევი ახალგაზ[რ]დების საქმეში, მ ა თ დ ა თ ვ ი-  
ნ ა ა გადაწყვიდონ!<sup>3</sup>

-თვის თანდებულის პარალელურად ამავე თანდებულის ფუნქ-  
ციით აქ გვხვდება: გ უ ლ ო ბ ა ა ('გულისათვის'), ბ ა რ ო ბ ა ა ('ზე-

<sup>1</sup> მ ა რ ი, Грамматика древнелит. груз. яз., გვ. 94; არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო-  
გ ი, თანდებული ქართულში, გვ. 222-223.

<sup>2</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, საფუძელ., გვ. 621.

<sup>3</sup> გვხვდება მ ა თ მ ა თ ვ ი ნ ა ა პლეონასტური ფორმაც.

მოკვ.): შენ გულობაა თავშეშავაკლავ: ჩემბარობაა შენ  
ნუ შეიწუხებ თავს!

ქობულეთურ მეტყველებაში გავრცელებულია -თვის თანდებულის ბადალი ნანათესაობითარი ვითარებითის -იზდა||→იზა ფორმა, რაც, ექვი არაა, გურულის გავლენას მიეწერება: შენი გული-ზა; არიფ ბუძიეიზდა.

-თანა ზოგიერთ ნაცვალსახელს მართავს ნათ. ბრუნვაში<sup>1</sup>, ოღონდ ბრუნვისეული თანხმოვანი ს-ანი, ჩვეულებრივ, მოკვეცილია: იმითანაა, ჩემითანაა.

-ვით თანდებულის ნაცვლად სისტემებრივ იხმარება -ვეთ// -ვენ: შენსავეთ, თავუდუშარესავენ<sup>2</sup>.

-ვენ წარმოშობით -ვეთ ფორმასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ვეარაუდობთ, რომ თ-ს დაკარგვის შედეგად გვექნებოდა -ვე, რომელთანაც განვითარებულია ნ. ამას გვაფიქრებინებს -ვეთ თანდებულის პარალელურად -ვინ ფორმის არსებობა. ეს უკანასკნელი სახელს მოითხოვს სახელობით ბრუნვაში: კოტუშულვაში-ვინ რომ ამუვა, იმა ფუნჯულ ვეტყვით; ქირივინ მეზარება ტრაბახა კაცი.

-ვით თანდებულის მნიშვნელობა აქვს ეფ (←ებრ)-ს, რომელიც სახელს მართავს მიც. ბრუნვაში. სალიტ. ქართულში, როგორც ცნობილია, იგი სახელს ნათ. ბრუნვაში მოითხოვს<sup>3</sup>. ამ თანდებულსა და სავრცობა-შორის განვითარებულია ვ: რა გახტუმლებს დელსა-ვეფ, ვერ გაბუცდები, კო! რას იბღვირი ხარსავეფ, დაჯექ უძრავ ქვასავეფ (მუცლის ტკივილის შელოცვიდან).

გამო თანდებული გვხვდება გამოღმა-სა და გამეიეს ფორმათა სახით. ეს თანდებულები უპირატესად ნაცვალსახელებს დაერთვის; მაგ.: შენ გამეიეს თელი მეზობლობა გედეკიდე; ჩემ გამოღმა შენ კაცი არ მოქთხოვს პასულ!

<sup>1</sup> ჩემბარობაა მოცემულ კონტექსტში „ჩემ მაგიერ“-ს ნიშნავს: აბა, შენ იცი, ჩემბარობაა ამ ბაღს შენდა ათხო ყური!

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, წინაშე, თანა და ზედა თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძვ. ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, მე-3, № 3, გვ. 286.

<sup>3</sup> -ვით თანდებულის ვეთ სახეობა, როგორც ქვემოთმხროლში, ისე ზემოთმხროლში დადასტურებული აქვს ქ. ძოწენიძეს (ქვემოთმხროლის უხუთური მეტყველება, გვ. 49; ზემოთმხროლი კილოკავი, გვ. 80).

<sup>4</sup> ა. შანიძე, საფუძვლ. გვ. 71; არმარტიროსოვი, თანდებული ქართულში, გვ. 227. ეფ (←ებრ) თანდებული დაერთვის მიც. ბრუნვაში დასმული სახელის ფუძეს ზემოთმხროლში (ქ. ძოწენიძე, ზემოთმხროლი კილოკავი, გვ. 81).

ასევე. გამო თანდებულის შინაარსისაა მგონე. იგი დაერთვის ნათეს. ბრუნვას; ი საწყალი შიში მგონე კილარმი ჭკვანზე შეირეკა: სიხარული მგონე ჰედელი შინაჟ[რსაც და გარე-ჟ[ლსაც ყველას ეხვეოდა.

მოყოლაჲ ('გარშემო, ირგვლივ') ზმნიზედა ხშირად კუთენილებით და ჩვენებით ნაცვალსახელებს დაერთვის და თანდებულის როლში გამოდის. ამ გზით მიღებული ზმნიზედური თანდებულები, კარვად ჩანს ასეთ ფორმებში: მაგმოყოლაჲ ('მაგის გარშემო'), ჩემმოყოლაჲ ('ჩემს გარშემო', 'ჩემს ირგვლივ'), ამმოყოლაჲ და ა. შ.

საყურადღებოა -დამ თანდებულის ხმარების შემთხვევები ზემოაქარულში. იგი, როგორც გარკვეულია არნ. ჩიქობავას მიერ, მომდინარეობს დაღმა ზმნისართისაგან<sup>1</sup>: გადაშლილი თეთრი შუბლი, მოგანათებს შიანეღამა; ესენი ნაფოცხვარიღამ მაქ ჩამოტანილი; საკლეთი შიანეღამაქ. ამასთან დაკავშირებით მოვიგონოთ, რომ ზემოაქარული, როგორც ცნობილია, რიგი დიალექტური თავისებურებით ენათესავება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებს, განსაკუთრებით ქართლურს<sup>2</sup>.

„შემდეგ“ თანდებულის როლში გვევლინება ოღმა (←//მოღმა)<sup>3</sup>. იგი უფრო ხშირად დაერთვის დროის ზმნისართისაგან წარმოქმნილ ზედსართავეებს (resp. მიმღებებს) და გამოხატავს მოქმედების დროს, მიზეზს ან მოქმედების ხანგრძლივობას. ზოგიერთ სახელთან ფონეტიკურ ნიადაგზე ხშირად იკარგება თავკიდური მ; მაგ.: შარშანდელოღმა იმას გეხვეწებოდი; „მე ჩემის ყმაწვილობის მოღმა, ჩემდა სამწუხაროდ, ოსმალეთის ქვეშევრდომობაში ავახილე თვალი; რუს ხელმწიფის ... მფარველობაში იყენენ დიდის ხნის მოღმა...; მისმოღმა“<sup>4</sup>.

„გარდა“ თანდებულის შესატყვისია „გარეთ“ (გვაქვს „გარდა“-ც „გარდაჲ“-ს სახითაც). ცნობილია, რომ „გარდა“ გენეტურად

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიქის მოამბე, 1, 1937, გვ. 56-65; ა. შანიძე, საფუძელი, გვ. 623.

<sup>2</sup> -დამ თანდებული დადასტურებულია იმერხეულშიც: იქიღამაც გვიქით; ჩიტიღამაც მეშინოდა (მარი, ტექსტ., გვ. 58); შდრ. არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად, გვ. 78; კახური (გვ. 81), მესხური, ლეჩხუმური (შ. ძიძიგური, ძიებანი, გვ. 137-133), გრ. იმნაიშვილი, ბორჯომის ხეობის ქართლური (გვ. 96) და სხვ.

<sup>3</sup> შდრ. იმერ. ოღმა//ულმა (ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მტყველება, გვ. 50).

<sup>4</sup> შერიფ ხიშიაშვილის სიტყვა — ამოღებული თ. სახოკიას წიგნიდან: „მოგზაურობანი“, 1950, გვ. 156-157.



გარე-ს უკავშირდება. გარდა—გარე-და (ასევე: გარნა გარე-ნა). ძირეული მასალაა გა<sup>1</sup>: შენ გარეთ ვინ იყო კიდევ? სხვას გარეთ გზითიცი გაატანა, თუარა სხვას დიეთხუე შენ!

„გარდა“ თანდებულის მნიშვნელობით აქ ზოგჯერ „მეტი“, „გამმეტი“-ა, იშვიათად „მარტო“<sup>2</sup>; შენ მეტი გზა არ მაქ; შენ გამმეტი არავინ მიჩანს თვალში.

ძვ. ქართულში გავრცელებული თანდებულის „კერძო“-ს შესატყვისად აქ არაიშვიათია „კედაროს“, „კედრით“, „კედრიდან“; იგი გამოხატავს ადგილს, ან ზოგჯერ (კონტექსტის მიხედვით) გადმოგვეცემს „მხრით“ „მხრივ“ ზმნისართის შინაარსს; მაგ.: ვის კედაროს იჭირავ? — უსუფას კედაროს; ჩემი კედრიდან; ერთმა ერთი კედაროდან წევდეთ და მიორემ — მიორე კედაროდან.

## ზმნისართები

9. 6. ზმნისართების სტრუქტურისა და ფუნქციის თვალსაზრისით შემდეგი უნდა აღინიშნოს:

ადგილის ზმნიზედა: 1. ძირში — ძირს ზმნიზედა უთანდებულო მიცემითის ფორმის ნაცვლად ჩვეულებრივ -ში თანდებულობითა წარმოდგენილი: ძირში ამოყო თავი; ჩამოა ძირში.

2. შიან — შიგ, შიგნით. „შიან“ საშ. ქართულში გავრცელებული „შიგან“ თანდებულის სახეცვლილ ფორმად ჩანს ჩვეულებრივ-ოლონდ იგი თანდებულს კი არ წარმოადგენს, არამედ ზმნიზედას<sup>3</sup>; მაგ.: გარ ატლასი, შიან ათასი; სოფელი ვნახე უძალო, შიან გვეიარე უგარგნო (მაგრამ: კუნძულელი შიგ ჩაბძანდეს, დედოფალიც შიგ ჩაჰყვესა).

3. გლიშამ — ირგვლივ: ციხეს გლიშამ შამშუვართ.

4. აქში, იქში, მაქში; აგზე, იგზე, მაგზე<sup>4</sup> — აქ, ამაში, მაქ, მაგაში; აქ, ამაზე.

5. არადგილ, ჰადმე არ. უარყოფით წინადადებაში აღნიშნული ფორმებით გადმოიცემა ადგილის გარემოება „არსად“. ჰადმე არ ყოფილა ('არსად არ ყოფილა').

<sup>1</sup> არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, გვ. 240.

<sup>2</sup> შლრ. იმერხ. შენმარტო სხვა არ მიწა, ასოთხ ქითაბ გეფიყები (მარი, ტექსტ. გვ. 49).

<sup>3</sup> შლრ. შინა, შიგან — ში: ა. შან იძე, საფუძვლ., გვ. 620; იმერხულში გვხვდება შიან // შიგან ფორმით: შიგან დოუკარი ბორი (მარი, იმერხ., გვ. 48).

<sup>4</sup> ვრცლად ამ ფორმებზე იხ. ზემოთ („თანდებული“).

## დროის ზმნიზება

9. 1. დღე, ღამე და, საზოგადოდ, დროის მონაკვეთის აღმნიშვნელი სახელები: „წელწადი“, კვირა, თვე და მისთ., ჩვეულებრივ. სახელობით ბრუნვაში დგას (იშვიათად მიცემითში). ასეთ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია; მაგ.: დღე კაი ამინდი იქნება; ერთ წელწათ დარჩება; ერთი თვე რომ ამჟერი ტაროსები დეიქიროს!

2. წრთ წამალაჲ (‘წამით, ერთი წამით’); მაშინათველაჲ (‘მინენე’. ‘იმწამსვე’), ერთგაყოლაჲ (‘ერთხანს’).

3. ღითხან ზმნიზედის პარალელურად იმავე ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარება ბარსამხან: ბარსამხან ველარ დაბრუნდება.

4. აწმისიქით (←აწ ‘ახლა’ (ა. შანიძე) + მის + იქით) — „აწი“, ამის შემდეგ; ამიერიდან: აწმისიქით ჰაგეიქევი.

5. დანაბოლოს — ბოლოს, უკანასკნელად: დანაბოლოს გამუმცხადა მამ ბეზირგანსაც.

6. ხანჯელ (ზ.-აჟ.) — ზოგჯერ: ხანჯელ გჰქიტინებდა თანჯრიდამ.

7. ზმნიზედებს: ახლავე, კიდევ, ისევ, მერმე ნ-არიანი ფორმების ანალოგიით ბოლოში უვითარდებათ ნ და ზოგჯერ სხვა ფონეტიკური პროცესების (მეტათეზისი, რედუქცია) შედეგად ასე წარმოდგვიდგება: ახლავენ, კიდვენ<sup>2</sup>, ისვენ<sup>3</sup>, მემრენ.

8. გამეფეს — „მოის“ ‘რა მიღმიდამ მოვიდოდეს’ (საბა), აქეთ წამოსვლის დროს: არ დაგაბიწყდეს ‘გამეფეს მანგალი წამეიძღვანიე, თან!

9. იმდროს, ამდროს ზმნიზედების შინაარსით ამავე ზმნისართთა დუბლეტებად დადასტურებულია: იმდრობიხან (←იმ „დრობის ხანს“), ამდრობიხან: ხენწიფე გეიძრობს ამდრობიხან თხუელის ტანსამუს.

1 ანალოგიური ფორმები ქართულის სხვა კილო-თქმებშიც გვხვდება.

2 შდრ. ფშაური კიდენა (ალ. ლეკიაშვილი, ივრის-ხუური ფშაური, გვ. 166).

3 იხ. იმერხ.: შენი ცხენი ისვენ წოუყვანია (მარი, ტექსტ., გვ. 63).

## 9. 8 ვითარების ზმნიზება

1. ნ ა პ ი რ ე უ ლ ა ჯ — ნაპირ-ნაპირ: ამ კედრიდან რატონ დე-  
იწყე, ნ ა პ ი რ ე უ ლ ა ჯ ვერ გათოხნი?!

2. კ ო ტ რ ე უ ლ ა ჯ — კოტებად, კოტორებად ('ტაროებად'):  
კ ო ტ რ ე უ ლ ა ჯ ავწონე.

ასეთივე წარმოებისაა პ ო წ კ ე უ ლ ა ჯ — მტევნებად: ზამ-  
თრისთვინ პ ო წ კ ე უ ლ ა ჯ ავასხამთ ყურძნისუ კავზე.

3. ფ ე ხ ტ კ უ ც ი ა ჯ — ფეხების მიტკუცებით: ორ მეტრში  
გადახტა ფ ე ხ ტ კ უ ც ი ა ჯ.

4. შ ა რ შ ა ნ დ უ ლ ა, უ წ ი ნ დ უ ლ ა, პ ი რ ვ ა ნ დ უ ლ ა —  
გადმოგვეცემს ისეთ ვითარებას, რომელიც შედარებულია სხვა, უკვე  
ჩადენილ მოქმედებასთან. ამ ფორმებს, ჩვეულებრივ, ვით. ბრუნვის  
თანხმოვანი ელემენტი მოკვეცილი აქვს: წ რ ე უ ტ რ ს ა ც თ უ  
შ ა რ შ ა ნ დ უ ლ ა დეიჭირა სიციხეები..., შუალამიხან პ ი რ ვ ა ნ-  
დ უ ლ ა გეიხედა, რომ...

5. რ ა ს ძ ა ლ ა — ძლიერ, ძალიან: შ ა პ შ ა დ ი ს ქ ა ლ ი რ ა ს-  
ძ ა ლ ა ლამაზი იყო.

6. გ უ ლ გ ა რ ა ჯ — გულგრილად: პირადათ შენი რომ ყოფი-  
ლიყო, მასე გ უ ლ გ ა რ ა ჯ არ გააკეთებდი.

7. დ რ ო ი ს ა თ (ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვის ფორ-  
მით) — დროულად: დ რ ო ი ს ა თ რომ მოსულიყავ, შენც მოგი-  
წევდა.

8. ქ ე ი ფ ი ს ა თ (ნანათეს. ვითარებითში) — ნებსით, თავის  
ნებით, თავის „ქეიფით“: კაც არ ეკითხება, თავის ქ ე ი ფ ი ს ა თ,  
რავარც უნდა, ისთე აკეთეფს.

უკანასკნელი ორი ფორმა („დროისათ“, „ქეიფისათ“) მიღებუ-  
ლი უნდა იყოს გ ა ი ს ა დ ზმნიზედის ანალოგიით.

9. ძ ვ ი ლ ა ჯ — ძლივს: ძ ვ ი ლ ა ჯ არ დუძეკერ.

10. ჩ უ მ ა თ ა ლ ა ჯ — ჩუმად: შენ ჩ უ მ ა თ ა ლ ა ჯ გიყვარს  
საქმის გაკეთება!

11. ნ ე ნ ნ ე ლ ა — ნელ-ნელა: ფეხი არ დიგისრიპინდეს, ნ ე ნ-  
ნ ე ლ ა!

12. რ ა ვ ა რ — როგორ, ეს კითხვითი ზმნიზება მიღებული უნ-  
და იყოს რ ა გ ვ ა რ-იდან გ-ს გაუჩინარების შედეგად. რაც შეეხე-  
ბა ლიტ. რ ო გ ო რ-ს, როგორც ცნობილია, იგი მიღებულია რამდენ-  
იმე ფონეტიკური პროცესის ერთდროული მოქმედებით; რავვარ—  
→რავგორ ('შდრ. გორი 'გვარი')→როგორ.

9. 9. ჰ ა გ რ ე — აგრე. ჩვეულებრივ ჰ ა გ რ ე დადასტურებული ნაწილაკად გვევლინება. იგი სემანტიკურად ტოლფარდია „კი“ „პარგი“, „დიახ“ მიგებითი ნაწილაკებისა. დიალოგში:

— დღეს უცილებლათ უნდა გამუქციო, ბიძავ, ჩვენსა!

— ჰ ა გ რ ე, ვეცდები!

— კრებაზე რომ წამოხვალ, მამაშენიც წამეიყვანე, ჰ ა გ რ ე! — ჰ ა გ რ ე!<sup>1</sup>.

კ ი ლ ა რ მ ი — კინალამ. დიალ. კ ი ლ ა მ (|| კ ა ხ ა მ და რ ა ლ მ ე ნ ა წ ი ლ ა კ თ ა კონტამინაციით ჩანს მიღებული: კ ი ლ ა რ მ ი თ ვ ა ლ ი ს | კ ა კ ა ლ ი გამოთხარა.

წ ი ლ ა მ (კილარმი-სა და ლ ა რ მ ი-ს პარალელურად) — კინალამ: წ ი ლ ა მ ერთმანები დაშქამეს.

არც თუ იშვიათია კ ი ლ ა რ მ ი, წ ი ლ ა მ და ლ ა რ მ ი ნაწილაკები წინადადებაში უარყოფით ნაწილაკიან ზმნა-შემასმენელთან. კ ი ლ ა რ მ ი ხენდეკში არ ჩ ა ვ ა რ და! ლ ა რ მ ი თავის კორუპინში არ მოხდა! წ ი ლ ა მ თავი არ შ ა კ ლ ა!

ხ ჭ ა რ — ხომ არ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აქარულში ხომ ნაწილაკი ხ უ მ (მ-ს გავლენით ო—უ) ფორმითაა წარმოდგენილი. „არ“ ნაწილაკთან შერწყმისას ბოლოკიდური „მ“ მოეკვეცება (ზოგჯერ ცალკე აღებული საც), რის შემდეგ მარცვლოვანი უ ა-სთან კონტაქტში მოგვეცემს უა-ს. უა კომპლექსი კი, როგორც ქართულ დიალექტოლოგიაში კანონზომიერი მოვლენა, მოგვეცემს უა-ს (→ ხჭარ).

„უნდა“ ნაწილაკი სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან შერწყმით ენკლიტიკურ ფორმაში წარმოდგენილია: ნა, ნდა, და-ს ნა-ხით.

ზმნებთან: კიდვენ ი მ ი შ ა ლ ო ს ნ ა ნევრები მაგ ბლუშტმა.

სახელებთან: გევიარე გუდასახო, გოგუე ბინდა დევნახო (ნოლ. II, 113); პირველში გამგეობას და შეიკითხონ; პირადათ შენნა! ქთხოვო ეს საქმე; ჰო, ისნა მეთქვა, რომ...

<sup>1</sup> შდრ. ინგლ. პერაგრ (მ. ჭანაშვილი, საინგლო. ტ. მე-2, ტფ., 1913, გვ. 231); ჰ ა გ რ ე-ში თავიკიდური ჰ ხმოვნის ფშინიერი შემართვის შედეგად ჩანს მიღებული (ლიტ. აგრე—ჰ ა გ რ ე).

ნაწილაკებთან: შენ ეს არნა გეკადრებია ჩემთვის! თუ რ-  
მ ე ნ დ ა ეფუშტა მამ კაციზა; რუმ არნა ქნას სიკეთე, ძალით  
ხუარ იქს.

კავშირებთან: თ უ ნ დ ა (= 'თუ უნდა') დასტრებოდი, ჩემ ერ-  
თად წ ა მ ო ს უ ლ ი ყ ა ვ<sup>1</sup>.

ბა (უნდა მომდინარეობდეს აბა-საგან) ნაწილაკი, ჩვეულებ-  
რივ, წინადადების ბოლოს დაისმის და ადასტურებს ნათქვამს; მაგ.:  
საწყალს თლათ გადაყვენ შინაურები, ბა!

ამავე ნაწილაკის პარალელია დ. იგი სემანტიკურად ბა-ს  
ტოლფარდია და მის მსგავსად შორისდებულს უახლოვდება:

### სიტყვაწარმოება

9. 10 სახელთა წარმოქმნის — დერივაციის თვალსაზრისითაც  
აქარულს ახასიათებს ზოგი თავისებურება:

სა-ო აფიქსებით წარმოქმნილია სალიტ. ქართულისა და მისი  
დიალექტებისათვის უჩვეულო სიტყვა: ს ა ს ტ ა ვ ლ ო ('სასწავლე-  
ბელი', 'სკოლა'): ს ა ს ტ ა ვ ლ ო დ ა ნ რომ დაბრუნდები, სალამ-  
სალამ ცოტა ხნით საქონელი წააძე! ს ა გ ა რ ე უ ლ ო (გარეული-ს  
ანალოგიით) — საგარეო (ს ა გ ა რ ე უ ლ ო ტანსამუსი); ს ა შ ი ნ ა -  
თ ო (ამოსავლად „შინათ“ იგულისხმება)! — საშინაო (ს ა შ ი ნ ა თ ო  
უ რ უ ბ ა 'ტანსაცმელი'). ს ა გ ა რ ე უ ლ ო-ს პარალელურად ინმა-  
რება ს ა გ ა რ ე . თ ო ('საგარეო'), რომლისთვისაც ძირეულად უნდა  
ვიგულისხმოთ „გარეთ“, „გარეთა“; სამექსლო (—ქსელი, დაქ-  
სელვა; 'საფეიქრო დაზგა'): შიახი შალი უწინ ს ა მ ე ქ ს ლ ო ზ ე  
იქსებოდა (მდრ. წ ე რ. საქსლე); ს ა ნ ა მ ე ტ რ ო ('სანამეტნაო'),  
რომლის ძირეულად ივარაუდება დიალ. „ნამეტარი“ (მდრ. ნამე-  
ტანი).

სა-ე-ს გარკვეულ ფუძეებთან ენაცვლება სა-ო: ს ა ც ო ლ ო:  
ბოლოს ს ა ც ო ლ ო ს ა ც შიეკითხა; ს ა თ ა ვ ო შ ი: ს ა თ ა ვ ო შ ი  
რომ წამოწუწდები, შენმეტ ვერვის ხედავ?! ს ა დ ე დ ო ფუტკარი.

გვხვდება მი-სა-ო მოდელიც — მ ი ს ა მ ქ მ ე ლ ო: მ ი ს ა მ ქ -  
მ ე ლ ო ს ვინ ჩივოდა, ცივი ჰადიც გვენატრებოდა.

<sup>1</sup> მსგავსი ფორმები გვაქვს მესხურში (ნა შემოკლ. უნდა „რა ნა ქნას კავმა“;  
„ხმა არნა გაილა“: ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, მასალები მესხური ლექსაიდან — ბათუმის  
სახელმწიფო პედინსტიტუტის შრ., IV, 1954, გვ. 82), ჭავჭავაძისა და სხვა კილო-  
თქმებში.

გავრცელებულია ნაწარმოები ფუძის კვლავწარმოება: სა-  
 ეჭლ-ო: სა გ უ ლ ე ჟ ლ ო ('საგულდაგულო'): სა გ უ ლ ე ჟ ლ ო  
 მატყლი თუ გინდა მიიღო, წელწაჩი ერთჯელ უნდა გაკნაპო ცხვარი;  
 ნა-ულ (ებ)-იან: ნა ზ ა რ დ უ ლ ე ბ ი ა ნ ი ('ნაზარდი, მოვლილი, მო-  
 შენებული' — მცენარე, პირუტყვი): ეტყობა, კაი ნა ზ ა რ დ უ ლ ე-  
 ბ ი ა ნ ი ხეა, თუარა ასთე მალე ნიშანს არ მიცემდა; სა-უ-ო: სა უ ნ-  
 დ ო მ ო — ავადმყოფისათვის განკუთვნილი. დიეტური საქმელი, ხი-  
 ლი. ამავე რიგში შედის სა მ ს მ ე ლ ო (ტოპ. სახ.), რომლის ძირეულ  
 ელემენტად გამოიყოფა მოქმედებით გვარის მიმღობა მ ს მ ე ლ ი.  
 ნა-ევ ერთობ პროდუქტიულია. მსგავსი სიტყვები სალიტერატურო  
 ენაში არ გვაქვს. არის შემთხვევები, როცა ნა-ევ არ გამოხატავს  
 წინა ვითარებას, ყოფილობას; მაგ.: ნ ა ბ ი ჭ ე ვ ი ('ბიჭო, ბიჭუკელა';  
 'ბუში')<sup>1</sup>: რა ქქვია სახელი, შენ, ნ ა ბ ი ჭ ე ვ ო ! ნ ა გ ო მ ბ ი ე ვ ი  
 ('გოგო' 'გომბიო'): დუძახე, ბიჭო, მაგ ნ ა გ ო მ ბ ი ე ვ ! ნ ა პ რ ა ტ ე-  
 ვ ი („პრატი“, გოგო); ნა-ურ (ულ): ნ ა დ ა რ უ ლ ი, ნ ა დ ა რ უ ლ ე-  
 ბ ი ა ნ ი ('კარგი', 'შხიანი', 'დარგამოვლილი' — ნათესი, ხილი, ბოს-  
 ტნეული); ნ ა მ ბ უ ლ ი ('დალბობილი', 'ნალექიანი', ბუნებრივად  
 მორწყული სახნავი მიწა, ნათესი'); ნ ა ზ ლ მ უ რ ტ ლ ი ('უხეიროდ,  
 ცუდად მოხელილი ცომი, რომელსაც ფქვილის მურკლები ურევია').

ზოგ სახელში ნა ელემენტი ფუძის კუთვნილებადაა გაგებულ  
 და მას კვლავ განმეორებით დაერთვის იგი; მაგ.: ნა- ნ ა თ ხ ლ ე ბ ი  
 ('ნათხოვარი'): ნ ა ნ ა თ ხ ლ ე ბ ი ცხენიდან ადვილად ჩამუარდება  
 კაციო; ნ ა ნ ა თ ხ ლ ე ბ კაბას ფერი მალე ექცევაო. ნა-არ: ნ ა-  
 გ ა ნ ძ ა რ ი ('ნაოხარი'). ამავე მოდელის სიტყვაა ნ ა პ ა რ ტ ა ლ ი,  
 რომელიც სემანტიკურად „ნაგანძარის“ ეკვივალენტია. ნ ა გ ა ნ-  
 ძ ა რ შ ი, ჩვენის აზრით, ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელ ძი-  
 რეულ ნაწილად გამოიყოფა გ ა ნ ძ (საფლავის მნიშვნელობით);  
 შდრ. სა გ ა ნ ძ უ რ ი; რაც შეეხება ნ ა პ ა რ ტ ა ლ-ს, მისგან ძირე-  
 ული ნაწილის გამოყოფა რამდენადმე გაჭირდა. აღსანიშნავია, რომ  
 დაახლოებით ამავე მნიშვნელობისაა მთიულურში ნ ა პ ე ნ ტ ა ლ ი  
 ('ნაფლეთი')<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შდრ. საერთო ქართველური ეპოქისათვის რეკონსტრუირებული ფორმე-  
 ბის ძიებისას ძე. ქართულიდან დამოწმებულ na—bič//na—bič—ew-ს (Г. А. Кли-  
 мов, Этимологический словарь Картвелских языков, 1964, გვ. 52).

<sup>2</sup> შდრ. მესხური ნაპარტილი 'ნაცვეთი ტანსაცმელი': ო. შაისურაძე, მა-  
 სალები მესხური ლექსიკიდან, გვ. 83.

ამრიგად, ზემოთმოტანილი მაგალითების მიხედვით აქარულშა ნა-ევ (ასევე, ნა-არ, ნა-ალ) აფიქსების გავრცელების არე სცილდება როგორც სალიტერატურო ქართულის ისე სხვა დიალექტების ჩარჩოებს.

მე-ე გამოყენებულია ზოგიერთ სიტყვასთან ლიტ. ქართ. მო-ე-ს ნაცვლად, მაგ.: მენადირე: მასხანში მჭაწია ამ მენადირე მაც მეგემ; მეიჯარე ('მოიჯარე', 'მოიჯარადრე'): ამ მადენს უწინ ერთი ბრძენი მეიჯარე, მანკო ამუშავებდა.

მო- — ედ-ი დერივაციული აფიქსით რბ-ის ზმნისაგან მიღებულია მორბედი ('ხელზე მოსამსახურე', 'მოჯამაგირე'): ჩვენი მორბედი, ჰაყყა, წურწყაბიდან იყო ჩამოსული.

მო-ივ (ძვ. ქართ. მოცალე 'ცალიერი ანუ ცარიელი' — ა. შანიძე) — წარმოადგენს მო-ე აფიქსთა მორფოლოგიურ ეკვივალენტს: მოცალივი (მოცალივია ის, ვინც მოცალა, ვისაც სცალია): ჭეფერავ, თუ მოცალივით ხარ, პაწაი წამომიკარ ხელი ყანიხს საფხეკელში.

ჩანს, ამ ფორმაში ივ ელემენტის სადერივაციო ფუნქცია უფრო საგრძნობია!

ამ მაგალითით თვალნათლივ დასტურდება, რომ მოქმედებით ბრუნვასთან ფუნქციით გათანაბრებული -ივ სუფიქსი გარკვეულ შემთხვევაში სადერივაციო აფიქსის როლში გამოდის.

-ოვან ქონების აღმნიშვნელი სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტად გვხვდება -ვან, რომელიც ზოგიერთი ფუძისაგან აწარმოებს ზედსართავის შინაარსის მქონე სიტყვებს: ფერვანი ('ფერხორციოთ სავსე, ლაულაჟა'): შუათანა მიერენებზე უმფო ჯანთელი და ფერვანია; ენვანი ('ენაგატლექილი', 'ენაქარტალა'): ცოტა ენვანი რომ არ იყოს, უკეთესი საოჯლო ქალი ქვით; ხორცვანი ('ხორცსავსე', 'მსუქანი'): შუანაჲ სხვანებს არ გავს, დედამისივინ ხორცვანია, გალადანებული; ძალვანი ('ძლიერი') გულვანი ('გულოვანი', 'მამაცი, გულადი'): გულვან კაც ცოლი მუქლავს, დამედარა და თავათ უტირიაო; ტანვანი ('ტანადი'): შენ ახალობაში გენახა, რაფერ ტანვანი იყო მაგი; ფართვანი ('ფართო', 'ფართოები'): ხედავ, რამის ფართვანი ქვერი აქ!

1 ა. შანიძეს ავ. მოცალივი-ის სინონიმური ეკვივალენტის ძვ. მოცალე-ს საილუსტრაციო მასალად დამოწმებული აქვს: „ოვის ივი (სახლი) მოცალე (ცალიერი C) და განშუენებული და შემკული (მათ. 12,44); „გალს და მოცალე ხართ“ (გამოსლვ. 5,17; საფუძვლ. 605).

-ოვან სუფიქსი გურულის მსგავსად თანაბრობითი ხარისხის მაწარმოებელიცაა, ოღონდ ფონეტიკურ ნიდაგზე ო ხმოვანი, ჩვეულებრივ, დაკარგულია: ამისი ხოშრევანი — ('ასე ხოშრები', 'მსხვილები'), იმისი ხევანი: იმისი ხევანი ხოშკაკალი წამოვდა, რომ კაც თავს გუტენდა, რომ დაცემოდა; თითისი გძვანი: თითის გძვანი ბაღნები რომ ჰიგარას შიგიბულებენ...

-ოვან სუფიქსიანი ფორმები, როგორც ამის შესახებ შენიშნავს პ. ჯაჭანიძე, მრავლობითს გულისხმობს. სწორედ ამ მრავალთა თანაბრობაა წარმოდგენილი აღნიშნული ელემენტი<sup>1</sup>.

-იერ (იელ) ელემენტი ზოგიერთ ფუძესთან -იან, -ელ მაწარმოებელთა მაგივრობას ეწევა, ანდა ისეთი ფუძისაგან აწარმოებს ახალი მნიშვნელობის სიტყვას, რაც სალიტ. ქართულისა და სხვა დიალექტებისათვის უცხოა. მაგ. ჰკვიერი (ჰკვიანი): ჩემზე ჰკვიერი კაცი თუ იქნება ჰვეყანაზეო (ნოლ. III)<sup>2</sup>; სოფლიერი (სოფლელი): სოფლიერებისაგან ვერ გაარჩევთ (თ. სახ.) ტოტრიელი (საქონლის ფეხის ტყავისაგან ამოსხმული ქალამანი): თავრიელი (საქონლის საქალამნე თავის ტყავი): ქალაბანი შევიკერე, ხარის თავრიელია.

-ეულ მაწარმოებლით წარმოქმნილია: ავადეული (ავადმყოფი ქ.-აქ.); კოტრეული (დაუფშენელი, გაურჩეველი, სიმინდი, ტარო სიმინდი).

✱-იკა, -უკა მოფერებით კინობითის სუფიქსების სემანტიკური ვარიანტებია: -ალა, -კალა (||კელა): მარტოტკალა ('მარტო, მარტოკა'): ქალმა ძროხა გადადენა, ქმარი დაპტია მარტოტკალა; პაწაწალა ('პაწაწა', 'პაწაწკინტელა'): პაწაწალა დაუყუროთ, მოგვეკიდებენ ზურგში თრისას („დროება“, № 73).

-ულ-ა კინობითის აფიქსი გვხვდება, ჩვეულებრივ, ნათესაობითი ურთიერთობის აღმნიშვნელ და ადამიანის საკუთარ სახელებთან: ნენულა-ა ('დედიკო', 'ბებიკო' -ზ. -აქ.); დედულა-ა (სპ. ააა 'ბაბუა', 'პაპა'): დიდია ჩვენი მემლექეთიო, — ხშირად იტყოდა ჩემი დედულა-ა; ბიბილა-ა (თურქ. bibi 'მამიდა'): რამდენი წლისა იქნები ახლა, ჩემო ბიბილა-ა? ხატულა-ა // ხატიჯულა-ა (ქალის საკუთარი სახელი).

1 პ. ჯაჭანიძე, გურული კილოს მორფოლოგიის საკითხები. ქუთ. პედ-ინსტიტუტის შრ., ტ. 15, 1956.

2 ჰკვიერი; შესაძლებელია, მიღებულია ნიჰიერი-ს ანალოგიით.



ამავე რიგის მოფერებითი მიმართვის სიტყვაა (ბავშვისადმი)  
ტ ა ტ უ ლ ა ვ : ტ ა ტ უ ლ ა ვ, რომლისა ხარ, ბიჭო?

იკა-ა, უკა-ა კნინობითის ფორმებს აწარმოებს როგორც ზოგადი ისე ადამიანთა საკუთარი სახელებისაგან; მათ მოფერება — ალერსის მნიშვნელობა აქვთ; მაგ.: ფ ა ც უ კ ა ა ('ფაცია', 'გოგო'): იმ ფ ა ც უ კ ა ს თხოვნა მინდა, ქრელი კაბის მოტანაო; ხ უ ს ი კ ა ა (მამაკაცის საკუთარი სახელი ხ უ ს ე ი ნ ი): აბა, შენ იცი, ხ უ ს ი კ ა ვ, შენ ჩემი ფეკლეეანი ხარ!.

-ი-ნა ელემენტი კნინობითის შინაარსს გადმოსცემს ერთადერთ სიტყვაში: ლ ო მ ი ნ ა ა (სიმინდის ლერლილისაგან დამზადებული ღომი — ქობ.). ქალო, ჭადის გამოცხობას ვინ დუცდის, ერწამალა ლ ო მ ი ნ ა ა ჩეგეშუშეებია ბარემ!

ასევე, -ილ საწარმოქმნო აფიქსი მარტოოდენ ერთი სახელისაგან აწარმოებს კნინობითის ფორმას: ბ ო გ ი ლ ი (პატარა ხიდი, ბოგა): აგერ, ამ კოდმეს რომ გასცილდები, ერთი ბ ო გ ი ლ ი შექსთება!.

-ე ბ ა სუფიქსს ხშირად — ო ბ ა ენაცვლება: გა მ კ ა რ ქ უ ლ ო ბ ა, დ ი რ ე ბ უ ლ ო ბ ა, უ ბ ე დ უ რ ო ბ ა: შეიქნა ელვა, წვიმა და ვაი- უ ბ ე დ უ რ ო ბ ა (ნ ო ლ. III, 22).

ზემოაქარულში სადაურობის აღმნიშვნელი სახელი ზოგჯერ იწარმოება ორმაგი სუფიქსით (-ურ -ელ) ჰად (= 'სად') და აქ ზმნიზედებისაგან, მაგ.: ჰ ი დ ა უ რ ე ლ ე ბ ი ხართ თქვენ, ბიძავ? — ა ქ ა უ რ ე ლ ე ბ ი, უჩამფიდან.

ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია აზრი, რომ „სადაური“ და „აქაური“ ალბათ ნივთის კატეგორიისაგან ადამიანის კატეგორიის გასარჩევად -ელ სუფიქსს დაირთავსო<sup>2</sup>.

-ეულ აფიქსი ფონეტიკურ ნიდაგზე ვვლ (||ეულ), ოვლ (||ოულ), ულ-ის სახეს ლებულობს: მ ე მ ე დ ა ს ე უ ლ ი კამბეჩი; შაქირასეველი ხარები; ჩ ე მ ო ვ ლ ო ბ ა: ჩემი ჩ ე მ ო ვ ლ ო ბ ა მაგას შეავხრისე; გ რ ი ლ ი ს უ ლ ზ ე: ადრე, გამთენიოს, გ რ ი ლ ი ს უ ლ ზ ე მუდგა მუშაობას (შდრ. ც ი ვ ა ს უ ლ ა — ცივადისოულა 'სოფლის სახელია ქვემოაქარაში').

არაიშვიათად ნა-იერ, სა-იერ აფიქსები ასრულებენ ნა-არ-ის და სა-ო მაწარმოებელთა ფუნქციას (მათ პარალელურად): ნ ა მ უ შ ი-

<sup>1</sup> შდრ. სვან. ბოგ-ილ (პატარა ხიდი).

<sup>2</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიერული კილოკავი, გვ. 85.

ერო: რამით დღეში მომიტან შენ ნამუშიერს (ნოლ. III, 13);  
სამუშიერი: ძნელი სამუშიერია ეს ადგილები.

ადამიანთა წარმომავლობის -ელ სუფიქსს ზოგჯერ ენაცვლება  
-ურა (დისიმილაციით -ულა): ჰვანურაჲ ხოჯა; დანდა-  
ლურაჲ ქალი; ხინადირულაჲ გელინი ('რძალი').

## კომპოზიტები

9. 11. დეტერმინანტულ კომპოზიტაგან ყურადღებას იქცევენ შემდეგი ფორმები:

ძირმათრევალი ('ქვეწარმავალი', 'ქვემძრომი'): ძირ-  
მათრევალი რომ დეგესიძმოს, არ ვარგა.

გზაბაწარაჲ ('საცალფეხო გზა', 'ბილიკი'): გაახსენდა სა-  
ქორიათას გზაბაწარები (ფ. ხალ.).

ქანკოდილი — წყვილგამოსხმული, დაკოდილი (საქო-  
ნელი).

წვერკონილა ('წვერებით შეკონილი წვრილი ხეები'): შუა  
ზამთარში ტყეში წვერკონილას გავაკეთებდით და გაყინულ  
თოვლზე დავატურებდით.

ქანკოდილი, წვერკონილაჲ კომპოზიტთა მეორე  
კომპონენტი მიმღეობაა (კოდ-ილ-ი, კონ-ილ-ა-ჲ). აღსანიშნავია ისიც,  
რომ ეს ფუძეები უპრევერბოა (კონილაჲ, კოდილი), ეს კი  
უჩვეულოა როგორც ლიტ. ქართულის, ისე მრავალი დიალექტისა-  
თვის.

გამოიყოფა თხზულ სახელთა გარკვეული ჯგუფი, რომლის ერთ-  
ერთი წევრია ზმნიზედა (ჩვეულებრივ, ადგილისა) ან გაზმნიზედე-  
ბული სიტყვა. ზოგი მათგანი გასუბსტანტივებულია, ზოგი კი გეო-  
გრაფიულ სახელადაა თხზული, მაგ.: ახორსუკანაჲ — ახორის  
('ბოსლის') უკანა მხარე; გზიკისერი — გზის ზედა მხარე; სა-  
ფხარქვეში — მხარზე გადებული მძიმე ტვირთის მისაშველე-  
ბელი ჯოხი; გარგაწეული ('განზე გაწეული, გარეთ გაშვებრი-  
ლი'): ერთი მეგრულაჲ ხარი მყავდა, გარგაწეული ქებები  
ქონდა.

პროდუქტიულია „გულ“ საზღვრით კომპონენტიანი თხზული  
სახელები: გულიქალა ('კარგი, სანაქებოდ მოვლილი ქალა —  
სათიბი' — ზ.-აქ.), გულბაღჩა ('საგულდაგულოდ მოვლილი და  
მოსავლიანი ყანა', 'ბაღჩა'): დროზე თუარ შამოკარ თოხი, გულ-

ბ ა ლ ჩ ა შ ი ც ა რ მ ო ტ ყ დ ე ბ ა კ ო ტ ა ; გ უ ლ ი ფ ქ ე ვ ი ლ ი ( 'წ მ ი ნ დ ა დ ლ ა ფ ქ უ ლ ი ფ ქ ე ვ ი ლ ი ' ) : რ ო ხ ი ფ ქ ე ვ ი ლ ი დ ა ნ ყ უ რ ძ ნ ი ( ს ) ფ ა ფ ა ა რ გ ა მ ჭ ა , ლ ი ნ გ ი , გ უ ლ ი ფ ქ ე ვ ი ლ ი ნ დ ა ი ყ ო ს .

ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა ს ი ქ ც ე ვ ს დ ე ტ ე რ მ ი ნ ა ნ ტ უ ლ თ ხ ზ უ ლ ს ა ხ ე ლ თ ა ე რ თ ი ჯ გ უ ფ ი , ს ა დ ა ც მ ს ა ზ ღ რ ე ლ ე ლ ე მ ე ნ ტ ა დ გ ა მ ო დ ი ს „ ტ უ რ ა “ . ს ე მ ა ნ ტ ი - კ უ რ ა დ ა მ ს ი ტ ყ ვ ა ს ა ქ ე ს კ ნ ი ნ ო ბ ი თ ი ს ე ლ ფ ე რ ი ; მ ა გ : ტ უ რ ა ბ ე ღ ე - ლ ა ჯ ( ' ბ ო ძ ე ბ ზ ე შ ე ყ ე ნ ე ბ უ ლ ი პ ა ტ ა რ ა ბ ე ღ ე ლ ი ' , ' ა მ ბ ა რ ი ' ) : მ ა რ ჯ ვ ე ნ ა კ ე დ რ ი თ მ ე რ ე გ ი ი ყ ო , მ ა რ ც ხ ე ნ ა კ ე დ ა რ ო ზ ე კ ი ტ უ რ ა ბ ე ღ ე ლ ა ჯ ( ქ . - ა ჯ . ) . ტ უ რ ა ყ ი ლ ი ფ ა ჯ ( ' ტ ყ ა ე ი ს ჩ ა ნ თ ა - დ ა მ ბ ა ჩ ი ს ა ' ) : ტ უ რ ა - ყ ი ლ ი ფ ა ჯ ე კ ი დ ო ს , ე რ კ ო ს წ ე ლ შ ი მ ი ს ი ყ ა მ ა ( ა ჯ . ხ . პ ო ე ზ . ) ; ტ უ - რ ა ქ ო რ წ ი ლ ა ჯ ( ბ ა ლ . ' ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი , ა რ ა — მ დ გ რ ა დ ი ტ ა რ ო ს ი ' ) : ა მ ფ ე რ ი ტ უ რ ა ქ ო რ წ ი ლ ა ჯ თ ყ ა ნ ა ა რ გ ა ნ ა მ ბ უ ლ დ ე ბ ა .

ა რ ი ს ი ს ე თ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ც , რ ო ც ა „ ტ უ რ ა “ ს ა ზ ღ რ ე ლ ე ლ ე მ ე ნ - ტ ა დ გ ა მ ო დ ი ს ; მ ა გ : ე : წ რ ი ტ უ რ ა ( ბ ა ლ . ' ქ ე ვ შ - ქ ე ვ შ ' , ' გ ა ი ძ ვ ე რ ა ' , ' თ ვ ა ლ თ მ ა ქ ც ი ' ) : მ ა გ ა ს რ ა გ ა მ ჭ ა ს ტ ო რ ე ბ ს , ე წ რ ი ტ უ რ ა ს .

მ ა რ ტ ი ვ ფ უ ძ ე თ ა რ ე დ უ ლ ი კ ა ც ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი დ ა ნ ა ლ ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი ა : ა მ ბ უ რ - ძ ა მ ბ უ რ ი ( ' ა ბ დ ა - უ ბ დ ა ' ) : მ ა გ ი დ ა ნ ზ ო მ ვ ე ე ფ ე რ ს გ ა მ ე ი ტ ა ნ , ა მ ბ უ რ - ძ ა მ ბ უ რ ი ლ ა პ ა რ ი კ ი ი ც ი ს ; ბ ა ლ ა ნ - ბ უ ლ ა ნ ა ( ' ბ ა ლ ლ ე ბ ი ' ) : ბ ა ლ ა ნ - ბ უ ლ ა ნ ა გ ყ ა ვ ს ? ( ნ . კ ო მ . ) ; ბ ლ ა ც ა ბ ლ უ ც ი — წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ა დ ა კ ა რ გ უ ლ ი ს ი ა რ უ ლ ი ; ბ ა რ - ბ ა ც ი ; წ ე ლ წ უ ლ ა ჯ — შ ი გ ნ ე უ ლ ი , ნ ა წ ლ ა ვ ე ბ ი .

ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა ს ი ქ ც ე ვ ს , ა ს ე ვ ე , რ ე დ უ ლ ი კ ა ც ი ს გ ზ ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი პ ა რ ო ნ ო მ ა ზ ი უ ლ ი კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ი : ტ ყ უ ლ ი ს ტ ყ უ ლ თ ა ლ ა ჯ ( ' ტ ყ უ ი ლ უ ბ რ ა ლ ო დ ' ) : ი ბ ი ჰ ი ტ ყ უ ლ ი ს ტ ყ უ ლ თ ა ლ ა ჯ გ ა - მ ჭ ა ბ ა ი ა ნ ე ს ა მ დ ე ნ ზ ა ლ ხ შ ი ; ე რ თ ი ე რ თ მ ა ნ ე ბ ი ( ' ე რ თ მ ა ნ ე თ ი ' ) : ე რ თ მ ა ნ ო ბ ა შ ი ვ ე რ გ ა მ ჭ ა რ ჩ ე ვ , ე რ თ ი ე რ თ მ ა ნ ე ბ ზ ე უ კ ე თ ე ს ი ა ; მ ი ს მ ი ს ი ა ნ ე ბ ი ( ' თ ა ე ი ს ი ა ნ ე ბ ი ' ) : ჩ ა მ ჭ ა რ ი გ ე ბ ე ნ მ ი ს მ ი ს ი ა - ნ ე ბ შ ი თ ი თ ო ხ ე რ ტ ა ლ მ ა ტ ყ ლ ი ს დ ა ს ა რ თ ა ვ ა დ ; ჩ ე მ ი ჩ ე მ ე ჭ - ლ ო ბ ა ( ' ჩ ე მ ი ქ ო ნ ე ბ ა ' , ' ა ვ ლ ა დ ი დ ე ბ ა ' ) : მ ა გ ი ს გ ა მ ო ზ დ ა ს გ ა დ ა ვ ყ ე ვ ე , ჩ ე მ ი ჩ ე მ ე ჭ ლ ო ბ ა მ ა გ ა ს შ ა ვ ა ხ რ უ კ ე დ ა მ ა ც ა რ დ ა მ ი ფ ა ს ა .

რ ო თ უ ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ს , ( კ ე რ ძ ო დ , ჰ ი ბ რ ი დ უ ლ კ ო მ პ ო ზ ი ტ ე ბ ს ) , რ ო - მ ე ლ თ ა წ ე ვ რ ს ა ც თ უ რ ქ უ ლ ი დ ა ა რ ა ბ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს , ვ ე - ხ ე ბ ი თ ქ ე ვ მ ო თ ( ი ხ . „ თ უ რ ქ ი ზ მ ე ბ ი “ ) .

9. 12. გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ს ა ხ ე ლ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა .

გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი გ ვ ა ქ ე ს ნ ა შ რ ო მ შ ი : ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს ა ქ ა რ უ ლ ი დ ი ა - ლ ე ქ ტ ი . ლ ე ქ ს ი კ ა . გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი . გ ვ . 50—59, § 5 93-100 .

სუბიექტური პირის ნიშნები

მ. 13. ზოგიერთი ზმნის ნამყო წყვეტილის მხ. რ. მე-3 პირში დასტურდება -ა სუფიქსი თანამედროვე სალიტ. ქართულის ო-ს ნაცვლად (ძვ. ქართულში ანალოგიურ ფორმებს გვიჩვენებს რამდენიმე ზმნა): მ ჟ ა ს ტ რ ა, შ ა მ მ ი ე ს ტ რ ა, ი ც ნ ა და სხვ.<sup>1</sup>

2. -ენ, -ან სუბ. ნიშნები აქარულში, ჩვეულებრივ, ობიექტის მრავლობითის -თ სუფიქსს ცვლის. ეს წესი სისტემებზე არის გატარებული ინვერსიულ ზმნებში.

-ენ (←-თ): უ ნ დ ო დ ე ნ, ჩ ი ე ყ ა რ ე ნ, გ ი ე ტ ყ ა ვ ე ბ ი ე ნ, ა ქ ე ნ (ზ.-აჭ.), ე ც ვ ე ნ.

-ან (←-თ): მ ი ა ქ ე ა ნ, შ ე შ ქ ი რ დ ე ბ ი ა ნ ('დაჭირდებათ'), გ ი ნ დ ა ნ ა ნ (ზ.-აჭ.), გ ო ნ ი ა ნ: მემთევრებს სული უწუხან (დ. კობ.)<sup>2</sup>. ობიექტის მრავლობითობა იშვიათად გადმოიცემა -ეს სუფიქსითაც: მ ი ე წ ყ ი ნ ე ს („იმათაც მიეწყინეს იქ ყოფნა“), ა მ ჟ ე რ ჩ ი ე ს („ისვენ ჯელილა ა მ ჟ ე რ ჩ ი ე ს თავედუმართ“), ე ყ ი დ ნ ე ს („საყაურზე ხორცი ე ყ ი დ ნ ე ს“), ე ც ე მ ე ს, მ ი ე კ ლ ე ს („ცემაში მიეკლეს“), ჩ ი ე გ დ ე ს<sup>3</sup>.

მე-3 სუბ. პირის -ეს, -ენ, -ან სუფიქსებისაგან ობიექტის მრავლობითობის გამოხატვა, ეჭვი არ არის, გამოწვეული უნდა იყოს დასახელებულ მორფემათა გაერთფეროვნების ტენდენციით.

3. გარდამავალ ზმნებთან ნამყო წყვეტილში მრ. რიცხვის მე-3 პირის ნიშნად ზოგჯერ გვხვდება -ენ სუფიქსი -ეს ნიშნის პარალელურად, მაგ.: გ ა დ ა პ კ ი დ ე ნ („გ ა დ ა პ კ ი დ ე ნ ცხენეფ ჰეგ-

1 ა. შანიძე, საფუძვლ., გვ. 441; მ. ძიძიშვილი, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში: ივე, მე-9, 10, 1958, გვ. 194.

2 მსგავსი შემთხვევები ჩვეულებრივია დასავლური დიალექტებისათვის. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ მაგალითები იმერხელიდან: მათ ჯუმბუში აქეან; სამა გინდანან? ქელოლანი ბეგებ დეეძინენ; არ აქეან არა ხებერი (მარი, იმერხ. ტექსტები, გვ. 62, 63, 64). დაწვრილებით ამ ფორმების შესახებ იხ. ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვარი პროცესი ქართველურ ენებში: ივე, 6, 1954, გვ. 452-453.

3 ანალოგიური ფორმები, როგორც ამის შესახებ შენიშნავს შ. ძიძიგური, დამახასიათებელია დასავლური დიალექტებისათვის.

ბები და გუდგენ შავშეთ“); ი მ უ შ ი ე ნ („ზისჩასლამდინ შუსსვენებ-  
ლაა ი მ უ შ ი ე ნ“), მაგრამ: „მ შ თ ხ რ ე ს ე რ თ ქ ვ ა ნ ე ფ“.

4. სუბ. პირის ნიშანთა მონაცვლეობასთან დაკავშირებით ყუ-  
რადღებას იქცევს ის შემთხვევა, როცა ი ე პრეფიქსიან ვნებითებს  
აწმყოსა და მყოფადში მესამე სუბ. პირის ნიშნად მხ. რიცხვში მოუ-  
დის ს-ანი, ნაცვლად თანამედროვე სალიტ. ქართულის ნორმით მო-  
სალოდნელი ა სუფიქსისა: ი კ ე ლ ვ ი ს („იკლავნება“): ნენელავ, რა-  
ფერ ი კ ე ლ ვ ი ს, ნამსხმანში ძვალი არ აქ ნეტამ! ი ჰ მ ი ს („ერთი  
სოის სოკოა, ბღავანაჲ, არ ი ჰ მ ი ს“), მ ე ი ხ ა რ შ ვ ი ს („თის წყალ-  
ში დითხან არ მ ე ი ხ ა რ შ ვ ი ს“), ი კ ა კ ვ ი ს და სხვ.

ასეთი ფორმები, რომლებიც ძვ. ქართულისათვისაა დამახასია-  
თებელი, შენიშნულია გურულში, იმერხელსა და, საერთოდ, და-  
სავლურ დიალექტებში, თუმცა არც ისე ხშირად, როგორც აჭა-  
რულში.

5. სალიტ. ქართულის ნორმისაგან განსხვავებით უწყვეტელსა  
და ხოლმეობითში გამოყენებულია -ენ სუფიქსი -ნენ-ის ნაცვლად:  
მ დ ე რ ო დ ე ნ, ს ტ ა ვ ლ ო ბ დ ე ნ, ი მ ც ხ ო ვ რ ე ბ დ ე ნ. ზემო-  
აჭარულში, ზოგიერთ ზმნასთან წყვეტილის მწკრივში -ნენ სუფიქ-  
სია დაცული, მაგ. ი ყ [ვ] ნ ე ნ: ჰ ა რ ლ ი ყ ნ ე ნ ა ქ ა მ დ ი ნ, ჰ ა გ ა დ ა -  
მ ჩ ქ მ ა ნ დ ნ ე ნ ნეტა!

## ოზიეპტური ნიშნები

9. 14. აჭარულში, ისე როგორც საერთოდ დასავლურ კილოებ-  
ში, მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსები აღარ იხმარება, ხოლო  
მე-3 პირის ობიექტური პრეფიქსი უმრავლეს შემთხვევაში დაკარ-  
გულია<sup>1</sup>. ეს პრეფიქსები გურულსა და აჭარულში სპეციალურად  
შეისწავლა ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე მ<sup>2</sup>. აჭარულში მე-3 პირის ობიექტუ-  
რი პრეფიქსი თითქმის ისევე წარმოდგენილი, როგორც გურულში.

აჭარულში, კერძოდ ზემოაჭარულში, ობიექტური პრეფიქსების  
ხმარების თავისებურებანი ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ და გა-  
მოვამყვეყნეთ სხვა შრომებში<sup>3</sup>, ამიტომ ამ საკითხს აქ აღარ დავუ-  
ბრუნდებით.

<sup>1</sup> შდრ. ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მე-2 პირისა და ობიექტური პრე-  
ფიქსი მე-3 პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920, გვ. 172.

<sup>2</sup> ნაშთები მე-3 პირის ობ. პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, თსუ შრ.,  
5, 1937.

<sup>3</sup> ზემოაჭარულის თავისებურებანი, 1957, გვ. 42-45; ქართული ენის ზემო-  
აჭარული დიალექტი, 1961, გვ. 86-89.

9. 15. ზემოაქარულში -ინ, -ენ-იან ვნებითებს მრავლობითში ხშირად ძვ. ქართულისათვის დამახასიათებელი -ენ—//ნ სუფიქსი აქვთ შემონახული, მაგ.: გევემზადენით: ცოტა ხანს უკან გევემზადენით წასასვლელათ; მომეშველენით: ხენწიფე ყვიროდა — მომეშველენით, ვიწვიო (ნოღ. III, 115); დეტენით: ამხელა სექვზე ვერ დეტენით თუ! მივეშველენით: მეზობლებმა მივეშველენით, თუარა, დეიწვოდა<sup>1</sup>.

რამდენსამე შემთხვევაში -ინ, -ენ-იანი ვნებითის მრ. რიცხვი მეორე კავშირებითის მაწარმოებელია ე-ნი<sup>2</sup>: თქვენ რომ დემეხმარნეთ, მაშინ კი გევტან ამ საქმეს; ახლა დრუა გევეყარნეთ; გამოი და დევექედნეთ, თუ ბიკი ხარ!

3. საინტერესოა, რომ მეტაანალიზის შედეგად -ენ (—//ნ) სუფიქსი მხოლოდით რიცხვშიც არის გადმოსული, მაგ.: რამდე[ნ]ხან უნდა იყნე კიდო ბეშუმ, კო? ღორი ვიყნე, თუ დღე არ ჩამუვლ შენთან.

ა. შანიძე „ვიყვე“, „ვიყვნეთ“ და მისთ. ფორმათა გაჩენას მიაწერს „ვიქნე“ ზმნის გავლენას<sup>3</sup>.

### ზმნისწინაბი

9. 16. ზმნისწინთა თავისებურებებიდან ყურადღებას იქცევს ფუნქციური მონაცვლეობა. ეს უმთავრესად მაშინ ხდება, როდესაც ზმნისწინი მიმართულებას არ გამოხატავს.

<sup>1</sup> შლრ. ა. შანიძე, საფუძვლ. გვ. 458-460; ქართ. ენა, საშ. სკოლის სახელმძღვანელო, 1947, გვ. 249; ლ. ნოზაძე, ინ-ენიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში: იყ, მე-9, 10, 1958, გვ. 129-135.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობით-ში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში: „უნივ. მოამბე“, 9, გვ. 196; მსგავსი ფორმები გვხვდება ქართულში, კახურში, მთიულურში და სხვ.

<sup>3</sup> ა. შანიძე, საფუძვლ., გვ. 462; შლრ. ფერეიდნ. „იყნეს“ (არნ. ჩიქობავა, ფერეიდნული, გვ. 210); ავტორი შენიშნავს, რომ ეს ფორმა გამოსავალი, როცა იწარმოება მე-2 და პირველი პირი: იყნეს, იყნევით, ვიყნე-ვით (იყნეს, იყნეთ, ვიყვნით), არ. მარტივოსოვი „ვიყვნეთ“, დიალექტიზმები მე-15-18 სს. კახურ ისტორიულ საბუთებში: იყ, მე-4, 1953, გვ. 253.

1. ქართული ენის რიგ დიალექტთა მსგავსად მარტივ შე- ზმნის- წინს სპორადულად სცელის შა-: შ ა გ ა ფ რ ე წ („ერცხვა არ ქნა, თუარა ყურეფ შ ა გ ა ფ რ ე წ!“) შ ა ვ ა ძ უ ლ ვ ო („რატომდა შ ა ვ ა ძ უ ლ ვ ო თავი“), (შ ა ტ ა ნ ა ხელი“), შ ა ჭ ყ ი რ დ ა<sup>1</sup>.

აღნიშნული პროცესი სისტემატურია, როდესაც შე-ს მო- პრე- ვერბი ახლავს; მაგ.: ლოდას გარედამ შ ა მ შ ა კ რ ა ვ თ ჯიხურ; ხელს ვერ შ ა მ ო ტ ე ვ; ცივი ატკაზი შ ა მ ო კ რ ე ს; ბალნეფ შ ა მ შ რ ი გ ე ს თეთ-თეთრი პურები; ღვინო შ ა მ ო მ ე ლ ი ა<sup>2</sup>.

2. ზოგიერთი ზმნისწინი გაცილებით უფრო პროდუქტიულია, ვიდრე სალიტერატურო ქართულში.

გა-, და-, შე- ზმირია ისეთ ფუძეებთან, რომელნიც სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში მათ ან სრულიად არ იგუე- ბენ, ანდა ძალზე იშვიათად დაირთავენ. ზოგჯერ საქმე გვაქვს არ- ქაულ წარმოებებსან, მაგ. შე ე კ უ ქ ტ ა („ვეზირმა ძალთან შე ე კ უ- ქ ტ ა“); შე ჩ ქ ა რ დ ე ბ ი თ („ნუ შე ჩ ქ ა რ დ ე ბ ი თ, ცოტა წივე- ხევსოთ და ისე წაბანდი!“); შე გ ჭ ი რ დ ე ბ ა: ეს ფთა ჰაცხან შე- გ ჭ ი რ დ ე ბ ა, ერთმანეთზე დუუსვი (ნ ო ლ. მე-2,86); შე ე მ შ ი ო ს („თუ შეემშოს“); შე ს ა ღ ა მ ო ვ დ ა: ცოტა რომ შე ს ა ღ ა- მ ო ვ დ ა (შღრ. ძვ. ქართ. შემწუხრდა); შე ი ჩ ხ უ ბ ნ ე ნ („შაჰზადემ და დივების ნეფემ ისევ შე ი ჩ ხ უ ბ ნ ე ნ“<sup>4</sup>. შე ჰ პ ა ი ჯ ე ს: შე ჰ- პ ა ი ჯ ე ს სახლში (ნ ო ლ. III,86); დ უ უ ლ ო დ ნ ე ლ ა თ: დ უ უ ლ ო- დ ნ ე ლ ა თ გაჩთა მეორე გლეხმა (ნ ო ლ. III,143); და მ ი ს მ ი ნ ე („კარქა და მ ი ს მ ი ნ ე, არ დაგაბიწყდეს“); და ვ თ ფ ი ნ ე („რაც დ ვ თ ფ ი ნ ე, ვერცხლია რაც არა და — ცეცხლია“); და ვ ბ რ ა ზ- დ ი თ, და ვ ა ხ ე რ ხ ე („დღე თუ და ვ ა ხ ე რ ხ ე, უცილებლათ აბუალ“); დ შ ხ მ ე („ცოტა ჰკვას დ შ ხ მ ე, შენი თავი ბალანა არ გეგონოს“); და ვ ე თ ა თ ფ ი რ ე (= 'მოვეთათბირე'); და მ ა ტ ყ ვ ი-

<sup>1</sup> ორ უკანასკნელ და მისთ. ზმნებში შა- ზმნისწინში ა ხმოვანი სხვა წარ- მოშობისა და პოზიციითა შეპირობებული. ამის შესახებ იხ. ზემოთ „გრძელი ხმოვნები“.

<sup>2</sup> აქარულში პრევერბთან ფართო ხმოვნების არსებობას შ. ძი ძ ი გ უ რ ი მესხურის გავლენას მიაწერს (ძიებანი... გვ. 132 და 139); იქვე ნათქვამია, რომ შა-შა საყოველთაოდ გავრცელებულია ქართულ კილოებში, მხოლოდ განსხვა- ვება მეტ-ნაკლებ ხმარებაშია.

<sup>3</sup> შღრ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისა- თვის ძვ. ქართულში, გვ. 76.

<sup>4</sup> შღრ. შე ჩ ხ უ ბ ა, ო. კ ა ხ ა ძ ე, ატენისა და წედისის ხეობის ქართლური, გვ. 298.

ლე („რატონ დამატყვილე ამ დროული კაცი?!“); დამეწონა („ბარიშნას რომ გადავხედე, არცეთათ არ დამეწონა“).

3. აღ-, გან-, წარ-, გარდა-, ჩვეულებრივ, გამარტივებულია თანხმევანი ელემენტების (ღ, ნ, რ) ჩამოკვეცით; მაგ.: შვილი ავზარდე (ნოლ. III, 22); მიაწია („ამ ამბავმა რუსეთამდინ მიაწია“); ამოჩინდა: ორევეში ოროლი ოქრო ამოჩინდა (ნოლ. III, 144); ავნიშნე: მე თაობით (‘იმთავითვე’) ავნიშნე; გათქმული: შერიფ-ბეგი დიდი გათქმული კაცი იყო; გამავლობა: ამ სინორს იქით გამავლობა არ აქსო (ნოლ. III, 44); წამოდგენა (||წამორდგენა): ხვალდამ წამოდგენა უნდა გეიმართოს; იყაჩალი ვეზირ წუდგინა; სელიმ-ფაშა ძალთან წამოსადეგი კაცი ყოფილა; გადაცვალე: ლენინი რომ გედეცვალა, ამაზე თელი ქვეყანა ატირდა — მეგემ; გამავლობაში: ორი წლის გამავლობაში სულ გადაწვეანდა აქაჭბა; ამოსავლეთი: ამოსავლეთით ერთი წლის სავალი გზა არის (ნოლ. II, 4).

★ 9. 17. თემა 1. ზოგიერთი ზმნა, რომელსაც ახალ ქართულში თემის ნიშნები დაერთვის, აქ მის გარეშეა; მაგ.: დავნაყდით: სიმინდის კობერ დავნაყდით, წყალ მუაშეშხედით, მაღლ მუაპუკავდით და საქონელ მივართვამდით; წალეკს („იმფერი სელგაპი რომ მოვდეს კიდვენ, დუნიას წალეკს“); მოვთიბ (მოთიბ, მოთიბს): კარქი თირფნით ორ დღეზე მოვთიბ<sup>1</sup>; გავრეკთ (გარეკ, გარეკს): ზამფხულობით საქონელ თიებზე გავრეკთ; დააღამ: ერთ დღეს დააღამ წასლით, ერთ დღეს დააღამ მოსლით (ხუბ. 25); არ დაგვიმტკეცია (= ‘დაგვიმტკეცებია’): ის არ დაგვიმტკეცია (ნოლ. ა. დ. 24).

როგორც ჩანს, აქ უთემისნიშნოდ უფრო ხშირად ავსუფიქსიან ზმნათა I სერიის მწკრივთა ფორმები გვხვდება.

2. -ებ თემის ნიშნის გარეშეა მრავალი მიმღეობა (განსაკუთრებით ზემოაქარულში): დავსილი („წელი წმინდა, ტანმალაღი, რა ლამაზია დავსილი“); გადაკიდული („ჰიდამდი უნდა იყოთ ასე ერთმანებზე გადაკიდული“); დამზადილი; მოსტრილი („შენ რა გიჭირს, ბიძავ, მოსტრილი შვილი კვავს“); გავსილი („გავსილი თვარე“).

<sup>1</sup> შდრ. ზემოკ. თიბს, თიბენ (სტ. მენტეშაშვილი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები; ენიშქის მოამბე, III, 1937, გვ. 163).



3. ხშირია თემის ნიშანთა მონაცვლეობა. ასე მაგალითად: -ევ სუფიქსიანი ზმნა შეიძლება -ამ სუფიქსით იყოს წარმოდგენილი, ხოლო -ებ თემისნიშნისანი -ავ, -ევ თემის ნიშნით: მივართვამ, ჩამართვამს („ხელს ჩამართვამს“); არქვამ („რას არქვამ, ცავ, შენ ბალანას?“); ეიკიდევდა (ცვერცხეფ ეიკიდევდა, მაჰც უჩეჩღებოდა (ნოლ. III,98); დეიკიღავს („დეიკიღავს ყამას და გუყვება ქალაქში“); -ებ თემის ნიშანს ზოგიერთ ზმნასთან ცვლის -ობ: ჩუჩუნოფს („თელი დღია სუფრისხელა ადგილზე ჩუჩუნოფს“); კანკალობდა („ი საწყალი გაცხრჭებულსავენ კანკალობდა“); სვენოფს, აამსოფს, ტრუალოფ („რას ტრუალოფ ბუზანკალივით“), აპირობ („რას აპიროფ, ბიბილაფ!“), ასტროფს...

4. ზოგიერთ უთემისნიშნო ზმნას ახლავს -ავ: ვგრიხავთ („თოკ ვგრიხავთ“); გამქყიპავსო: მე ისეც ავათმყოფი ვარ დავინცხა გამქყიპავსო (ნოლ. III,50); წერავს („კინა წერავს, ტარი დაზღვეს“); დევიქირავ<sup>2</sup>: („დევიქირავ, თოკ წავაბამ ფეხზედავო“).

ასეთი ფორმები დასავლური კილოებისთვისაა დამახასიათებელი.

5. აწმყოსა და მყოფადის მწკრივებში მესამე სუბ. პირის მრავლობითის აღმნიშვნელი -ენ სუფიქსის დართვისას იკარგება -ავ და -ამ თემის ნიშანთა ა ხმოვანი<sup>3</sup>; თიბვენ, ნახვენ, ჩარგვენ, გიზმენ, დეინახვენ.

<sup>1</sup> ამ ფორმის განვითარება შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ჭერ მოხდა ვ-მ-ს მეტათეზისი, შემდეგ -ამ სუფიქსიანი ზმნების ანალოგიით მივიღეთ არქვამ. აქვე შეიძლება მოვიგონოთ ნამყო უსრული ფორმა „ქვიოდა“, რომლის შესახებ არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „ქვია“ ზმნამ, რომელსაც თქვა ზმნასთან საზიარო ძირი აქვს, გაიჩინა ნამყო უსრული დასავლურ კილოებში: „ქვიოდა“ ლიტერატურული „ერქვა“ (ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1, 1948. გვ. 58, შენიშვნა 1).

<sup>2</sup> ა. შანიძე, „დაქირვა“ ზმნას მე-2 სერიაში გავრცელებული „დაპირვა“ ფორმიდან მომდინარედ თელის, რომელსაც შემდეგ მ ჩამოშორება; ზმნა ავიანი იყო, მაგრამ იგი ხმოვანმონაცვლეობაში გადავიდა, თუმცა საბოლოოდ არა: გვხვდება როგორც დავიქირავ, ისე დავიქერ-ო (საფუძვლ. გვ. 413); ილ. ცერცვაძე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის: თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნ. შრ. კრებული, 1, 1941, გვ. 181-186.

<sup>3</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, გვ. 339.

6. უწყვეტელში (აგრეთვე მყოფ. ხოლმეობითსა და კავშირებოთში) -ავ და -ამ თემის ნიშნები განიცდიან ძვ. ქართულისათვის დამახასიათებელ ცვლილებებს<sup>1</sup>.

ცალკეულ შემთხვევაში „წერა ზმნასთან აწყობი ი თემის ნიშანია წარმოდგენილი, მაგ.: თესავს ხუთ კოდ და წერიის ერთს; შენ რას წერი; იგინი წერიან (ხუბ. 17-18).

7. წყვეტილში -ე ბოლოზმონიანი ზმნის ფორმა ზემოაქართულში ვი-ს დაირთავს.

I პირი: გამაძღვევი (წყალი მასვი კოკითა, გამაძღვევი კოცნით...): გვინახვევი („შაშინჯველაჲ რომ მობძანდი, რა გვინახვევი ყუსური“).

II პირი: დეიწყვევი („აბა, დეიწყვევი სიმღერა, თუ კაცი ხარ!“); გამაშაცხვევი („ქადი გამაშაცხვევი!“); წყრწევი (წაურწე).

ამ ტიპის ზმნებში -ვი ელემენტი ხშირად უხმოვნოდაა, ისევე როგორც „გითხარ“ „ვიყავ“ და მისთ. ზმნებთან: გეიგვე („გეიგვე ასლანავ, ხიდითავ შვაევი ჩამოსულა?“); დეიწყვე („შენ დეიწყვე, ჩვენ აყვეებით“).

ხსენებულ ფორმებს ზოგჯერ ნართაული იარ აქვთ მრავლ. რიცხვშიც: შიმშიწყვეთ („პაწაჲ თქვენც შიმშიწყვეთ ხელი!“); ჩავაგდეთ („ტომპოყოში ჩავაგდეთ“); შავატყვეთ („შავატყვეთ, რომ საქმე წამხდარიყო“).

8. -ინ -ენ-იანი ვნებითი I სერიაში -ვბ თემის ნიშნის გარეშე: იმალვი („დიგინახე, რაღას იმალვი!“); გეიწურვის („ქე რომ გეიწურვის, მემრენ წამაღუღეფთ“); გედევბარგვოდით („თა რომ მეიშლებოდა, მემრენ ყიშლეფში გედევბარგვოდით“); იბღვირვი („რას იბღვირვი, მაშინეფ თუ?!“); ენღურვოდი („გახსოვს, შენ ძმას რომ ენღურვოდი“).

9. ი თემის ნიშნიან „ეკრი“ ზმნის ფუძეს მეორე სერიის წყვეტილში ე-ს ნაცვლად ა ხმოვანი აქვს: მივაგნებ, თუ გინდა თავი მომქარი („თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 29). ანალოგიური ვითარებაა გურულსა და იმერხელში („გარეთ ავასამე ჭარი, მანლალები გამოეკარი“, მარი, იმერხ. ტექსტ. გვ. 48).

<sup>1</sup> ამ საკითხზე ვრცლად იხ. შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაქართული დიალექტი, გვ. 95-96.

9. 18 პირველ თურმეობთში -ავ და -ამ თემის ნიშნები, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. ზმნა ი-ა დაბოლოებას იღებს: დ ი მ ი კ ი რ ი ა („ბარსამხანია რემეზანი აღარ დ ი მ ი კ ი რ ი ა“), მ ი ნ ა ხ ი ა („ამდენი წვიმები ჩემ სიცოცხლეში არ მ ი ნ ა ხ ი ა“); უ ს მ ი ა („ღვინო არ უ ს მ ი ა და ჰიდან იქნებოდა თრალი“); დ უ დ გ მ ი ა, მ უ კ ლ ი ა.

-ამ სუფიქსიანი ზმნები პირველ თურმეობითში ხშირად ინარჩუნებენ თანხმოვან ელემენტს: მ ი თ ქ მ ი ა („არადროს ტყვილი არ მ ი თ ქ მ ი ა“); ჩ უ ბ მ ი ა („ხობუები ჩ უ ბ მ ი ა ბახჩაში“).

ეს მოვლენა დამახასიათებელია როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური დიალექტებისათვის<sup>1</sup>.

-ავ და -ამ სუფიქსიან ზმნებს 1 თურმეობითში რეალური სუბიექტის მრ. რიცხვის გამოსახატავად მე-3 პირში ჩვეულებრივ -ან სუფიქსი მოუდის: დ უ ნ ა ხ ვ ა ნ, ჩ უ ბ მ ი ა ნ.

I თურმეობითის მწკრივში თ ხ რ ო ბ ა ზმნა ზოგჯერ წარმოდგენილია -ია სუფიქსით: უ თ ხ რ ო ბ ი ა: ხენწიფეს უ თ ხ რ ო ბ ი ა მის მემარცხენიზა (ნოლ. III, 58); მსგავსი ვითარებაა მრ. რიცხვშიც: თელი ხისიმებისთვინ უ თ ხ რ ო ბ ი ა ნ.

წყვეტილში ზოგიერთი ზმნა ძვ. ქართულის ფორმითაა წარმოდგენილი. არ ჩანს მწკრივის ნიშანი: „აბა, წ ი მ ი ძ ე ხ წ ი ნ, მ ა ს პ ინ ძ ე ლ ი ხ არ!“; გ უ ჯ ე ქ („გ უ ჯ ე ქ წ ე ლ შ ი“); ვ ი ც ა ნ („ტანსამუსზე ვ ი ც ა ნ“); „რა ქ ე ნ, ჰ ა იყავ აქამდინ“.

### გვარის წარმოებისათვის

9. 19. -ავ და -ამ თემის ნიშნიანი ვნ. გვარის ზმნები არქაულ წარმოებას გვიჩვენებენ. ასეთ ზმნებთან არ ივრძნობა -ებ თემატური ნიშნის საჭიროება. ნაცვლად ახალი სალიტ. ქართულის ა სუფიქსისა აწმყოსა და მყოფადის მხ. რიცხვის მე-3 სუბ. პირის ნიშნად გამოყენებულია ს. გ ე ი მ ა რ თ ვ ი ს, გ ა მ ე ი დ რ ი ს, ე კ უ რ ც ხ ლ ი ს („თვალეები ეკურცხლის“), დ ე ი ლ უ მ პ ვ ი ს, გ ე ი პ ა რ ვ ი („ვენახოთ ერთი, ჰ ა გ ე ი პ ა რ ვ ი“).

<sup>1</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით: ლიტ. ძიებანა, ტ. 2, 1944, გვ. 129.

ზოგიერთი ზმნა, რომელიც ქართულში ვნებითის ფორმას დონით აწარმოებს, აქ ე-პრეფიქსს იყენებს. მაგ. ერწამალაჲ შინ ჩევენ, მ ო მ ე მ შ ი ა.

წარმოვადგინოთ აღნიშნული ზმნის (მომემშია) უღლების პარადიგმი:

შს. რიცხვი	მრ. რიცხვი
I, მომემშია	მოგვემშია
II მოგვემშია	მოგემშიენ (თქვენ)
III მიემშია	მიემშიენ (მათ)

აღსანიშნავია, რომ ეს ზმნა ვნებითის ძვ. ქართულშიც ე-თი აწარმოებდა (აღონდ პრევერბად შე იყო გამოყენებული): შ ე ე მ შ ი ა.

გ ი ე ქ ე ნ ე (←გეექენე←გაექენე 'გაქენდი'): ზულქიფლაგ, გ ი ე ქ ე ნ ე ქომო და ცხვრები ამორეკე! გ ე ვ ე გ რ ძ ე ლ ე ბ ი (..ტორმუზი მაქ რომ შენი მოწონებული, შესავეფ ქ'არ გ ე ვ ე გ რ ძ ე ლ ე ბ ი მაშინაჲს ქვეშ<sup>1</sup>); გ ი ე თ ხ ჟ ა (= 'გათხოვდა'), გ ე ვ ე თ ხ ო ვ ე, ე ხ ლ ა ('ახლდა'), გ ე ხ ლ ა, მ ე ხ ლ ა, შ ი ე შ ი ნ ა (||შეეშინდა).

სალიტ. ქართულსა და დიალექტებში „შეშინდა“ დონიანი ვნ. ფორმითაც (სუბ. წყობის) იხმარება და „შეეშინა“ ე-ნიანი (ობ. წყობის) ფორმითაც.

როგორც ა. შ ა ნ ი ძ ე აღნიშნავს, „გვხვდება ორმაგი წარმოების ფორმებიც, ე. ი. ფორმები, რომელთაც პრეფიქსიც აქვთ და სუფიქსიც, რაც კონტრამინაციით აიხსნება: შ ე ე შ ი ნ დ ა (ყახ. 137,7,231,6, კონტრამინაცია პერსონალური „შეეშინდა“ და იმპერსონალური „შეეშინა“)<sup>1</sup>).

აქარულში პრეფიქსული წარმოებაც გვხვდება („შეეშინა“) და ორმაგიც („შეეშინდა“): ამ ვაეს შ ე ე შ ი ნ დ ა და გეიქცა სახში (ნ ო ლ. III, 47).

ანალოგიური ვითარებაა გურულშიც. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ა ზ რით „მეგრულის“ უთუო გავლენას მიეწერება გურულში ხმარებული ვნებითი ქართული ჩვეულებრივი დ-იანი ტიპის ნაცვლად<sup>2</sup>.

პრეფიქსიანი წარმოებაა დამახასიათებელი რიგი საშ. გვარის შოდელის ზმნებისათვის, მაგ.: ე ბ ლ ა ყ უ ნ ე ბ ა (შდრ. გურ. ბლაცუნობს), ე ბ ა ქ ს უ ნ ე ბ ა, ე ბ ა დ ლ უ ნ ე ბ ა, ე ბ ზ ა კ უ ნ ე ბ ა, ე ჭ მ ა ყ უ ნ ე ბ ა, ვ ე პ ი რ ე ბ ი: ჭვარის წერას ვ ე პ ი რ ე ბ ი, ჩემთან უნდა დაგაბეროდ. კობ.)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, საფუძვლ. გვ. 311.

<sup>2</sup> ქანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, გვ. 114.

<sup>3</sup> ჩამოთვლილი ზმნების განმარტება იხ. ჩვენს დასახ. შრომაში.

3. ცალკეულ შემთხვევებში და სუფიქსი გვაქვს როგორც უნი-  
შნო, ასევე, ე-ნიან ვნებითში: დაქწონღება („შენ თუ დაქ-  
წონღება, მე არ წავალ წინამღეს“). უნიშნო ვნებითის ნაც-  
ლად, ჩვეულებრივ, დ-ონიანი წარმოება გვაქვს „გაქრა“ ზმნასთან,  
მაგ.: ჰა გაქარდა მაი გასაქარებელი; გაქარდი ამინუჩი და  
შატყობიე! ასევე საშ. გვარის ზმნები „მღვიძავს“ და „მძინავს“ შე-  
იძლება იწარმოოს დ-ონით უწყვეტლის მწკრივში: გუშინ თელი  
ღღე ძინავდა; თურმი ღვიძავდა და დაყურადებული იყო.

4. პროდუქტიულია საშ. გვარის მოდელის ისეთი ზმნები, რო-  
გორცაა: ჩოილობს, ყურობს (ვაჟა, მც., იქვე, გვ. 285).  
პოვნილობს, წყენულობს ('სწყინს') და სხვ.

5. „რბენა“, „წოლა“ და მისთ. მედიოპასიური ზმნები I-II პირ-  
ში ზოგჯერ ძველი ქართულისებურადაა გაფორმებული, ე. ი. სათა-  
ნადო მეშველი ზმნები (ვარ, ხარ) არ ახლავს: მირბი („ჰამირბი,  
ჰო, ამ სალამობირ“); წევ (= 'წევხარ'): თელი ღლია რომ წევ,  
შენ ნორმას მე შევასრულეფ თუ?!

6. ყურადღებას იქცევს საშ. გვარის ზოგიერთ ზმნათა კონვერ-  
სიული აქტიური ფორმები. ასევე, ზმნის პირიან და უპირო ფორმა-  
თა (საწყისი, მიმღ.) ურთიერთმიმართება გვარის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია შემდეგი მომენტები:

1. საშუალი გვარის ფორმა საფუძვლად უღევს, ერთი მხრივ,  
მოქმედებითს (ა-პრევერბიანი ფორმა), მეორე მხრივ დ-ონიან ვნე-  
ბითს.

მოქმედებითი  
აჩენს

საშუალი  
—ჩანს—

ვნებითი  
ჩნდება

2. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს საფუძვლად  
უღევს მიმლეობა.

საშუალი გვარი	მიმლეობა	გვარი	ზმნის მეორეული ფორმა
უღას	*უღემილი	მოქმედებითი ← ვნებითი	→ აუღუმლეს → [ღე]იღუმლება
ღგას	*ღგემილი	მოქმედებითი ← ვნებითი	→ აღგუმლეს → [ღე]იღგუმლება
ხტის	*ხტემილი	მოქმედებითი ← ვნებითი	→ ახტუმლეს → [გეღე]იხტუმლება

<sup>1</sup> შესაძლებელია, ეს ფორმა ნაწარმოები იყოს „ქარა“ ფუძისაგან.

საშუალო გვარი	მიმღეობა	გვარი	ზმნის მეორეული ფორმა
ცნობს	ცნობილი	მოქმედებითი	→ აცნობილებს → [ცი]ეცნობილება
		ენებითი	
	*ძრუმილი	მოქმედებითი	→ აძრუმლებს → [ცი]იძრუმლება
		ენებითი	
	*შპუნლი	მოქმედებითი	→ აშპუნლებს → [ცი]იშპუნლება
		ენებითი	
	*ხდემილი	მოქმედებითი	→ ახდემლებს → მიიხდემლება
		ენებითი	

3. საშუალო (ან მოქმედებითი) გვარის მარტივ ფორმებს მოეპოვება მიმღეობისაგან ან საწყისისაგან ნაწარმოები პარალელი.

მოქმედებითი, საშუალო გვარი	მიმღეობა, საწყისი	საშუალო გვარი
სცნობს სახოცს ძლებს ჩივის კივის წყინს, წყევს ჰკონია იღიმის	ცნობილი *თხუელი *ძლებული ჩივილი კივანი *წყენული გონილი [*მ]ლიმარე	ცნობილობს თხუელობს ძლებულობს ჩივლობს [დე]იკივანებს წყენულობს გონილობს [გე]ილიმანებს

ზოგჯერ მოქმედებითის ფორმა იწარმოება განყენებული სახელისაგან: ს ი ა ხ ლ ო ვ ე → \*მ ო ს ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ს.

ამრიგად, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისას აქარული უპირატესობას აძლევს მეორეულ ფორმებს, სახელდობ, მიმღეობებს იგი ზმნის ფუძედ თვლის და საერთო ქართულისათვის დამახასიათებელი მოდელის მიხედვით აწარმოებს ახალ ზმნებს.

**ზოგიერთი თავისებურება საწყისისა და  
მიმღებობის წარმოებაში**

9. 20. 1. აპარულში, ისე როგორც ქართული ენის ზოგ დიალექტში, -ოვ ბოლოკიდურთან საწყისის ფუძესა და მის მაწარმოებელ ა-ს შორის შეინიშნება ინფიქსი ნ: პოვნა, ძოვნა, თხოვნა, წოვნა და მისთ'.

2. საკმაოდ პროდუქტიულია საშ. გვარის მ-არე (დის. მ-ალე) მოდელის ისეთი მიმღებობები, რომლებიც რამდენადმე უჩვეულოა როგორც სალიტ. ქართულის, ისე დიალექტებისათვის, მაგ.: გამქარვალე ('გამქარვებელი', 'გამქრობი'); მომბრუნვალე ('მბრუნავი'): გამქარვალემ გეიქირვა, მომბრუნვალემ მოაბრუნა; მგორვალე ('მგორავი') დამძირვალე, გამფრინვალე ('ფრინველი', 'მფრინავი, ის რაც ფრენს'): იმფერი განიერი წყალია, რომ გამფრინვალე ჩიტიც ვერ გავა ზეთ (ნოღ. ა. დ.) (შდრ. საბამფრინველი, შარაშ. გამფრინვალე ჩიტი).

3. არაიშვიათია ვნ. გვარის მიმღებობათა უღ, -ილ საწარმოებლის მონაცვლეობა. წინააღმდეგ სალიტ. ქართულის ნორმებისა -უღ სუფიქსიანი მიმღებობები აქ ჩვეულებრივ -ილ სუფიქსითაა, მაგ. გაბუტვილი, გაბურდღვილი, გაწურვილი, დაღუმპვილი (შდრ. დაჭირული, ძველთესული).

4. მოქმ. გვარის მ-ელ, -ავ მაწარმოებელთა მაგივრად ზოგიერთ ფუძესთან ოდენ პრეფიქსები გვაქვს, მაგ. დამწერი, შეშნახი, მაძაგი: გვარი ის მაძაგი ('გვარის მძაგებელი'). აქ ჩამოთვლილი მიმღებობები შეიძლება მივიჩნიოთ მჩენის ტიპისად.

5. სა-ის აფიქსები გამოიყოფა „საკმარისი“-ს ტიპის ისეთ მიმღებობებში, როგორიცაა: საყოფისი ('საკმარისი'), საკმავისი ('საკმაო', 'საკმარისი'). და-პრეფერბით: დასასტავლისი და სხვ.

6. ცალკეული შემთხვევებიდან უნდა აღინიშნოს მიმღებობათაგან ისეთი ფორმები, როცა მა-არ-ის ნაცვლად მ-ელ გამოდის. თხუელი (←მ-თხოვ-ელ-ი 'მათხოვარი'): ყამობის დროზე ხალხი სულ თხუელად იყო ამდგარი. (მაგრამ: „სულ თხუარივით რაფერ გაქ გამოწვდილი ხელი“). -იარ-ე სუფიქსური წარმოებითაა მიღებული ქონიარე ('მქონებელი', 'შეძლებული') ყოფნიარ-

რე... ძვ. „მფრინველი“-ს ეკვივალენტურია გამფრინველი<sup>1</sup>; მიწას არ ეკარებოდა, ისთე მირბოდა, გამფრინველი ჩიტივით. მე-ურ აფიქსით ნაწარმოები ზოგიერთი სახელი ბოლოში ე-ს დაირთავს: მეთაჭრე („ჩვენი ჯეფერაჲ მეთაჭრე გამხდარა, შეიტყვევ!“); მემთიჭრე („თაში რომ საქონელს უვლის, იმას მემთიჭრეს ვეტყვით“); მეგზურე („კოლაუზს ზოგან მეგზურეს ეტყვიან“).

7. გავრცელებულია ორმაგი წარმოების უარყოფის მიმღებობები: უღუღებელი ('დაუღებელი'): ერთი სტუმარი მესტუმრა, მიღღემჩი უსტუმრებელი, ერთი შაჰმელი მივართვი, სუფრაზე უღუღებელი; უჩუწერელი, უღუსვენებელი („რას მაძლევ, ეს ჰვირთი უღუსვენებლაჲ ჩევტანო ხიდი თავზე“); უწუსლელი („უწუსლელი რაეარ იქნება, რას იტყვიან მეზობლები“); უღუსთღუსლელი („უღუსთღუსლაჲ არ ჩეიბარო, შაგაცდენენ“); უღუსლეველი („ზღვაც კი არაა უღუსლეველი“); უღუსძინებელი („უძმელი შვიდ დღეს გაძლებს კაცი, უღუსძინებელი კი სამ დღეს“).

აღნიშნული ფორმის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: უ<sub>2</sub> — უარყოფის მორფემა შეუერთდა ზმნისწინს და ზმნისწინის ფუნქციამ რამდენადმე შეასუსტა უარყოფა. შეიქმნა საჭიროება მისი გაძლიერებისა, მიმღებობა გააზრებულ იქნა ფუძედ, უარყოფის აფიქსი პრევერბის წინ მოხვდა: უღუსძინებელი, უღუღებელი..., რაც საერთოდ ენაში აფიქსთა განაწილების აშკარა დარღვევაა, მაგრამ აჭარულისათვის თითქმის ნორმაა.

### III თავი

#### სინტაქსური თავისებურებანი ბრუნვის ფორმათა ფუნქციები

10. 1 ხმოვანფუძიანი (უპირატესად ა- ხმოვნიანი) პრეპოზიციული მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, შეთანხმებულია საზღვრულთან სახელობით ბრუნვაში: ერბოყვითელაჲ ბალახი, ყურუთაჲ კაცი; მემთიჭრიეჲ ქალები.

<sup>1</sup> მსგავსი ფორმა დადასტურებულია იმერხეულშიც: სალამსა რომ შამო-გითვლი, გამომფრინვალი ჩიტითა (მარი, იმერხ. გვ. 49).



როგორც ჩანს, მსაზღვრელებად, ჩვეულებრივ, წარმოქმნილი ან თხზული სახელებია.

2. მოთხრობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში დასმულ საზღვრულ სახელებთან თანხმოვანფუძიანი პრეპოზიციული მსაზღვრელები ზოგჯერ ფუძის სახითაა; მაგ.: ჩემ აფხანაკებმა თუ დიმიფასეს; რაშინდა გამჭადგენ ნეტად მაგათ შვილებმა შობლევ; მამ კაცმა ერთ დიდ ნაძვის ქვეშ მდევდრა თურმეც; ამოიღო... ვორი ყური ერთ თავიანდევის (ნოდ. III, გვ. 4); სუფთათ თუ დაართე, ერთ კილო მატყლიდან სამი რწყვილი წინდა გამჭა.

3. რაოდენობითი რიცხვითი სახელით ან სიმრავლის აღმნიშვნელი ნაცვალსახელით გამონათულ მსაზღვრელებთან საზღვრული წევრი ხშირად მრავლობით რიცხვშია: უნცროსმა ძმამ ყველა ფეჰლევანებს მუგო თურმი; შვიდი ღუელის შვიდეხენწიფიებ მიაკითხა; თხუთმეტი ბიჭები დამდევეს („დროება“, № 73).

ანალოგიური შემთხვევები არაა უცხო ქართული ენის სხვა დიალექტებისათვის.

4. მართული მსაზღვრელის ბრუნვისეული თანხმოვნითი ელემენტი (-ს-ანი) აქ (განსაკუთრებით ზემოაქარულში) ჩვეულებრივ, მოკვეცილია. ზოგჯერ ნათ. ბრუნვის ნიშანი (-ს) იკარგება ბოლოხმოვნიან უკვეცელ სახელთანაც: ყურძნი [ს] ფაფა („ფელამუში“), ჯელილა [ს] ბალვი (მაგრამ: შდრ. ჯელილაის ბალვი).

5. მართულ ხმოვანფუძიან უკვეცელ მსაზღვრელს საზღვრულთან ზოგჯერ ბრუნვის ნიშანი (-ის) უცვლელად აქვს შენარჩუნებული: წყარო-ის წყალი, ასლანა-ის ბიჭი და სხვ.<sup>1</sup>

ყურადღებას იქცევს სინტაქსური დამოკიდებულების ისეთი შემთხვევა, როცა მსაზღვრელი საზღვრულთან მართულ-შეთანხმებული ფორმითაა წარმოდგენილი; მაგ.: დღე რატონ არ გამეიყვანე აჰმედასი ხარები ხიების სათრევში? ბოლოს ესენი შერიგდენ და გოგოსი შობლებიც დაჰპაიჯეს; ე ბალვი, მე მგონია, აქიფასი ბადიში უნდა იყოს.

კიდევ უფრო საინტერესოა ვისიმე (ან რისამე) გამომრიცხველობის შინაარსით მართულ-შეთანხმებული სახელის სინტაქსური ურთიერთობა ზმნა-შემასმენელთან. ასეთი სახელი ვითარებით ბრუნვაში დგას და კონტექსტში ვითარების გარემოებას ვადმოგვეცემს:

<sup>1</sup> ვრცლად იხ. ზემოთ („სახელთა ბრუნება“).

ამ ბალნეო ვინ გამოზდის უფატყუმესოდ?! ('ფატყუმეს  
['ქალის საკუთარი სახელი'] გარეშე)...

სინტაქსური ურთიერთობის ამგვარი სახეობა ჩვეულებრივ  
ზემოაქარული მეტყველებისთვისაა ნიშანდობლივი.

7. ცალკე მდგომი თანდებულები ან თანდებულად გამოყენებუ-  
ლი ზმნიზედები: აქეთ, ქვეშ, უკან, ზედან და მისთ. სახელს  
ხშირად მიც. ბრუნვაში მართავენ: ამას იქით ფეხი არ დაძრა!  
ქვა ქვეშ არი ჩემი ბედი, იქიდან სულ არ იძრება; სამთვეს  
უკან დეიბარა; საბძელს უკან ბოსტანი იყო გაშენებული;  
ჩხაკაჭრა მქავვე წყალს ზეიდანაა; ხულას ზეიდან  
ქედლებიო, ჩემი ჭიბნის დედნებო (ნოლ. II, 117).

8. დასავლური დიალექტების მსგავსად, გარდაუვალი ზმნა მე-2  
სერიაში ქვემდებარეს მართავს როგორც მოთხრობითში, ისე (უფ-  
რო იშვიათად) სახელობითში: შერიფ-ბეგმარუსეთს მიემ-  
ფხრო თურმინ; ფირალემამ წამოცვინდენ ზეზე (მაგ-  
რამ: თავედუმარე თუთუნი საშროფში ჩევდა)<sup>1</sup>.

გარდაუვალი ზმნის და ქვემდებარის ერგატიული კონსტრუქ-  
ცია, როგორც ამის შესახებ თავის დროზე შენიშნავდა არნ. ჩიქო-  
ბაძე, მეგრულის გავლენას უნდა მიეწეროს.

აქვე დავძენთ, რომ გარდაუვალ ზმნასთან მე-2 სერიაში ერ-  
გატიული კონსტრუქცია ჩვეულებრივ მაშინ გვაქვს, როდესაც ზმნა  
აქტიურ მოქმედებას გამოხატავს.

ქვემდებარე იშვიათად 1 სერიაშიც მოთხ. ბრუნვაშია, სულერ-  
თია, გარდამავალ ზმნასთანაა იგი თუ გარდაუვალთან, ოღონდ ქვემ-  
დებარე, ჩვეულებრივ, პირის ნაცვალსახელებით უნდა იყოს გამო-  
ხატული; მაგ.: მართო მან ეხმარება; თელი დღია გუწყველ-  
ლა მუშაოფს მან; მან ჰადარის აქამდი, გო!

როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქვემდებარე-შემასმენ-  
ლის ამგვარი კონსტრუქცია ქოროხის ხეობის სოფლების მეტყვე-

<sup>1</sup> მსგავსი ფაქტები, როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, ძირითადად და-  
სავლ. კილოებს ახასიათებს; ვ. თოფურიას აზრით, ეს მოვლენა მეგრულ  
ნიადაგზე უნდა იყოს განვითარებული („სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა  
ქართულში დიალექტების მიხედვით“, „ჩვენი მეცნიერება“, 1, 1923, გვ. 120).  
ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე იმ შემ-  
თხვევაში გვევლინება მოთხრობითში, როცა მას გარდამ. ზმნა მოსდევს (ქართ-  
ლური: არილი, გვ. 146). არნ. ჩიქობაძეა მთიულურში მოთხ. ბრუნვის ხმარე-  
ბის ისეთ შემთხვევებს აღასტურებს გარდაუვალ ზმნებთან, როდესაც შერთულს  
წინადადებაში ერთ სუბიექტთან ორი ზმნაა, მათგან ერთი გარდაუვალი, მეორე —  
გარდამავალი (იხ. მისი მთიულ. თავისებურებანი, გვ. 55).

ლებისთვისაა დამახასიათებელი, რასაც მკვლევარნი მიაწერენ ქანურის გავლენას<sup>1</sup>.

9. ზოგიერთ ზმნასთან პირდაპირი დამატება ნაცვლად მიც. ბრუნვისა, სახელობითშია, მაგ.: შენ რანდა მიხ დე ჩემი დერ-დო; შენი შვილები თუ არ ასტავლე, მაგათი ცოდვა შენ კისერზე; დჟ ძახე მაი ბაღვი<sup>2</sup>.

ასევე, ქანურისებური კონსტრუქცია შეენიშნეთ ისეთ მაგალითებში, სადაც დამატება (ნაცვალსახელით გამოხატული პირდაპირი დამატება) მე-2 სერიის ზმნა-შემასმენელთან მოთხ. ბრუნვაშია: ქალი სულ იწყველებოდა, ღმერთმა არ ჩამეიყვანა ყურბეთიდან მან (ის) სალაშეთით; წისქვილის გატეხვაც მას დააბრალებს მეგემ და მანაც (ე. ი. ისიც) პასუხისმგებაში მიცეს.

### ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება რიცხვში

10. 2. შემასმენლის ქვემდებარესთან რიცხვში შეთანხმებისას მტკიცე წესი. არაა დაცული. გვხვდება როგორც შეთანხმებული, ისე შეუთანხმებელი ფორმები:

1. სულიერი საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარესთან ზმნა-შემასმენელი ჩვეულებრივ შეთანხმებულია რიცხვში: ჯამუ შები შიერი დარჩენილან; ფირალები გაქცეულან. თუმცა ვხვდებით გამონაკლისებსაც, როცა ასეთ შემთხვევაში დარღვეულია შეთანხმება; მაგ. ძროხები შესულა ყანაში; მელენციებმა ობისკი დაარტყა.

2. შეთანხმებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა შემასმენელი სტატიკური ვნებითის ფორმითაა გადმოცემული; მაგ.: ამტოხან ჰაყრიან; შეედა მალარაში, რომ, რას ხედავს, სამნავე დიები თმებით კიდიან.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 201, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკ. ენებში, მე-2, თბ., 1961, გვ. 5; ანტ. კიზირია მარტივი წინადადების შედგენილობა ძვ. ქართულში, 1963, გვ. 113; მ. ცინცაძე, კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის პედინსტ. სტუდენტთა შრ. 1, 1954, გვ. 15-17.

<sup>2</sup> ასეთივე ვითარება იმერხელშიც: დუუძახა პასანფაშა ქელოლანი (მარი, ტექსტ. გვ. 61); შდრ. ქანურისებურ კონსტრუქციას: „ქანურში გარდაშვალ ზმნას სუბიექტი ყოველთვის მოთხრობითში აქვს, ობიექტი კი თუ ერთია — სახელობითში, როდესაც ორია ერთი სახელობითში იქნება, მეორე-მეორეში“ (არნ. ჩიქობავა, დასახ. შრ., გვ. 201).

3. ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმება უფრო სისტემატურ ხასიათს ატარებს, როცა ქვემდებარის განსაზღვრებად წარმოდგენილია მნიშვნელობით ერთზე მეტის აღმნიშვნელი და კრებითი სახელები: ყველა, ზოგი, ბარსამი (—ბარე სამი)<sup>1</sup> მთელი, ბევრი, ოჯახი, ცოლ-შვილი, დედ-მამა და სხვ. აგრეთვე რაოდენობითი რიცხვითი სახელები: თქვენს ბრიგადაში უმფო ბევრი ქალი არიან; გეიხე, გაღმა რამდენი კაცი მოდიან; გაზეთი ამბოფს, ინდუეთში წყალდიდობის დროს ორმოზდაათი კაცი დარჩობილან; ყველამ გაკვირდენ (ნოღ. III, 43); ხალხს გუუხარდენ და დაფაცურდენ წყლის წასაღებად (ნოღ. III, 101); უამობის<sup>2</sup> დროს ხალხი ძივოდენ, ტიროდენ (მაგრამ: ხალხი ყველთვინ არ დიგით მოფს; ჭარმა კრუგი დაარტყა შამობარულ მტერს).

4. მიც. ბრუნვაში დასმული რეალური სუბიექტი ასევე ითანხმებს ზმნა-შემასმენელს რიცხვში, მაგრამ განსხვავებით სალიტ. ქართულისაგან ქვემდებარის რიცხვი გამოხატულია სუბიექტის მესამე პირის -ენ -ან სუფიქსებით, მაგ.: რომელ ქვეყანაფში მიკყავან მია ხალხი; რა გინდანან, რას მესევით ფუტკრებსავენ; მამ უსტიფფს გიეკეთებენ.

5. მრავლობითში დასმული სახელი (ქვემდებარე) ვნებითი გვარის ზმნას გარდა თ სუფიქსისა, ზემოაქარულში ძველი ქართულისებურად -ენ (||ნ) მორფემით ითანხმებს: დროზე მივეშველენით თუარა..., პირველში მე და ზაბითაჲ ჩევეწერენით კოლექტივში; აბა, თუ ზოჟლი ბიჭი ხარ, ახლა მე და შენ დევეჭედნეთ ერთმანებს; ცოტა ხანს უკან გევემზადენით წასასლელათ; მათაც კაი არ დამართნეს, ბაწრით ჩაიყვანეს გემში („დრ.“, № 73)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ბარსამ-ს (—ბარე სამი) აღარ აქვს „სამი“ რიცხვითი სახელის გავება, როგორც ეს გერულშია; მაგ., ბარე ორი, ბარე ხუთი, ბარე სამი და ა. შ. ეს სიტყვა აქ მხოლოდ ამ ფორმით იხმარება და ნიშნავს ბევრს, მრავალს, საკმაოს; ბარსამი-ს პარალელურად ზემოაქარულში იმავე მნიშვნელობით გვხვდება ბარდოლი (შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, გვ. 16).

<sup>2</sup> ძველ ქართულში -ინ, -ენ-იანი ვნებითის მე-2 სერიის მრ. რიცხვის ფორმები ყოველთვის ნ-ს ჩაირთავს (ა. შანიძე, ქართული ენა, საშ. სკოლის სახელმძღვანელო, 1947, გვ. 95).

10. 3. 1. მაგრამ მაპირისპირებელი კავშირის ნაცვლად გავრცელებულია მარა, ჰამა (ზ.-აჰ. და ქ.-აჰ.)<sup>1</sup>, თექ (ზ.-აჰ.), ანჯახ (ზ.-აჰ. ქ.-აჰ.). ოლონდ — ის მნიშვნელობით ხოლოთ<sup>2</sup>, ოლონ (||ოლომ): დასთანხმდა გოგომ, ხოლოთ მამამისიდან უნდა გამიეტანა პირობა (ნოლ. III, 24); მე ჩემ გზას დავადგები, ოლონ კიდევ ალარ მომაკითხო; თექ ('ოლონდ'): შენ თექ დიეთანხმე და, სამასამით წამოაკყვება; წავალ ჰამა მემრენ ალარ გიდიმიბრუნდე.

2. მარა კავშირი დამახასიათებელია დასავლ. დიალექტებისათვის. პირობით-შედგებობითი კავშირებიდან დადასტურებულია თჟარა // თვარა ('თორემ'), თჟარ // თვარ ('თუ არ'): გეიქე ამინუჩი, თჟარა ყურეფ შაგაფრეწ! დემენიზლავე, თჟარ გამეიდრის სალამოპირ!.

ალსანიშნავია, რომ თვარა (თორემ)-ს შემცველ წინადადებას, როგორც ეს სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, ახასიათებს ერთი თავისებურება: „როდესაც პირობით-შედგებობითი წინადადება დამუქრებას გამოხატავს, შესაძლოა წინადადება მთლიანად შეიკვეცოს და კავშირს დაეკისროს რიტმო-მელოდიის საფუძველზე ლოგიკურად ნაგულისხმევი წინადადების გადმოცემა“<sup>3</sup>: ნუ მიჯლიკინეფ თჟარა...

მაშ, ასეთი კონსტრუქციის წინადადებაში, სადაც დამოკიდებული წინადადება შეიძლება ჩავარდნილი იყოს, ეს გარემოება ხელს არ უშლის მის შინაარსობლივ მხარეს.

3. მაქვემდებარებელი კავშირი რომ აქ წარმოდგენილია რომე, რომენ, რუმე, რუმ; სხვა სიტყვასთან შერწყმით: ომ, უმ-ის სახით: უთხრა გოგოს, რომენ თქვენთვის იმდონზე კაა მინდა (ნოლ. ა. დ. 39); უნდოდა, რუმე ამ სოფლის ხალხი გაცლილიყა (ნოლ. ა. დ. 32); მიერეჯელაჟომ დაბრუნდები...; შუქიტინა, რუმენ, რას ხედავს აი დასამსები თვალები!

ანალოგიური ფორმები დადასტურებულია გურულში, იმერულში, ინგილოურში, იმერხეულში და სხვ.

<sup>1</sup> ჰამა ინგილოურში ამჟამს სახითაა გავრცელებული (გრ. იმნაიშვილი, ქართ. ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1966, გვ. 167).

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, ქართ. დიალექტ. ძიებანი, გვ. 70.

<sup>3</sup> შ. ძიძიგური, ძიებანი... გვ. 105.

4. მიმართებითი ნაცვალსახელისა და მიმართებითი ზმნიზედის ფორმით გამოხატულ მაქვემდებარებელ სიტყვებს რომელიც, სადაც ენაცვლება რომელიცხა, ჰაცხან: პირველათ სამი კაცი გამოჩინდა მეიდანზე, რომელიცხასომ ეშინოდა, ის დანაბოლოს გამოვდა; თქვენ ორში, რომელიცხაა უნცროსია, იმან მეიტანოს! ჰაცხან შენ წახვალ, მეც იქ წამუალ.

5. გურულ-ქვემოიმერულის მსგავსად დადასტურებულია ვინცხა<sup>1</sup>, ოლონდ წინააღმდეგ აღნიშნული კილო-თქმებისა, ზემოაქარულს ვინძლა//ვინძალა ფორმებიც გააჩნია: ვინძალა მუასტროფს, იმისა იყოს!

ასევე, რომცხა, როცხა (უპირატესად პირველი ფორმა): მაშვინ მივხდი ყველამფერ, რომცხა რომ მაგის ხელში ჩავარდა ჩემი საქმე.

6. ლიტ. იქ, აქ, იმ ადგილას, გურ. იქინე, მაქანუ ლოკალობის კორელატ სიტყვებად გვევლინება იგზე, აგზე და მისთ.: მაგზე თუარ დეგტია, ზოგი აგზე გაღმუალაგე!<sup>2</sup>.

7. მიმართებითი ზმნიზედის ფორმით გამოხატულ მაქვემდებარებელ კავშირს „როგორც“, „როგორც კი“ სცვლის რავარც, რავარც რომ, ხოლო მათთან მოსალოდნელ საკორელაციო სიტყვის ნაცვლად გვხვდება მაშინათვე, მაშინათველა: რავარც რომ [მ]ზე იწვერნიდა, სამნივეა შესილაპული ფეხზე იყვნენ დამდგარი; რავარც იმ სამათვა დევმა იძრა ადგილიდან, მაშინათველა იძრო ყილიგი მამ კაცმა.

„რადგანაც“ კავშირს აქ, ჩვეულებრივ, სცვლის რალამც და თურქ. წარმოშობის სიტყვა ჰაჩან, მაგ.: ჰაჩან გოგოის შობლებიც თანაყმა არიან, ბარემ მუაწერეთ ხელი და, ჰადდე! რალამც შენეც ასთე ქსურს, მე რალა მეთქმის, ყაბულს ვარ.

8. მაქვემდ. კავშირს „სანამ“-ს ენაცვლება ჰიდამდი, ხოლო მთავარ წინადადებაში მოსალოდნელი საკორელატო სიტყვის „სანამ“ მაგიერ გვხვდება მარობამდი (მანობამდი): ჰიდამდი, ყურბეთიდან არ დავბრუნდები, მარობამდი ამციცას შენ უნდა მიმიხედო! ჰიდამდი არ ამუაჩინა ეს ურცხო კაცი, მარობამდი სახლისკენ პირი არ უქნია.

9. ვითარებით-შედგობითი კავშირების კორელატებად გამოიყენება: იმფრათ (იმფერ), ისთე, იმფერი, ამფერი, მაქ-

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, დასახ. შრ., გვ. 80.

<sup>2</sup> ვრცლად იხ. ზემოთ („ფონეტიკური მოკლენები. ასიმილაცია“).

ფერი, იმიტანაჲ, ამითანაჲ, მაგითანაჲ და სხვ. მაგ.: მაქტრათ რომ ეიზდებოდეს ბაღანა, ყველა გაზდის; იმიტანაჲ რა არი, ქვეყანასომ შვირდება (გამოცანა-სახელი).

10. ხშირად ორმაგი კავშირია გამოყენებული ისეთი კონსტრუქციის წინადადებაში, რომელშიც წევრ-კავშირად „რომელიც“ შედის: ჯერემ მიესალმა ვეზირმა, რომელიც რომ ყველაზე ახლოს იდგა ხენწიფესთან; იმ ოქროსთმიანმა ქალმა მარტო ის ბოვში აზარდა, რომელიც რომ თვალ-წარფში სულ მისი მინამგვანი იყო.

### ზოგიერთი თავისებური კონსტრუქციები

10. 4. 1. „რომელიც“ კავშირის შემცველ რთულ წინადადებაში ხშირად წევრ-კავშირს უშუალოდ მოსდევს მთავარი წინადადებაის მისამართი (resp. საზღვრული წევრი) სიტყვა, რომელიც განსაზღვრულია საკორელაციო ნაცვალსახელით; მაგ.: მოდით, აფხანაკებო, ამით გაუმარჯოს იმ ნეფე-დედოფალს, რომელ ნეფე-დედოფალსაც გულწყვედიან ახალი, ქართული ოჯახის შექმნა<sup>1</sup>.

2. გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენლთან მე-2 სერიაში მომავალი დროის მიმღობით. გამოხატული პირდაპირი ობიექტი ნაცვლად სახელობითი ზრუნვისა, ზოგჯერ ვითარებითის ფორმითაა: ხენწიფემ უბძანა ხელქვეითეფს, სასტრაფოთ ჯარის შესაგრუებლათ; დაგვაძალეს სამუშიერზე გასასლელათ.

3. ხშირად მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა ზმნა-შემასმენლებს შორის დარღვეულია შეთანხმება მწკრივთა თვალსაზრისით, მაგ.: ოდაში იმხელა ბული იდგა, რომ ნეშტოები ყურუმით გვექნებოდა სამსე.

დამოკიდებული წინადადებაის ზმნა-შემასმენლით „გვექნებოდა“ მოუბარს სურს ხაზი გაუსვას მოქმედების მრავალგზისობას (შდრ. იდგა).

<sup>1</sup> შ. ნიუარაძე, ქართული ენის ზემოქარული დიალექტი, გვ. 121.

10. 4ა. აზრის სიზუსტისათვის ან ყურადღების გასამახვილებლად კითხვით წინადადებაში ხშირად ადგილი აქვს წინადადების იმ წევრის განმეორებას, რომელსაც მთქმელი ხაზს უსვამს (resp. ლოგიკურ მახვილს უსვამს). განმეორებული სიტყვა ან ნაწილაკი კი პოზიციურად, ჩვეულებრივ, ბოლოშია; ამასთან ერთად განმეორებული სიტყვის უკანასკნელ მარცვალზე მოდის ტონური მახვილი, რომლის ხმოვნითი ნაწილის წარმოთქმისას მკვეთრად იგრძნობა დაყოვნების ხანგრძლიობა; მაგ.: ბათუმ[ს] მიდიხარ, ბათუმ[ს]? ალა[რ] მიდიხარ, აღა[რ]? მართლა დაქორწილდი, მართლან?

10. 4ბ. მახვილისა და ინტონაციის შესახებ, როგორც ცნობილია, ექსპერიმენტული მონაცემების გარეშე ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლებელია. მაგრამ ზოგადად მაინც შეიძლება აღინიშნოს ზემოაქარულ მეტყველებაში მახვილთან დაკავშირებული ერთი თავისებურება. კითხვით წინადადებაში, როგორც წესი, მახვილი უკანასკნელ მარცვალზე კი არ მოდის, არამედ იგი ბოლოდან მეორე მარცვალს ხვდება<sup>1</sup>; მაგალითად:

— უზეირავ, დღე[ს] ბათუმ[ს] ვერ წამოხვალ, ქო!<sup>2</sup>.

— ბაღნებო, თელი დღია რომ დიეთრევით ეზო-ქარ, საქმე აღარ გაქნენ?

— შენც მიყვები თუ?

### გარემოებათა გამოხატვა

10. 5. 1. ადგილისა და დროის გარემოება, რომელიც სალიტქართულში -ში თანდებულებიანი მიცემითითაა გამოხატული, აქ თანდებულის (ასევე, — ზოგჯერ ბრუნვის ნიშნის) გარეშე გვხვდება: ზაფხულობით საქონელ ვდენით ნათელათ[ს], გვალმინდორ, კუნჭულეთ; ვორსაათ ჩვეელ აქიდან ხულას<sup>3</sup>.

<sup>1</sup> აქ მარცვალთა რიგი იანგარიშება ორი სიტყვის ერთდროულად წარმოთქმის მიხედვით.

<sup>2</sup> შღრ. გ. ახვლედიანი, საფუძვლ., გვ. 131; არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. მე-3, 1942; ს. ელენტი, ქართ. სალიტ. ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები (ექსპერიმენტული გამოკვლევა). ივე, მე-5, გვ. 135.

<sup>3</sup> მსგავსი შემთხვევები არაა უცხო სხვა კილო-თქმებისათვისაც, კერძოდ, იმერხელისთვისაც: პასან-ფაშა იყო სილისტრას (მარი, იმერხ. ტექსტ. გვ. 66).



გვაქვს საპირისპირო შემთხვევა: ნაცვლად უთანდებულო მიცემითისა -ში, -ზე თანდებულებანი მიცემითი ასრულებს დროის გარემოების ფუნქციას: იმ დროში გული მუუვიდა აღას (ხ უ ბ. 36). ამ დროზე ჩიტმა მოვდა ენაზე (ნ ო ლ. II,84)<sup>1</sup>.

2. -იან სუფიქსით წარმოქმნილი ან თხზული სახელები ზოგჯერ დროის გარემოებას გადმოგვცემს ა-სუფიქსიანი ვით. ბრუნვის ნიშნის ჩავარდნით: მაგ.: დამიანა შუდგა ერთ ალიგზე მაგათ მოჭუჭკვას; დლიან-დამიანა მაგის ჯიბრში იყო შესული.

3. დროის გარემოება შეიძლება გადმოიცეს მართულ-შეთანხმებული ჩემ, შენ, -ობა სუფიქსიანი ნაცვალსახელებითაც: ჩემსობას, შენსობას: ჩემსობას ორბატყაჲ კაცი ვერ გამიბედევდა ენის შებრუნებას.

„ჩემსობას“ ფორმა მეორეულია. ივარაუდება, რომ ამ ფორმის მიღებამდე დროის გარემოება გადმოიცემოდა საზღვრითი შესიტყვებით, ვთქვათ ასე: ჩემი თავჯდომარეობის დროს; საზღვრული წევრის („დროს“) ჩავარდნის შემდეგ მივიღეთ -ობა სუფიქსიანი ნაგენტივარი მიცემითის (resp. მართულ-შეთანხმებული) ფორმა — „ჩემსობას“. ასეთივე გზითაა მიღებული „შენსობას“. ამგვარი ფორმები დამახასიათებელია ქობულეთური მეტყველებისათვის, რაც, უეჭველია, გურულის გავლენით უნდა იყოს მიღებული.

4. დროის აღმნიშვნელი სახელები დროის გარემოებას ხშირად სახელობითი ბრუნვის ფორმითაც გადმოგვცემენ: რაც იმ ქვეყანაში ჭედლები იყენენ, ერთი დღე ყველას დუძახა; რაცომ ხეცები იყვენ ულუმეშა ('უსიერ') ტყეში, ერთი დამე სულ გეიჟლიტა მეგემ.

5. დროის გარემოებას გამოხატავს აგრეთვე -ობა-თი წარმოქმნილი სახელი „დრო“, რომელსაც მართავს „ხან“ ('დრო') საზღვრული. ამ ორი სიტყვის (მსაზღვრელ-საზღვრულის) შერწყმის შედეგად მიღებულია დრობი [ს] ხან [ს], რომელსაც თავის მხრივ ახლავს ჩვენებითი ნაცვალსახელით გამოხატული აჰ, იჰ, მაგ, მსაზღვრელები: ასე მიიღება დროის ზმნიზედები: ამ დრობი-ხან [ს], იმ დრობი-ხან, მაგ დრობი-ხან: ამ დრობი-ხან-ველარ მეითბენს ის კოლაუზი და... გამაბაბიანებს მაგათ.

<sup>1</sup> ასეთი მაგალითები გვხვდება იმერხელშიც: ორმოც დღეზე დუდუნი მეთავეს (მარი, იქვე).

6. „ვალ“ ძირით ნაწარმოები მასდარები, რომლებიც ვით. ბრუნვაში იგულისხმებიან (მაგრამ ფონეტიკურ ნიადაგზე ბრ. ნიშანი დაკარგული აქვთ და **ა**-თი ბოლოვდებიან), აღნიშნავენ ისეთ მოქმედებას. რომელიც მეორე, სხვა მოქმედებასთან პარალელურადაა ნაგულისხმევი და მართულ-შეთანხმებული ფორმით გადმოცემულ დროის გარემოებას წარმოადგენს: **გ ა ვ ლ ი ს ა ს**, **ა ვ ლ ი ს ა ს**, **შ ე ვ ლ ი ს ა ს**; მაგ.: **გ ა ვ ლ ა ა** თან წეიმძღვანიე ეს ფოცხი! (შდრ. ძვ. ქართ. „გავლად“); **ა ვ ლ ა ა** ('ავლისას', 'ავლის დროს') ჩვენებთან შუქციე აუცილებლათ!

7. დროის გარემოებას გამოხატავს ასეთი ფორმებიც: **დ ა ნ ა ბ ო ლ ო ს** ('ბოლოს', 'უკანასკნელად'); **დ ა ნ ა ბ ო ლ ო ს ბ ი ჰ მ ა უ თ ხ რ ა** (წოდ. III, 122); **ა მ წ ა ხ ა ნ ე ბ ა ა** ('ამ ბოლო დროს', 'ამ უკანასკნელ ხანებში'); **მ ო ს ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ა ზ ე** ('მოახლოებისას'); **მ ო ს ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ა ზ ე კ უ ჯ ნ ე თ ლ ა მ ე შ ი**, ხორცმა მიგრადნო, რომ ჩემიანი იყო; **მ ა ს ხ ა ნ შ ი** ('ამასობაში'); **მ ა ს ხ ა ნ შ ი შ ა ჰ ზ ა დ ე მ ა ც მ ტ ა წ ი ა**.

8. ადგილის გარემოებას გადმოსცემს **-ზე** და **-ში** თანდებულდართული ზმნიზედები, რაც უჩვეულოა ქართ. ენის სხვა დიალექტებისათვის: **ა ქ შ ი**, **მ ა ქ შ ი**, **ი ქ შ ი**; **ა გ ზ ე**, **მ ა გ ზ ე**, **ი გ ზ ე**<sup>1</sup>.

**-ზე**, **-ში** თანდებულთა გავრცელების არე, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, აქარულში ფართოვდება: სახელთა გარდა ეს თანდებულები დაერთვის ზმნიზედებსაც და აწარმოებს ადგილის გარემოების ფორმებს, მაშინ, როცა უთანდებულო ფორმებიც ნათლად გამოხატავენ სათანადო შინაარსს<sup>2</sup>.

9. ადგილის გარემოების გადმოცემა შეუძლია ასეთ ფორმებსაც: **ზ ე ი თ ი ე ბ შ ი** ('ზემო სოფლებში, უბნებში', 'ზემოურთას'); **ზ ე დ ა უ რ ე ბ შ ი**, **ქ ვ ე დ ა უ რ ე ბ შ ი**, **ქ ვ ე ი თ ი ე ბ შ ი** ('ქვედა უბნებში, ქვემო სოფლებში', 'ქვემოურთას'), **ა მ ა თ ი ე ბ შ ი**, **მ ა გ ა თ ი ე ბ შ ი**, **ა მ მ ო ყ ო ლ ა ა**, **მ ა გ მ ო ყ ო ლ ა ა** ('მაგ გარემოში, შიდამოებში') და მისთ.

10. დასავლური კილოების მსგავსად **-ზე** თანდებულდართული „რა“ კითხვითი ნაცვალსახელი („რაზე“) ეკვივალენტია მიზეზის გარემოების კითხვისა („**რ ა ზ ე** უნდა ვაწყენილო, რა დიმიშავა“; „**რ ა ზ ე** ტიროდა მამა ბალანა, ნეტაა), ხოლო მიზნის გარემოების გამოსახატავად აქ ერთობ გავრცელებულია „გულობაა“-თვის თანდე-

<sup>1</sup> ამ ფორმების შესახებ იხ. ზემოთ „თანდებულები“.

<sup>2</sup> შდრ. იმერხ. გეუღა გაღმაზე (მარი, ტექსტ. გვ. 67).

ბულის ფუნქციით: რას ამბოფ, შენი კირიმე, შენ გულობაჲ  
ცეცხში შავალ!

11. ზოგი ზედსართავი სახელი (დიდი, მეტი...), რომელიც ვი-  
თარების გარემოებას სალიტ. ქართულში გამოხატავს ვით. ბრუნვის  
ფორმით, ქვემოაქარულში იმავე შინაარსს გადმოსცემს სახ. ბრუნ-  
ვის ფორმითაც: რაღა დიგიმალა და, დიდი მეწყინა შენი  
ძმისტულიდან; რაც მართალი, მართალი, ასე მალე დაბრუნება  
დიდი გამიკვირდა.

12. ყურადღებას იქცევს ადგილის გარემოების გადმოსაცემად  
შესიტყვების ისეთი კონსტრუქციები, როგორიცაა: სოფლი  
სოფელ, სირთი სირთ, მთისი მთა, ტყისი მტყე. ეს  
გამოთქმები ნიშნავს: სოფლიდან სოფელში, მთიდან  
მთამდე, ტყიდან ტყემდე, მაგ.: ფირალები ტყისი  
მტყე გადმოსულიყვენ.

სირთი სირთზე მივდიოდი,  
მივდენიდი ჩიტებსაო;  
გოგუები მეხვეწება  
ჩამახუტე ბიჭებსაო (ნოღ. III, 117).

ამ ფორმებს ძვ. ქართულში შეესატყვისება უამითი უ-  
მად, დლითი დღედ, ქალაქითი ქალაქად<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნულ მაგალითებში პირველი ორი სიტყვის ბოლოს  
ი იგივე უნდა იყოს, რაც ძვ. ქართულის -ითი სუფიქსის ბოლო-  
კიდური ხმოვანი<sup>2</sup>. აღნიშნული ხმოვანი ჩვენს მაგალითებში ხან ფუ-  
ძეს დაერთვის და კუმშავს პირველ მათგანს (სოფლი სოფელ, სირ-  
თი სირთ), ხან კი ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელს (მთისი  
მთა, მტყისი მტყე); გამოთქმის მეორე ნაწილი ფუძის სახითაა წარ-  
მოდგენილი. ძვ. ქართულში მიმართულებითი ბრუნვა გვაქვს<sup>3</sup>.

1 ა. შანაძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, წელიწადული, I-II, ტფ.,  
1923-1924 წ. გვ. 4-5.

2 ამ ითი-სთან დაკავშირებულია, — აღნიშნავს ი. იმნაიშვილი, განმეო-  
რებული მოქმედების გადმოცემა, სიხშირე, მრავლობითობა. ასე: დილითი-დილ-  
დილობით, ყოველ დილით, დლითი-ყოველ დღედ და ა. შ. ბოლოსდაბოლოს ასე-  
ვე დგას საკითხი ორდინალური წარმოებისასაც: ქალაქათი ქალაქად — ერთი  
ქალაქიდან მეორეში... („სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქარ-  
თულში“ გვ. 226).

3 შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაქარული დააღქტი. გვ. 124-125.

## ლექსიკა

11. 1. აჭარული დიალექტური ლექსიკის შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით დ. ბაქრაძეს, თ. სახოკიას, გ. ყაზბეგს, პ. უმიკაშვილს, ჯ. ნოდაიძეს, შ. ძიძიგურს, ი. მეგრელიძეს, ქ. ლომთათიძეს, დ. კობიძეს, სტ. მენტე-შაშვილს, პ. ჯაჯანიძეს, ალ. მსხალაძეს, ა. ახვლედიანს, ზ. თანდილავეას, მ. ცინცაძეს, ვ. შამილაძეს, ნ. კახიძეს, ჯ. ჩხეიძეს.

ლექსიკის თვალსაზრისით აჭარული, როგორც ამას ქვემოთაღ დავინახავთ, საკმაოდ საინტერესო მასალას გვაწვდის. ჩვენ გამოვყოფთ ძირითად ლექსიკურ პლასტებს, რომლებიც სათანადო ასახვას პოულობენ ჩვენს ნაშრომში: „ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა“. 1971. წიგნში განხილული გვაქვს შემდეგი საკითხები:

ა. ძველი ქართულის ლექსიკური ფენა (§ 67).

ბ. აჭარული ლექსიკის სპეციფიკური (საკუთრივ აჭარული) სალექსიკონო ერთეულები (§ 68).

გ. საბას „ქართული ლექსიკონი“ და აჭარული ლექსიკა (§ 69).

დ. აჭარული ლექსიკა და „ვეფხისტყაოსანი“ (§ 70).

ე. ზანური ელემენტები აჭარულში. ზანიზმები ლექსიკაში (§ 91-92).

ვ. გეოგრაფიული სახელები. ზანური ელემენტები ტოპონიმიაში (§ 93-99).

ვინაიდან წინამდებარე ნაშრომის მოცულობა არ იძლევა საშუალებას დავუბრუნდეთ ზემოთჩამოთვლილ საკითხებს, თუნდაც მოკლედ დასკვნითი დებულებების სახით (საჭირო კია მონოგრაფიაში, დიალექტის ლექსიკის მიმოხილვაში იყოს მსჯელობა ლექსიკის ძირითად პლასტებზე), ამიტომ იძულებულ ვართ, ამჯერად, შევეხოთ ქართულ (კერძოდ, აჭარულ) სინამდვილეში თურქული და თურქულის გზით შემოსულ ლექსიკურ ნასესხობათა სემანტიკას და ფონეტიკურ-გრამატიკულ ცვლილებებს.

შე ს ა ვ ა ლ ი. 11. 2. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ არც ისე შორეულ წარსულში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში თურქული ენის ოფიციალურმა ჰეგემონიამ ქართული ენის აპარულ კილოს, აპარულთა მეტყველებასაც საკმაოდ მძლავრი დალი დაასვა. ეს გავლენა განსაკუთრებით მკვეთრად წარმოჩნდა ლექსიკის სფეროში. აპარული დიალექტის ლექსიკურ ფონდში მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია აპარა აღარ განიცდის თურქეთის გავლენას, დღესდღეობითაც გამოიყოფა თურქული ენის ლექსიკის მთელი ფენა, რაც ჩანს ჩვენს ლექსიკონში მოყვანილი მასალითაც.

უცხოურ სიტყვათა (ჩვენს შემთხვევაში თურქიზმების)<sup>1</sup>, უცხოურ ენობრივ ელემენტთა სესხებისა და შეთვისების საკითხი ქართულსა და ქართულის აპარულ დიალექტში ნაკლებად არის შესწავლილი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნ. გურგენიძის ნაშრომს: „თურქული ენობრივი ელემენტების შესახებ აპარულსა და გურულ დიალექტებში“ (მაცნე, 4, 1967). თურქულ-არაბულ-სპარსული ენებიდან ქართულსა და მის დიალექტებში ნასესხობათა ცალკეული საკითხების შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული და გამოქვეყნებული ა. შანიძეს, გ. წერეთელს, ს. ჯიქიას, დ. კობიძეს, მზ. ანდრონიკაშვილს, ნ. ჭანაშიას, შ. გუდიაშვილს, მ. ბელთაძეს, ვ. ჭანგიძეს და სხვ., რომელთაც საჭირო შემთხვევაში გზადაგზა შევეხებით.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, XI-XII საუკუნეებიდან ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აღმოსავლური ენებიდან, მათ შორის არაბულიდან, ნასესხები სიტყვები და გამოთქმები. „ამ დროს არაბული სიტყვები უკვე ფართოდ იწყებენ სხვა გზით, სპარსული და თურქული გზით ქართულში შემოსვლას“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> თურქიზმებში ვგულისხმობთ წმინდა თურქულის გარდა ამ უკანასკნელის გზით შემოსულ არაბულ-სპარსულ სიტყვებსა და სხვა ენობრივ ელემენტებს.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის შესწავლის ისტორიისათვის: თსუ სამეცნ. სესიათა მოხსენებებს კრებული, თბ., 1947 გვ. 38.

აღმოსავლური ენებიდან სიტყვათა სესხების ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და საშუალო ქართული სალიტერატურო ენის უკანასკნელ პერიოდში მან განსაკუთრებული სიძლიერით მოიკიდა ფეხი. „სპარსული და თურქული ენებიდან მომდინარე სიტყვებით და გამოთქმებით ივსებოდა ქართული ლექსიკონი. ზშირად ისეთი სიტყვებიც იწერებოდა, რომელთა ეკვივალენტი ჩვენს ენას კარგა ხანია ჰქონდა. ეს გარემოება შესაბამის ქართულ სიტყვებს გაქრობასა და სამუდამო დავიწყებას უქადდა, ქართულ სალიტერატურო ენას რომ არ ჰქონოდა დიდი ტრადიცია და შინაგანი წინააღმდეგობა არ გაეწია ისეთი უცხოური ელემენტებისათვის, რომლებიც ანაგვიანებდნენ ენას და რომელთა დანერგვას ქართული ენის მდიდარი ლექსიკონი არ მოითხოვდა!.

ასე რომ, ტენდენცია უცხოურ სიტყვათა სესხებისა აჭარულს ქართული ენისაგან მემკვიდრეობით გადმოეცა. როგორც პროფ. შ. ძიძიგური სამართლიანად აღნიშნავს, „სიტყვათა სესხება, მიუხედავად არააუცილებლობისა, ხდება უცხოური ენის ინტენსიური დაწოლის პირობებში. სახელდობრ, ეს ის პირობებია, როდესაც ერთი ენობრივი კოლექტივი ძლიერ გავლენას ახდენს მეორეზე პოლიტიკური ან კულტურული უპირატესობა-ზემოქმედების წყალობით“<sup>2</sup>.

ამგვარად, უცხოურ სიტყვათა სესხების საკითხს როდესაც ვიხილავთ, წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მსესხებელი ენობრივი კოლექტივი — ქართულის აჭარული დიალექტი — ძირითადად ძალდატანებით სესხულობს პოლიტიკური უპირატესობის მქონე თურქული ენობრივი კოლექტივისაგან უცხოურ სიტყვებსა და გამოთქმებს, ასევე უცხო ენის სტრუქტურულ მოდელებს.

აჭარულში თურქულის გზით შესული ლექსიკურ-გრამატიკული ელემენტების განხილვა ენათმეცნიერების მრავალ საკითხთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილი ის ლინგვისტური ფაქტორები, რომლის შედეგადაც უცხოური სიტყვები მსესხებელი ენის ლექსიკაში „იჭრება“ და შეუთვისდება მას. სრულყოფილად არაა გამოვლენილი ის მიზეზები, თუ რატომ ინარჩუნებს ნასესხები სიტყვები მიუხედავად ენობრივი

1 შ. ძიძიგური, მწერლის ენა, გვ. 169; შდრ. ვ. თოფურია, სულხან-საბა ორბელიანის ქართ. ლექსიკონის მნიშვნელობისათვის, „კომ. აღზრდიანთის“ № 10, 1959, გვ. 65.

2 შ. ძიძიგური, ქართული სამწერლო ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ისტორიიდან: მწერლის ენა, თბ., 1957, გვ. 170.

„აკლიმატიზაციისა“ უცხოურ ელფერს, რაში მდგომარეობს ნასესხებ სიტყვათა დისტრიბუციის თავისებურება, როგორია მათი ვალენტობა და სხვ.

სესხების პროცესის კანონზომიერებათა შესწავლის მიზნით თურქული ენიდან აჭარულში ნასესხებ ენობრივ ელემენტებზე დაკვირვება ჩავატარეთ ორი მიმართულებით: ნასესხები სიტყვები განვიხილეთ სემანტიკური თვალსაზრისით და დავახასიათეთ ნასესხობათა ზოგიერთი ფონეტიკური და გრამატიკული თავისებურებანი.

ნასესხებ სიტყვათა სემანტიკური რაობის დასადგენად დაკვირვება ჩავატარეთ შემდეგი ლინგვისტური ნიშნების საფუძველზე:

1. ნასესხები სიტყვების სემური შემადგენლობა;
2. ნასესხებ სიტყვათა შეერთების უნარი სხვა სიტყვებთან (ვალენტობა).
3. მათი დისტრიბუციის ხასიათი და
4. ნასესხებ სიტყვათა გავრცელების არე.

### ნასესხებ სიტყვათა სემანტიკური სტრუქტურა

11. 3. ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, სიტყვა რთული აგებულებისაა. მასში (პოლისემანტურ სიტყვაში) თავს იყრის რამდენიმე სემა, რომელთა გამოვლენა ხდება საკვლევი სიტყვის დისტრიბუციულ მოდელებში. თუ საანალიზო სიტყვა პოლისემანტურია, მის მნიშვნელობას საფუძველად უდევს ერთი რომელიმე მადომინირებელი სემა, რომელიც განსაზღვრავს სიტყვის ძირითად მნიშვნელობას.

დაკვირვების შედეგად, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ თურქული ენიდან სესხების დროს პოლისემანტური სიტყვის ყველა მნიშვნელობა არ გადადის მსესხებელი ენის კოლექტივში — ქართულის აჭარულ დიალექტში. ეს ფაქტი, ცხადია, იმაზე მიუთითებს, რომ მსესხებელ ენაში მცირდება ნასესხები სიტყვისათვის დამახასიათებელ სემათა რაოდენობა. და რომ ამით იძენს ნასესხები სიტყვა მსესხებელ ენობრივ კოლექტივში ნიშნადობას; თავისებურად გილს იჭერს ამ ენის სათანადო სინონიმურ სიტყვათა რიგში. ჩვენ შევეცადეთ, პირველ რიგში, გამოვვეკვლია ქართულის აჭარულ დიალექტში თურქულიდან ნასესხები სიტყვების სემანტიკური რაობა. საილუსტრაციო მასალა ძირითადად ჩვენი ლექსიკონიდან მოგვეყავს.

## თურქულის გზით ნასენახები ლექსიკური ელემენტები

### 11. 4. თურქული წარმოშობის სიტყვები

**აბლაა** (←თ. abla). თურქულ ენაში ნიშნავს: 1. 'უფროსი და'; 2. 'ცოლი'; 3. 'ბიცოლა'; იხმარება ასაკით უფროსი ქალისადმი მიმართვის დროსაც<sup>1</sup>. დასახელებულ მნიშვნელობათაგან აქარულში ეს სიტყვა გადმოდის მესამე მნიშვნელობით ('ბიცოლა'). აქარულში მისი („აბლა“) გავრცელების სფერო ვიწროა. ოღონდ თავაზიანობისა და მორიდებულობის ელფერისათვის „აბლა“ სიტყვა აბლა-ხანუმის (←თ. abla + hanım 'ქალბატონი', 'ბანოვანი', 'მანდილოსანი') ფორმითაც გვხვდება. ასე რომ, საანალიზო სიტყვას უჩნდება ახალი შინაარსობლივი ნიუანსი, იჩენს კონოტატურ მნიშვნელობას იმავე თურქული ენიდან ნასესხებ სიტყვებთან (ხანუმ—hanım) შერწყმით და ქმნის კომპოზიტს მეორე უცხოურ სიტყვასთან შეერთების საფუძველზე: „ექს წელწათ აეთიმებს ('ობლებს') აბლა-ხანუმის გვიყურებდა“; „ჩემი აბლაა ნენეში არ გაუმერჩევა“. ქართულ სინონიმურ რიგში „აბლა“-ს ეკვივალენტია „ბიცოლა“, რომელიც უფრო ქობულეთურსა და ქვემოაჭარის ზოგიერთ სოფლებშია გავრცელებული.

**ბაირამი** (←bayram). თურქულ ენაში ორი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას: 1. დღესასწაული; 2. ზეიმი. აქარულ დიალ. ლექსიკაში საკვლევი სიტყვის სემანტიკა დავიწროვდა. იგი ნიშნავს: მუს. რელიგიური დღესასწაული რევოლუციამდელ აჭარაში. მორწმუნენი წელიწადში ორჯერ დღესასწაულობენ ბაირამს: ერთს რემეზნის (ნ.) ბოლოს, მეორეს — რემეზნის ბაირამიდან 70 დღის გასვლის შემდეგ (მთვარის წლის მიხედვით) რომელსაც ყურბან-ბაირამი ('მსხვერპლის შეწირვის ბაირამი') ჰქვია.

„ქართველი მოსისხლეს,

ვით აცლის ბაირამს“ (ლ. გელ.);

„ოდესღაც ცხვარის სანაცვლოდ

შვილს ჰკლავდნენ ყურბან-ბაირამს“ (მ. ვარშ.).

ასე რომ, ამ სიტყვის გავრცელების სფერო ერთგვარად შეზღუდულია აქ და ნიშნავს არა ყოველგვარ დღესასწაულს, ზეიმს, არამედ, მუსლიმანურ-რელიგიური საზეიმო ელფერით მოცემულ

<sup>1</sup> ნ. გურგენიძე. თურქული ენობრივი ელემენტების შესახებ აქარულსა და გურულ დიალექტებში. მაცნე, მე-4, 1967, გვ. 299.



სიტყვას ახალი შინაარსობლივი ნიუანსი უჩნდება და ნასესხებ უცხოურ სიტყვებთან — რ ე მ ე ზ ა ნ თ ა ნ (←თ. remezan←არაბ. رمضان [რამადან] 'მეცხრე თვე მთვარის წლისა') და ყ უ რ ბ ა ნ ←kurban(←არაბ. قرآن [ყურბან] 'მსხვერპლი')-თან შეერთების საფუძველზე ქმნის დეტერმინანტულ კომპოზიტებს: რ ე მ ე ზ ა ნ - ბ ა ი რ ა მ ი, ყ უ რ ბ ა ნ - ბ ა ი რ ა მ ი. ამგვარად, საანალიზო სიტყვა სხვა სიტყვებთან შეერთების შედეგად ტერმინოლოგიური სინონიმის ნომინაციას გამოხატავს (დომინანტური სემა). საკვლევი სიტყვის სინონიმური შესატყვისი აპარულ კილოში არა გვაქვს, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ამ სიტყვამ მსესხებელ ენაში „მოქალაქეობრიობა“ მოიპოვა აპარაში მუსლიმური რელიგიის დამკვიდრების შედეგად. სწორედ ამის გამოა, რომ სიტყვა „ბაირამს“ აპარულ დიალექტში ერთგვარად „უცხოურის“ კონოტატური მნიშვნელობა ახლავს.

ბუჯალი-ი // ბუჯახ-ი // ბოჯაყ-ი (←თ. bucak). თურქულ ენაში ერთადერთი მნიშვნელობით გვხვდება: კუთხე. აპარულში ამ სიტყვამ უფრო კონკრეტული, ვიწრო მნიშვნელობა მიიღო. ჩვენს ლექსიკონში საანალიზო სიტყვა ასეა ფიქსირებული: ბუჯალი-ი 1. ხის (მცენარე) ნაწილი, საიდანაც იწყება ტოტების განშტოება; 2. კუთხე (ეთქვათ, ოთახისა): „შაშუაგულო (ნ.) ბუჯალი ში გუკეთებია ჩიტს ბუდე“ (შდრ. მარი ქან. გრამ. ბუჯალი, ჟღ. ბოჯაყი). როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, საკვლევი სიტყვის თურქულისეული ძირითადი, შადომინირებული სემა აპარულში შეიცვალა კონკრეტული, დავიწროებული მნიშვნელობით. ნ. გურგენიძე ამ სიტყვის ლინგვისტური ანალიზის დროს იმოწმებს რა საკვლევი სიტყვის ს. ჟღენტისა და ჩვენეულ განმარტებებს, ამბობს: „აპარულსა და გურულ მეტყველებაში დამკვიდრებული სიტყვა ბუჯალი-ი // ბუჯახი, ბოჯაყი ეკვივალენტურია თურქული bucak (Mar.) بوجاق (Будж.) ძვ. თურქ. buǰag (M. K. 41) სიტყვისა, რომელიც ნიშნავს კუთხეს. შ. ნიქარაძისა და ს. ჟღენტის მიერ მითითებული მნიშვნელობაც დაკავშირებული უნდა იყოს საერთოდ კუთხის გაგებასთან (=ტოტების განშტოების კუთხისებური ადგილი). ლაზურში გვაქვს 'ბუჯალი'=კუთხე (ნ. მარი, გრამ. 133)<sup>1</sup>.

დილიმ-ი (←თ. dilim) თურქულ ენაში ეს სიტყვა ნიშნავს: 'ნაჭერი', 'ნატეხი'. ასეთივე მნიშვნელობა შეინარჩუნა ამ სიტყვამ

<sup>1</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. შრ., გვ. 301.

აქარულში, ოღონდ სემანტიკური დავიწროების ნიადაგზე ახალი კონოტატური ნიშანი შეიძინა და ტერმინოლოგიური სიზუსტის ნომინაცია გამოხატა. აქარულ ლექსიკონში საკვლევი სიტყვა ასეა განმარტებული: დილიმ-ი (—თ. dilim) — კანგაცლილი მანდარინის (ან ფორთოხლის) გულის ერთი მრავალთაგან დანაყოფთაგანი, ნაჭერი (შდრ. ძიძიგ. ქრესტ. დადილიმება). ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით დადასტურებულია ქართული ენის ისეთ დიალექტებში (მესხურ-ჯავახურში), რომლებმაც აქარულის მსგავსად განიცადეს თურქული ენის გავლენა, ოღონდ არა ცალკე სიტყვის სახით, არამედ ზმნის პირიანი ფორმით. „ამოიღო ხმალი და სულ დაადილიმა ეს ვეშაპი ამ ბიჭმა“<sup>1</sup>.

დუგუნ-ი (—თ. düğün) თურქულ ენაში ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა: 'ქორწილი', 'საქორწილო ზეიმი', 'ლხინი'. ხოლო გადატანიით მნიშვნელობით იგი ნიშნავს: 'ლხინი', 'ზეიმი' — ბავშვის დაბადებასთან და წინადაცვეთასთან დაკავშირებით. აქარულში, ასევე საკვლევი სიტყვის („ქორწილი“) ძირითადი მნიშვნელობა არაბული წარმომავლობის სიტყვასთან **دُخَان** (ალ-სუნნათ) კომპოზიციით მიღებული თურქ.-არაბული ჰიბრიდული კომპოზიტი: sunnet-düğün 'წინადაცვეთასთან დაკავშირებული ქორწილი', 'ლხინი'. ეს კომპოზიტი რომ უშუალოდ თურქულის გზით დამკვიდრდა აქარულში, იქიდან ჩანს, რომ ასეთივე ფორმით იგი დადასტურებულია თურქულში<sup>2</sup>. აქარულ ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა განმარტებული: სუნნეთ-დუგუნ-ი — შუხ. წვეულება, ნადიმი, წინადაცვეთასთან დაკავშირებით:

„სად მღერაან, სად უკრავენ?  
ჩემს მეზობელს, გენაცვალე.

დიდი სუნნეთ-დუგუნ-ი აქვს“ (მ. ვარშ; ნ. მარო იმერხ.; შდრ. საბათ. წინადაცვეთა სუნნათ). აღნიშნული სიტყვის სხვა დიალექტთა ლექსიკასთან შეჭერებით დადასტურდა, რომ იგი გავრცელებული ყოფილა აგრეთვე მესხურსა და იმერხელში.

ელჩი-ი (—თ. elçi). თურქულ ენაში ამ სიტყვის ერთადერთი მნიშვნელობაა 'ელჩი' 'посол'; აქარულში მოცემული სიტყვის სემანტიკა შეიცვალა და ჩვენს ლექსიკონში ასე აისახა: ელჩი-ი (—თ. elçi) — 'შუამავალი', 'მაჰანკალი', 'მაშვალი'.

<sup>1</sup> შ. ძიძიგური მესხურ-ჯავახური ტექსტები: ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956, გვ. 224.

<sup>2</sup> Д. А. Магазаник. Турецко-русский словарь, Москва, 1945. გვ. 159.

„ელჩი ვარ, ეზოში გამიგე ხალიჩა,  
ელჩი ვარ ნაყურთხი ღეთისა და ზეცისა“ (ლ გელ).

აღსანიშნავია, რომ ამავე სიტყვისაგან ქართ. -ობა დერივა-ციული აფიქსით იწარმოება აბსტრაქტული სახელი: ელჩობა (ელჩობა — შუამავლობა, მაქანკლობა, მაშვლობა: „ელჩობა დიდი საქმეა, არა გავს კევის ღეჭვასა“ — ნ. ს ა ხ.; მ ა რ ი იმერხ.; ჟღ. ჭან. ტექსტ.). ირკვევა, რომ საანალიზო სიტყვა სესხების გზით დამკვიდრებულა იმერხეულსა და ლაზურშიც.

თალაშ-ი (←თ. dalaš). თურქულში ნიშნავს: 'ჩხუბი', 'შფოთი', 'კინკლაობა'. აჭარულში საკვლევი სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის დავიწროების, სემანტიკური გადაწვევის შედეგად მან ასეთი ცვლილება განიცადა: თალაშ-ი (←თ. dalaš) — 'შრომა', 'გარჯა', 'ჯაფა', 'მცდელობა', 'ჩალიჩობა'; 'შფოთი', 'მოუსვენრობა'.

„ახლანდა მოგიტანო,  
ნუ გაქ თალაში,  
ღამე ქარი ქრის,

დილას — კალაში „(ნოღ. II); „ამ დღიებში ყანის თალაშ-ში ვარ და შენთვინ ვეღარ მეცვლი“.

„ალი-ალამ შეუთვალა:

ნუ ჩადგები ჩემ თალაშში“ (აჭ. ხ. პოეზ.).

აღსანიშნავია, რომ მოცემული სიტყვისაგან მიღებულა ზმნის პირიანი ფორმა: თალაშობ-ს ('ჩალიჩობს', 'ვაინაჩრობს'), რაც იმისი მომასწავებელია, რომ ამ სიტყვის ვალენტობა მსესხებელ ენაში საკმაოდ ხელშესახებია.

კოლაუზ-ი (←თ. klauz). თურქულ ენაში ეს სიტყვა პოლისემიურია: 'გამძღოლი', 'გიდი'; 'გზის მაჩვენებელი'; 'ლოცმანი'; 'მაქანკალი'; 'ბურლი'; 'ქირურგი'; 'ნემსი'. აჭარულ ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა ფიქსირებული: კოლაუზ-ი (←klavuz (= „ჭაბუკი მოგზაურთა წინ მავალი, რათა მეკობრეთაგან უვნებლად გაატაროს“ (ს ა ბ ა); ე ტ ი კ ი — „გზის მცოდნე“ (ს ა ბ ა), 'გზის მაჩვენებელი'; 'მეგზური', 'გამძღოლი' (ნ. ჩ უ ბ., მ ა რ ი ჭან. გრამ. ს რ დ. კოლა-ლუზი). ამგვარად, დასახელებული მნიშვნელობებისაგან აჭარულში ეს სიტყვა ერთადერთი მნიშვნელობით ('მეგზური') დამკვიდრდა. ირკვევა აგრეთვე, რომ საკვლევი სიტყვა ძირითადი მნიშვნელობით საერთო ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში ადრე, აჭარულზე ადრე შესულა (ს ა ბ ა, ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რ ს დ).

სულულ-ი (←თ. soluk). თურქულ ენაში ეს სიტყვა ერთადერთი მნიშვნელობით იხმარება ('სუნთქვა'), ოღონდ სხვადასხვა ფრაზეოლოგიასა და შესიტყვებაში მონაწილეობით კონტექსტუალურად

ახალი შინაარსობლივი ნიუანსით აღიჭურვება. საკვლევი სიტყვა აჭარულში ცალკე ლექსიკურ ერთეულად არ დამკვიდრებულა, მაგრამ ქართული სიტყვათწარმოების პრინციპების დაცვით მონაწილეობს წარმოქმნილ სახელსა თუ კომპოზიტიში კომპონენტურ ელემენტად: ს უ ლ უ ხ ს ა რ ი ('სულწასული', 'მოუთმენელი', 'უნებისყოფა'), რომლის სინონიმურ შესატყვისად გვხვდება „ს უ ლ ც უ ხ ც უ ხ ი“. „ე რ ც უ ლ უ ლ ზ ე“ (—ერთ + თ. soluk 'სუნთქვა' + ზე = 'ერთი წუთით', 'ერთ წუთას': „ე რ ც უ ლ უ ლ ზ ე ჩვენთანაც შამუქციე, რა იქნება!“).

სურ-ი (—თ. sürü). თურქულ ენაში ეს სიტყვა ნიშნავს: 'ჯოგი', 'ფარა': 'ბრბო'; 'გროვა'. აჭარულში საკვლევი სიტყვა პირველი მნიშვნელობით გადმოდის: სურ-ი (თ. sürü) 'ჯოგი', 'ფარა'; ც ხ ვ რ ი ს ს უ რ ი 'ცხვრის ფარა' (შდრ. მ ა რ ი ჭ ა ნ. გ რ ა მ., მ ა ი ს: „ს უ რ ი შედის, ს უ რ ი გადის“). შედარება-შეპირისპირების მეთოდის გამოყენებით გამოირკვა, რომ საკვლევი სიტყვა გავრცელებულია იმ ენებსა და დიალექტებში (ქანურში, მესხურში, იმერხეულში), რომელნიც მსგავსად აჭარულისა, ხანგრძლივად მოქცეული იყვნენ თურქული ენის გავლენის სფეროში.

ფესტილ-ი (—თ. pestil) თურქულ ენაში ეს სიტყვა ერთადერთი მნიშვნელობით ('ხილის თათარა') იხმარება. აჭარულში ამ სიტყვის დისტრიბუცია უფრო ფართოა: ფესტილ-ი: 1. მოდულებული ყურძნის ტებილისა და ხორბლეულის წმინდა ფქვილისაგან გაკეთებული ფაფის გამომშრალი თხელი ფენა (ტყლაპივით); 2. ტყემლის ტყლაპი. ასევე, დადასტურებულია აჭარულ დიალექტ. ლექსიკაში თურქულიდან კალკირებული სიტყვა: გ ა ფ ე ს ტ ი ლ ე ბ ა (—თ. pestilini çıkarmak 'სიკვდილამდე ცემა', 'მიბეგვა' — 1. 'ფესტილის გაყვანა'; 2. ბაღ. 'ცემა', 'ცემით გაბრტყელება', 'მიბეგვა': „თუ დეგეწიე, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, რაფერ გ ა გ ა ფ ე ს ტ ი ლ ი, შენ ფიქო!“

ყანჯულ-ი (—თ. kancık). თურქულ ენაში ეს სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია: 'მოღალატე', 'მუხანათი'; 'დედალი', 'ჭაკი'. აჭარულში ამ სიტყვის სემანტიკა გადახრილია და მსუბუქი ირონიის, გაქირდვის ელფერით იგი ნიშნავს: 'უტიფარი', 'უსირცხვილო' (გოგო, გოგონა). საკვლევი სიტყვის ერთ-ერთი თურქული მნიშვნელობა ('დედალი', 'ჭაკი') ნასესხებ სიტყვაში ვლინდება მიმართვის ობიექტში: ყანჯულად სთვლიან, ჩვეულებრივ, ქალს, მიმართავენ გოგოს, გოგონას.

ჩაირ-ი (— თ. çayır). თურქულში ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს. იგი ნიშნავს: 1. 'მდელო', 'მინდორი'; 2. 'საძოვარი', 'სათიბი'. აქარულში ეს სიტყვა გადმოვიდა 'სათიბი'-ს, 'საძოვარი'-ს მნიშვნელობით. აქარული კილოს გავლენით იგი დამკვიდრდა გურულში, ოღონდ არა არსებითი სახელის სახით, არამედ სახელზმნის — საწყისის ფორმით — და ჩ ა ი რ ე ბ ა: 'საქონლის საბალახოდ შერევა ჩაირში, სათიბში' (ქლ.).

ჩენგე (— თ. çengē). თურქულში ეს სიტყვა ნიშნავს: 'ყბა', 'ნიკაპი'. აქარულში საკვლევი სიტყვა ძირითადად ინარჩუნებს თურქულ მნიშვნელობას: ჩანგე — 'ქვედა ყბა, — ჩანა'; „საწყალს დამბლად ასცემია, და ჩ ე ნ გ ე მონკრევია სულ“; „ჩემი ხელით უუკარ ჩ ე ნ გ ე“. საანალიზო სიტყვა სხვა სიტყვებთან შერწყმით ქმნის გადატანითი მნიშვნელობის მყარ ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და დეტერმინანტულ კომპოზიტებს: ჩ ე ნ გ ე შ ი ე კ რ ა — 'ჰამის მადა დაეკარგა'. „მაგ ბაღანას სულ შ ი ე კ რ ა ჩ ე ნ გ ე, ჰელბეთ რაცხა ავატყოფობა აქ შეპარებული“. ჩენგედამდგარი // ჩენგეშეკრული 1. 'უმაღო', 'სუსნა'; 2. 'ენადაბმული', 'ენაბორძიკა'.

ჰალილ-ი, ჰარლილ-ი (— თ. agil). თურქულ ენაში ეს სიტყვა შემდეგი მნიშვნელობის მატარებელია: 'ფარეხი', 'შემოკავებული ადგილი'. აქარულშიც ძირითადად ამ მნიშვნელობითაა ცნობილი. ჰალილ-ი // ჰარლილ-ი — საქონლის საზაფხულო სადგომი, ირგვლივ წნულის ან მესრის ღობით შემოზღუდული. იალაღობის პერიოდში პირუტყვის დასამწყვდევი ადგილი, — ფარეხი: „თიბილ ტაროსეფში საქონელ გარეთ ვაჩერეფთ, ჰ ა ლ ი ლ შ ი“; „ჰ ა ლ ი ლ ი თაში ვიციით კიდვენ“.

როგორც ნ. გურგენიძე აღნიშნავს, „აქარულ დიალექტში სიტყვა 'ჰალილი' თურქ. a ğil (Mag., Ağ.), მახმულ ქაშგარელთან a çyl<sup>1</sup>, ორხონის წარწერებში a çyl<sup>2</sup>, ჩალატაურის اعدآ (Bud.)='ფარეხი', 'შემოკავებული ადგილი', 'ეზო'. იგივე მნიშვნელობითაა და 'ჰალილი' ფორმით სიტყვა იხმარება ქართულის ჯავახურ დიალექტში“ (ქლ. 350)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> C. Brockelman, Mitteltürkischer Wortschatz Mahmud Kāşrag's Divān luġāt Al—Turk. ლაიპციგი, 1928 (დამოწმ. ნ. გურგ. მიერ, იხ. 2ისი დასახ. შრ., გვ. 306).

<sup>2</sup> С. Е. Малов, Памятники древнетюркской письменности, Москвитин-ленинград, 1951, გვ. 355.

<sup>3</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. შრ., გვ. 306.

## 11. 5. არაბული წარმოშობის სიტყვები

**არაფა** (← არაბ. **عَفَا** **ყარაფათ**). სალიტ. თურქულში ამ სიტყვამ ასეთი სახე მიიღო: „arafa“. საკვლევო სიტყვა არაბულში ნიშნავს: მთვარის წლის მე-12 თვის მეცხრე დღე, რასაც მლოცველები ატარებენ არაფას მთაზე. აჭარულში ამ სიტყვის სემანტიკა დავიწროვდა, კონკრეტული მნიშვნელობა მიიღო და ლექსიკონში ასე აისახა: **არაფა** — მუს. ბაირამის (ნ.) წინაღღე:

„**არაფა** ღამე დაღამდა,  
შეყავე ჭამეში თოფია“ (პ. უმიკ.).

ასე რომ სიტყვა **არაფა**-ს მსესხებელ ენაში — ახალ ენობრივ სისტემაში ახალი შინაარსობლივი ნიუანსი უჩნდება სადღესასწაულო საზეიმო ელფერით.

**არზუჰალ-ი** (← თ. arzuhal ← არაბ. **عرض حال** **ყარდ ჰალ**). როგორც თურქულ, ისე წყარო ენაში — არაბულში საკვლევ სიტყვას ერთი მნიშვნელობა აქვს: 'თხოვნა', 'განცხადება'. ამავე ცნებით დამკვიდრდა ეს სიტყვა თურქული ენის მეშვეობით აჭარულში: **არზუჰალ-ი//არზუღალ-ი** (ქობ.) 'არზა', 'პეტიცია', 'განცხადება': „კნიაზო, შენ ერთი **არზუღალი** უნდა დამიწერო!“ (ჭ. ლომთ.). **ჰანურში** ასეთივე მნიშვნელობით შევიდა საანალიზო სიტყვა, ოღონდ სიტყვის ფუძიდან არაბ. **ح (h)** ბგერის ამოვარდნით ასეთი სახე მიიღო: **არზუღალი** (ს. ელ. ჰან. ტექსტ.).

**აღლი** (← თ. akil/kdi ← არაბ. **عقل** **ყაკლ**). არაბულში საკვლევ სიტყვა ნიშნავს: 'პირობის დადება', 'ხელშეკრულება'; წყარო ენაში — არაბულში საკვლევ სიტყვა იმავე ენის **ع ا و ز** [ზავაჯ] 'ქორწილი' სიტყვასთან კომპოზიციით გვაძლევს კონკრეტული მნიშვნელობის შესიტყვებას 'საქორწინო ხელშეკრულება'-ს ცნებით. არაბულიდან თურქულში ეს გამოთქმა შევიდა ჰიბრიდული შესიტყვების სახით: „akil kesmek“ (სიტყვა-სიტყვით: „akit-ის გაჭრა, გაკვეთა“). აჭარულში საანალიზო სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა კალკირებით გადავიდა: **აღლის გაჭრა//აღლის გაკვეთა** მთხ. 'საქორწინო წერილობითი პირობის დადება, პირობის გაფორმება მაჰმადიანური წესით, შარიათის ცერემონიების დაცვით ქორწინება': „უწინ ჩვენში **აღლი** ხოჯა **გაჭრიდა**“; „ეთემ სულთანმა **ახეთი უყო**“ (ნ. მარი, იმერხ. ტექსტ.).

გეყურბანე (←თ. kurban←არაბ. قربان). ეს სიტყვა, რო-  
მელიც პირიანი ზმნის ფორმითაა აქარულში დადასტურებული, მი-  
ღებულია არაბ. წარმოშობის სიტყვა قرآن (კურბან)-ისაგან; რო-  
გორც ძირითად, წყარო ენაში — არაბულში, ისე პირველ მსესხებელ  
ენაში — თურქულში ეს სიტყვა ნიშნავს: 'მსხვერპლი', 'სამსხვერპლო  
ცხოველი'. ძირითადად ასეთივე მნიშვნელობით დამკვიდრდა ეს  
სიტყვა აქარულში: ყურბანი-ი მუს. 1. 'მსხვერპლი' (დ. ჩ უ ბ.), 'შე-  
საწირავი ცხოველი'.

„უფალო, რად მრისხავ ესოდენ,

რამდენჯერ მუდარით დაგიკალ ყურბანი“ (ლ. გელ);

„საკირეთში მართლაც იცოდნენ წინათ ყურბანის დაკვლა“  
(ფ. ხ ა ლ.). აქარულში ამ სიტყვის („ყურბანი“) გავრცელების სფე-  
რო ფართოვდება, იგი ქმნის კონოტატური მნიშვნელობის მქონე  
ზმნურ ფორმას „გეყურბანე“; ასევე გვაძლევს სხვა სიტყ-  
ვასთან (ბაირამ — თ. bayram — სპ. بایرام [ბაირამ]) თხზვის  
გზით ტერმინოლოგიური ნომინაციის შემცველ კომპოზიტს — ყურ-  
ბან-ბაირამი. აქარულშივე უჩნდება სიტყვა ყურბან-ს გა-  
დატანითი მნიშვნელობით დამატებითი სემა ვისიმე დამცირება-  
გაბიამბრუების ელფერით (= 'მონა', 'მონა-მორჩილი', 'ჯაბანი', 'ხა-  
მი', 'აბუჩი').

ყურბანი-დან მიღებულ ზმნურ ფორმას „გეყურბანე“  
(სიტყვა-სიტყვით: „მსხვერპლად დაგედე“) ახალ ენობრივ  
კოლექტივში — აქარულში უჩნდება ახალი შინაარსობლივი ნიუან-  
სი, არაბულ-თურქული ენებისათვის უცნობი, ახალი სემა: 'გენაცვა-  
ლე', 'გეთაყვა', 'შენი კირიმე', 'შენ შემოგველე'.

„ავდექი და თაშა წაველ,

თან წავიღე კალათი;

ჩემო ბიჭო, გეყურბანე,

არ გამოდგე დალატიო!“ (მოამბე, 1901, № 5):

„ყველას უღვაშებში გეყურბან-გენაცვალე ბით“ (ა.  
წ უ ლ.).

ღეიხარჯვი-ს (←არაბ. خرج -დან). საკვლევი სიტყვა, რომე-  
ლიც აქარულში პირიანი ზმნის ფორმით გვხვდება, მიღებულია  
არაბ. خرج [ხარჯ]-საგან. ხარჯ კი, როგორც წყარო ენაში, ისე  
მსესხებელ ენობრივ კოლექტივებში, თურქულსა (harç) და აქა-  
რულში ძირითად მნიშვნელობას ('გასავალი') უცვლელად წარმო-  
გვიდგენს. მაგრამ აქარულში საანალიზო სიტყვა ძირითადი მნიშვნე-

ლობის ('დაიხარჯება') გარდა გადატანითი მნიშვნელობით ახალი შინაარსობლივი ნიუანსით „აღიქურვება“. ევფემიზმის ელფერით ახალ განსაკუთრებულ სემას იძენს და აჭარულ ლექსიკაში ასეთი დამატებითი შინაარსით წარმოგვიდგება: 'მოკვდება', 'გარდაიცვლება'. ..ვაი, თუ ვინმე თქვენთაგანი თავის დღით დეიხარჯვის“ (ა. წუ ლ.);

„სამშობლოსათვის დაეიხარჯები,  
ერთი მკვდელი დიდ გამარჯვების“ (მ. ვარშ.).

(შდრ. ვაჟას მც. ლექსიკონში დაიხარჯება; ძვ. ქართ. „განვიდა აბა სოფლით“).

ზიარეთ-ი (←თ. ziyaret←არაბ. زيارت). არაბულში ამ სიტყვის زيارت [ზიარათ]-ის მნიშვნელობაა: 'მონახულება', 'მომლოცველობა წმინდა ადგილებისა'. თურქულში ეს სიტყვა უფრო ფართო მნიშვნელობით გადადის: 1. 'მონახულება', 'ვიზიტი'; 2. მუს. 'მონახულება', 'მომლოცველობა წმინდანის სათნომყოფელის საფლავისა'.

დაახლოებით ასეთი მნიშვნელობითაა შემოსული ეს სიტყვა აჭარულში: ზიარეთ-ი — წმინდა ადგილი, სადაც ყოველწლიურად მიდიოდნენ მორწმუნე მუსლიმანები და დღეობას იხდიდნენ, ლოცულობდნენ სხვადასხვა სენით შეპყრობილნი და უშვილოები ღმერთს ეკედრებოდნენ განკურნებას, შვილის გაჩენას. „ოსმან-ფეენდი გეგიძე, აღზრდილია ზიარეთში“ (ა. ზებ.); (შდრ. მარც იმერხ. „ზიარეთში წავალთ, იქ მუმს ავანთებთ“; მაიხ. ზიარათი).

თახშირ-ი (←თ. tal:şir ←არაბ. تعشیر) როგორც თურქულში, ისე წყარო ენაში, საკვლევ სიტყვას შემდეგი მნიშვნელობები უკავშირდება: 1. 'ათ ნაწილად გაყოფა'; 2. 'შეათედის (გადასახადის) აკრეფა'; 3. 'განყოფიერება'. არაბული წარმომავლობის სიტყვა تعشیر [თაქშირ] აჭარულში თურქულის გზით შემოვიდა თახშირ-ის ფორმით, რომელსაც დასახელებულ მნიშვნელობათაგან გადმოყვა მეორე მნიშვნელობა: თახშირ-ი აჭარაში თურქეთის ბატონობის დროინდელი გადასახადის ერთ-ერთი სახეობა, საკომლო გადასახადი — შემოსავლის ერთი მეათედის ოდენობით.

„მოგშორდებათ რუსუმატი,  
თახშირი და თუნდ აშარი“ (მ. ვარშ.);

„რაც ოსმალოს დროს თახშირი იყო, იმაზე მეტი არ გადახდება“ (თ. სახ.).



თესპე (—თ. *tespih*—არაბ. *تسبيح*) პირველ წყარო ენაში — არაბულში საკვლევი სიტყვა ასეთი მნიშვნელობებითაა ცნობილი: 1. 'კრიალოსანი — ზონარი 99 მძივითა — ალაჰის ეპიჟეტების კვალობაზე'; 2. 'ლოცვა, კრიალოსნის დამარცვლით'. თურქულში ეს სიტყვა გადავიდა *tespih*-ის ('კრიალოსანი') ფორმით. ასეთივე მნიშვნელობა გადაჰყვა აღნიშნულ სიტყვას თურქულიდან აჭარულში. თესპე — კრიალოსანი — ზონარზე ასხმული 33 ან 99 მძივისაგან (ქარვის, გიშრისა და მისთ.) შედგება.

„და დაემხო დედა ფოსტზე,  
ლოცულობს და ჰკოცნის თესპეს“ (მ. ვარშ.).

აჭარულში ამ სიტყვისათვის დამახასიათებელია დისტრიბუციის გარკვეული სიხშირე — იგი სხვა სიტყვებთან შეერთებით გვევლინება ამა თუ იმ ტერმინის სიზუსტის ნომინაციად. თესპეს — მძივი — ჩალამძივი; იკეთებს კვერცხის ფორმის წვერილ მარცვლებს, რომელსაც იყენებენ კრიალოსნისა და მძივის მარცვლებად; თესპალობია-ჟ — ერთგვარი ჯიშის ლობიო, მარცვლები კრიალოსნის მძივს წააგავს.

მაშალლაჰ (—თ. *maşallah* — არაბ. *الله* *الله* *مَشَّأ* ალ-ლშჰ). არაბულ ენაში ეს გამოთქმა ნიშნავს: 'როგორც ალაჰი ისურვებს, რასაც ალაჰი განიზრახავს, მოისურვებს'. თურქულში აღნიშნული გამოთქმის ძირითადი მნიშვნელობა უცვლელად გადადის, ოღონდ უფრო ვიწრო და კონკრეტული მნიშვნელობა ემატება გარკვეული სიტუაციის ჩვენებით. ასეთივე გააზრება აქვს საკვლევ სიტყვას აჭარულშიც: მაშალლაჰ შორისლ. თვალი არ ეცეს, „ჯვარი სწერია“, ყოჩაღ! ვაშა! ბარაქალა!

„ბახშიშები მიართვა და  
„მაშალლაჰ“  
და ორი ტყვე  
ჩაიბარა სატანამ“ (მ. ვარშ.; ნ. ჩუბ.).

ეგვეე სიტყვა აჭარულში გვხვდება საქონლის (ძროხის) სახელად, შერქმეული იმ მიზნით, რომ „თვალი არ ეცეს“, „თვალს არ წაკრას“.

რიზყ-ი//რიზღ-ი (—თ. *rizk*—არაბ. *رزق* [რიჯ] (Bar.). საკვლევი სიტყვა რიზყი (—არაბ. *رزق*) პირველ წყარო ენაში — არაბულში ნიშნავს: 'სარჩო', 'საზრდო', 'პროვიანტი'. ძირითადად ამ მნიშვნელობით გადადის საანალიზო სიტყვა არაბულიდან თურქულში: 1. 'არსებობის საშუალება', 'საზრდო', „პური არსობისა“,

‘სურსათი’; 2. ‘ხორაგი’, ‘სურსათ-სანოვაგე’, ‘სარგო’ (Mag., Radl., Š. Sami).

აჭარულში ამ სიტყვას ძირითადად გადმოყვა ის მნიშვნელობა-ნი. რაც არაბულ-თურქულში ჰქონდა, ოღონდ მას ახალი შინაარსობლივი ნიუანსი უჩნდება რელიგიურ-სარწმუნოებრივი ამაღლებული ელფერით. ახალ ენობრივ კოლექტივში საანალიზო სიტყვის („რიზ-ყი“) მადომინირებელ სემად წარმოგვიდგება არა ‘საკვები’, ‘ხორაგი’, ‘საზრდო’, არამედ ‘სარგო’, ‘წილი’, ‘წილხვდომილი’, რასაც ღმერთი არგუნებს ყოველ ცოცხალ არსებას, თავის გაჩენილ ყოველ მომავლეს. აღამიანს. ჩვენს ლექსიკონში „რიზყი“ ასეა ფიქსირებული: რიზყი- ‘სარგო’. ‘წილი’, ‘წილხვდომილი’, ‘ღვთით მონიჭებული საზრდო’, ‘საკვები’, ‘ხორაგი’: „შენც პაწაი გაანძრე ხელი, ღმერთი ნუქათ კი არ მოქცემს რ ი ზ ყ ს“. ახალი შინაარსობლივი ნიუანსი, რომელიც ჩაქსოვილია აჭარულ ნასესხებ სიტყვაში, კარგად ჩანს ასევე ნ. გურგენიძის მიერ ამ სიტყვაზე დამოწმებულ საილუსტრაციო მასალაშიც: „ჩემი რ ი ზ ღ ი (დაყოფა ჩვენია შ. ნ.) მაჲ იყო და რაიზა მომისპევი?“ (დიოკნისი); „შენაც თუ შეეცდები, შენი რ ი ზ ყ ი შენ განახვსო“ (ბ. ფ. 140)); „— რამდენია ჩემი რ ი ზ ღ იო“ — შეეკითხა ფეჲლამბერს“ (ბ. ფ. 140)<sup>1</sup>.

იმოწმებს რა მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრებას, რ ი ზ ყ თ ა ნ დაკავშირებით წერს: „მ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს, რომ სიტყვას პართული წარმოშობა აქვს (rōčik), საშუალო სპარსულში იგი იღებს rozik ფორმას, ახალ სპარსულში კი გვაქვს روزه — rōzi ქართულში დამკვიდრებულია სიტყვა ‘როჰიკი’ — ‘ულუფა’, ‘ჯამაგირი’, ‘საზრდო’, ‘სჯულიერი ნიჭი მთავრობისაგან’ (ნ. ჩუბ.). მ. ანდრონიკაშვილს მოჰყავს A. Sidoligi-ის აზრი იმის შესახებ, რომ არაბებმა სამი თანხმოვანი رزق ძირეულად მიიჩნიეს და სიტყვა აწარმოეს رزق-ის ტიპის მიხედვით“<sup>2</sup>.

როგორც ნ. გურგენიძე ვარაუდობს, სიტყვის აჭარულში არსებული ფორმა თურქულის გზითაა შემოსული. ამაზე უნდა მიუთითებდეს ის ფაქტიც, რომ აჭარულში გვხვდება არა მხოლოდ ‘რიზ-ღი’//‘რიზყი’, არამედ მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა ‘ერზაყიც’.

<sup>1</sup> დასახ. შრ., გვ. 307.

<sup>2</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. თბ., 1966, გვ. 367.

<sup>3</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. შრ., გვ. 307.

სალიტერატურო თურქ. erzak (—არაბ. ارزاق) წარმოადგენს رزق-ის მრავლობითი რიცხვის ფორმას — 'პროდუქტები', 'პროვიანტი', 'სანოვაგე' (Mag., Bar., Š. Šāmī). აჭარულში 'რიზყი' და 'ერზაყი' რიცხვის მიხედვით ერთმანეთისაგან გარჩეული არ არის.

მართალია, აჭარულში ცალკე აღებულ მოცემულ ფორმათა რიცხობრივი გარჩევა არ ჩანს, მაგრამ მათ შორის („რიზყი“, „ერზაყი“) კონტექსტუალურად ერთგვარ შინაარსობლივ განსხვავებასთან ერთად იგრძნობა რიცხობრივი განსხვავებულობაც, რაც თვალნათლივ ჩანს აჭარ. ლექსიკონიდან: რიზყი — 'სარგო', 'წილი', 'წილხვდომილი'. ერზაყი — 'სურსათი', 'სანოვაგე', 'ხორაგი', „პაჰოკი“ (—რუს. паё) — ულუფად დასანაწილებელი, ჩვეულებრივ, ჭარისკაცთათვის. ამრიგად, აჭარულში საანალიზო სიტყვათა შორის განსხვავებულ შინაარსობლივ ნიუანსთან ერთად მოცემულია მრავლობითობის სემატი, რაც იქიდან ჩანს, რომ 'ულუფა', 'პაჰოკი', 'სარგო' ერთს კი არ ერგება, მ რ ა ვ ა ლ ზ ე ნაწილდება, მრავალთაგან თითოეულს ეძლევა.

ფუხარა (—თ. fukara—არაბ. فقرة **ჭუყარა**). არაბულში, ისე როგორც მსესხებელ ენაში — თურქულში ამ სიტყვას უკავშირდება 'ლარიბი'-ს, 'ლატაკი'-ს ცნება. ასეთივე მნიშვნელობა გამოყვება საკვლევ სიტყვას თურქულიდან აჭარულში: ფუხარა — 'ლარიბი', 'ლატაკი':

„დაგვას ფუხარა მოკლეს,  
თლათ ქვეყანა გარეზილდა“ (პ. უ მ ი კ.);

„ძველებიდან მაქ გაგონილი: ფუხარამ თუ ქათამი ჭამა, უნდა მიხდე: ან თვითანაა ავათ, ან — ქათამი“; ნუ სცემთ ფუხარას, აქ მეყვანეთ ჩემთან“ (მ ა რ ი, იმერხ. ტექსტები). საანალიზო სიტყვა დადასტურებულია ყველა იმ ენა-დიალექტში (ჭანურში, მესხურში, იმერხეულში), რომელნიც ხანგრძლივად მოქცეული იყვნენ თურქული ენის გავლენის სფეროში. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ მსესხებელ ენა-დიალექტებში „ფუხარა“ გააზრებულია მხოლოდობითი რიცხვის ფორმად, მაშინ, როცა წყარო ენაში — არაბულში აღნიშნული სიტყვა **فقرة** ('ჭუყარა') წარმოადგენს მრავლობით რიცხვს **فقرات** ('ჭაჰირ')-ისა, 'ლარიბი', 'ლატაკი', 'გაჰირებული'.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკვლევი სიტყვის დისტრიბუცია აჭარულში საგრძნობლად ფართოვდება. მონაწილეობს ბევრ შესი-

ტყვებასა და გამოთქმაში და ახალი შინაარსობლივი ნიუანსის გაჩენით იძენს ახალ განსაკუთრებულ სემას: „ჰკეის ფუხარა“ (‘ჰკუით ლატაკი’, ‘ჰკუათხელი’; ‘ბრიყვი’, ‘გონჯი’); სი-ე დერივაციული აფიქსით მიღებულია აბსტრაქტული სახელი „სიფუხრე“ (‘სიღარიბე’, ‘სიღატაკე’); ზმნის პირიანი, უღლებადი ფორმები: „ღაფუხრდა“ (‘გალარიბდა’, ‘გალატაკდა’); უპირო ფორმები: საწყისი „ღაფუხრება“ (‘გალარიბება’, ‘გალატაკება’), მიმღობა — „ღაფუხრებულ“ (‘გალარიბებულ’, ‘გალატაკებულ’), „ფუხრული“ (‘ღარიბული’: „ეს ქოსაჲ ოზდაათ წელწათ ამ ფალანცხა, ფუხრულ სახლში მცხოვრობდა მეგემ“). ასევე, დადასტურებულია ტერმინოლოგიური სიზუსტის ნომინაციის გამომზატველი შესიტყვება: „ფუხრულაჲ ქებაბი / = ნამცხვარია ერთგვარი, ქაბაბივით — ნიგაზსა და ნიორს დანაყავენ, ცოტა მარილს ურთავენ და გათქვეფილ კვერცხში ასვრიან, ჩააპრიან მაკიდოსა და პრასას და შეწვავენ კეცზე/. გასაბჭოებიდან ოციან წლებში აჭარაში გამოდიოდა საოლქო გაზეთი, სახელწოდებით „ფუხარა“.

**ხირხა** (← თ. *hırka* ← არაბ. *حُرَّة* 'ხირკათ'). საკვლევი სიტყვა არაბულში (საიდანაც მომდინარეობს იგი) ნიშნავს: 1. 'ჩვარი', 'ნაფლეთი'; 2. 'ქსოვილი', 'მატერია'. პირველ მსესხებელ ენობრივ სისტემაში — თურქულში საანალიზო სიტყვამ რამდენადმე კონკრეტული მნიშვნელობა მიიღო, სემანტიკურად დაიწროვდა არაბულისეული მეორე მნიშვნელობა ('ქსოვილი', 'მატერია') და ახალი მადომინირებელი სემა გაიჩინა: *hırka* — 'მოკლე ზედა სამოსი (დაბამბული), — ლაბადა'; 'დავრიშის ლაბადა'; *hırkai şerif* ('შერიფის [მაჰმადის სატიტულო ეპითეტია] ლაბადა'), 'მაჰმადის ლაბადა' (წმინდანის ალაჰის მოციქულის რელიქვია). აჭარულში სიტყვას ახალი შინაარსობლივი ნიუანსი გაუჩნდა. იგი დიალ. ლექსიკონში ასეა ფიქსირებული: **ხირხა** — ახალუხის მსგავსი, წელში გამოყვანილი ზედა სამოსი ქალისა. შეიძლება მოკლედ იყოს, ქათიბივით, ჩვეულებრივ, ფერადი ხვერდისაგან იკერავენ: „ქალებს ზევიდან აცვიათ ქათიბის მსგავსი ხირხა ჩითისა, დაბამბული ან უბამბო, სეზონის მიხედვით“ (თ. ს ა ხ.; შდრ. ს ა ბ ა თ. ბიალონ ხირღა).

## 11. 6. სპარსული წარმოშობის სიტყვები

**აბღეს-ი** (← თ. *aptes* ← სპ. *آپتس* [აბდასთ]). პირველ წყარო ენაში — სპარსულში, სადაც ეს სიტყვა მიღებულია ორი მარ-

ტივისაგან ( بآ [აბ] 'წყალი'+ ساد [დასთ] 'ხელი'), ნიშნავს: 'ბანა', 'დაბანა' (ცენკერი, მილერი). თურქულში ამ სიტყვის მნიშვნელობამ კონკრეტული სახე მიიღო და გამოხატა ტერმინოლოგიური ნომინაცია, შეიძინა ახალი კონოტატური ნიშანი სარწმუნოებრივ-რელიგიური ელფერით. საკლავი სიტყვა თურქულში ნიშნავს: მუს. 'ლოცვის წინ რიტუალურად განბანა', „განწმენდა“. ძირითადად ასეთი შინაარსით შეითვისა ეს სიტყვა აჭარულმა: აბდეს-ი: ა ბ დ ე ს ი ს ა ლ დ ე ბ ა მუს. 'ლოცვის წინ რიტუალურად ხელ-ფეხისა და თავ-პირის დაბანა', „განწმენდა“. „ჯამისსკარში ერთი შედრევენი იყო, მლოცავი ვინც იყო, ა ბ დ ე ს [ს] ი ქ ე ი ლ ე ბ დ ა“. სპარსულში ამავე სიტყვისაგან هانجا [ხანე] საწარმოქმნო ბოლოსართის დართვით მიღებულია هانجا سادآ [აბდასთხანე] 'საპირფარეშო'. ასეთივე მნიშვნელობით შეითვისა ეს სიტყვა თურქულმა სპარსულისაგან (aptesane 'საპირფარეშო'). აჭარულში კი თურქულიდან მომდინარე ამ სიტყვას რამდენადმე ახალი შინაარსობლივი ნიუანსი უჩნდება: აბდესხანა — 'პირსაბანი', 'აივანი', 'აბდესის ასაღები ადგილი': „ქვედა კედრიდან სახლს კაი მოზრ[ა]დილი ა ბ დ ე ს ხ ა ნ ა ქონდა მიშენებული“.

თურქულიდან კალკირებით გადმოვიდა ასევე საანალიზო სიტყვით წარმოქმნილი იდიომატური გამოთქმა (aptes vermek) „ა ბ დ ე ს ი ს ა ლ ე ბ ი ნ ე ბ ა“ (= 'თითის მოკაკვინება ვისიმე გამტყუნებულად, დამარცხებულად ჩათვლის ნიშნად') და ცალკე გამოთქმა ა ბ დ ე ს ი ს მ ო შ ლ ა ('წაბილწვა', რასაც უნდა მოყვეს ხელმეორედ „აბდესის ალება“ ხელახლა „განწმენდისათვის“).

ბეიხუდი (←თ. beyhude←სპ. بيهجو [ბეხოდ]). სპარსულში ამ სიტყვას უკავშირდება შემდეგი მნიშვნელობები: 'ტყუილუბრალო', 'ტყუილუბრალოდ', 'ამაო', 'ამაოდ', 'განუსჯელად'; 'მოუფიქრებელი', 'გონდაკარგული'. არსებითად ეს მნიშვნელობანი გადმოყვა იმავე წარმოშობის სიტყვას სპარსულიდან თურქულში. აჭარულმა კი (სადაც ეს სიტყვა დამკვიდრდა თურქულის მეშვეობით), სპარსული წარმოშობის აღნიშნული სიტყვა შეითვისა ძირითადად ერთი მნიშვნელობით („უძლურის სემა“), ისიც რამდენადმე სემანტიკური გადახრით — 'უძლური'-ს, 'დავრდომილი'-ს შინაარსობლივი ნიუანსით: ბეიხუდი-ი 'უძლური', 'უმწეო'; 'მოხუცი', 'დავრდომილი': „ცოტა შენეც გააქანე ხელი, ხომ ხედავ, მამაშენი რაფერაა მიფხავსებული, ბ ე ი ხ უ დ ს აღ[რ]წვერი აღარ გამოდის ხელიდან“. აღ-

სანიშნავია, რომ ამ სიტყვას, რომელიც ძირითადად იმავე მნიშვნელობით დამოწმებულია თ. რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკაში, საოცრად განუცდია ფონეტიკური ცვლილება და ასეთი სახე მიუღია: ბერხუნდ-ი 'მოხუცი', 'უმწოა': „ბ ე რ ხ უ ნ დ ი კ ა ც - დ ე დ ა კ ა ც ი, ე ყ ა რ ა ი ქ და ჰ ჩ ი ო ლ ა“<sup>1</sup>. ჩანს, ქართ. ბ ე რ ი -ს ა (ბერხუნდი ხომ სემანტიკურად 'მ ო ხ უ ც' -ს 'ბერ' -ს უკავშირდება) და ქართულსავე 'ხ უ ნ დ ი' -ს გრამატიკულ-სემანტიკური ანალოგიით სპარსული წარმოშობის ბ ე ი ხ უ დ ი (بـخود) ბ ე რ ხ უ ნ დ -ად გაუზარებიათ.

დოლაბ-ი (—თ. dolap—სპ. دولاپ [დულაპ]). სპარსულში ეს სიტყვა პოლისემანტურია (=1. 'კარადა', 'ბუფეტი'; 2. 'ჭიდრაველიკური ბორბალი'; 3. ბაღ. 'სპეკულაცია'); ეგევე ფორმა (სხვა წარმოშობის სიტყვა) წყარო ენაში სულ სხვა მნიშვნელობის შემცველიცაა: 'შაქრის ავადმყოფობა, — დიაბეტი'. აქარულში თურქულიდან შეთვისებული საანალიზო სიტყვის მნიშვნელობანი რამდენადმე მცირდება, ხოლო თურქულისეული მეორე მნიშვნელობა ('ბორბალი') — ფართოვდება. საკვლევი სიტყვის ლინგვისტური ანალიზის შედეგად ნ. გურგენიძე ასკვნის: „სალიტ. თურქ. dolap (—სპ. دولاپ) = 'კარადა', 'კედლის კარადა'; 'ჭიდრაველიკური ბორბალი' წყლის ასაწევად და ბაღების მოსარწყავად (Mag., Цв., წ. Šāmī). სიტყვის ბოლო მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული გურული და იმერული დიალექტების დ ო ლ ა ბ ი (= 'დიდი, კარგად მოწყობილი წისქვილი' Д. Бакр. 169; ს. უღ. 1. ლექსიკ.). ნ. იაგელოს მიხედვით სიტყვა دولاپ (= 'ხაფანგი', 'ინტრიგა', 'ეშმაკობა', 'მოხერხება'; 'ფარდული', 'კარუსელი') სპარსულიდან არაბულშიც არის გადასული<sup>2</sup>. ლ. ბუდაგოვი სიტყვას შემდეგ ნაწილად შლის: دولاپ = دولا, 'დოქი' + آ 'წყალი'. სიტყვა დამკვიდრებულია ქართულშიც: 'დოლაბი' 1. „ბანიანი სახლის სათვალე, სანათური, საიდანაც სინათლე ჩადის და კვამლი ამოდის“; 2. „ქვიტიკირის კედელში დატანებული ქვეშაგების შესანახი უკარო განჯინა (ქეგლ. III, 1207).

<sup>1</sup> ივ. ქეშიკაშვილი, თელო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა, 1969, თბ., გვ. 42.

<sup>2</sup> Н. Д. Ягелло. Полный персидско—арабско—русский словарь, гл. 671 (დამოწმებული ნ. გურგენიძის მიერ, იხ. მისი დასახ. შრ. 309, № მე-40 სქოლიო).

როგორც ვხედავთ, აქარულში სიტყვის მეორე მნიშვნელობა ('ბორბალი') სალიტერატურო თურქულის მნიშვნელობასთან შედარებით გაფართოებულია. აქ იგი აღნიშნავს არა მხოლოდ ჰიდრაული-კურ ბორბალს, არამედ ყოველგვარ ბორბალს ('საქსოვი', 'დასახვევი' და ა. შ.)<sup>1</sup>.

ნათქვამს უნდა დავამატოს ისიც, რომ აქარულში ამ სიტყვის დისტრიბუცია საკმაოდ ფართოვდება. საკვლევი სიტყვა სხვა სიტყვებთან ('ფეშტემალი', 'ხერხი') შეერთებით ქმნის საზღვრითს კომპოზიტებს: დო ლ ა ბ ა ჯ ფ ე შ ტ ე მ ა ლ ი ('უჯრულა, დაქადრაკე-ბული, კუბოკრულად ნაქსოვი თავშალი': „ბიბილაჩემს ერთი დო-ლა ბ ა ჯ ფ ე შ ტ ე მ ა ლ ი ქონდა, შვით წელწად ისე იხმარა, რომ ფერი არ უქცევია“), დო ლ ა ბ ა ჯ ხ ე რ ხ ი ('სისო-ხერხი „გაბ-მული მშვილდიანი ხერხი“ ვ. ბ ე რ.).

ქოშე (←თ. köşe ←სპ.  $\text{كوشه}$  [გუშე]). სპარსულში (წყარო ენაში) ეს სიტყვა პოლისემანტურია: 1. 'კუთხე', 'კუნჭული'; 2. 'გეომეტ. კუთხე'; 3. 'გადაკრული სიტყვა', — ნართაული; 4. მუსიკ. 'ფიორიტურა, კრიმანჭული'; 5. სპორტ. 'კუთხური დარტყმა'. თურქულ ენაში ამ სიტყვის სემური შემადგენლობა საგრძნობლად მცირდება. სპარსულიდან სესხების პროცესში საკვლევ სიტყვას ახალ ენობრივ სისტემაში — თურქულში არსებითად ერთი ძირითადი მნიშვნელობა — მადომინირებელი სემა ('კუთხე') გადაყვა, მაგრამ იმავე წარმოშობის სიტყვის ძირითადი მნიშვნელობიდან ამ სიტყვას გაუჩნდა მეორეული მნიშვნელობა. 'განმარტოებული, მყუდრო ადგილი'-სა. თურქულისავე ენაში საანალიზო სიტყვამ სხვა სიტყვასთან შეერთებით წარმოქმნა ახალი მნიშვნელობის შესიტყვება-გამოთქმა „köşeye çekilme“ (= 'ამ ქვეყნიდან განდგომა, — 'განდევ-ლობა').

თურქულიდან შეთვისებულ „ქოშე“ სიტყვას აქარულში კიდევ უფრო ეზღუდება დისტრიბუციის სიხშირე, თუმცა ზოგიერთ შესიტყვებასა და კომპოზიტურ მოდელში მონაწილეობით იქნეს ახალ კონოტატურ მნიშვნელობას; აქარულ ლექსიკაში ქოშე ასეა ფიქსირებული: 'კუთხე', 'კუნჭული', 'კუთხე ორ კედელს შორის':

<sup>1</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. შრ., გვ. 309.

„ბათუმიდან წამუელი,  
წაპევევანე ცხენია;  
ჩვენი სიძე ქოშეში დგას,  
წაპეტარი რცხენია“;

„ბატონის წყალობა მქონდა, ოთხი ქოშე ოდის ძველი“ (შდრ. ს ა ბ ა თ. კუთხე [გუშა], ქდ. ჭავახ. ქოშა). აჭარულშივე დადასტურებულია თურქულიდან კალკირებული კომპოზიტი „ქოშე-ქვა“ (‘კედლის კუთხეების შემკვერელი მომსხო, კარგად გათლილი გრძელი ქვა, სახლის კედლის ქომეებსა და საჩენ მხარეს იხმარება, რომ კედელი აიყვანონ’); ქოშე-ბუჯადი (←სპ. ქოშე+თ. bucak ‘კუთხე’) — სახლის მიდამო, გარემო, შემოგარენი, არემარე, ოთხ-ქოშელაჲ (←ოთხ+თ. kışeli +ქართ. ა) — ‘ოთხკუთხა’, ‘ოთხკუთხიანი’.

როგორც ცნობილია, ესა თუ ის ენობრივი კოლექტივი უცხოური ენიდან ძალდატანებითი სესხებისას ითვისებს არა მარტო უცხო ენის სტრუქტურულ მოდელებს, ახალი ლექსიკური მნიშვნელობის შემცველ სიტყვებსა და გამოთქმებს, არამედ ახალ ცნებებსაც ადამიანთა საზოგადოებრივი თუ საყოფაცხოვრებო სფეროთა სხვადასხვა დარგიდან.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აჭარულმა თურქულისაგან ძირითადად შეიძინა მუსლიმურ-რელიგიური კულტის სიტყვა-ტერმინები, რომელიც თვით თურქულ ენაში დამკვიდრდა არაბული ენიდან. ეს ბუნებრივია — მუსლიმურ-სარწმუნოებრივი დოგმები, ყურანი, შარიათი და, საერთოდ, ისლამური ცნებები ხომ არაბულ სამყაროში აღმოცენდა, არაბულ ენაზე დაიწერა!

აჭარაშიც ისლამური სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად თურქულმა ენამ პირველ რიგში თავს მოახვია:

ა. ისლამურ-რელიგიურ ცნებათა ლექსიკა: ეზანი (არაბ. *أذان* [‘აზან’] ‘ლოცვის გამოცხადება’: „ეზანს იკითხავს, არ ილოცავს“ გამოცანა — მამალი), თერაფი (არაბ. *تراويح* [თარავეჩ] ‘რემეზანის საჯარო ლოცვა, რომელიც სრულდებოდა მეჩეთში მეხუთე, უკანასკნელი ლოცვის შემდეგ’), მეველუდი (არაბ. *موايد* [მავლუდ] ‘რელიგიური დღესასწაული მაჰმადის დაბადების დღის აღსანიშნავად’), ფითრე (არაბ. *فطره* [ფიტრათ]) ‘ფულადი გამოსაღები, შეწირულება — მორწმუნეთაგან გაღებული, ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით’) და სხვა.

ბ. სამოხელეო და სოციალური დიფერენციაციის აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინები: ბეგი



(თ. bey 'ბატონი', 'თავადი'), მუხტარი (არაბ. محتر [მუხთარ] 'სოფლის მამასახლისი'), მუთესერარიფი (არაბ. متصرف [მუთასარრიფ] 'ოლქის უფროსი'), მუფთი (مفتى [მუფთი] 'მადალი თანამდებობის პირი — აჭარაში თურქთა ბატონობის დროს'), ჩავში (თ. çavuş 'დაბალი ჩინის პოლიციელი, — ჩაფარი') და სხვ.

გ. ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვები, რომელნიც გაცილებით უფრო მყარად დამკვიდრდნენ ლექსიკის სხვა სფეროსთან შედარებით: ბიბი-აჟ//ბიბილაჟ (თ. bibi 'მამიდა'), ტაიაჟ (თ. dayi 'დედის ძმა, — დედით ბიძა'), ბალდიზი (თ. baldız 'ცოლისდა'), ემიაჟ (არაბ. عم [ემამ] 'მამის ძმა', 'მამით ბიძა') და სხვა.

დ. ტანსაცმელ-სამკაულის აღმნიშვნელი სიტყვა-ტერმინები: ბილეზუგი (თ. bilezik 'სამაჯური'), ჩერჩეფი (სპ. چارشف [ჩარშაფ] 'მუსლიმანი ქალების წამოსახამი' — სახის დასაფარავად, — ჩადრი, პირბადე'), ყელიფე (თ. — არაბ. kadife 'ხავერდის ტანსაცმელი'), ბინიში (თ. binisi 'ანაფორა') და სხვ.

ე. საჭმელ-სასმელის ტერმინები: ჟულურთი (თ. yoğurt 'მაწონი'), ყათმერი (katmerli 'ფენოვანი ქადა'), ჩორბა (თ. çorba 'წვენი', „სუპი“), რახი (არაბ. عرق [ყარაკ] 'მაგარი, ალკოჰოლიანი სასმელი, — არაყი, სპირტი'), ყაჟმალი (თ. kaymak 'ყველჩატანებული ნაღები'), სუჯული (თ. sucuk 'ძეხვი, კუპატი') და სხვა.

## 12. 7. ნასესხობათა სინონიმური შესატყვისები

ნასესხებ სიტყვათა საგრძნობი რაოდენობა, რომელიც აღნიშნავს საზოგადოებრივსა თუ საყოფაცხოვრებო მოვლენებს, შრომასა, საქმიანობასა თუ საგნებს, გვევლინება მშობლიური ქართული სიტყვების (resp. ქართ. დიალექტიზმების) სინონიმებად. საკვლევ მეტყველებაში — აჭარულში არაიშვიათად ვხვდებით შემთხვევებს, როცა ადგილობრივი მკვიდრის მეტყველებაში წარმოდგენილია თურქიზმებიც (თურქულ-არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვებიც) და დიალექტური ან ლიტერატურული ფორმებიც ერთი და იგივე ცნების გამოსახატავად:

ნასესხები („გამშობლიურები“ თუ ქართ. ძირე. ის სიტყვები)

აქართული (ან ლიტ. ქართ.) სინონიმური შესატყვისები

აზელი (ა. az. k)  
 ბარდალი (თ. bardak)  
 იბნა (არაბ. ابن [იბნ])  
 ლელე (სპ. اوله [ლელე])  
 მაშრაფა (არაბ. مشربة მაშრაბათ)  
 მულაიმი (არაბ. ملائم [მულა'იმ])  
 მაზლოლი (თ. yazl k)  
 ააპანი (აბ. بيان ააბან)  
 აეთომი (არაბ. يتيم [.ათიბ])  
 რენკი (სპ. رنگ [რანგ])  
 საბრი (არაბ. صبر საბრ)  
 სედრი (არაბ. صدر [სადრ])  
 სერშია (სპ. سرمايه [სარშაე])  
 სილაჰი (არაბ. سلاح [სილაჰ])  
 დადოსტება (—სპ. دوست [დუსთ])  
 დაფუხრება (—არაბ. فقرا [ფუჟარა'])  
 დემეთი (ბერძნ. δειμασιος)  
 ეჭდელარი (სპ. ازدرها [აეღჰას])  
 ეარიოზი (ბერძნ. αρεια)  
 ზანათი (არაბ. ضاعة [ზინაყათ])  
 ზემი o (არაბ. زنبيل [ზენბილ])  
 თაბიეთი (არაბ. طيبة [ტაბიყათ])  
 თოფა i (თ. topal)  
 სინორი (ბერძნ. σινωρ)  
 ტაბანა (თ. tabanča)  
 ტამაჰქარი (თ.—სპ. tamahkār)  
 ურუბა (იტალ.-ფრანგ. la robe)

საგძალი  
 დოქი  
 ფიჯი, უზრდელი  
 კიპაი („ჩიბუხი")  
 კურუჟკა (крыжка)  
 ჩრსილი (თუთუნის)  
 ბალკონი  
 გარეული (მხეცი)  
 ობოლი  
 ფერი  
 მოთმენა, გაძლება  
 სევეი  
 თავნი  
 იარალი  
 დამოყვრება  
 გაღარიბება, გაღატაკება  
 თუთუნის ღესტე  
 გველუშაპი  
 რკინის ურო  
 ხელობა, საქმე  
 კალანჩხა, კალათა  
 ხასიათი, ზნე  
 კოკლი, კოკლაბუხა  
 სამძღვარი  
 დამპაჩა  
 ჩოლგორანი ('ხარბი')  
 ტანსამოსი

12. 8. უცხოურ ნასესხებ სიტყვათაგან დადასტურდა ისეთე-ბიც, რომელთა სინონიმური შესატყვისები, ასევე, უცხოური წარმომავლობისაა და რომელიც შეთვისებულია ერთი და იმავე ან სხვადასხვა უცხოური ენობრივი სამყაროდან. ამასთან ერთად შეინიშნება, რომ სინონიმური რიგის ზოგიერთ სიტყვას „გამშობლიურების“ შედეგად ნაკლებად ამჩნევია უცხოურობის ელფერი. ასეთ სინონიმურ წყვილებში შეიძლება დავასახელოთ:

ზემბილი (სპ. زنبيل [ზენბილ]) და ინთა (უცხოური წარმოშობისაა) — 'კალათა', 'კალანჩხა'.

ბილეგი (თ. bilegi) და მასათი (არაბ. مشد [მიშ-ჰაზ] — 'სალესი'.

თუჯჯარი (არაბ. تجار [თუჯჯარ]) და ბეზირგანი (სპ. بازارگان [ბაზარგან]) — 'ვაჭარი', 'დიდვაჭარი'.

ალეთი (არაბ. آلت [ალათ]) და ჰაჯეთი (არაბ. حاجة [ჰა-ჯათ]) — 'ინსტრუმენტი', 'აჯათი'.

12. 9. ნასესხობათა ლექსიკიდან ბევრი ადვილად განიღვენა ნეოლოგიზმით, მაგრამ ბევრიც „გამშობლიურდა“, აქარულის საკუთრებად იქცა და მათი ახლით შეცვლა ჭერჭერობით არ მომხდარა, ასეთებია: დესტანი, დვადი, დირსეგი, ბურმა, ბაქლავა, დოშამა, ბიში, ბარუთი, ბეთმეზი, ფიშეკი, ვაიზი, ზიარეთი, ზირაბაჯი, თესპე, ერიშტე, ჩინგანა, მაახოში, ნუსხა, სელავათი, ფალაყა, ფერვაზი, ფეჰრიზი, ქელფეთი, ქერესტე, ყირსერდალი, ჰასუთა და სხვა.

## 12. 10. თხზული სახელები

აქარულში დამოწმებული რთული სიტყვები შეიძლება დაეყოს ოთხ ჯგუფად.

1. კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთ წევრად უცხოური წარმოშობის (თურქულ-არაბულ-სპარსული) სიტყვა გამოდის (ე. წ. ჰიბრიდული კომპოზიტები):

შირიგზა (—სპ. میری [მირი] + გზა) — 'სახელმწიფო, სამხედრო გზა'.

ტურაყილიფაჰ (—ტურა+არაბ. غلاف [ლილაფ]) — 'ტყავის ჩანთა — დამბაჩისა': „ტურაყილიფაჰ ეყიდოს, ერქოს წელში მისი ყამა“ (აქ. ხ. პ.).

ენაფელთეკი (—ენა+თ. peltek) — 'ენამოჩლექილი', 'ენაბრგენილი': მაგის დასაციინიკ გავხდი ხომ. მაგ ენაფელთექის“.

ჩაქი-დანა (—თ. çaki+დანა) — 'ჯიბით სატარებელი პატარა დანა, — ჯაყვა'.

ჩენგეშეკრული (←აბ. ჩენგე [‘ჩანა’] — თ. çene+შეკრული)  
— ბად. ‘უმადო’, ‘სუსნა’.

2. კომპოზიციები, რომელთა შემადგენელი ნაწილებიც და მოდელიც მთლიანად ნასესხებია — თხზულში შემავალი სიტყვები შეიძლება ერთი რომელიმე უცხო ენიდან მომდინარეობდეს ან სხვადასხვა უცხო ენობრივი წარმოშობისა იყოს:

სირატ-ქოფრი (←არაბ. سیراط [სირატ] + არაბ. كبر [ქუბრი]).  
— გად. ‘ბეწვის ხიდი’.

სუნნეთ—დუგუნი (←არაბ. دن [ალ-სუნნათ] + თ. düğün  
‘ნორწილი’)—‘ქორწილი წინადაცვენასთან დაკავშირებით’:

„სად მღერიან, სად უკრავენ?

ჩემს მეზობელს, გენაცვალე,

დიდი სუნნეთ-დუგუნი აქვს“ (მ. ვარშ).

ჩარ-ქოშე (←სპ. چار [(ჩარ)+სპ. گوشه [გუშე]) ‘კუთხე’, ‘კიდე’  
— ‘კარმიდამო’.

ზიანჭარი (←სპ. زيان [ზიან] + სპ. چار [ჭარ] ‘საქმე’)—‘მავნე’,  
‘ცელქი’ ‘ონავარი’.

სინორ-ტაში (←ბერძნ. δεισιδος ‘საზღვარი’ + თ. daş ‘ქვა’) —  
— ‘საზღვრის, მიჯნის ქვა’, ‘ნიშანი’.

თურა-ააზი (←სპ. تورا [თურა] ‘სულთანის მონოგრამა’, ‘ღერბი’ + თ. yazi ‘წარწერა’)—‘თამაშობა ვერცხლისა თუ სპილენძის ფულით, — ‘არიოლი და რეშკა’.

3. სინონიმური კომპოზიციები, რომელთა კომპონენტები ნასესხებია ერთი და იმავე ან სხვადასხვა უცხო ენიდან:

ჯინსი-ჯიბილღეთი (←არაბ. جنس [ჯინს] ‘ჯიში’ + არაბ. جيب [ჯიბილღათ] ‘თვისება’. ‘თანდაყოლილი ნიშანი, ხასიათი’)—‘ჯიში’, ‘ჯილაგი’.

ქენერ-ქოშე (←სპ. چار [ქენარ] ‘კუთხე’, ‘კიდე’ + სპ. گوشه [გუშე] ‘ყურე’, ‘კიდე’)—‘მიდამო’, ‘კარმიდამო’.

დუნია-მემლექეთი (←არაბ. دنيا [დუნია] ‘ქვეყანა’ + არაბ. مملكة [მამალაქათ])—‘ქვეყანა’, ‘სამშობლო’: „ხმლით, სატევრით, თოფით ერთი მეომარი მეორეს ებრძვის, კალმით მეომარი კი მთელ დუნია—მემლექეთს“ (ა. წულ).

4. გაორკეცებული ფუძეები, რომელთა მეორე წევრი „მ“ თანხმონით იწყება, ანდა შეიცავს პირველისაგან განსხვავებულ ხმოვნებს:

ალაჲ-მალაჲ (თ. alay-malay) — 'სულ', 'მთლად', 'სავსებით': „ე ბლვი უმფროს-უნტროს სულ არ ცნობილობს, ალაჲ-მალაჲ შეფერებული, გადაყვანილია“.

ქითაბ-მითაბი (არაბ. كتاب متاب [ქითაბ-მითაბ]) — ქითაბი 'წიგნი', 'წიგნები'.

„ქითაბ-მითაბი ქაარს არ იქს,

ქურქი წაბურეთ თავზედა“ (აჭ. ხ. პოეზ.).

ბახშიშ-მახშიში (სპ. خشيشت [ბახშიშ] + მახშიში) — 'საჩუქარი', 'ძღვენი'.

დასასრულ აღსანიშნავია თურქულის გზით შემოსული არაბული გამოთქმები:

ვოლლაჰი, ბილლაჰი (— არაბ. والله [ვალლაჰი, ბილლაჰი]) — 'ვფიცავ ალაჰს' — ფიცის ფორმულა: 'ალაჰმა იცოდეს. დაე ალაჰი იყოს მოწმე ჩემი სიმართლისა, — ღმერთმანი'.

მაშალლა (— არაბ. الله لا [მეშაა-ლაჰუ]) 'რასაც ალაჰი მოინდომებს, როგორც ალაჰი მოისურვებს' — 'თვალი არ ეცეს', '„ჯვარი სწერია“, 'ყოჩაღ! ბარაქალა! აფერუმ!'

„ბახშიშები მიართვა და

მაშალლა

და ორი ტყვე

ჩაიბარა სატანამ“ (მ. ვარშ.).

## 12. 11. სენსების გზები

ქართველოლოგიის, კერძოდ, ქართული დიალექტოლოგიის, განვითარების დღევანდელ ეტაპზე ნასესხებ სიტყვათა პრაფორმის დადგენა არაა დაკავშირებული დიდ სიძნელებთან. ამასვე ვერ ვიტყვით სენსების გზების შესახებ. ამ მხრივ ჭერჯერობით მრავალი რამ გასარკვევი და დასაზუსტებელია. საქმე განსაკუთრებით რთულდება აჭარული დიალექტის ლექსიკის შესწავლისას. აჭარულში გვხვდება მრავალი არაბული და სპარსული წარმოშობის სიტყვა, რომელთა მეტი წილი თურქულშიც დასტურდება. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ არაბული წარმოშობის სიტყვათა ნაწილი ქართულმა სპარსულიდან შეითვისა. აჭარულში ზემოაღნიშნული ერთეულების გზების დასადგენად აუცილებელია როგორც ენობრივ, ისევე ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და სხვა მონაცემთა გათვალისწინება. ამის ცდა ჩვენ მოცემული გვაქვს „ლექსიკონში“. აქ განვი-

ხილავთ რამდენსამე ტიპიურ შემთხვევას. ვეხებით ისეთ სახე-  
ცვლილ ფორმებსაც, რომელთა პირველადი ფორმისაგან დაშორება  
არ აიხსნება აქარულის ნიადაგზე.

ავიღოთ სიტყვა ლ ე გ ლ ე გ ი. იგი სპარსული წარმოშობის  
სიტყვაა (كك [ლაგლაკ] 'ლაკლაკი'), რომელიც საერთო ქარ-  
თულში ლ ა კ ლ ა კ ი-ს ფორმით დამკვიდრდა, ხოლო აქარულში  
თურქული გაფორმებით ამ სიტყვამ ლ ე გ ლ ე გ ი-ს სახე მიიღო.  
ისმის კითხვა. თურქების გაბატონებამდე იყო თუ არა ეს სიტყვა სა-  
ერთო ქართულთან ერთად აქარულში? კითხვაზე პასუხის დადები-  
თად გაცემის საფუძველს გვაძლევს ტოპონიმიკური სახელი ლ ა კ-  
ლ ა კ ე თ ი (სოფლის სახელია ზემოაქარაში). ასე რომ, ამ ფაქტით  
კარგად ჩანს, თუ როგორ დაიჭირა ნასესხებმა ფორმამ მსესხებელი  
ენის ლექსიკურ ფონდში მშობლიური სიტყვის ადგილი და როგორ  
შემოგვინახა იმავე ცნების გამომხატველი სიტყვა ტოპონიმიკურმა  
ნომენკლატურამ.

დ ე ვ ლ ე თ ი (← არაბული قَوْل [დავლათ]) — 'სახელმწიფო',  
'სამეფო'. როგორც ცნობილია, არაბული ფათხა ქართულში „ანად“

გადმოდის (შდრ. قَوْل 'ლ უ კ მ ა' كَد 'ბ ა დ ა ლ ი'). დ ა ვ-  
ლ ა თ სიტყვის პირველ მარცვალში მოსალოდნელი იყო აგრეთვე  
„ო“ ხმოვანიც რამდენადაც საქმე გვაქვს „აუ“ დიფთონგთან (შდრ.  
قَوْل მოლა). მრავალ ქართულ დიალექტში სწორედ დ ო ვ ლ ა თ  
ფორმა გვაქვს. „ა“ ხმოვნიანი ვარიანტი დადგენილი აქვს აკ. შ ა ნ ი-  
ძ ე ს დ ა ვ ლ ა სიტყვაში, ასევე, კომპოზიტში ა ვ ლ ა-დ ი დ ე ბ ა  
(„დავლათი სალიტ. ქართულსა და კილოებში“. მოხსენება ქართული  
ენის კათედრათა მეოთხე სამეცნ. მეთოდურ სესიაზე, თბილისი,  
1957 წ.). ექვს გარეშეა, რომ აქარულში დ ე ვ ლ ე თ ი თურქული-  
დანაა შემოსული: არაბული ფათხა თურქულში ჩვეულებრივ „ე“—ს  
გვაძლევს.

ფ უ ხ ა რ ა (← არაბ. فخر [ფუჟარა] 'ღარიბი', 'ღატაკი').  
ამ სიტყვას აქარულში თურქულის კვალობაზე მხოლოდითის გაგება  
აქვს. მაშინ როდესაც არაბული فخر მრავლობითის ფორმას  
წარმოადგენს (მხ. فقير მრ فخر) ამრიგად, აქაც უნდა ვივა-  
რაუდოთ, თურქულის „შუამავლობა“. ამ მოსაზრების სასარგებ-  
ლოდ მეტყველებს ც-ს „ხ“ ბგერით გადმოცემა (ც-ს ქართულში  
„კ“ ან „ყ“ უპირისპირდება. შდრ. قَوْل 'ლ უ კ მ ა, قَوْل 'ყუა-  
თი' და სხვა).

იგივე ითქმის უ ს ტ ა სიტყვაზე, რომელიც წარმოშობით  
სპარსულია (استا). იგი აქარულში ისევეა გაფორმებული, რო-

გორც თურქულში. სხვა ქართულ დიალექტებში კი უშუალო სესხების შედეგად ოსტატ ფორმა გვხვდება.

ქვემოთ ჩამოვთვლით ნაწილს იმ სიტყვებისა, რომლებიც აჭარულში თურქულის მეშვეობით არიან შემოსული.

არაბული	სპარსული	აჭარული	საერთო ქართული
ბადალ	—	ბედელი	ბადალი
—	დარმან	დერმანი	დარმანი
დნქთარ	—	დუფთერი	დაჯთარი
დოსთ	—	დოსტი	დოსტი
—	დურბინ	დვირბლი	დურბინლი
ისტოქთაჰ	ზნნბზლ	ზემბილი	ზამბილი
იშთიქა	—	სიეთე	სიეთა
კიბლა	—	იშტაჰი	იშტა
კინტარ	ქნამე	ყიბლენამე	ყიბლანი
კისმათ	—	ყანთარი	ყანთარი
ქუვეათ	—	ყისმეთი	ყისმათი
ქუმარბაზ	—	ყუვეეთი	ყუათი
ლაბანდე	—	ყუმარბაზი	ყომარბაზი
მალაიქათ	—	ლიბადა	ლაბადა
—	მალჰამ	მელაიქი	მელაქია
მაჰდან	—	მეჯჰეი	მაჰამო
—	მახუშ	მეიღანი	მოღდანი
მინნათ	—	მაიხოში	მარახუში
მუსჰაფ	—	მინნეთი	მუნათი
ნაქმ	—	მუსხაფი	მუსაფი
—	ოსთად	ნახიში	ნახტი
—	საბოქ	ოუსტა	ოსტატი
ფირარ	—	სუბუქი	მსუბუქი
—	ფილოვ/ტი	ფარაღი	ფირალი
ქათან	—	ფილაგი	ფლაგი
ქანძირ	—	ქეთენი	ქათანი
—	ქნსე	ქაფირი	ქაფარი
ქულქათ	—	ქესა	ქიაა
—	ქუსქ	ქულფეთ	ქულფათი
ლაბლაბ	—	ქოშკი	ქოშკი
შარბთ	—	ლილაბი	ლაბაბი
შარბ'ათ	—	შერბეთი	შარბათი
—	ჩანე	შერიყეთი	შერიათი
—	ჩარე	ჩენგე	ჩანა
—	ჩირნლ	ჩარე	ჩარა
ჯავჰარ	—	ჩირალი	ჩირალი
ჯალლად	—	ჯევჰერი	ჯავარი
ჯამწყათ	—	ჯელლათი	ჯალათი
ჯარარაჰ	—	ჯემაყეთი	ჯამაათი
—	ჰავდ	ჯერრაჰი	ჯარა
ჰალქათ	—	ჰავუზი	ავუზი
ჰაქქ	—	ჰალლა	ალყა
ჰაქნათ	—	ჰახი	ახი
—	—	ჰაყეთი	აყათი

12. 12. აქარულის ლექსიკაში გარდა არაბულიდან და სპარსულიდან მომდინარე სიტყვებისა, გამოიყოფა ფრანგული, იტალიური და ბერძნული წარმოშობის ელემენტები, რომელთა უმრავლესობა თურქულის გზითაა შემოსული. მათ ატყვიან როგორც თურქულის, ასევე, აქარულის ფონეტიკურ თავისებურებათა კვალი.

როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, თურქეთის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა იტალიამ, კერძოდ გენუამ და ვენეციამ. სწორედ იტალიელებისაგან შეითვისეს თურქებმა სამრეწველო, სავაჭრო-საფინანსო ტერმინოლოგია. საზღვაო-სანაოსნო საქმე თურქებმა ისწავლეს იტალიელებისა და ბერძნებისაგან, რაც სპეციალურ ტერმინოლოგიაშიც აისახა.

მე-19 საუკუნის დამდეგს თურქეთში იწყება ფრანგული ლექსიკის შემოჭრა: ფრანგული სიტყვების დიდმა ნაწილმა განდევნა ადრე ხმარებული არაბული და სპარსული ტერმინები. ძირითადად ეს არის სამხედრო, პოლიტიკური, დიპლომატიური, ტექნიკის, მეცნიერულ-ლიტერატურული ტერმინები. ფრანგულის გავლენა არ შესუსტებულა მე-20 საუკუნეშიც, კერძოდ მის პირველ ნახევარში, როდესაც თურქულ ლიტერატურაში ზია გოქ ალფისა და მეჰმედ ემინის სახით მოხდა ნაციონალიზმის მძლავრი ამოფრქვევა. სწორედ ამ გავლენამ მისცა საშუალება პროფ. დმიტრიევს შეენიშნა, რომ „დღესაც ფრანგული მეორე ძირითადი ენაა თურქეთში“<sup>1</sup>.

## 12. 13ა. ფრანგული წარმოშობის ნასახსოვრებათაგან შეიძლება დავასახელოთ:

ბ ე ლ ზ ი კ ა (belgique): ბ ე ლ ზ ი კ ა ჯ თ ო ფ ი 'მოკლელუ-ლიანი შაშხანა თოფი'.

ვ ა რ ე ლ ა ჯ (baril) — 'თიხის ან ხის მოგრძო ჭურჭელი... სადღებელი'.

<sup>1</sup> Н. К. Дмитриев, Турецкий язык, 1960, გვ. 12, (დამოწმებული გ. ანთელავას მიერ: „სალიტერატურო თურქულის რეფორმამდელი ლექსიკის შესახებ“ მაცნე, 1968, 1, გვ. 229-230).



თ ე ნ თ ე ნ ი ა ჯ (dantelle) — 'სახეებიანი ბადურა ქსოვილი, — მაქმანი, არშია'.

ლ ა ს ტ ი კ ი (elastique) — 'რეზინი, რეზინიანი ქსოვილი'; 'რეზინის კალოში'; 'რეზინის წამოსასხამი'.

მ ი ტ რ ი ა ლ ო ზ ი (mitrailleuse) — 1. 'ტყვიამფრქვევი'; 2. 'ზალბი'.

ფ ო თ ი ნ ი (bottine) — 'მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელი'.

ყ ა ზ ი ა ღ ი (ფრანგ. gaz + თ. yağ) — 'ნავთი'.

ჯ ე ნ დ ე რ მ ე (gendarme) — 'ჯანდარმი'... და სხვა.

## 12. 13ბ. იტალიური წარმოშობის სიტყვები

ა ლ ა ფ რ ა ნ გ ა (alla franca) — 'ახალი', 'ახალმოდური', 'ახალი სტილი', 'ევროპული'.

ა ნ თ ი კ ა (antique) — 1. 'კობტა, მოხდენილი, ლამაზი'; 'აკურატული (ადამიანი)'; 2. 'ძვირფასი, შესანიშნავი, იშვიათი (ტანსაცმელი, სამკაული, ნივთი)'.

ი ს კ ე ლ ე (scala) — 1. 'სახელდახელოდ დადგმული დაზგა — სამშენებლო ხე-ტყის სახერხი მოწყობილობისათვის ან მშენებლობაზე მომუშავეთათვის ზედ დასადგომად, — ხარაჩო'; 2. 'ნავმისადგომი'.

კ ა რ ჯ ო ლ ა (თ. - იტალ. karyola) — 'საწოლი, ტახტი'.

კ ა ფ ტ ა ნ ი (capitano) — 'კაპიტანი'.

ფ ე ლ უ კ ა ჯ (feluca) — 'მომცრო ნავი'.

ფ ი ა ნ კ ო (piango) — 'ნივთების ან ფულის კოლექტიური გათამაშება'.

ფ ი შ ტ ო (pistola) — 'დამბაჩა'.

ფ ო რ ჩ ა (თ. + იტალ. furca) — 1. 'ჯაგრისი'; 2. '„ცხენის საწმენდელი“ (საბა), — გაბრა'

ფ უ რ თ უ ნ ა (fortuna) — 'ქარიშხალი', 'ქარბუქი', 'ქარაშოტი'; 2. 'ღელვა, — ფრონა'... და სხვა.

## 12. 13გ. ბერძნული წარმოშობის ნასმსობანი

ა ნ ღ ა რ ი ა ἀγάρια — 'ბეგარა'.

ბ ა რ უ თ ი παριტი — 'თოფის წამალი'; 'ღენთი'.

გასირავება (←ბერძ. σείρα -დან) — 'რიგზე დაწყობა', 'დალაგება', 'გამწკრივება'.

დადემეთვა (←ბერძ. δέμασιον) — 'დასტად შეკვრა', 'დემეთებად (ნ) დაკეთება თამბაქოს გამხმარი ფოთლებისა'.

ვარიოზი (ვაριε:α) — 'რკინის დიდი ურო'.

თემელი (თემελιον) — 'სახლის, შენობის ფუნდამენტი, საძირკველი, ფუძე'.

კორიზა (κοριζ) — 'ბალლინჯო'.

ლიმანი (λιμην) — 1. 'ფონი'; 2. 'ნავმისადგომი'.

ლოდოსი (λοδο:ς) — 'თბილი, მოღრუბლული ამინდი, რომელიც აქარებს თოვლის დნობას'.

მულადისი (თ. mihladiz — არაბ. مضطاط ბერძ. μαγνητης) — ანდამატი, მაგნიტი.

სინორი (σινοριον) — 'საზღვარი, მიჯნა'.

სირა (σειρα) — 'რიგი', 'ჯერი', 'რეისი'.

ფაფაზი παπας — 'სასულიერო პირი, მღვდელი' (არამუსლიმთა).

ფედევრა (φεταυρον) — 'ყვარი'.

ფიდე (πειτα) — 'საჯზე (ნ) სახელდახელოდ გამომცხვარი მჭადი (თხელი, ლავაშივით)'.

ქერემეთი (χερμετις) — 'კრამიტი'.

ქიაფი, ქირფითი (ქე:αφι) — 'ასანთი'.

ქილისა (εχιλη:α) — 'ეკლესია'.

ქირეზაჟ (ბერძ. χερρα:ς) 'ბალი' + თ. ay 'თვე') — 'იენისი'.

ჰაველი (αυλιον) — 1. 'ბაიკი'; 2. 'მუთვალე' (ნ)... და სხვა.

## ნასნსობათა ზოგიერთი მორფოლოგიური თავისებურება

12. 14. ყურადღებას იქცევს აღმოსავლური (უმთავრესად თურქული) წარმოშობის სახელებისაგან ზმნური ფორმების წარმოება. ამ შემთხვევაში გამოყენებულია -ებ, -ავ, და -ობ თემის ნიშნები. მათ აქარულში ისეთივე ფუნქციები აქვთ, რაც სხვა ქართულ დიალექტებში და სალიტერატურო ენაში (შდრ. აჭარ. დაამინეთ-ებ-ს სალიტ. დაამუნათ-ებ-ს; ჩინგნ-ობ-ს 'ანც-ობ-ს'; დაჩირფ-ავ-ს 'დალარავ-ს').

## ა) -ებ ნიშნის ნასახელარი ზმნები

და-ა-ტომრულ-ებ-ს — ტომრულებად ('მორებად') დაქრის, და-ხერხავს, დამორავს: „დასახევე ხიებს ჭერემ დავატომრულ-ებ-ს“. ამ ზმნის ძირი ტომრულ-ი ('მორი') მიღებულია თურქული tomruk-საგან. ამავე ძირისაგან აქარულში საწყის ფორმად გვხვდება „დატომრულება“ ('ტომრულებად დაქრა, დამორვა').

და-ა-მინნეთ-ებ-ს — 'დააყვედრის, დაამადლის, — დაამუნათებს': „კაც[ს] რომ პატიეს ეცემი, ცხვირიდან კი არ უნდა ანჭრევიო, დაამინნეთო“. აღნიშნული ზმნის ძირი მინნეთ ('მუნათი') მიღებულია თურქულის გზით არაბ.  $\text{أذن}$  [მინნათ]-ისაგან. ამავე ძირისაგან მიღებულია საწყისი ფორმა „და-მინნეთ-ება“ ('დამუნათება').

და-არხატაშ-დ-ებ-ა (—და-უ-არხატაშ-დ-ებ-ა) — 'დაუამხანაგდება', 'დაუმეგობრდება'. ქართული სტრუქტურული მოდელის მოცემულ ზმნას ფუძედ გამოყენებული აქვს თურქ. წარმოშობის სახელადი ნაწილი arkadaş ('მეგობარი'). ამავე ფუძისაგან ქართ. აფიქსებით წარმოქმნილია საწყისი და-არხატაშ-ება ('დამეგობრება') და მიმღეობა და-არხატაშ-ებ-ულ-ი.

## ბ) -ობ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნები

ჯუმბუშობ-ს ('ლხინობს', 'ერთობა', 'ლალობს'). აქ. ზმნის ძირი თურქ. ენიდან მომდინარე ჯუმბუშობა (cümhüş), რომელიც სპარსული წარმოშობის სიტყვაა: جنبش [ჯონბეშ]. ამავე ძირისაგან აქარულში გვაქვს აბსტრაქტულ სახელთა სადერივაციო აფიქსით (ობა) — ჯუმბუშობა: „შუანთობაზე ხანჯელ ერთ კვირას გარძეღდება გევეზობა, ჯუმბუშობა“.

თალაშ-ობ-ს ('ირჩება', 'ზრუნავს', 'ჩალიჩობს'). აქ. ზმნის ძირად გვხვდება უცხოური წარმომავლობის (თ. talas — ცენკერი; არაბ. تالش [თალაშ] — ბარანოვი თალაში ('ჯაფა', 'გარჯა', 'ჩალიჩობა', 'შფოთი')):

„ახლანდა (= 'ახლა უნდა') მოგიტანო,

ნუ გაქ თალაში;

ლამე ქარი ქრის,

— დილას კალაში“;

„ალი-აღამ შეუთვალა,

— ნუ ჩადგები ჩემ თალაში“ (აქ. ხ. პოეზ.).

გ) -ავ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნები

და-ჩირფ-ავ-ს ('დალარავს'): „ჯერეთ ქუთუგებს და ვ ჩ ი რ- ფ ა ვ თ, მემრენ კი ჩირფის სისტორ დაეხერხავთ“. მოცემული ზმნის სახელად ფუძედ თურქული წარმოშობის ჩ ი რ ფ (çirp)-ია გამოყენებული. აქარულ დიალ. ლექსიკაში, ასევე, ცალკე ჩ ი რ- ფ ი-ც გვხვდება იმავე მნიშვნელობით ('ლარი'), როგორც ეს წყარო ენაში, თურქულშია დადასტურებული (Mar., Ağ). აქარულშივე დასტურდება მოცემული ფუძისაგან ნაწარმოები საწყისი „და-ჩირფ-ვა“ ('დალარვა') და მიმეობა „და-ჩირფ-ულ-ი“ ('დალარულ-ი'): „და ჩ ი რ ფ უ ლ ტომრულებს ('მორებს') დახერხვის წინ ისკელეზე შამოვდებთ“.

და-დემეთ-ავ-ს დემეთებად ('დასტებად') დაალაგებს, დააწყობს (თამბაქოს ხმელ ფოთლებს): „თუთუნი[ს] ყვერს ჯერ და ვ დ ე მ ე- თ ა ვ თ, მემრენ დაეხასხავთ და ჰავანზე დავშკრით“. საანალიზო ზმნის ფუძედ თურქული ენიდან მომდინარე ბერძნული წარმოშობის ჰεματισ [დემატიოს]-ია გამოყენებული. თურქულმა მოცემული სიტყვა ბერძნულისაგან ჰεματισ -ის ('შეკრულა', 'კონა', 'ასხმულა') ფორმით შეითვისა. ამავე ფუძისაგან წარმოქმნილია და-დემეთ-ვა ('შეკვრა', 'დაბრესვა — თამბაქოს ხმელი ფოთლებისა').

აქარულში ანალოგიური მაგალითები უხვად მოიპოვება. ჩვენ წარმოვადგენთ სათანადო ფორმათა მცირე სიას.

ქართული მოდელები	თურქული ფუძე-ძირები
მე-ი-სეფილ-ებ-ს ('მოისაწყლებს').	თ. sefil ← არაბ. سفيل [საფილ] ('მდაბალი', 'ფლიდი')
გა-ა-თექმილ-ებ-ს, გა-თექმილ-ება გა-თექმილ-ებ-ულ-ი ('გამთლიანებს', 'გამთლიანება', 'გამთლიანებული')	თ. teknil ← არაბ. تكميل [თაქმილ] ('სრული', 'მთლიანი').
ჰესაბ-ობ-ს, ჰესაბ-ობ-ა, გა-ჰესაბ-ებ-ულ-ი ('ანგარიშობს', 'ანგარიშობა', გაანგარიშებული').	თ. hesap ← არაბ. حساب [ჰისაბ] ('ანგარიში', 'აღრიცხვა')
ჰევეს-ობ-ს, ჰევეს-ობა ჰევეს-იანი ('ისწრაფვის', 'სწრაფვა', 'მისწრაფება', 'მონდომებული').	თ. haves ← არაბ. هوس [ჰავას] ('სურვილი', 'წადილი').
და-ა-არღინ-ებ-ს, და-აიღინ-ება და-არღინებ-ულ-ი ('ახკავენს', 'დახკავენ-ბა', 'დახკავებული').	თ. yig'in [აიღინ] ('გროვა', 'ხვავი').
ლენჩიბრ-ობ-ს, ლენჩიბრ-ობა (მიწათმოქმედობს, მიწათმოქმედება)	თ. rencper ← სპ. رنجبر [რანჯბარ] ('მიწათმოქმედი').

ქიბრ-ობ-ს, ქიბრ-ობა, სი-ქიბრ-ე,  
(‘ამაყობს’, ‘ამაყობა’, ‘სიამაყე’)

თემბლ-ობ-ს, თემბლ-ობა  
(‘ზარმაცობს’, ‘სიზარმაცე’)

თოფლ-ობ-ს, თოფლ-ობა  
(‘კოქლობს’, ‘კოქლობა’)

გა-ა-ჰასილ-ებ-ს, გა-ჰასილ-ება გა-ჰასილ-  
ებ-ულ-ი (‘ამოქნის ტყავს’, ‘ამოქნა ტყავი-  
სა’, ‘ამოქნილი ტყავი’).

თ. kibar— არაბ. كبر [ქიბარ]  
(‘კეთილშობილი’).

თ. tembel— სპ. تنبل [თემბელ]  
(‘ზარმაცი’).

თ. topal [თოფალ]  
(‘კოქლი’)

თ. hasili [ჰასილ] (‘გაწმენდა’, ‘ამ-  
ოქნა, —ტყავისა’).

განხილულ ფორმებთან ერთ სიბრტყეზე არ მოთავსდებიან ქვემოთაღნიშნული ნასესხობანი, რომლებიც თვით თურქულში ნაწარმოები ფორმებია, ხშირია აქ უცხოური დერივატები პროფესიის ანდა უარყოფის აღმნიშვნელი სუფიქსებით.

ფურუნჯი (←თ. pürün ‘ფურნე’+cu [‘ქართ. მე-ე-ს შესატყვისი’]) — ‘მეფურნე’.

ფითნაჯი (←არაბ. فتنه [ფითნა] ‘ქორიკანა’, ‘მაბეზღარა’+თ. ci) ‘წამსისიანებელი’, ‘წამქეზებელი’.

ულურსუზ-ი (←თ. uğur ‘ბედი’, ‘ილბალი’+თ. suz) — ‘ბედ-უკუღმართი’, ‘ავბედითი’.

გოზლულ-ი (←თ. göz ‘თვალი’+luğ [—lik] ‘არს. სახელთა საწ. აფიქსი’) — ‘სათვალე’.

გვზვდება სპ. ს ა წ ა რ მ ო ქ მ ნ - ო ა ფ ი ქ ს ი თ ა ხ [ხანე]-  
თი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი რ თ უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ც :

მეჰჰანა (←სპ. مهاجر [მეჰანე] ‘ღვინის სარდაფი’) — ‘ყავა-ხანა’.

აბდესხანა (←სპ. استخان [აბდესთხანე] ‘საპირფარე-შო’) — ‘აბდესის (ნ.) ასაღები ადგილი’; ‘პირსაბანი’, ‘აივანი’; ქერე-მეთხანა, ფერციხანა (‘კრამიტის საჭრელი, საკრამიტე ფარდული’); ჭეფხანა (‘იარალის საწყობი’, ‘არსენალი’); არჩიხანა (‘სამზარეულო’) და სხვა.

უცხოური მოდელის თხზულ სახელებს ზოგჯერ ან სულ არ გადმოყვება დერივაციული აფიქსი ანდა რამდენადმე შეცვლილი თუ მოკვეცილი აქვესბგერა (ბგერები), მაგალითად:

თუთუნ-ქეხა (←თ. tütün+სპ. كعب [ქესე] ‘ქისა’, ‘პარკი’+თ. su ‘კუთვნილ. აფიქსი’) — ‘თამბაქოს ქისა, პარკი, სათუთუნე’.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, კუთვნილებითი აფიქსი (sı) აჭარულში აღარ ჩანს.

ფაშა-ალმა (←თ. paşa-alma + sı 'კუთვ. აფიქსი') — 'ფაშა-ალმა' (ერთგვარი ჯიშის ვაშლი).

მაღდანი (←თ. yag 'ზეთი', 'ცხიმი'+სპ. la [ღარ] +თ. lk 'რისამე მფლობელობა — ქონების აფიქსი') — 'საზეთე', 'საქონე'. ნასესხებ სიტყვას აფიქსი lk არ გადმოყვა.

ყათმერი (←თ. katmer + ს 'ყოლა — ქონების გამომხატველი აფიქსი') — 'ფენოვანი ქადა'.

## სტრუქტურული ნასესხობანი — კალკი

12. 15. აჭარულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის გარკვევისათვის, აჭარულის შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს სესხების განსაკუთრებული სახეობის — კალკირების გამოვლინებასაც. სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა გარკვეული, რომ კალკირების დროს ნასესხებია სიტყვის (ასევე, შესიტყვების) წარმოქმნის პრინციპი, ელემენტთა კომბინაცია, რაც შეეხება კალკში შემავალ ელემენტებს, ისინი საკუთარ მასალას წარმოადგენს<sup>1</sup>.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ აჭარული ლექსიკისათვის დამახასიათებელია თურქული ენიდან ცალკე სიტყვებისა თუ გამოთქმების კალკირება. დადასტურდა თურქული არა ერთი სტრუქტურული ფრაზა (ან გამოთქმა-შესიტყვება), რომლებშიდაც პრედიკატული წევრი ყოველთვის ქართული ზმნითაა გადმოცემული, ხოლო სახელადი, დიალექტური სიტყვაა, ზოგჯერ უცხოური (თურქულ-არაბულ-სპარსული) წარმოშობისა. ასევე დადასტურებულია აქ თურქული ანალიზური ზმნების კალკირება. „ასეთი ზმნები ორი ნაწილისაგან შედგება. თურქული ან უცხოური (არაბული, სპარსული) წარმოშობის სახელისა და დამხმარე ზმნისაგან, რომელიც ყოველთვის თურქულია“<sup>2</sup>, მაგალითად:

<sup>1</sup> კალკირების საკითხზე იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალ, თბ., 1952, გვ. 195; Реформатский Введение в языкознание. ч. II. М., 1953, გვ. 107; Ф. Будагов, Введение в науку о языке, М., გვ. 111; თურქული კალკის შემთხვევები ლაზურში სპეციალურად აქვს შესწავლილი ს. ჭიქიას: იხ. თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ., 108, 1964, გვ. 253.

<sup>2</sup> იხ. შ. ნიქარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957, გვ. 61; ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961, გვ. 125; აჭარულში კალკირების საკითხს სპეციალური წერილი უძღვნა ნ. გურგენიძემ: „თურქული

თერბიეს მიცემა — 'აღზრდა', 'გაწვრთნა'. კალკირებაა თურქული გამოთქმისა: *terbiye vermek* (← არაბ. تربيت [თარბიჲთ] 'აღზრდა' + თ. *vermek* 'მიცემა') სიტყვა-სიტყვით: აღზრდის მიცემა.

კიბილის ქირა — 'ქორწილში მაცრებისათვის მისართმევი ხორაგი'. კალკირებაა თ. *diş kire*-სი (← თ. *diş* 'კბილი' + არაბ. كير + თ. *si* 'კუთენ. აფიქსი'). სიტყვა-სიტყვით: 'კბილის ქირა', 'გადასახადი'.

კლავს უწ [ვ]დიდა — 'ტოლს არ უდებდა': „ქორ-ხუ-სენის იმხელა ძალა მოუპოვებია, რომ სულთანს კლავს უწ დიდა“; „ის (სელიმ ფაშა) სულთანს კლავს უწ დიდა“.

მოცემული ფრაზეოლოგიური შესიტყვება უშუალო გადაღებაა „თურქ. *el uzatmak*-ისა, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: 'ხელის გაწვდენა', 'ხელის წაგრძელება', 'სხვისი კუთვნილის მითვისება', 'წართმევა', 'დაპყრობა' (← თ. *el* 'ხელი' + *uzatmak* 'გაწვდენა')<sup>1</sup>.

მეშვერეთი ექნათ — 'მოვითათბიროთ'<sup>2</sup>: „ნუ აჩქარდები, ბიძავ, ასე ხელაღებია უარს ნუ გვეტყვი, მეშვერეთი ექნათ, კარქა ჩუფიქრდეთ“. ეს გამოთქმა, ექვი არაა, უშუალო გადაღებაა თურქული ანალიზური ტიპის ზმნისა *meşveret etmek* (თ. *meşveret* ← არაბ. مشورة 'თათბირი', 'საბჭო'<sup>3</sup> *etmek* 'გაკეთება') — 'მოთათბირება', 'მოლაპარაკება'. სიტყვა-სიტყვით: 'თათბირის ბჭობის გაკეთება'.

გაქარდა — ნ. გურგენიძე ამ ზმნას კალკირებულ ფორმად მიიჩნევს, რისთვისაც ასეთ ფრაზებს იმოწმებს: „ქორ-ოღლიმ შაკაზმია ცხენი და ხუთ მინუჩი გაქარდა იმ არემარეში“ (ნიე. II, 18); „ერთიც შეიხედა, რომ ჰაღადაა ი გოგო, თვალ და ხელ შუა გუქარდა“ (ნიე. II, 185). „— ჰა წუჟდა ამტოხან, ჰა გაქარდა ნეტად?“ (ნიე. II, 181).

---

კალკები აქარულში“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ. 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 6, 1967.

1 *ش سامی، ماموس ترکی* გვ. 152; Y. W. Redhouse A. Turkish and English Lexicon, Constantinople 1921, გვ. 178; Ağakay. Türkçe sözlük, გვ. 251; Магазиник. ...словарь, გვ. 167 (დამოწმებული ნ. გურგენიძის მიერ; დასახ. შრ. გვ. 131).

2 შ. ნიქარაძე, ზემოაქარულის თავისებურეთანი გვ. 61.

3 Б а р а н о в, Арабско—русский словарь, 265.

ვეიქრობთ, რომ — განაგრძობს ავტორი, — „გ ა ქ ა რ დ ა“ აქ უნდა იყოს თურქული ზმნის *yel olmak*-ის კალკი, რაც „გაქრობას“ ნიშნავს (თ. *yel* 'ქარი' + *olmak* დამხმარე ზმნა) სიტყვა-სიტყვით: *yel oldu* 'ქარად იქცა', ე. ი. 'დაიკარგა', 'გაქრა'!

დაბეჭილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია.

როგორც ცნობილია, აქარულში „ნამყოს მიმღეობისაგან ნაწარმოები ზოგიერთი ზმნა გამოყენებულია დრო-კილოთა პირველ წვეფში: ერთმანეთ ვერ ტ ა ნ უ ლ ო ბ დ ნ ე ნ... ნეტად რას ტ კ ე ნ უ ლ ო ბ ს?..

ასეთივე წარმოებისაა გ ა ქ ა რ ვ ე ბ უ ლ ა, რომელსაც თურმეობით პირველში გ ა მ ქ რ ა ლ ა ზმნის შინაარსი აქვს. ლიტ. გ ა ქ რ ა ზმნა ნამყო წყვეტილში დ-ონიან წარმოებას მიჰართავს: გ ა ქ ა რ დ ა „ამინუჩი აქ იყო, ჰა გ ა ქ ა რ დ ა ნეტად“.

ასე რომ, აქ. „გაქარდა“-ს დაკავშირება თურქული ზმნის *yel olmak*-თან, თუნდაც იმიტომაც საფუძველს მოკლებული, რომ თურქ. ანალიზური ტიპის ზმნის („*yel olmak* 'გაქრობას' მნიშვნელობით) კალკირებული ფორმა აქარულშიც ანალიზური ტიპის ზმნითვე უნდა გამოხატულიყო: „იელად იქცა“ 'დაიკარგა', 'გაქრა'-ს მნიშვნელობით. აღსანიშნავია, რომ თ. *yel* 'ქარი' აქარულ ლექსიკაში დადასტურებულია კომპოზიტში „ი ე ლ-ქ ა რ ი“ ('ქარი — სწრაფის შინაარსობლივი ელფერთი').

ცალკე უნდა გამოიყოს მორფოლოგიური კალკი. ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევას, როდესაც თურქული ზმნის (ინფინიტივის ან პირიანი ფორმის) ფუძე აქარულში უცვლელადაა გადმოსული, ხოლო ფორმა კი იწარმოება ქართული მორფემების საშუალებით.

მე-ი-რაჰათ-ებ-ს ('დაისვენებს', 'დამშვიდდება'). ამ ზმნას ძირად გამოყენებული აქვს არაბული წარმოშობის  $\text{راح}$ , [რაჰათ], რომელიც თავის მხრივ თურქ. სტრუქტურულ მოდელში შევიდა ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელ ფუძედ: *rahatlanmak* ('დასვენება', 'მოსვენება'; 'მშვიდად ყოფნა'). ამავე ძირისაგანაა („რაჰათ“) ნაწარმოები საწყისი ფორმა (მო-რაჰათ-ება) და მიმღეობა (მო-რაჰათ-ებ-ულ-ი).

დე-ი-ზაჰმეთ-ებ-ს ('თავს შეიწუხებს, გაირჯება'): „ერთი რომ მეი[რ]თველებ, ტაიავ, ჩვენც გვესტუმრე, დ ე ი ზ ა ჰ მ ე თ ე ერთი, რა იქნება! აქ ძირია არაბ.  $\text{حما}$  [ზაჰმათ], რომელიც თურქულში

1 ნ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, დასახ. შრ., გვ. 135.

2 შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, გვ. 100-101.



აღწერილობითი ზმნის ფორმაში შევიდა სახელად ნაწილად: zahmet çekmek, zahmet vermek, zahmet etmek (სიტყვა-სიტყვით: 'ზაჰმეთის გაწევა', 'ზაჰმეთის მიცემა', 'ზაჰმეთის გაკეთება'). აღსანიშნავია, რომ აჭარულში ამ ზმნის მნიშვნელობით თურქული კონსტრუქციის ფორმებიც გვხვდება: ზ ა ჰ მ ე თ ი ს მ ი ც ე მ ა, ზ ა ჰ მ ე თ ი ს გ ა წ ე ვ ა.

უ-დინგლ-ებ-ს ('უსმენს'), დუ-უ-დინგლ-ებ-ს ('მოუსმენს'), დი-მ-ი-დინგლ-ე ('მომისმინე') — უკავშირდება თურქული ზმნის ფორმებს, რომლის ფუძეს წარმოადგენს dinle 'მოსმენა', 'დაჯერება'¹.

### ნასესხებ სიტყვათა ფონეტიკა

12. 16. ბგერითი შედგენილობის მხრივ ნასესხები სიტყვები ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავდება პირველადი ფორმებისაგან. ეს შეპირობებულია მსესხებელი და „წყარო ენის“ ბგერითი სისტემის სხვადასხვაობით².

ირკვევა, რომ აჭარულში თურქულიდან შემოსული სიტყვები ძირითადად თანხმოვანთა მხრივ განირჩევა პირველადი ფორმებისაგან, რადგანაც სხვაობა ქართულ და თურქულ (ასევე, არაბულ და სპარსულ) ხმოვანთა სისტემებს შორის ისე მკვეთრი არაა, როგორც თანხმოვანთა სისტემებს შორის.

თურქულ ხმოვანთა და თანხმოვანთა დიდ უმრავლესობას აჭარულში მეტ-ნაკლები სიხშირით მოეპოვება რამდენიმე პარალელი³. გასათვალისწინებელია აჭარულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებებიც (ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი და სხვა).

### ნასესხებ სიტყვათა გახმოვანება

12. 17. თურქული *ı* და *i* → აჭარულში *ი*, უ. თურქული ენის ხმოვანთა სისტემაში, როგორც ცნობილია, ორგვარი *ი* გამოიყოფა: ერთია ვიწრო წინა ხმოვანი *i*, რომელიც ქართულ *ი*-ს ემსგავსება, ხოლო მეორე — უკანა რიგის ვიწრო *ı*, რომელიც რუს. *и*-ს ეკვივალენტია. *и* ხმოვნის ასეთი დიფერენცირება თურქული წარმოშო-

1 ნ. გურგენიძე, დასახ. შრ., გვ. 311.

2 იხ. მ. ანდრონიკაშვილი, ირანულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობიდან: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია. II, 1957, გვ. 198.

3 ნ. გურგენიძე, დასახ. შრ., გვ. 314.

ბის სიტყვებში აქარული მასალების მიხედვით არ ჩანს. ქართ. ი ხმოვნით აღიქმება თურქული ი(i) ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: ა რ ჩ ი (←თ. açıcı 'შხარეული'), ბ ა ჯ ი // ბ ა ჯ ი ა (←თ. bacı 'და' ['ceçirpa']), ჰ ა ზ ი რ ი (←თ. hazır←არაბ. حاضر [ჰადირ] 'შხა')...

მაგალითები სალიტ. თ. ი, i თ. დიალ. u→აჟ. უ: ა ზ უ ლ ი (←თ. azık 'საგზალი'), „აქარულში გვაქვს თურქული წარმოშობის სიტყვათა ინლაუტში: სალიტ. თ. delik 'ხვრელი' (Mar.), აჟ. 'დე-ლუგი“<sup>1</sup>, ყ ი ზ ი ლ ჯ უ ლ ი (←თ. kızılçuk 'შინდი').

სალიტ. თ. u თ. დიალ. o→აჟ.-ში—ო

ო რ ო ს პ ი (←თ. oruspu←სპ. روسپی [რუსჲე] 'როსკიბი'). აღსანიშნავია, რომ r თანხმოვნით დაწყებულ უცხო სიტყვებს ხშირად უჩნდება o ხმოვანი: ო (→ოროსპი).

ბ ო ლ ა შ უ ლ ი (←თ. bulaşık 'თავგზააბნეული'), ბ ა რ ო თ ი (||ბარუთი)←სალიტ. თ. barut←არაბ. باروت 'თოფის წამალი', 'დენთი'.

სალიტ. თ. ö→აჟ. ო: დ ო შ ა მ ა (←თ. döşeme 'იატაკი'), ო მ რ ი თ. ömur←არაბ. عمر ['ამრუნ'] 'სიცოცხლე', 'ცხოვრება' (გ. წერ.) : „ო რ ა ტყვილაი გამიარა ოზდაათი წლის ომ რ ი ა“ (გაზ. „საქ.“ 1915, №258), ბ ო რ ე გ ი (←თ. börek 'ნამცხვარი').

სალიტ. თ. ü დიალ. ü→აჟ. უ: ზ უ ბ უ ნ ი (←თ. zübün 'ქურ-თუქი'): „ერთ ფუხარასა ვესტუმრე, ტანს არ ეცვა ზ უ ბ უ ნ ი“; მ უ ლ ა ი მ ი (←თ. mülayim 'რბილი').

სალიტ. თ. ü→ვი: დ ვ ი რ ბ ი ლ ი (←dürbin←სპ. دوربین [დურბინ] 'დურბინი'), ქ ვ ი შ ტ ე რ ე (←თ. küstere 'სალესი ქვა')—'ქუშტარა'.

### თურქულ კონსონანტთა ეკვივალენტები

12. 18. სალიტ. თ. b თ. დიალ. v→აჟ. ვ: დ ო შ ო რ ვ ა (←თ. çorba 'წვენი'). ასევე „თ. დიალექტ. şorva (Anadil. Deri) აჟ. 'შორვა“<sup>2</sup>.

სალიტ. თ. K (ق) თ. დიალ. g აჟ.-ში→ყ: ყ ე ბ ი ლ ე (←თ. kabîle არაბ. قبيلة [კაბილათ])—'ტომი' 'ოჯახი'; ყ ი რ ს ე რ დ ა ლ ი (←თ. kir

<sup>1</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. შრ., იქვე.

<sup>2</sup> ნ. გურგენიძე, დასახ. შრ. გვ. 314.

+სპ. سدر [სდრდარ] — ‘რაზმის უფროსი’; ყარაყიში (←თ. kara-kiş ‘სუსხიანი ზამთარი’) გად. დეკემბერი: „...ყარაყიშის ოზდარ-ვასა ეს საქმე ნამდვილ არიო“ (აჭ. ხ. პოეზ.).

იგივე სალიტ. თ. k (ق), თ. დიალ. k, g → აჭ-ში → კ. ასეთი შემთხვევები იშვიათად დასტურდება აქარულში: კ ა ნ ჯ ა (←თ. kanca) — ‘ზამბარა’; კ ა ი მ ა ლ ი (←სალიტ. თ. და თ. დიალ. kaymak ‘ნაღები’ — Mar., Anadil. Derl.).

„აქარულ და გურულ დიალექტებში, — შენიშნავს ნ. გურგენიძე, — k თანხმოვნის ნაცვლად სიტყვის თავში მკვეთრი კ-ს მცირერიცხოვანი შემთხვევები შესაძლებელია ავსხნათ იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტით, რომ ق ტრაპიზონის მეტყველებაში ყრუხშულია, ე. ი. ისეთივე როგორც სალიტ. თურქულში<sup>1</sup>. მაშასადამე, შესაძლებელია, რომ აქარულსა და გურულ დიალექტებშიც მკვეთრი „კ“ ტრაპიზონული ფშვინერ (ق)-ის ქართული რეფლექსი იყოს, ხოლო თავკიდური კ(ق)-ის ქართ. „ყ“ თანხმოვნით გადმოცემა კი ანატოლიის დიალექტებში (არზრუმი, ყარსი, თერექემა) დადასტურებული თავკიდური ق-ის მკვეთრი ვარიანტის (g) გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს. როგორც პროფ. ს. ჯიქია აღნიშნავს, აქარულ-თურქული ურთიერთგავლენის შესწავლისას დადასტურებული თურქული სიტყვები, რომლებსაც თავკიდური ق-ის შესატყვისად აქვთ „ყ“ და „კ“ თანხმოვნები, სხედასხვა გზით არიან შემოსული<sup>2</sup>.

თ. k (არაბ. — სპ. ق-ს ეკვივალენტად) აქარულში ზოგჯერ გადმოიცემა ველარი ყრუ სპირანტით ხ ყველა პოზიციაში: sokak ‘ქუჩა’ აჭ-ში → ს ო ხ ა ხ-ს:

„ს ო ხ ა ხ შ ი წყალი დამეკა,

მ ო ლ ი, ც ი ც ა ე, მ ო ც ო ხ ე ო“ (აჭ. ხ. პოეზ.).

აღსანიშნავია, რომ ეგვეე სიტყვა (sokak) კანურში ს ო კ ა ლ ი-ს სახითაა წარმოდგენილი (ნ. მ ა რ ი, ჰან. გრამ.); ა დ ა მ ა ხ ი ლ ლ ი (←თ. adamakılı ‘რივიანად’) — ‘ჯეროვნად’, ‘კაცურად’, ‘რივიანად’; მ ა ხ ა ს ი (←თ. makas — არაბ. مقص [მაკასს]) — ‘მეკრატელი’; ნ ა ხ ი შ ი (←თ. nakış — არაბ. نقش [ნაქშ]) — ‘ნაყში, ნახჭი’.

<sup>1</sup> В. Писарев. Несколько слов о трбизиондском диалекте. ЗВО. XIII, II-III. Санктпетербурги. 1901, 175 (დამოწმებული ნ. გურგენიძის მიერ — დასახ. შრ., გრ. 316).

<sup>2</sup> ს. ჯიქია, მე-18 საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქ. სასწ. წიგნი, გვ. 203.

5. საერთო თ. k(ق), თ. დიალ. ჭ ინლაუტსა და აუსლაუტში აჰ-ში—უკანანისმიერ მელერ სპირანტ ღ-ს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, k(ق) აჰარულში, ჩვეულებრივ, მელერდება ბოლოკიდურ წარმოთქმაში, და, როცა იგი ორ თანხმოვანს შორისაა მოქცეული: ხ ო რ თ ლ ა ღ ი (←თ. hortlak 'ვამპირი', 'ზმანება') — 'მოჩვენება', 'ვამპირი'; ხ ა რ ჭ ლ უ ღ ი (←თ. harçlık←არაბ. حرج [ხარჯ] + თ. lik 'სადერივაციო აფიქსი') — 'სახარჯავი ფული', 'ჯიბის ფული'; პ ა რ მ ა ღ ლ უ ღ ი (←თ. parmaklık 'მოაჯირი', 'რიკული', 'ბალუსტრადა') — 'აივანი', 'ბალკონი'<sup>1</sup>.

P(پ) და t(ط ت), ჩვეულებრივ, გადმოცემულია შესაბამისი მკვეთრი პ და ტ თანხმოვნებით, რითაც ვლინდება ქართული ენის ტენდენცია—აბრუტტივიზაციისადმი: ტ ა ბ ა ხ ხ ა ნ ა (←არაბ.—სპ. ادعاء [დაბბა] ხანე)—'ტყავის ქარხანა'—'ლაბახანა'; ტ ა რ მ ა ტ ა ღ ი ნ ი (←თ. darmaeagin) 'მიმოფანტული'; შღრ. ქიზიყ. დარდაღინა'; პ ა რ მ ა ღ ლ უ ღ ი (თ. parmaklik 'მოაჯირი', 'აივანი').

იმავე ბგერების P(پ) და t(ط ت) ეკვივალენტად გვხვდება ბაგისმიერი ქართ. ფ და ენაკბილისმიერი ხშული თ: ფ ა ღ ღ უ მ ი (←თ. paldim) — 'პალღუმი' (შღრ.); ფ ე რ ვ ა ზ ი (←თ. pervaz←სპ. پرواز [ფარვაზ]) 'ჩარჩო', 'ლავეარდანი'; თ ი თ ი ზ ი (←თ. tiliz)—'ანჩხლი'—'ახირებული'; თ ა ხ ე თ ი (←თ. lakat←არაბ. لاقط [ტყავთ]) — 'ძალი', 'ლონე'.

თურქულიდან ნასესხებ არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვებში არაბ. მელერი ფარინგალური სპირანტი و (ع) სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვა რეფლექსის სახით წარმოგვიდგება.

ე ს ა ე რ თ ო ქ ა რ თ უ ღ ი ს მ ს გ ა ვ ს ა ღ თ ა ე კ ი დ უ რ პ ო ზ ი ც ი ა შ ი ი ქ ა რ გ ე ბ ა: ი ბ რ ე თ ი (←თ. ibret←არაბ. عبرة [ებრათ] 'მაგალითი', 'დარიგება') — 'უჩვეულო', 'საკვირველი':

„ახლა რძალი მოვიყვანე,

თლათ იბრეთი შემეყარა“ (აჰ. ხ. პოეზ.).

სიტყვის ფუძეში: თაბიეთი (←თ. taibiat←არაბ. طيبة [ტაბიყათ] 'ბუნება', 'ხასიათი') — 'ხასიათი'; უ თ ა ბ ი ე თ ო — 'უხასიათო'; ზ ა ნ ა თ ი (←თ. zanaat, zanat←არაბ. صناعة [სინაყათ] 'საქმე', 'საქმიანობა') — 'ხელობა', 'საქმიანობა'.

<sup>1</sup> ერთადერთი მაგალითით დასტურდება, როცა იმავე ველურ მელერ სპირანტ ღ-ს გვაძლევს v ჭ უ ლ ა ბ ი // ჭ ე ვ ა ბ ი (←თ. cevap←არაბ. جواب [ჯავაბ] — 'პასუხი' (შღრ. აზერბ. Khabar).

ბოლოკიდურ პოზიციასში: მუშამბა (←თ. musamba← არაბ. مَشَع [მუშამაყ] 'გასანთლული') 'გასანთლული ქსოვილი' (წყალგაუვალა)

ع (აენი)→ლ(غ)-ს ან ნაქისმიერ ყრუ ხშულ ყ(ق)-ს: ჭემა-  
ღეთი (←cemaat←არაბ. جَمَاعَات [ჯამა'ათ]) — 'კრებული', 'ჯამაათი' (შდრ.); ყებბასი (←თ.-არაბ. عَبَّاس [აბბაშ]) — 'მამაკაცის სახელი'. მელყუნი (←არაბ. مَلْعُون [მალ'უნ]) — 'წყეული'; ფირყეენი (←არაბ. فِرْعَوْن) — 'ფარაონი'.

ع (აენი)-ს ზოგჯერ ენაცვლება ჰ: საპათი (←თ. saat← არაბ. سَاعَة [სა'ათ]) — 'საათი'; ჰასუთა (←არაბ. عَصَدَة [ასინდათ] 'ფაფა') — 'ტყბილი ფაფა'.

ع (აენი)-ის აკუსტიკური შთაბეჭდილება შეიძლება დაგვიჩვენოს საგანგებო დაკვირვების შედეგად ისეთ სიტყვებში, როგორცაა: მუყელიმი (←თ. miuallim← არაბ. مَعْلَم [მუ'ალლიმ]) — 'მასწავლებელი'; ყეზრაილი (←თ. Azrail← არაბ. عَزْرَائِيل [აზრა'ილ]) — 'სიკვდილის ანგელოზი'.

ჰ (ح) არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვებში ვხვდებით მაქართ. ჰ ბგერით (საერთო ქართულში იგი იკარგება): ჰელალი (←თ. hēlāl← არაბ. حَلَال [ჰალალ]) — 'ალალი' (შდრ. საერთო ჰართ. ალალი); ჰერრაჰი (←თ. cerrah← არაბ. حَرَّاح [ჰარაჰ]) — 'ჯარა', 'დასტაქარი' (შდრ. საერთო ქართ. 'ჯარა'); ჰალლა (←თ. halka← არაბ. حَلَقَة [ჰალკათ]) — 'სალტე', 'სიმი':

„ჩუნგურის ჰალლა გამიწყდა,

ვაჟი, ჩემო დანგუნაო“ (აქ. ხ. პოეზ., შდრ. ქართ. ალყა).

რაც შეეხება არაბ.—სპარს. ح (ხ) თანხმოვანს, იგი აღმოსავლური წარმოშობის სიტყვებში, ჩვეულებრივ, ჰთანხმოვნით გადმოიცემა: ხებერი (←თ. haber← არაბ. حَبْر [ხაბარი]) — 'ხაბარი', 'ამბავი' (შდრ. ქართ. 'ხაბარი'); ხუთბე (←თ. hutpe← არაბ. حُطْبَة [ხუტბათ] 'სიტყვა', 'ქადაგება') — 'მეჩეთის ნაწილი — შემადღებელი ადგილი — ამბიონივით, საიდანაც ხოჯა ქადაგებდა მუსლიმანურ ღოგმებს, ჩვეულებრივ, პარასკევით, ან ბაირამის დღესასწაულზე. (ح (هَاء)) ნასესხებ სიტყვებში ქართ. ჰ (ჰაე) ბგერად აღიქმება, მაგ.: ჰუჯუმი (←თ. hücum← არაბ. هُجُوم [ჰუჯუმ] 'თავდასხმა') — 'იეროში', 'შეღევა'; ჰავანი (←თ. havan← სპ. هَوَان [ჰავანგ, ჰავან] 'ავანდასტა') — 'თამბაქოს საჭრელი დაზვა' (შდრ. ქართ. ავანდასტა).

ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი როგორც ფონემა, წინააღმდეგ საერთო ქართულისა, აქარულში უცვლელადაა აღქმული ყველა სახის პოზიციაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ფრიად დამახასიათებელია ჰ ბგერის რეფლექსი ქობულეთურ მეტყველებაში. აქ უცხო (თურქ. არაბ.-სპ.) წარმოშობის სიტყვებში, თითქმის ყოველთვის ხ (ح, خ) → ზ-ს (შდრ. ავ. ყაპვე ქობ. ყახვე, ჰასუთა-ხასუთა, მოჰორი-მოხორი)<sup>1</sup>.

## გემინირებულ თანხმოვანთა გადმოცემა

12. 19 ქართულისათვის ფუძისეულ თანხმოვანთა გემინაცია უცხოა. ნასესხებ სიტყვებში გემინატი, ჩვეულებრივ, გამარტივებულია. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს აქარული, რომელშიც არაბული წარმოშობის სიტყვებთან გემინაცია დაცულია ყოველგვარ პოზიციაში. ეს გამოწვეული უნდა იყოს თურქულის გავლენით. მივეუთითებთ ზოგიერთ მაგალითს:

დ: ლედღარი (←თ. gaddar←არაბ. جَدَّار [ლადღარ]) — 'მუხანათი', 'მტარული' (შდრ. ქართ. ლადარი); რედდი (←თ. redd←არაბ. رَدْد [რადდ]) — 'უარყოფა'; შიდდეთი (←თ. şiddet←არაბ. شِدَّة [შიდდათ]) — 'სიძლიერე'; 'მრისხანება'.

ვ: ყუვეეთი (←თ. kuvvat←არაბ. قُوَّة [კუვეათ]) — 'ძალა', 'ძლიერება' (შდრ. ქართ. ყუათი, ყუათიანი).

გ: მუეზზინი (←თ. müezzin←არაბ. مُؤَذِّن [მუაზზინ]) — 'მუეძინი' (შდრ.).

ნ: მინნეთი (←თ. minnet←არაბ. مِنَّة [მინნათ]) — 'მუნათი'; სუნნეთი (←თ. sünnet←არაბ. سُنَّة [ალ-სუნნათ]) — მუს. 'ტრადიცია', 'წესი'; თემენნა (←თ. temennā←არაბ. تَعَنُّت [თამანნა]) — 'მისალმება'; წენნეთი (←თ. cennet←არაბ. الْجَنَّة [ალჯანნათ]) — 'სამოთხე'.

რ: ჯერრაჰი (←თ. cerrah←არაბ. جَرَّاح [ჯარრაჰ]) — 'დასტაქარი', 'ჯარა' (შდრ.).

ჯ: თუჯჯარი (←თ. tüccar←არაბ. تَجَّار [თუჯჯარ]) — 'ვაჭარი'.

<sup>1</sup> შ. ნიჟარაძე, ქობულეთური მეტყველების დიალექტოლოგიური განსაზღვრისათვის: მოხსენდა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწ. პედინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა XXXII სამეცნ. სესიას, ბათუმი, 1971 წ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აპარულში არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც გემინატები მარტივდება (ისე, როგორც საერთოდ ქართულში); მაგალითად: მეზაკი, მეზაკიანი (←თ. mezzak←არაბ. مَذَاق [მაზზაკ]) 'სურვილი', 'ნდობა', 'წადილი'; ჰამა (←თ. ama←არაბ. أُمّ [ამამ]). ეს სიტყვა თურქულშიც ერთი m-თი გვაქვს. მუდერი (←თ. müderris←არაბ. مُدَرِّس [მუდარის]) — 'უმალღესი თანამდებობის სასულიერო პირი'.

ცალკე უნდა გამოიყოს ისეთი გემინატები, რომელნიც „წყარო ენისაგან“ კი არ მომდინარეობენ, არამედ შეპირობებული არიან ბგერობრივი პოზიციით. ავიღოთ სიტყვა შელღი (‘დროს ტარება’, ‘ქეიფი’, ‘ლრეობა’); იგი მომდინარეობს თურქ. şenlik-იდან. აპარულში ამ სიტყვის შეთვისებისას ჩაეარდა ფუძისეული n (ნ), რასაც შედეგად მოყვა კონტაქტურ პოზიციაში მყოფი მომდევნო l (ლ)-ს გემინაცია. შეიძლება აქ nl→ll-ს ასიმილაციის ვარაუდის დაშვებაც. ასეთივე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს შემდეგ სიტყვებს: მუქქემი (←თ. muhkem←არაბ. مَحْكَم [მუჰქამ]) — ‘ძლიერი’, ‘მაგარი’, ‘მკვირი’. თექელამა (←თ. tekerleme←არაბ. تَكْلَم [თაქალლუმ]) — ‘გადაკრული სიტყვა’, ‘ქარაგმა’, ‘კომპლიმენტი’; ტამაქქარი (←tamahkâr←არაბ. طمع [ტამა] + სპ. كَار [ქარ]) — ‘ხარბი’.

## ასიმილაცია

12. 20 ნასესხებ სიტყვებში ხშირად აღინიშნება ბგერათა დამსგავსება.

1. პროგრესული, დისტანციური, სრული ასიმილაცია ხმოვნებს შორის: მეზელუი (←თ. mezarlık←არაბ. مَزار [მაზარ] + თ. lik) — ‘სასაფლაო’; მუნქური (←სპ. منكر [მუნქირ]) — ‘უმადური’.

2. რეგრესული, დისტანციური, სრული ასიმილაცია: ყელემი (←თ. kalem←არაბ. قَلَم [კალამ]) — ‘კალამი’; ყურშუმყელემი (←თ. -არაბ. kursunkalem) — ფანქარი; ლეგენი (←თ. liğen←სპ. لِيغ [ლეგენ]) — ‘ლეგანი’; ბამბაიაზი (←თ. bem←არაბ. بِيض [ბამად]) — ‘ძალიან თეთრი’; აულურთი (←თ. ← yoğurt) — ‘მაწონი’; ფაღაქა (boğaca) — ‘რბილი პური’, ‘ნამცხვარი’, „ფუმფულუკი“ (გლ).

3. თანხმოვანთა ასიმილაცია. პროგრესული, დისტანციური, სრული: ჩარჩაფი (←თ. çarşaf←სპ. چارشف [ჩარშაფ] — 'წამოსასხამი'; ხირხა (←თ. hirka←არაბ. خرقه [ხირკათ]) — 'ზედატანი (ახალუხის მსგავსი)'.

4. პროგრესული, ნაწილობრივი: არხატაში (←თ. arkadaş); სახათი (←თ. sakat←არაბ. صاق [საკათ]) — 'დასახიჩრებელი', 'საბყარი'; მეშრეფი (←თ. meşrep←არაბ. مشرب [მაშრაბ]) — 'ნატურა'; 'გარეგნობა'; თოზალი (←თ. tozak) — 'ფიფქი'; დვადი (←თ. duvak) — 'სადედოფლო შარფი'.

5. რეგრესული, სრული, კონტაქტური: ტაბახხანა (←თ. tabak+სპ. حانه [ხანე]) — 'ტყავის ქარხანა'; თულლი-თულლი (←თ. tür-lü-tür-lü) — 'ნაირნაირი'; აელლი: აელლი სიმინდი (←თ. yerli) — 'ადგილობრივი', 'ადგილობრივი ჯიშის სიმინდი'.

6. რეგრესული, დისტანციური, ნაწილობრივი: ლაღაბი, ლაღუბი (←თ. lâkap←არაბ. لقب [ლაკაბ]) — 'მეტსახელი'; ნახიში მონახიშება (←თ. nakış←არაბ. نقش [ნაკშ]) — 'ნახტი', 'მონახტება'; ყულამფარა (←თ. kulampara←არაბ. كلال [ლულამ] 'ბიჭი'+სპ. چراغ [ფარე] 'ნაგლეჯი') — 'მამათმევალი', 'მუსუსი'; მახასი (←თ. makas←არაბ. مقاص [მაკას]) — 'მაკრატელი'.

7. ნბ→მბ (ნაზალიზაცია): ბიმბაში (←თ. binbaş) 'ათასისთავი', 'მაიორი'; ომბაში (←თ. onbaşı) — 'ათისთავი'.

უნდა შევნიშნოთ, რომ არაბ.-სპარსული წარმოშობის ნასესხობებში ამგვარი ცვლილება აპარულ ნიადაგზე არ მომხდარა, იგი თურქულშიც გვაქვს; მაგ.: ზემბერეჯი (←თ. zemberek←სპ. زنبرك [ზანბარკ]) — 'ზამბარა'; ზემბილი (←თ. zembil←არაბ. زنبيل [ზენბილ]) — 'ზამბილი'; ზამფარა (←zampara←სპ. زنبارة [ზანფარე]) — 'მუსუსი'.

8. აფრიკატიზაცია სპონტანური აფრიკატიზაციის შემთხვევათა მაგალითებია: ჩარჩაფი ('წამოსასხამი', 'ზეწარი'). ეს სიტყვა სპარსული წარმოშობისაა چارشف [ჩარშაფ]. იგი თურქულში — მსესხებელ ენაში დამოწმებულია çarşaf-ის სახით. როგორც ჩანს, თურქულში ეს სიტყვა რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილებას არ განიცდის. ♪ სპირანტის სპონტანური აფრიკატიზაცია გვაძლევს აფრიკატს: ხინძირი (←თ. hınzır←არაბ. حنزير [ხინზირ] 'ღორი') — 'ვერაგი', 'დაუნდობელი'; ڭ→ჭ: ეჯდეჰარი (←სპ.



ازدرا [აქდჰაჰ] — ‘გველეშაპი’. აღსანიშნავია, რომ საბას ლექსიკონში ეს სიტყვა ტრანსკრიბირებულია აქ დაჰ ფორმით; ზ სპირანტი → ძ აფრიკატს: ძ ა ბ უ ნ ი, მ ე ი ძ ა ბ უ ნ ე ბ ს (←სპ. بون [ზაბუნ]-იდან) — ‘საწყალი’, ‘მოისაწყლებს’. დაიძებნა ერთადერთი მაგალითი, რის მიხედვითაც თურქულ ნასესხობაში ფშვინვიერი აფრიკატი (ჩ) გადმოცემულია მკვეთრი ეკვივალენტით (ჟ): ფ ა ღ ა - ჟ ა (←თ. boğaca) — რბილი (პური, ნამცხვარი).

## დისიმილაცია

12. 21. ხმოვნის პროგრესული, დისტანციური დისიმილაცია: ი ბ რ ე ღ ი (←თ. ibrik).

2. თანხმოვანთა პროგრესული, დისტანციური დისიმილაცია: დ ა ყ ა რ ა ლ ე ბ ა (←არაბ. قرار [კარარ]) — ‘განსაზღვრება’; ფ ი რ ა ღ ი (←თ. firari←არაბ. فرار [ფირარარ]); ზ ე ნ გ ი - ლ ი // ზ ე ნ გ ი ნ ი (←თ. zengin←სპ. سنكين [სანგინ]) — ‘მდიდარი’.

3. თანხმოვანთა რეგრესული, დისტანციური დისიმილაცია: ლ ე ნ ჩ ი ბ ე რ ი (←თ. rençper←სპ. رنچپر [რანჯბარ]) — ‘მიწის მუშა’; მ ი ნ ქ ი ნ ი (←არაბ. ممكن) — ‘შესმენა’, ‘დაჯერება’ (შდრ. მენტ. შარაშ. მიქინი).

4. თანხმოვნის რეგრესული, კონტაქტური დისიმილაცია: ბ ო ნ - ლ უ ღ ო ბ ა (←თ. bolluk-იდან) — ‘სიუხვე’.

## ბგერათა დაკარგვა

### ხმოვნები:

12. 22. დ ვ ა ღ ი (←თ. duvak) — ‘სადედოფლო შარტი’. თურქული ენიდან მომდინარე „duvak“-ში (ასევე მომდევნო სიტყვებში) u (უ) ხმოვანი დაიკარგა უვა (uva) → უა → უა//ვა ფონეტიკური პროცესის შედეგად; ჯ ვ ა ღ ი // ჩ ვ ა ღ ი, ჯ ვ ა ღ ღ უ ზ ი (←თ. çuval, თ.-სპ. çuvaldis) — ‘ტომარა’, ‘მახათი’; ბ ე დ ვ ა (←თ. beddua←სპ.-არაბ. بد [ბად] + اءا [დუჰა]) — ‘წყეელა’, ‘შეჩვენება’; ხ ვ ა რ დ ა (←თ. hovarda) — ‘მოლხინე’, ‘ჯომარდი’.

ხმოვანთა დისიმილაციური დაკარგვის შედეგად გვაქვს: უ ჩ რ უ მ ი (←თ. uçurum) — 'ხრამი', 'უფსკრული'; ბ ო ჯ უ ნ დ რ უ ღ ი (←თ. boyunduruk) — 'უღელი'; ე რ ზ რ უ მ ი (←Erzurum); კ ო ნ დ რ ა (←თ. kondura) — 'ფეხსაცმელი'; უ ხმოვანი იკარგება აუ → —აჟ→ავ ფონეტიკური პროცესის შედეგად: ჩ ა ვ შ ი (←თ. ça-  
(vuş — 'ჩაფარი'; ი: დ ე ს ტ ა ნ ი (←თ. dasitan ←სპ. استان [დასთან]) — 'პოემა'; მ ე ნ ე ვ შ ა, მ ე ნ ე ვ შ ი ა ნ ი (←თ. mene-  
viş meenvi şli) — 'ჯავარი', 'პეწი'; 'ჯავარიანი', 'პეწიანი'; ა ღ შ უ თ ი (←თ. a ğizotu) — 'საპირისწამლე'.

### თანხმოვანთა დაკარგვა

12. 22ა. თ: ს ე რ ბ ე ს ი (←serbes/t) — 'გაბედული', 'მხნე'.  
ლ: თ ე ქ ე რ ე გ ი (←თ. tekerlek) — 'მრგვალი', 'წრისებური ხის ნაჭერი'.

ჩ: ზ ო ვ ღ ი (← zorlu) — 'შეძლებული', 'ყოჩაღი'; ჩ ა ი [ჩ რ] ლ უ ღ ი (←თ. çayırılık) — 'სათიბი' (შდრ. გურ. 'დაჩაირება').

გ: მ ო ს უ ფ უ რ ე ბ ა (←თ. süpürge-დან) — 'შოწმენდა'.

მ: ა ხ შ ა ნ ა მ ა ზ ი (←თ. akşam+სპ. نماز [ნამაზ]) — 'საღამოს ლოცვა'; ფ ა რ ა ფ ა რ ჩ ა (←თ. paramparça←სპ. پارچه [ფარეფარჩა]) — 'დაქუცმაცება', 'ნაკუწ-ნაკუწად ქცევა'.

ნ: კ ო ღ ა (←ლიტ. თ. kovan — ←ძვ. თურქ. قوغان) — 'გეჯა', 'ბუჯი'.

აღსანიშნავია, რომ ლიტ. თ. „kovan“-ი შემსუდინის მიხედვით დამახინჯებული ფორმაა ძვ. თურქ. قوغان-ისა. აჭარულს, ისე როგორც თურქულის დიალექტებს, შემოუნახავს ძვ. ფორმა (قوغان), ოღონდ აქ ბოლოკიდური ნ მოკვეცილია.

### გვერათა განვითარება

#### ხმოვანთა განვითარება

12. 23. ი: ბ ე დ ი ა ვ ა (←თ. bedava←სპ.-არაბ. بد [ბად] + არაბ. هوا [ჰავა]) — 'ტყუილუბრალოდ'; ნ ა ხ ი შ ი, მ ო ნ ა ხ ი შ ე ბ ა (←თ. nakış←არაბ. نكش [ნაქშ]) — 'ნახჭი', 'მონახჭება'.

### თანხმოვანთა განვითარება

ვ: ს ე ქ ე ი (←თ. seki) — 'ძველებური ფიცრული სახლის კედელზე მიშენებული ტახტი'.

რ: თ უ რ თ ხ ა ლ ი (←თ. *tutkal*) — გუმბარბიკი; ჰ ა ლ ი ლ ი,  
ჰ ა რ ლ ი ლ ი (←თ. *ağıl*) — 'ფარეხი'; ე ჯ დ ე ჰ ა რ ი (←სპ. ←*اجدع*  
[აქედჰჰ]) — 'გველეშაპი'.

### მეზათეზისი

12. 24 ბგერათგადასმა დასტურდება როგორც ანლოურ, ისე შორეულ პოზიციაში:

ლ-რ→რ-ლ: ლ ე ჩ ე რ ი (←თ. *reçel*←სპ. *رجل*) — 'ხილის წვენი — მოდულებული'¹.

ი-რ→რ-ი: თ რ ი ფ ა ნ ი (←*turfan*) — 'ცელი'.

აღსანიშნავია, რომ ზემოაქარულში გვაქვს ამ სიტყვის დუბ-  
ლექტური ფორმები: თირფანი // თრიფანი.

ი-რ→უ-მ: ფ ა ს ტ უ მ რ ა (←თ. *psurma*) — ბასტურმა (შდრ.).

ფ (b) — რ→რ-ფ (b): ქ ი რ ფ ი თ ი (←თ. *kibrit*←არაბ. *كبريت*  
[ქიბრით]) — 'ასანთი'.

ნ-ჰ→ჰ-ნ: თ ა ჰ ნ ა (←სპ. *تن* [თჰნჰ]) — 'მყურღო', 'მო-  
ხერხებული' (ადგილი).

ფ-ლ→ლ-ფ: ღ ა ლ ფ ი (←არაბ. *غلاف* [ღაფილ]) — 'ჯანგა-  
ტეხილი', 'მიკნავებული'.

### სუბსტიტუცია

12. 25. ბგერათშენაცვლება დასტურდება თითო-ორიოლა მაგა-  
ლითით. ერთმანეთს ენაცვლებიან როგორც ცალკე ბგერები (ხმოვ-  
ნები თუ თანხმოვნები), ისე ბგერათკომპლექსები ცალკეულ ბგერას;  
მაგალითად: ი (i) — ე: გ ა ჰ ე რ ს ე ბ ა, გ ა ჰ ე რ ს დ ე ბ ა (←თ.  
*hurs*←არაბ. *حرص* [ჰირს]) — 'გაბრაზება', 'გაბრაზდება'.

უ-ვი: დ ვ ი რ ბ ი ლ ი (←*durbin, dürbin*←სპ. *دوربین*  
[დურბინ]) — 'დურბინი' (შდრ.).

¹ გამოთქმულია მოსაზრება, რომ დ. მაგაზანიკი, მ. Ağakay, S. Sāmī და ე-  
რადლოვი 'reçel'-ის მიიჩნევენ თურქული წარმოშობის სიტყვად, ხოლო J. Redhouse-ი  
თელის სპარსულიდან მომდინარედ (*رجل*). სიტყვის აქარული ფორმა მიღებული უნ-  
და იყოს თურქული დიალექტური ფორმიდან, სადაც გვაქვს 'leçer' (იხ. ნ. გურ-  
გენიძე, დასახ. შრ., გვ. 310).

მ-ნ: ნაზალურ თანხმოვან მ-ს თავიიდურ პოზიციაში ენაცვლება ნ-არი; ნ უ ს ხ ა ფ ი (←თ. Musaf ← არაბ. مصاف [მუსაფ]) — 'მუსაფი' (მღრ.).

აღსანიშნავია, რომ აჭ. ნ უ ს ხ ა ფ ი უფრო ახლოს დგას არაბ. مصاف -თან, ვიდრე თურქ. Musaf-თან, რაც იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ხსენებული სიტყვა აჭარულში სასულიერო ლიტერატურული წყაროებით შემოვიდა.

ნ უ ს ი ბ ე თ ი (←თ. musibel ← არაბ. مصيبة [მუსიბათ]) — 'შარიანი', 'ახირებული'.

ს-ზ: წინაენისმიერი, ყრუ სპირანტი ს (s), ჩვეულებრივ, გვაძლევს იმავე არტიკულაციის მქონე ვარიანტს ზ (z)-ს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არაბული და სპარსული წარმომავლობის ნასესხებ სიტყვებში თავიიდური, აგრეთვე სხვა პოზიციის ყრუ სპირანტი ს მქონედება<sup>1</sup>.

ეს დებულება შეიძლება გავავრცელოთ ჩვენს საკვლევ დიალექტზე: თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში ქართულ (resp. აჭარულ) ნიადგზე ს (s) შესატყვის ზ (z) მქონეში გადადის, ოღონდ უპირატესად ბოლოვიდურ პოზიციაში: ყ ა ფ ე ზ ი (←თ. kafes ← არაბ. قفس [ყაფს]) — 'გალია', 'ხაფანგი'; რ ე ი ზ ი (←თ. reis ← არაბ. ريس [რა'ის]) — 'წინამძღოლი'; ნ ე ფ ე ზ ი (←თ. nefes ← არაბ. نفيس [ნაფას]) — 'სუნთქვა', 'ნაფაზი'.

ლ-რ: მ ა ი ა ს ი რ ი (←თ. mayasıl) — 'ბუასილი'.

თკ (თ. k) ← არაბ. تك (თხ: მ ა თ ხ ა ფ ი (←თ. matkap ← არაბ. مقب [მისკაბ]) — 'ციბრუტი', 'ბურლი'.

კდ (თ. kt) — ხტ: ბ ა ი რ ა ხ ტ ა რ ი (←თ.-სპ. bayrakdar) — 'მედროშე'; 'შამაკაცის საკუთარი სახელი'; ვ ა ხ ტ ი (←თ. vakit /kli) ← არაბ. وقت [ვაკთ]) — 'დრო' (მღრ. დოხტორი, კანდოხტორი).

სკ-სხ: ბ ა ს ხ ი (←თ. baskı) — 'წნეხი', 'პრესი'; ბ ა ს ხ ე ნ ი (←თ. baskın) — 'თავდასხმა', 'ჩხრეკა'.

## ფონეტიკური არჰაიზმი

12. 26. ზოგ სიტყვას აჭარულში შემონახული აქვს უფრო ძველი სახე, ვიდრე დღევანდელ თურქულში, მაგალითად:

<sup>1</sup> ს. ჭიქია, აღმ. წარმოშობის სიტყვათა ისტორიიდან. ენათმეცნ. ინსტ. შრ., აღმოსავლურ ენათა სერია, III, 1960, გვ. 1-2.

1. კოღა ('გეჯა', 'ბუკი'). სალიტ. თურქულში ამ ფორმას შეესატყვისება „kovan“-ი, რომელიც წარმოადგენს ძვ. თურქ. قوغان [კოღან]-ის სახეცვლილ ფორმას. აქარულს, ისე როგორც თურქულის დიალექტებს, შემოუნაწავს ძვ. თურქულის ფორმა (←قوغان), ოღონდ ბოლოკიდურ ნ-ს ჩამოკვეცით.

2. არსლანი, ასლანი ('ლომი'; 'მამაკაცის საკუთარი სახელი'). სალიტ. თურქულში გვაქვს aslan (Ağ, Mar.), ხოლო ძვ. თურქულში — arslan.

---

Ш. И. НИЖАРАДЗЕ

## АДЖАРСКИЙ ДИАЛЕКТ

### РЕЗЮМЕ

1. Целью данного труда является монографическое изучение аджарского диалекта. Как известно, этот диалект занимает особое место среди грузинских диалектов. Это «один из древнейших и весьма значительных диалектов грузинского языка». Хотя его изучению посвящено немало важных исследований, «но работы еще много» (В. Т. Топурия).

Аджарский диалект охватывает Аджарскую АССР, в которую входит 291 село Хулойского, Шуахевского, Кедского, Хелвачаурского и Кобулетского районов.

2. В специальной литературе отмечается, что аджарский является одним из тех диалектов, с изучением которого связан не один ряд узловых вопросов грузинской исторической диалектологии.

Аджарский диалект с разных сторон заслуживает внимания исследователей.

Во-первых, в аджарском, кроме тех особенностей, благодаря которым он выделился в отдельную диалектную единицу, встречаем явления, характерные как для западных, так и для восточных говоров грузинского языка.

Во-вторых, замечается довольно большое наслоение как лексических, так и фонетико-грамматических архаизмов, объясняющееся тем, что в эпоху турецкого ига аджарский диалект надолго был оторван от родной языковой стихии и развивался в чуждом ему языковом окружении, поэтому древнегрузинские слова и отдельные выражения по инерции продолжали сохраняться в определенных слоях населения и дошли до нас.

В-третьих, из факторов, обуславливающих своеобразие аджарского диалекта, надо отметить и то, что в нем заметны следы вначале колхского, а затем занского (мингрельско-чанского) субстрата.

В-четвертых, долгое нахождение аджарского диалекта во иноязычном окружении выявило в нем интересный лексический материал, который надо учесть при изучении взаимоотношения разноструктурных языков — грузинского и турецкого, при нахождении и установлении процесса «ороднения» заимствованных слов.

Специфические явления аджарского диалекта, можно сказать, в основном сосредоточены в нижеаджарском говоре. Этими особенностями богаче всех говор центральной части Аджарской АССР — Кедского района.

3. Изучение фонетико-грамматических особенностей аджарского диалекта началось с 1926 года. Первый труд о верхнеаджарском говоре принадлежит М. Хубуа («Языковой обзор верхнеаджарского»). В деле изучения этого диалекта большую работу проделал Джемал Ногаидели. Им опубликованы объемистые труды диалектологическо-фольклорного и этнографического характера. Следует отметить и труды К. Ломтатидзе и И. Мегрелидзе, посвященные аджарскому диалекту; кроме того, труды Д. Кобидзе и П. Джаджанидзе.

В художественной литературе и этнографических очерках образцы аджарского диалекта встречаются у Ч. Ломтатидзе, З. Чичинадзе, Т. Сахокия, Д. Бакрадзе и П. Умикашвили.

4. В аджарском диалекте традиционно выделяют два говора: верхнеаджарский и нижеаджарский. Наблюдения показали, что хотя кобулетский говор и обнаруживает много общего с верхне- и нижеаджарскими говорами (также и с гурийским), но в нем обнаружены многие такие самобытные (resp. специфические) лексико-диалектологические элементы, которые заметно отличают его от верхне- и нижеаджарского говоров. Так что существует вполне реальное основание кобулетский говор считать отдельной единицей аджарского диалекта.

5. Аджарский диалект имеет весьма заметные встречи с соседними диалектами. В частности, тесная связь кобулетского говора с гурийским диалектом уже не вызывает спора. Фонетико-грамматический и лексический анализ обоих диалектов — аджарско-гурийского (resp. кобулетско-гурийского) дает богатый материал для изучения истории их взаимоотношений.

6. Фонетическими и грамматическими процессами, а также с точки зрения лексики аджарский диалект, в частности, верхнеаджарский говор имеет много общего с месхско-джавахским. Вместе с общими явлениями нами проанализирован и ряд отличительных черт, казавшихся знаме-

нательными с одной стороны, для аджарского, с другой — для месхско-джавахского диалектов.

7. В IV главе дается соотношение аджарского диалекта к имерхевскому.

В результате сравнения — сопоставления диалектных материалов установлено, что аджарский и имерхевский диалекты имеют ряд общих черт как в фонетике, так и, в особенности, в лексике. Выяснено также, что оба диалекта принадлежат к группе западных диалектов грузинского языка.

8. В I главе II части труда даны фонетические особенности аджарского диалекта, где рассматриваются следующие вопросы:

Звуковой состав, из фонетических явлений: ассимиляция (всех видов), аффрикатизация, дезаффрикатизация, диссимиляция, диссимилятивное озвончение, метатеза, субституция, потеря звука, редукция гласных, полногласие, вставка звука и др.

9. II глава посвящается морфологической характеристике исследуемого диалекта. В ней рассмотрены:

Склонение имен, образование множественного числа, местоимение, предлог, наречия (времени, образа действия), частицы, словообразование, глагол (знаки субъектного и объектного лиц, образование числа, префиксы, тема, род, причастие) и др.

10. Из синтаксических особенностей аджарского диалекта выделяются следующие вопросы: функции форм склонения, согласование подлежащего и сказуемого в числе, союзы, своеобразные конструкции, о повторении слова и ударения, выражение обстоятельств.

11. В IV главе (II часть) представлена лексика, в которой выделены основные лексические пласты. Особое внимание уделяется вопросу заимствования слов — тюркизмов (тюркско-арабско-персидских слов). В связи с этим сказано, что разбор лексико-грамматических элементов, вошедших из турецкого языка, связан с множеством вопросов языкознания. Еще не до конца установлены те лингвистические факторы, вследствие которых иноязычные слова «врываються» в лексику заимствующего языка и совмещаются с ней. Еще не полностью выявлены причины, почему сохраняют заимствованные слова иноязычный оттенок, несмотря на их языковую «акклиматизацию», в чем особенности дистрибуции заимствованных слов, какова их валентность и др.

Наряду с семантическим анализом заимствованных слов нами разобраны и их фонетические и грамматические особенности.



SCH. I. NISHARADSE  
ADSHARISCHER DIALEKT

Zusammenfassung

1. Das Ziel der vorliegenden Arbeit ist das monographische Studium des adsharischen Dialekts. Wie es bekannt ist, nimmt dieser Dialekt eine bestimmte Stelle unter den georgischen Dialekten ein. Das „einer der ältesten und bedeutenden Dialekte der georgischen Sprache. „Obwohl seinem Studium viele wichtige Forschungen gewidmet sind, ist doch noch viel Arbeit daran“ (W. T. TOPURIA).

Der adsharische Dialekt umfasst die Adsharische ASSR, die 291 Dorfer der Rayons Chulo, Schuackewi, Keda, Chelwalschauri und Kobuleti umfasst.

2. In der speziellen Literatur wird bezeichnet, dass der adsharische Dialekt einer derjenigen ist, mit dessen Studium mehrere Knotenpunkte der georgischen historischen Dialektologie verbunden sind.

Der adsharische Dialekt verdient es, von allen Seiten aufmerksam erforscht zu werden.

Erstens finden wir im adsharischen ausser denjenigen Besonderheiten, denen wir es zu verdanken haben, dass er sich in eine aparte dialektale Einheit abgegliedert hat, solche Erscheinungen, die so wie für die westlichen als auch für die östlichen Mundarten der georgischen Sprache charakteristisch sind.

Zweitens wird eine ziemlich grosse Aufschichtung wie der lexischen als auch der phonetisch.—grammatischen Archaismen vermerkt, das dadurch zu erklären ist, dass in der Epoche des türkischen Jochs der adsharische Dialekt vom heimlichen Sprachelement auf lange getrennt war und sich in einer für ihn fremden Umgebung entwickelte, darum blieben einige altgeorgische Wörter und einzelne Redewendungen mechanisch in bestimmten Bevölkerungsschichten haften und haben uns erreicht.

Drittens ist auch folgendes bemerkenswert, dass unter den Faktoren, die die Eigentümlichkeit des adsharischen Dialekts bedingen, auch Spuren zuerst des kolchischen, und dann des sanischen (mingrelischen) Substrats zu vermerken sind.

Viertens offenbarte auch das langjährige Befinden des adsharischen Dialekts in der feindlichen Umgebung interessantes lexisches Material, das beim Studium der gemeinsamen Beziehungen der ihrer Struktur nach verschiedenen Sprachen—der georgischen und türkischen, beim Finden und der Feststellung des Prozesses“ der Akklimatisierung der entlehnten Wörter berücksichtigt werden soll.

Man kann sagen, dass die spezifischen Erscheinungen des adsharischen Dialekts im Grunde genommen in der niederadsharischen Mundart konzentriert sind. An diesen Besonderheiten ist am meisten die Mundart des zentralen Adshariens—des Rayons Keda—reich.

3. Das Erlernen der phonetisch-grammatikalischen Besonderheiten des adsharischen Dialekts begann seit dem Jahre 1926. Die erste Arbeit über die oberadsharische Mundart gehört Chubua M. (Sprachliche Übersicht des Oberadsharischen). Auf dem Gebiet des Studiums dieses Dialekts leistete Dsimal Nohaideli einen grossen Beitrag. Er veröffentlichte Werke des dialektologisch-folklorischen und ethnographischen Charakters. Es sind auch die Werke von J. Megrelidse zu erwähnen, die dem adsharischen Dialekt gewidmet sind; ausserdem die Werke von D. Kobidse und P. Dshadshanidse.

In der schönen Literatur und in den ethnographischen Skizzen kommen Musterbeispiele des adsharischen Dialekts bei Tsch. Lomtaldse, S. Tschitschinadse, T. Sachokia, D. Bakradse und bei P. Umikaschwili vor.

4. Im adsharischen Dialekt werden traditionell zwei Redensarten: die niederadsharische und die hochadsharische unterschieden. Die Beobachtungen haben gezeigt, dass obwohl die kobuletische Redensart auch viel gemeinsames mit den ober- und niederadsharischen Redensarten (ebenso auch mit der gurier Redensart offenbaren, sind doch in ihr viele solche eigenartige (resp. spezifische) lexisch-dialektologische Elemente, die sie bedeutend von den ober- und niederadsharischen Redensarten unterscheiden.

Also gibt es einen realen Grund, die Redensart von Kobuleti als eine Einheit des adsharischen Dialekts zu rechnen.

5. Der adsharische Dialekt hat bedeutende Berührungen mit den Nachbardialekten. Was die Verbindung der Redensart von Kobuleti und dem gurier Dialekt betrifft, ruft keinen Streit mehr hervor. Die phonetisch-grammatische und die lexische Analyse beider Dialekte-des adsharisch-gurier (resp. kobuleter-gurier) bietet uns reiches Material zum Studium der Geschichte ihrer Wechselbeziehungen.

6. Der adsharische Dialekt hat viel Gemeinsames in phonetischen und grammatischen und ebenso auch vom Standpunkte der Lexik aus, insbesondere die oberadsharische Mundart, mit der meschisch-dschawachischen Mundart. Zusammen mit allgemeinen Erscheinungen haben wir auch eine Reihe von Unterscheidungsmerkmalen analysiert, die uns einerseits für den adsharischen, andererseits für den meschisch-dschawachischen Dialekt bedeutend scheinen.

7. Im vierten Kapitel wird das Verhältnis des adsharischen Dialekts zum imerchewischen gegeben.

Als Resultat des Vergleiches der Gegenüberstellung der mundartlichen Materialien ist festgestellt worden, dass der adsharische und imerchewische Dialekt eine Reihe von allgemeinen Zügen wie in der Phonetik und besonders auch in der Lexik haben.

Es ist auch geklärt worden, dass beide Dialekte zu der Gruppe der westlichen Dialekte der grusinischen Sprache gehören.

8. Im ersten und zweiten Kapitel der Arbeit sind phonetische Besonderheiten des adsharischen Dialekts gegeben, wo folgende Fragen betrachtet werden.

Der Lautbestand, aus den phonetischen Erscheinungen; die Assimilation (aller Arten), Affrikalisierung, Desaffrikalisierung, Dissimilation, dissimulative Stimmlosigkeit, Metathese, Substitution, das Fehlen des Lautes, Reduzierung der Vokale, Vokalvölle, Einführung eines Lautes u. s. w.

9. Das zweite Kapitel ist der morphologischen Charakteristik des untersuchten Dialekts gewidmet. Im Kapitel sind betrachtet:

Deklination der Substantive, Pluralbildung der Substantive, das Pronomen, die Präposition, die Adverbien (der Zeit, der Art

und Weise), die Partikel, die Wortbildung, das Verb (die Zeichen der subjektiven und der objektiven Personen, Bildung der Zahl, Präfixe, das Thema, das Geschlecht, das Partizip) u. a. m.

10. Es werden folgende Fragen aus den syntaktischen Besonderheiten des adharischen Dialekts hervorgehoben: Funktionen der Deklinationsformen, Kongruenz des Subjekts und des Prädikats in Zahl; Konjunktionen, besondere Konstruktionen, über die Wiederholung des Wortes und der Betonung, Ausdrucksweise der Adverbialien.

11. Im vierten Kapitel (der zweite Teil) ist die Lexik dargestellt, in der die hauptlexischen Schichten hervorgehoben sind. Eine besondere Aufmerksamkeit wird Frage der Entlehnungen — der Türkismen (türkisch-arabisch-persischer Wörter) geschenkt.

Im Zusammenhang damit wird es gesagt, dass die Analyse der lexisch-grammatischen Elemente, die aus dem Türkischen gekommen sind, mit vielen Fragen der Sprachwissenschaft verbunden ist. Noch nicht bis zum Ende sind diejenigen linguistischen Faktoren festgestellt, infolge derer die fremdsprachlichen Wörter in die Lexik der entlehrenden Sprache „eindringen“ und mit ihr kongruent sind. Noch nicht ganz ist der Grund festgestellt, warum die entlehnten Wörter die fremdsprachige Sattierung beibehalten, trotz ihrer sprachlichen „Akklimatisierung“, worin die Besonderheiten der Distribution der entlehnten Wörter sind, wie ihre Valenz ist u. a. Neben der semantischen Analyse der entlehnten Wörter haben wir auch ihre phonetischen und grammatischen Besonderheiten untersucht.

---

აბულაძე ილია 58  
 აბუსერიძე 7  
 ანდრონიკაშვილი მ. 167, 180, 203  
 ანთელავა გ. 194  
 ახვლედიანი აზ. 166  
 ახვლედიანი გ. 39, 63, 66, 68, 71, 75,  
 89, 91, 93, 95, 100, 105, 115, 162,  
 166  
 ბარამიძე ალ. 58  
 ბაჩანა 184  
 ბელთაძე მ. 167  
 ბერიძე გ. 40, 42, 43, 46, 61, 98, 105  
  
 გამყრელიძე თ. 59, 63, 114, 115  
 გვლაძე ლ. 170, 173, 177  
 გაფრინდაშვილი შ. 86  
 გიგინეიშვილი ივ. 13, 15, 98  
 გულიაშვილი შ. 167  
 გურგენიძე ნ. 167, 170, 171, 175, 180,  
 184, 185, 200, 201, 202, 203, 204,  
 205, 213  
  
 დევეტერსი გ. 45  
 დმიტრიევი ნ. 194  
  
 ვარშანიძე მ. 170, 172, 178, 179, 190,  
 191  
 ვახუშტი ბაგრატიონი 6  
  
 ზია გოჭ ალფი 194  
  
 თანდილავა ზ. 166  
  
 თოფურია ვ. 5, 14, 15, 61, 79, 83, 91,  
 95, 107, 110, 111, 112, 113, 114,  
 121, 156, 168  
 იმნაიშვილი გრ. 39, 44, 45, 61, 69, 84,  
 87, 88, 89, 98, 99, 105, 107, 108, 109,  
 112, 123, 124, 130, 159  
 იმნაიშვილი ივ. 98, 147, 165  
 იოანე 7

კაკაბაძე ს. 6  
 კახაძე ო. 65, 75, 145  
 კახიძე ნ. 166  
 კეკელიძე კ. 129  
 კიზირია ა. 157  
 კობიძე დ. 13, 142, 166, 167  
 კომახიძე ნ. 13, 141  
 კუბლაშვილი კ. 64, 71, 72, 73, 82

ლეკიაშვილი ალ. 132  
 ლომთათიძე ქ. 80, 125, 143, 166  
 ლომთათიძე კ. 14, 176  
 ლომსაძე ო. 40, 44

მაგაზანიცი დ. ა. 213  
 მარი ნ. 9, 23, 49, 50, 61, 62, 65, 85,  
 86, 89, 90, 96, 104, 109, 112, 116,  
 119, 120, 121, 122, 127, 128, 130,  
 131, 132, 142, 154, 157, 162, 171,  
 172, 173, 174, 176, 178, 181, 205  
 მაისურაძე ი. 39, 48, 62, 135, 136, 174,  
 178  
 მარტიროსოვი არ. 41, 43, 48, 61, 65,  
 84, 89, 106, 109, 110, 112, 116, 124,  
 127, 128, 129, 131, 144  
 მაქაეარიაანი გ. 59, 63, 68, 114, 115  
 მეგრელიძე ი. 13, 84, 166  
 მელიქაძე ს. 48  
 მელიქიშვილი გ. 87  
 მენთეშაშვილი სტ. 146, 166, 211  
 მეჭმედ ემინი 194  
 მილერი 183  
 მროველი ლ. 6  
 მსხალაძე ა. 166

ნიქარაძე შ. 40, 41, 42, 44, 45, 47,  
 ნოზაძე 144  
 ნოლაიდელი ქ. 12, 83, 87, 87, 98,  
 114, 119, 121, 124, 125, 140, 144,  
 145, 146, 147, 150, 153, 155, 156,  
 158, 159, 163, 164, 165, 166, 173

პლინიუსი 6  
 ულენტი ს. 21, 23, 25, 61, 63, 65, 66,  
 52, 79, 93, 148, 158, 161, 165, 171,  
 200, 201, 202, 208

\* საძიებლები შედგენილია მხოლოდ ქართული ტექსტისათვის.

75, 95, 100, 113, 116, 162, 171, 173,  
175, 176  
რადლოვი ვ. 213  
რაზიკაშვილი თ. 184  
როგავა გ. 121  
რუსთაველი შ. 5  
საბა 60, 82, 96, 117, 153, 166, 172,  
173, 182, 186, 211  
სარჯელაძე ზ. 92, 93  
სახოკია თ. 34, 130, 138, 166, 173,  
178, 182  
უთურგაიძე თ. 69, 123  
უმეკაშვილი პ. 14, 176, 181  
ფარნავაზ მეფე 6  
ფოგტი პ. 87, 95  
ფონხუა ზ. 82  
ფშაველა ვ. 96, 104, 112  
ქავთარაძე ივ. 14, 15, 58, 60, 72, 86,  
80, 82, 84, 85, 89, 96, 98, 99, 105,  
112, 113, 117, 145  
ქალდანი მ. 107  
ქეშიკაშვილი ივ. 184  
ქობალავა ი. 86  
ლონტი ალ. 81, 82, 84, 123  
უაზბეგი გ. 34, 166  
ყიფშიძე ი. 23, 82  
შამალაძე ვ. 166  
შანიძე აკ. 58, 96, 111, 113, 119, 128,  
129, 130, 131, 136, 142, 143, 144,  
147, 150, 153, 158, 165, 167, 192.  
შარაშიძე გ. 82, 121, 125, 153, 211  
შარაძენიძე თ. 107, 117  
ჩიქობავა არს. 23, 60, 61, 63, 66, 67,  
69, 79, 92, 95, 99, 100, 107, 108,  
110, 111, 113, 115, 116, 121, 123,  
127, 130, 144, 147, 149, 150, 156,  
157, 162, 200  
ჩუბინაშვილი დ. 173, 174, 179, 180  
ჩუბინაშვილი ნ. 173  
ჩხეიძე ჟ. 166  
ცენკერი 183

ცერცვაძე ი. 147  
ცინცაძე მ. 45, 157, 166

ძიძიგური შ. 43, 46, 48, 49, 51, 62,  
65, 66, 75, 94, 117, 123, 130, 142,  
145, 159, 160, 166, 168, 172  
ძიძიშვილი მ. 99, 142  
ძოწენიძე ქ. 44, 120, 129, 130, 139

წერეთელი გ. 167  
წულაძე აპ. 177, 178, 190

ჭავჭავაძე ი. 5  
ჭინჭარაული ალ. 73, 99, 104, 112

ხალვაში ფ. 177  
ხიმშიაშვილი შ. 36, 56, 130, 156  
ხუბუა ა. 12, 25, 58, 68, 89, 97, 99,  
114, 122, 146, 163

ჯავახიშვილი ივ. 23, 166  
ჯანაშვილი მ. 75, 134  
ჯანაშია ნ. 167  
ჯანაშია ს. 6  
ჯანგიძე ვ. 167  
ჯაჯანიძე პ. 138, 166  
ჯიქია ს. 84, 167, 200, 205, 214

**ენების, დიალექტების (კილოების)  
კილოკავების, თქმებისა და  
მკვებების საქმიანული**

არაბული 48, 70, 167, 171, 176, 177,  
178, 179, 184, 186, 187, 189, 190,  
191, 192, 193, 194, 196, 197, 198,  
199, 200, 201, 202, 203, 204, 205,  
206, 207, 208, 209, 210, 211, 212,  
213, 214, 215.

არაბულ-თურქული 169, 177, 180  
არაბულ-სპარსული 50, 101, 167, 205,  
206, 207

აქარული (კილო) 5, 7, 8, 9, 10, 17,  
18, 22, 23, 24, 25, 26, 27, 30, 31, 32,  
36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46,  
47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 57,  
58, 59, 60, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68,  
69, 70, 72, 74, 76, 80, 81, 85, 88,

- 89, 91, 92, 94, 95, 98, 100, 101, 102, 104, 105, 106, 108, 109, 110, 111, 113, 114, 115, 121, 124, 127, 141, 143, 145, 150, 153, 154, 164, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 190, 192, 193, 194, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214
- აპარულ-იმერული 177  
 აპარულ-იმერხეული 44, 49, 50, 56, 57  
 აპარულ-მესხური 44
- ბალსქვემოური 66, 107  
 ბერძნული 95, 195, 196, 198
- გარე-კახური 110  
 გურული 8, 11, 13, 17, 19, 20, 21, 22, 23, 24, 26, 28, 29, 30, 31, 33, 39, 61, 65, 75, 81, 82, 83, 84, 87, 88, 95, 98, 99, 116, 121, 122, 124, 127, 129, 138, 142, 143, 148, 150, 160, 167, 170, 171, 184, 205, 212  
 გურულ-აპარული 22, 27, 29, 32, 33, 49, 80, 114  
 გურულ-ქვემოიმერული 160  
 გურულ-ქიზულეთური 11
- ჯანური 68, 113, 115  
 ჯანურ-სეანური 114  
 ზემოაპარული 8, 9, 12, 15, 19, 21, 22, 41, 42, 43, 52, 54, 68, 74, 75, 76, 79, 87, 100, 110, 111, 112, 113, 119, 120, 124, 138, 140, 142, 143, 144, 146, 148, 155, 158, 159, 160, 161, 165, 200, 201, 208, 213  
 ზემოგურული 8  
 ზემოიმერული 120, 129, 139
- თურქული 8, 10, 33, 36, 36, 48, 50, 51, 56, 57, 59, 63, 65, 68, 108, 138, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 210, 211, 212, 213, 214, 215
- თურქულ-აზერბაიჯანული 87  
 თურქულ-არაბული 172  
 თურქულ-სპარსული 114, 214  
 თუშური 69, 123
- იბერიულ-კავკასიური 86  
 იმერული 11, 120, 123, 127, 184  
 იმერხეული 9, 11, 22, 39, 44, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 61, 62, 65, 85, 90, 95, 96, 104, 109, 112, 116, 119, 120, 121, 122, 127, 131, 142, 143, 148, 155, 162, 164, 173, 174, 176, 178, 181  
 იმერხეულ-აპარული 44, 49, 50  
 ინგილოური 50, 51, 57, 61, 69, 94, 87, 98, 114, 120, 123  
 იტალიური 195
- კახური 51, 61, 69, 84, 89, 99, 109, 119, 120, 124, 130, 144  
 კახურ-ქიზიურული 109  
 კირნათ მარადილის მეტყველება 45  
 კოლხური 8, 10
- ლაზური 171, 173, 200  
 ლეჩხუმური 130  
 მეგრული 24, 82, 86, 87, 116, 121, 150, 156  
 მეგრულ-ჯანური 11, 57, 63, 68  
 მესხური 9, 25, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 46, 47, 48, 49, 50, 51, 57, 62, 65, 68, 76, 87, 109, 130, 145, 136, 145, 172, 174  
 მესხურ-იმერული 6  
 მესხურ-იმერხეული 11  
 მესხურ-კლარჯული 8, 39  
 მესხურ-ჯავახური 11, 22, 33, 34, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 57, 95, 172  
 მთარაპული 66  
 მთიულური 61, 66, 91, 98, 99, 110, 127, 136, 144, 156
- ოსური 91, 92

რაკული 65  
რუსული 51, 59, 81, 91, 92, 103  
ზვანური 66, 67, 68, 91, 92, 107, 111,  
121, 139  
სპარსული 48, 138, 167, 168, 180, 182,  
183, 184, 200, 203, 204, 205, 206,  
207, 208, 209, 210, 211, 212, 213,  
214.  
სპარსულ-არაბული 211, 212  
სპარსულ-თურქული 50  
უხუთური 120, 129, 130  
ფერეიდნული 50, 57, 61, 87, 108, 127,  
144  
ფრანგული 194, 195  
ფშაური 96, 114, 132  
ქართველური ენები 59, 68, 69, 79, 95,  
98, 100, 107, 109, 111, 113, 114, 142  
ქართლური 41, 44, 45, 48, 51, 61, 62,  
66, 84, 99, 105, 107, 108, 110, 112,  
144, 156  
ქართული 6, 7, 36, 42, 44, 46, 47, 50,  
51, 52, 56, 57, 60, 61, 69, 72, 73,  
74, 81, 82, 84, 87, 88, 91, 92, 93,  
94, 95, 97, 98, 99, 100, 101, 103,  
104, 105, 107, 108, 109, 111, 112,  
113, 114, 115, 119, 120, 121, 124,  
125, 127, 128, 145, 153, 162, 172,  
184, 207, 208, 209, 214  
ქართული დიალექტები (ცილოები) 44,  
52, 54, 55, 62, 63, 66, 68, 156, 193,  
196  
ქვემოქართული 11, 15, 18, 19, 20, 21,  
67, 75, 90, 110, 111, 113, 138, 141,  
159  
ქვემოიმერული 72, 120, 129  
ქიზიყური 111  
ქიზულეთური 5, 8, 15, 16, 17, 18,  
19, 20, 21, 22, 28, 32, 37, 88, 97, 105,  
111, 113, 122, 123, 124, 129, 139,  
176, 208

ცხუმარული 107

ძე. თურქული 212, 215  
ძე. ქართული 42, 45, 57, 60, 131, 136,  
142, 143, 144, 145, 147, 157, 165,  
178

წულუქიძური 123

ქანური 23, 60, 67, 69, 70, 121, 150,  
157, 174, 176, 181

ქანურ-მეგრული 68, 84, 92, 113, 121

ხეცურული 69, 73, 91, 114, 127  
ხუნძური 51

ჩავახური 35, 36, 37, 38, 39, 40, 41,  
42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 61, 65, 68,  
98, 109

#### აღზილის სახელთა საძიებელი

აბანოელები 109  
ადიგენის რაიონი 11  
არზრუმში 205  
არსიანი 6  
არტანუჯი 7  
ასამბაძეები 122  
ატენის ხეობა 145  
აღმოსავლეთ საქართველო 41  
აქარა 5, 6, 7, 49, 75, 167, 170, 171,  
187

ბათუმი 56, 100

ბათუმ-ხულო 81

ბერლინი 8

ბირტყევი 61

გარე-კახეთი 79, 107, 130

გენუა 194

გვალმინდორა 56, 106

გოგამები 122

გოგმანაძეები 122

გონიო 105

გრინტავი 60, 61

გურია 22

გძელგორი 106

გძელყანა 106

ღანისპარული 96



- დიდთერნალი 97  
 დიდონავირა 102  
 დიოკნისი 18  
  
 ეზრუმი 106  
  
 ვენეცია 194  
 ზემოაქარა 90, 114, 192  
 ზიახო 107  
 თერეკემა 205  
 თბილისი 123, 127  
 თურქეთი 8, 9, 23, 32, 167, 194  
 იმერეთი 23  
 იმერხევი 49  
 იტალია 194  
 კეაშტა 83  
 კილიდობილა 114, 119  
 კილიძიბი 113  
 კინიჭვარი 106  
 კირნათ-მარადიდი 105  
 კობალაჭრი 61  
 კოლხიდა 6  
 კობილაჭრი 61  
 ლაზიკა 23  
 ლაკლაკეთი 192  
 შახარაძე 11  
 ნაარსლარი 116  
 ნათელათი 56  
 ნამონასტრევი 53, 102, 110  
 ნაფოცხვარა 41, 54, 129  
 ნაკარვალა 96  
 ნეფიწყარო 98  
 ნოსტე 6  
 ოსმალო 96  
 ოძრხე 6  
 პაქსაძეები 52, 95, 121  
 რუსეთი 56, 156  
 რუსთავილეღე 109  
 ხაინგილო 75  
  
 საიჩაბო 106  
 სამეგრელო 23  
 სამხრეთ-საქართველო 7, 15  
 სარფი 6, 7  
 საჩუქვარა 116  
 სიბირი 51  
 სილისტრა 56  
 სურამი 98  
 ტაო-კლარჯეთი 6, 7, 49  
 ტასისკარი 6  
 ტყემგვალა 106  
 უჩხითი 110  
 ფურუჯაღი 61  
 ქელა 11, 15, 18, 90  
 ქედლები 111  
 ქეციმერი 83, 84  
 ქვემოაქარა 75, 139  
 ქობულეთი 15, 22, 61  
 ქუთაისი 82, 120  
 ყარსი 36, 205  
 შავშეთი 7  
 შავშეთ-კლარჯეთი 49  
 შატბერდი 49  
 ჩანტრეული 60, 61  
 ჩთილაა 83, 106  
 ჩირუხი 107  
 ცეცხლაჭრი 61  
 ძამლეთი 53, 110  
 წედისის ხეობა 145  
 წყალთბილაა 113  
 კაბუკავი 60, 61  
 კანკურიძნები 122  
 კვანა 28, 54, 56, 123, 124  
 კიათურა 44  
 კოროხის ხეობა 11, 49, 156  
 ხანძთა 49  
 ხელვაჩაური 15  
 ხულო 56, 162

შემოკლებათა ბანმარტივა

- აბულ. — „წიგნი საექიმო“ ლ. კოტეტიშვილის გამოცემით. ტფ., 1936.  
ლექსიკონში წარმოდგენილი არაბულ-სპარსული სიტყვები განმარტებულია იუსტ. აბულაძის მიერ.
- ა. ზეპ. — აქარის ზეპირსიტყვიერება. ჩაწერა, დაამუშავა, შესავალი ნაწილი, შენიშვნები და ცალკეულ სიტყვათა განმარტება დაურთო ნაზი ნოლაიდელმა. ბათუმი, 1959.
- ალაე. — მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.  
არაბ. — არაბული.
- გ—Ağakay M. A. Türkçe Sözlük. Ankara. 1916.
- ა. წულ. — ავ. წულაძე, ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, 1915.
- აქ. ხ. პოეზ. — აქარის ხალხური პოეზია I, კრებული შეადგინეს ა. ახვლედიანი და სხვ. ა. ინაიშვილის რედაქციით. თბ., 1969.
- Бар. — Арабско-русский словарь. Составил проф. Х. К. Баранов, 1962.
- ბერ. — გ. ბერიძე, ქართული ენის ჭავჭავური კილო. მაცნე, 6, 1970.  
ბერძ. — ბერძნული.
- Буд. — Будагов А. З. Сравнительный словарь турецко-татарских наречий т. I, СПб, 1869, т. II, 1871.
- ბ. ფ. — ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდი.
- გაზ. „საქ.“ — გაზეთ „საქართველო“ 1916, № 248.
- გლ. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვა ტომეული, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964 წწ.
- გურ. კალ. — ნ. გურგენიძე, თურქული კალკები აქარულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ., ტ. 118, 1967.
- ვაეა მც. — ვაეა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი კინკარაულმა, თბ., 1969.
- ვ. შამ. — ვახტანგ შამილაძე, ალბური მეურნეობა საქართველოში (აქარის მესაქონლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა), თბ., 1969.
- ზ.-აკ. — ზემოქართული (ცილოკავი).
- თ. — თურქული (ენა).
- თ. სახ. — თ. სახოკია, მოგზაურობანი, გურია, აქარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950.
- იტალ. — იტალიური.
- ლ. გელ. — ლ. გელაძე, ნაღვერდალი, ლექსები და პოემები, ბათუმი, 1959.
- Маг. — Русско-турецкий словарь. Составил Д. А. Магазаник и М. С. Михайлов, Москва, 1946.

- შ ა ი ს. — ი. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, მასალები მესხური ლექსიკონიდან: რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწ. პედინსტიტუტის შრ., IV, ბათუმი, 1954.
- შარი აბერხ. — Н. Марр, Георгий Мерчул, Житие св. Григория Хапдзятинского, ТР, т. VII, 1911. «Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию».
- შარი კან. გრამ. — Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1910.
- შენთ. — სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ე ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რ ე - დ ა ქ ე ი თ, თბ., 1943.
- შ. ვარშ. — შ. ვ ა რ შ ა ნ ი ძ ე, ჩემი ტაძარი, ბათუმი, 1960.
- ნიე. I. — შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ზემოაპარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957.
- ნიე. II — შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაპარული დიალექტი, ბათუმი, 1961.
- ნ. კომახ. — ნ. კ ო მ ა ხ ი ძ ე, „გურჯი ხარ, ჯოე“, ეურნ. „ღროშა“, 1966, იანვარი.
- ნოლ. ა. დ. — ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აქარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი, 1936.
- ნოლ. I. — ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, ნარკვევები აქარელთა ყოფაცხოვრებიდან, ბათუმი, 1935.
- ნოლ. II. — ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აქარის ხალხური სიტყვიერება, ბათუმი, 1936.
- ნოლ. III. — ჯ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, აქარის ხალხური სიტყვიერება, ბათუმი, 1940.
- ნ. ჩუბ. — ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი, ალ. ლ ლ ო ნ ტ ი ს რ ე - დ ა ქ ე ი თ და გამოკვლევით, თბ., 1961.
- პ. უმიკ. — პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება ოთხ ტომად, თბ., 1964.
- ქლ. — სერგი ქ ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, თბ., 1936.
- ქლ. კან. ტექსტ. — სერგი ქ ლ ე ნ ტ ი, არქაბული კილოკავი, თბ., 1938.
- Рад. — Р а д л о в В. В. Опыт словаря тюркских наречий, т. I, СПб, 1890, т. II, 1899, т. III, 1963, т. IV, 1911.
- რსდ — რუსუდანიანი, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა და ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს რ ე - დ ა ქ ე ი თ, თბ., 1957.
- საბა — სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რ ე - დ ა ქ ე ი თა და წინასიტყვაობით, თბ., 1949.
- საბა თ. — სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს სიტყვანის თურქული თარგმანები, ამოკრებილი ც. ა ბ უ ლ ა ძ ი ს მიერ, თბ., 1968.
- სახ. — თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, გურია, აქარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950.
- სპ. — სპარსული.
- ფრ. — ფრანგული.
- ფ. ხალ. — ფრიდონ ხ ა ლ ვ ა შ ი, „დათვის ხაფანგი“. მოთხრობები. ბათუმი, 1961; „საყვედური“ რომანი, თბ., 1964.
- ქ.-აქ. — ქვემოაპარული.
- ქდ. — ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ., 1961.
- ქობ. — ქობულეთური.
- ლლ. — ალ. ლ ლ ო ნ დ ი, გურული ფოლკლორი, 1, თბ., 1937.
- შარაშ. — გ. შ ა რ ა შ ი ძ ე, გურული ლექსიკონი, პროფ. ვ. ბ ე რ ი ძ ი ს რ ე - დ ა ქ ე ი თ, თბ., 1938.

- S. Sāmī—სტამბოლი, 1317 (ჰიჯრით) قاموس ترکی سامی. ش.  
ჩიქობ. — არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ  
ენებში, თბ., 1942.
- ჩუბ. — დავით ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПБ, 1887.
- ძიებ. — შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
- ქ. ლომთ. — ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მოთხრობები, ტ. II, 1925, ტომში შეტანილია  
მოთხ. „ძე კაცისა“, რომლის ერთ-ერთ პერსონაჟს ხუსეინ მოლა-ხუსეინ  
ოღლის ავტორი ალაპარაკებს აქარულ კილოზე.
- ჯანაშვი. — მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, გამოკვლევას დართული აქვს ლექსიკო-  
ნი; „ძველი საქართველო“ ტ. II, ტფ., 1913.
- ჯ. ჯაყ. — ჯ. ჯ ა ყ ე ლ ი, „განცდილი დღეები“ მოთხრობები, ბათუმი, 1958.
-

## ს ა რ ჩ ი ვ ი

### შესავალი

ცნობები აჰარის წარსულისა და აჰარული დიალექტის გავრცელების შესახებ	5
აჰარულის ზოგადი დახასიათებისათვის . . . . .	9
აჰარულის შესწავლის მდგომარეობა . . . . .	12

### I ნაწილი

აჰარულის ნაირსახეობანი და მისი მიმართება ქართული ენის სხვა დიალექტებთან

I თავი. ქობულეთური მეტყველების დიალექტოლოგიური განსაზღვრისათვის . . . . .	15
II თავი. აჰარულის მიმართება გურულთან . . . . .	22
III თავი. აჰარულის მიმართება მესხურ-ჭავჭავურთან . . . . .	33
IV თავი. აჰარულის მიმართება იმერხეულთან . . . . .	49

### II ნაწილი

აჰარულის თავისებურებანი . . . . .	58
I თავი. ფონეტიკა . . . . .	58
II თავი. მორფოლოგია . . . . .	<u>110</u>
სიტყვაწარმოება . . . . .	135
კომპოზიტები . . . . .	140

### ზ ე ნ ა

III თავი. სინტაქსური თავისებურებანი . . . . .	154
IV თავი. ლექსიკა . . . . .	166

PEZIOME . . . . .	216
Zusammenfassung . . . . .	269
საძიებელი . . . . .	223
შემოკლებათა განმარტება . . . . .	228

Нижарадзе Шота Изетович  
АДЖАРСКИЙ ДИАЛЕКТ  
(На грузинском языке)  
Издательство «Сабчота Аджара»  
Батуми, Гогешвили, 24  
1975

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ე. დ ა ვ ი თ ა ძ ე  
მხატვ. რედაქტორი ჟ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ჭ უ ნ ი ა  
კორექტორი ლ. ჭ ღ ა რ კ ა ვ ა

ხელმოწერილია დასაბეჭდად B/XII-1975; ქაღალდის ზომა 60×1/16;  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,5; საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 11,79;  
შეკვ. № 1569; უე 01589; ტირაჟი 1.500  
ფასი 1 მან 50 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა აპარა“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Груз. ССР. Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19